საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა

www.geworld.net

№11 (102)

30 მარტი – 5 აპრილი, 2011

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი

info@geworld.net

„თანახმა ხართ თუ არა, აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრიობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე?“ — ამ კითხვას პასუხი ზუსტად ოცი წლის წინათ, 1991 წლის 31 მარტს ჩატარებულ რეფერენდუმზე გავეცით. 3.657.477 ამომრჩევლიდან საკითხის დადებითად გადაწყვეტას ხმა 3.295.493-მა მისცა, ანუ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 89,3 პროცენტმა და კენჭისყრაში მონაწილეთა — 98,9 პროცენტმა. ეს ნამდვილად ერთსულოვანი, საერთო-ეროვნულ კონსენსუსზე დაფუძნებული გადაწყვეტილება იყო. იმ ისტორიული დღის შემდეგ ოცი წელი გავიდა...

2



# ოცი წელი დამოუკიდებლობის გარეშე!

## დამოუკიდებელ საქართველოში პატიმრების რაოდენობა 4-ჯერ გაიზარდა

7

## ვალუტაც და სუვერენიტეტიც ერთნაირად გაგვიუფასურდა

4

აკაკი ასათიანი:

## საქართველო აღარ არის დამოუკიდებელი და სუვერენული ქვეყანა

10

## საქართველოს მოსახლეობა 20 წელიწადში 20 პროცენტით შემცირდა

1988-2010 წლების სტატისტიკის შედარებითი ანალიზი

16

## პირველი პრეზიდენტის ერთადერთი ძეგლი

22

ედუარდ შევარდნაძე:

## შეიძლება საქმე აჯანყებამდე მივიდეს

23

ოტია იოსელიანი:

## ახლა გახარებულები ვართ — კაი სამათხოვრო ადგილები ვიშოვეთ და კაი გუნებაზე ვართ!



8

ბესარიონ გუგუშვილი:

## კოკო შვეიცარიულ ყველში იყო შემძვრალი და წრუწუნასავით ისუსნებოდა, ზვიად გამსახურდიას კი მისი იმედი ჰქონდა



12

ბიძინა გიორგობიანი:

## დემოგრაფიულად, ეკონომიკურად, პოლიტიკურად საქართველო მომაკვდავი სახელმწიფოა!



21

ჩვენ ყველას (მათ შორის, მერაბსაც და ზვიადსაც), საქართველო ხელიდან გამოგვგლიჯეს და ცხვირწინ გაგვიყიდეს.

პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**რაც უფრო შორს მივდიოდით, არჩევანის სულ უფრო ნაკლები შანსი გვრჩებოდა, დამანგრეველი ომების თავიდან აცილება და სოციალურ-ეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნება პრაქტიკულად შეუძლებელი ხდებოდა. ამ თვალსაზრისით, ეს იყო ოცწლიანი სვლა დამოუკიდებლობის საპირისპირო მიმართულებით; ის ჰგავდა იმ მანქანის მოძრაობას, რომლის საჭე არ ტრიალებს, ხოლო მუხრუჭი გაფუჭებულია — ის აუცილებლად შეეჯახება ყველა წინაღობას, რომელიც გზად შეხვდება.**

## გაფრაზებული



**ილია მეორე,** სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი:

წმინდა მამები ამბობენ, რომ ეშმაკს რამდენიმე სახედ გარდასახვა შეუძლია, მათ შორის, მაცხოვარ იესოს და სხვა ნებისმიერი ადამიანის სახედ, თუმცა ის ვერ მიიღებს ჯვრისა და ღვთისმშობლის სახეს. სწორედ ამიტომ ყველა ადამიანმა ნაკურთხი ჯვარი უნდა ატაროს. ის ადამიანს დაიცავს და სასუფევლისკენ სწრაფვაში დაეხმარება. ყველა ადამიანს თავისი ცხოვრებისეული ჯვარი აქვს, რომლის ტარებაშიც მას უფალი ეხმარება. მნიშვნელოვანია, ყველამ თავისი სულიერი ჯვარი შექმნას. ადამიანმა უნდა შექმნას ორი ხაზი ცხოვრებაში — სწრაფვა ღვთისაკენ და სწრაფვა ადამიანისაკენ. ადამიანებს უყვართ ფუფუნება და ხშირად არ ფიქრობენ იმაზე, რომ არსებობენ გაჭირვებული ადამიანებიც, რომელთაც პურის ფულიც არ აქვთ. ფუფუნების მოყვარული ადამიანები ამაზეც უნდა დაფიქრდნენ.

*„პირველი“*



**მიხეილ სააკაშვილი,** საქართველოს პრეზიდენტი:

საქართველო გარე და შიდა საფრთხეების წინაშე დგას. ცალკეული ადამიანები, რომლებიც თავს პოლიტიკოსებს უწოდებენ, მზად არიან, საქართველოში სხვა ქვეყნის ჯარის შემოსვლის ხარჯზე საკუთარი კეთილდღეობა მოიწყონ. მათ იმდენად აქვთ ჩაქნეული ხელი, რომ ოდესმე საკუთარი ხალხის მხარდაჭერას მოიპოვებენ, ერთმანეთში მუდმივად საუბრობენ, „ახლა რაც გადაგვარჩენს, უცხო ქვეყნის ჯარის შემოსვლაა თბილისშიო“.

*„პირველი“*



**ედუარდ შევარდნაძე,** ექს-პრეზიდენტი:

სააკაშვილს აშშ-ის მოქმედ „დემოკრატ“ პრეზიდენტ ბარაკ ობამასთან განსაკუთრებით კარგი ურთიერთობა ისედაც არ აქვს, ხოლო პრეზიდენტობის მომავალ „რესპუბლიკელ“ კანდიდატ ტრამპთან დაახლოებამ, შესაძლოა, ეს ურთიერთობა კიდევ უფრო გააუარესოს, რაც საქართველოზე ნეგატიურად აისახება.

*NEWS.AM*

**„თანახმა ხართ თუ არა, აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრიობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე?“ — ამ კითხვას პასუხი ზუსტად ოცი წლის წინათ, 1991 წლის 31 მარტს ჩატარებულ რეფერენდუმზე გავეცით. 3.657.477 ამომრჩევლიდან საკითხის დადებითად გადაწყვეტას ხმა 3.295.493-მა მისცა, ანუ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 89,3 პროცენტმა და კენჭისყრაში მონაწილეთა — 98,9 პროცენტმა. ეს ნამდვილად ერთსულოვანი, საერთო-ეროვნულ კონსენსუსზე დაფუძნებული გადაწყვეტილება იყო. იმ ისტორიული დღის შემდეგ ოცი წელი გავიდა. საინტერესოა, რამდენად გამართლდა ის მოლოდინი, ის იმედი, რომლითაც 1991 წლის 31 მარტს ხმის მისაცემად მივდიოდით; მოვიპოვეთ თუ არა რეალური დამოუკიდებლობა, მივუახლოვდით თუ არა მას თუნდაც ერთი ნაბიჯით?**

# ოცი წელი დამოუკიდებლობის გარეშე!



### დიდი ძარცვა დიდი ხანძრის დროს

1991-ში ბევრ ჩვენგანს, ალბათ, გაცნობიერებული ჰქონდა, რომ სახელმწიფოებრიობის აღდგენის პროცესი უმტკივნეულოდ არ ჩაივლის და ჩვენი იდეალების ხორცშესხმისთვის აქტიური ბრძოლა და მსხვერპლის გაღება მოგვიწევს. თუმცა, სავარაუდოდ, არავინ ელოდა, რომ დანაკარგები ასეთი მძიმე იქნებოდა. **ბევრ ევროპულ ქვეყანას მსოფლიო ომებმა ვერ მიაყენა ისეთი ზარალი, როგორიც ბოლო ოცი წლის განმავლობაში საქართველომ განიცადა.**

**საქართველომ ტერიტორიის 20 პროცენტზე კონტროლი დაკარგა, საბრძოლო მოქმედებების დროს ათი ათასობით ადამიანი დაიღუპა, 300 ათასამდე კი დევნილად იქცა; ამ მოკლე ფრაზის უკან ენით აუწერელი ტრაგედია იმალება.**

1989 და 2002 წლების აღწერის შედეგებს და უფრო გვიანდელ მონაცემებს თუ შევაჯერებთ, ვნახავთ, რომ განხილულ პერიოდში საქართველოს მოსახლეობა დაახლოებით ერთი მილიონით შემცირდა. არის სხვა, უფრო მძიმე შეფასებებიც, თუმცა, მიუხედავად იმისა, გამოაკლდა ქვეყანას მოსახლეობის მეხუთედი თუ მეოთხედი, შედეგი, ნებისმიერ შემთხვევაში, კატასტროფულია.

ყველაზე რბილი შეფასებით, ერთ სულ მოსახლეზე წარმოებული მთლიანი შიდა პროდუქტით საქართველო 1989 წლის მაჩვენებლის 75 პროცენტის დონეზეა, მთლიანი შიდა პროდუქტის წარმოების აბსოლუტური სიდიდით კი — 58 პროცენტის დონეზე. ელექტროენერგიის წარმოება შემცირდა 2,5-ჯერ, დამუშავებული სახნავ-სათესი მიწის ფართობი — 3,1-ჯერ.

**ეკონომიკის მიმოხილვა სექტორების მიხედვით ძალიან შორს წაგვიყვანს, ამიტომ მხოლოდ სოფლის მეურნეობას შევეხოთ, რადგან ამ თემას მოგვიანებით დავუბრუნდებით: 1989 წელთან შედარებით კარტოფილის და ხილის წარმოება შემცირდა 2-ჯერ, ბოსტნეულის — 3-ჯერ, ყურძნის — 3,5-ჯერ, მარცვლეულის — 9-ჯერ, ჩაის — 60-ჯერ, თამბაქოს — 120-ჯერ. ფრინველის სულადობამ — 2,5-ჯერ, ცხვრისა და თხისამ — 3-ჯერ, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა და ღორისამ კი 10-ჯერ იკლო. მოსახლეობის ცხოვრების დონე ამ ორი ათწლეულის განმავლობაში, უბრალოდ, მკვეთრად კი არა, კატასტროფულად დაეცა.**

როგორც ვხედავთ, საქართველომ უზარმაზარი ვარდნა განიცადა. ცხადია, რეალური დამოუკიდებლობის მიღწევასთან ამან ვერ მიგვაახლოვა, რადგან, რაც უფრო სუსტია ქვეყნის ეკონომიკა, რაც უფრო მცირეა მისი მოსახლეობა და ტერიტორია, მით უფრო შორსაა ის დამოუკიდებლობისგან. მივაღწიეთ თუ არა რაიმე დადებით შედეგს მას შემდეგ, რაც ამხელა მსხვერპლი გავიღეთ?

ქვეყანა მით უფრო დამოუკიდებელია, რაც უფრო მეტი მოქმედების ვარიანტის არჩევა შეუძლია მის ხელისუფლებას ამა თუ იმ პოზიტიური მიზნის მისაღწევად, იდეაში, ჯანსაღი განვითარება ამ „გადაწყვეტილებების სივრცის“ თანდათანობით გაფართოებას გულისხმობს. **მაგრამ, ჩვენს შემთხვევაში, ყველაფერი პირიქით მოხდა, რაც უფრო შორს მივდიოდით, არჩევანის სულ უფრო ნაკლები შანსი გვრჩებოდა, დამანგრეველი ომების თავიდან აცილება და სოციალურ-ეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნება პრაქტიკულად შეუძლებელი ხდებოდა. ამ თვალსაზრისით, ეს იყო ოცწლიანი სვლა დამოუკიდებლობის საპირისპირო მიმართულებით; ის ჰგავდა იმ მანქანის მოძრაობას, რომლის საჭე არ ტრიალებს, ხოლო მუხრუჭი გაფუჭებულია — ის აუცილებლად შეეჯახება ყველა წინაღობას, რომელიც გზად შეხვდება.**

ნებისმიერი ომისა და სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის წინარე პერიოდის ანალიზის დროს ჩვენ შეგვიძლია დავაფიქსიროთ მომენტი, როდესაც შეიძლებოდა იმ მიზეზ-შედეგობრივი ჯაჭვის გაწყვეტა, რომელსაც ფატალურ შედეგამდე მივყავდით, მაგრამ საქართველოს ვერც ერთმა ხელისუფლებამ ამის გაკეთება ვერ მოახერხა. შესაძლოა იმიტომ, რომ მას შესაბამისი პოლიტიკური უნარ-ჩვევები არ ჰქონდა, თუმცა გამორიცხული არაა, რომ ქართულ ელიტას სულ სხვა მოტივები და მისწრაფებები ჰქონდა.

ძველ ჩინურ ტრაქტატში „36 სტრატაგემა“ (სტატაგემა — ქცევის ალგორითმი, რომელიც მიმართულია ფარული მიზნის მიღწევაზე ან რაიმე ამოცანის გადაწყვეტაზე, კონტექსტის აუცილებელი გათვალისწინებით), არის ასეთი რჩევა „გაძარცვე ხანძრის დროს“. ცხადია, რაც უფრო დიდია ხანძარი, მით უფრო მოსახერხებელია ძარცვა. როდესაც ჩვენი ჯარისკაცები ცდილობდნენ, გამკლავებოდნენ გაცილებით უფრო ძლიერ მოწინააღმდეგეს, როდესაც ლტოლვილები ტოვებდნენ მშობლიურ მიწა-წყალს, როდესაც მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ლუკმაპურის შოვნას მთელ ძალისხმევას ახმარდა, სწორედ მაშინ მიმდინარეობდა ამ „დიდი ხანძრით“ სრულიად გადაფარული პროცესი, რომელსაც პირობითად შეგვიძლია „დიდი ძარცვა“ ვუწოდოთ: **ის უზარმაზარი მემკვიდრეობა, რომელიც საბჭოთა საქართველოსგან დარჩა, ცალკეული ადა-** ▶

**ბევრ ევროპულ ქვეყანას მსოფლიო ომებმა ვერ მიაყენა ისეთი ზარალი, როგორიც ბოლო ოცი წლის განმავლობაში საქართველომ განიცადა**

მოკლედ

## ობამამ და მედვედევმა ისაუბრეს

აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ და რუსეთის პრეზიდეტმა დიმიტრი მედვედევმა ტელეფონით ისაუბრეს. ლიბიის თემის განხილვისას მედვედევმა აღნიშნა, რომ დაუშვებელია მსხვერპლი ლიბიის მშვიდობიან მოსახლეობაში. ამის შესახებ კრემლის პრესსამსახური იტყობინება. გავრცელებული ინფორმაციით, ობამამ და მედვედევმა ასევე განიხილეს რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრების საკითხი და ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის განლაგების პრობლემები.



## ნატომ ხელმძღვანელობა ჩაიბარა

ბრიუსელში გამართულ ნატოს საბჭოს სხდომასა და თეთრ სახლში გამართულ უწყებათაშორის თათბირს ლიბიის ოპერაციის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება მოჰყვა. თათბირს აშშ-ის პრეზიდენტი ბარაკ ობამა ხელმძღვანელობდა. საბოლოოდ ჩრდილოატლანტიკური შეთანხმების ორგანიზაციამ თანხმობა განაცხადა, საკუთარ თავზე აიღოს ლიბიის თავზე არასაფრენი ზონის ხელმძღვანელობა და მუამარ კადაფის ჯარებისგან ქვეყნის მოსახლეობის დაცვის გეგმა შეიმუშაოს.

**20 წელიწადი ტოტალურ ნგრევაში გაილია და, საბოლოო ჯამში, მიღებული ნეგატიური გამოცდილების გარდა, ხელთ პრაქტიკულად არაფერი შეგვრჩა. თუმცა, გარკვეული თვალსაზრისით, ესეც კაპიტალია, თანაც — არცთუ მცირე; მიღებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ჩვენ, ალბათ, უკვე გავაცნობიერეთ, თუ „რა აღარ უნდა გავაკეთოთ“ მომავალში, თუმცა ძნელი სათქმელია, თუ ჩამოვყალიბდით იმაზე, „რა უნდა მოვიმოქმედოთ“.**

პოლიტიკა
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# დემონსტრაციული დაშორება რუსეთისგან კი არ ზრდის დამოუკიდებლობის ხარისხს, არამედ, საბოლოო ჯამში, მკვეთრად ამცირებს მას

**◀ მიანების, ვიწრო ჯგუფების ხელში გადადიოდა. როდესაც ერი ყოფნა-არყოფნის ზღვარზე დგას, მას, მარტივად რომ ვთქვათ, არ აქვს შესაძლებლობა, ყურადღება მიაქციოს იმას, თუ რამდენად პატიოსნად ჩატარდა ესა თუ ის აუქციონი, სად გაქრა ესა თუ ის კრედიტი, რატომ იცილებს თავიდან ხელისუფლება სოციალურ პასუხისმგებლობას და ა.შ. ყოველივე ამას განსაკუთრებით მძიმე შემთხვევებში, ყურადღება რომც მიაქციოს, მძარცველი ყოველთვის მონახავს არგუმენტს, რაც მის დანაშაულს ობიექტური მიზეზებით გაამართლებს.**

ამ პროცესში ქართული ელიტის წარმომადგენლებმა გადააბიჯეს უხილავ ზღვარს, რომელიც ადამიანებს საშინელებათა ფილმების პერსონაჟი ვამპირებისგან განასხვავებს. საბჭოთა მემკვიდრეობით საქმე არ შემოფარგლულა. როდესაც ის გადანაწილდა და მეტწილად გაიფლანგა, ისინი უცხოურ დახმარებებსა და კრედიტებს მიადგნენ (ქვეყანა, რომელიც უცხოურ კრედიტებზე ისეა დამოკიდებული, როგორც ნარკომანი — „წამალზე“, ისევე შორს დგას რეალური დამოუკიდებლობისგან, როგორც ანტარესი — ალდებარანისგან), ბოლოს კი გადავიდნენ კერძო ბიზნესზე, მოსახლეობის საკუთრებაზე და ა.შ. მარტივად რომ ვთქვათ, ჯანსაღი ეროვნული ელიტა იქცევა როგორც მებაღე, რომელიც ხეებს უვლის, მათგან მოსავალს იღებს, ამ მოსავლისგან მიღებული მოგების ნაწილით ბაღს აფართოებს და ახალ ხეებს რგავს, **თუმცა ჩვენი ელიტა სულ სხვა გზით წავიდა და ხეების მოჭრა დაიწყო, რადგან შეშის გაყიდვა, ბაღის მოვლისგან განსხვავებით, შრომასა და პასუხისმგებლობას არ მოითხოვს. როდესაც ყველა ხე მოიჭრება, დაიწყება ბაღის ტერიტორიის გაყიდვა (თუ უკვე არ დაიწყო). მომენტი, როდესაც ამ სიგიჟით შეპყრობილი ქართული ელიტის გარკვეული ნაწილის მტაცებლური მისწრაფებები ერის ინტერესებთან ფარულ, თუმცა გადაულახავ წინააღმდეგობაში შევიდა, ძალიან მკაფიოდ დააფიქსირა ვაშინგტონმა, რადგან ამ დროს მისი მიზნების მიღწევისთვის უაღრესად ხელსაყრელი სიტუაცია შეიქმნა.** მან მოხდენილად ისარგებლა იმით, რომ აზარტში შესული ქართველი პოლიტიკოსების დიდი ნაწილი დაახლოებით ისეთივე ღირებულებებით ხელმძღვანელობდა, როგორითაც ლოთი, რომელმაც ჭიქა არყისთვის შეიძლება საკუთარ დედას ყელი გამოსჭრას.



## როდესაც ქვა აღმართში მოგვეწია

ყველა ადამიანს უსაფრთხო, გაჭირვებისგან თავისუფალი ცხოვრება სურს. რაც უფრო მდიდარი და დაცულია, მით უფრო რთულდება მისი გაძარცვა, მოტყუება და მართვა, მისი დამოუკიდებლობის ხარისხი იზრდება. ეს ბანალური ჭეშმარიტება ეხება როგორც ცალკეულ ადამიანებს, ისე ჯგუფებსა და ქვეყნებს. სავარაუდოდ, სწორედ მათშია ჩვენ თავს დატრიალებული ყველა უბედურების მთავარი მიზეზი; მარტივად რომ ვთქვათ, იმისათვის, რომ ადამიანი იოლად იმართებოდეს, ის მშიერი და დაუცველი უნდა იყოს.

**პრობლემა №1: უსაფრთხოება.** აქ ყველაფერი მარტივადაა. ქვეყანას უსაფრთხოების არანაირი გარანტია არ გააჩნია. მან რუსეთის უსაფრთხოების სივრცე დატოვა, ხოლო აშშ-ის (ნატოს) უსაფრთხოების სივრცეში ვერ შევიდა. ორი ზესახელმწიფოს კონსენსუსზე დაფუძნებული „ფინური ტიპის“ ნეიტრალიტეტის პერსპექტივა ჯერჯერობით არ ჩანს. **ქვეყანა დაემსგავსა ადამიანს, რომელიც საცვლების ამარა 40-გრადუსიან ყინვაში ქუჩაში დგას, ხოლო ყველა სახლის კარი ჩაკეტილია; ის ყვირის, აკაკუნებს, მაგრამ არსად უშვებენ. არის თუ არა ასეთი ადამიანი ან ქვეყანა დამოუკიდებელი? ალბათ, არა, მისი მართვა ძალზე იოლი ხდება.**

**პრობლემა №2: კეთილდღეობა.** საბჭოთა პერიოდში მისი უზრუნველყოფის სტრატეგიული იდეა ეფუძნებოდა იმ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას, რომლის წარმოება რუსეთსა და სსრკ-ის სხვა რესპუბლიკებში შეუძლებელი იყო. ეს იყო ბაზისი, რომელმაც სხვა სფეროების ფორსირებული განვითარების შესაძლებლობა მოგვცა ინდუსტრიიდან დაწყებული, ვიდრე განათლებამდე; ამ უკანასკნელთან დაკავშირებით, შეგვიძლია ორი საინტერესო ფაქტი მოვიყვანოთ: 30-იან წლებში საქართველო, რომელშიც XIX საუკუნის ბოლოს წერა-კითხვის მცოდნეთა ხვედრითი წილი 20-25 პროცენტის ფარგლებში მერყეობდა, ამ კუთხით ევროპაში ერთ-ერთ პირველ ადგილზე გავიდა, ხოლო სტუდენტების რაოდენობით ათას სულ მოსახლეზე დიდების ზენიტში მყოფ ორ მაშინდელ ზესახელმწიფოს — დიდ ბრიტანეთსა და გერმანიას გაუსწრო. რუსული ბაზრისგან მოწყვეტა, ქართული ეკონომიკისთვის და ზოგადად ქვეყნისთვის, დაახლოებით იგივეს ნიშნავდა, რაც მრავალსართულიანი სახლისთვის პირველი სართულის გამოცლა; მისი ჩამოშლა გარდაუვალი შეიქნა. აუცილებელი გახდა ალტერნატიული სტრატეგიული იდეის მოძებნა, რომელიც ამ დანაკარგის თუნდაც ნაწილობრივ კომპენსირებას მოახდენდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს იდეა არ არსებობს.

**რა ვქნათ ახლა: სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებს შევეჯიბროთ ინდუსტრიულ განვითარებაში თუ პროდუქცია შტატებში ჩავიტანოთ და იქვე, ყურის ძირში მყოფ ლათინოამერიკელ მწარმოებლებთან კონკურენციაში ჩავებათ? შესაძლოა, ალტერნატივა მართლაც არსებობს, თუმცა მის ფორმულირებამდე იმ ტოტის მოჭრა, რომელზეც ვიჯექით, სასურველი ნამდვილად არ იყო.** დავუბრუნდეთ იმ ადამიანს, რომელიც საცვლების ამარა 40-გრადუსიან ყინვაში დგას და წარმოვიდგინოთ, რომ მას ისე შია, რომ გონებას კარგავს. არის თუ არა ასეთი ადამიანი ან ქვეყანა დამოუკიდებელი? რამდენად დიდია მისი გადარჩენის შანსი?

## თავისუფლება სულს უფრო მოსწყურდა

**პარადოქსულად აღმოჩნდა, რომ დემონსტრაციული დაშორება რუსეთისგან კი არ ზრდის დამოუკიდებლობის ხარისხს, არამედ, საბოლოო ჯამში, მკვეთრად ამცირებს მას. არაფერი პრორუსული ან მოსკოვოფილური ამ ფაქტის კონსტატაციაში არ არის. ეს, უბრალოდ, რეალობაა.**

ჩვენი უსაფრთხოება და კეთილდღეობა შემცირდა, ხოლო ვაშინგტონმა მისი კომპენსირება არ მოახდინა ან რატომ მოახდენდა, როდესაც ხედავდა, რომ მისი ადგილობრივი პარტნიორების უდიდესი ნაწილი გაუმაძღარი ავანტურისტების ბანდაა, რომლის თვალსაწიერი მხოლოდ საკუთარი ქვეყნის ძარცვით შემოიფარგლება. ნორმალური, ეროვნულად ორიენტირებული ელიტა, ვაშინგტონს ქვეყნისთვის შეუდარებლად მეტ ბონუსს გამოგლეჯდა იმის სანაცვლოდ, რომ მის ინტერესებს გაითვალისწინებდა, მარიონეტად არ გადაიქცეოდა და ზესახელმწიფოების ქიშპისგან მაქსიმალურ დისტანცირებას შეეცდებოდა, თუმცა ასეთი ელიტა დღეს, სამწუხაროდ, არ გვყავს.

20 წლის წინათ ჩვენ სწორი არჩევანი გავაკეთეთ, თუმცა რეალურ დამოუკიდებლობას ვერ მივაღწიეთ. **ჰიმნი და დროშა აფრიკულ ბანტუსტანებსაც ჰქონდათ, დამოუკიდებლობის სხვა ნიშნები კი, ჩვენს შემთხვევაში, მეტწილად სიმბოლურ ხასიათს ატარებს. ქვეყანა კი დაკნინდა, დანაწევრდა, გაუბედურდა. მართალია, ხელისუფალნი ემოციურად გვიმტკიცებენ, რომ „სახელმწიფო შედგა“, მაგრამ საზოგადოებაში საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული მოსაზრება, რომ ამ მომენტისთვის „შედგა“ მხოლოდ საკუთარი მოსახლეობის ხარჯზე მმართველთა უდარდელი ცხოვრების უზრუნველყოფის ინსტრუმენტი.**

შეიძლება ოდნავ პათეტიკურად გაიჟღეროს, მაგრამ მათ, ვინც 1991 წლის 31 მარტს ხმა საქართველოს დამოუკიდებლობას მივეცით, საკუთარ თავზე უზარმაზარი პასუხისმგებლობა ავიღეთ და მისგან არავის გავუთავისუფლებივართ, მეტიც, მისგან გათავისუფლება საერთოდ შეუძლებელია. **20 წელიწადი ტოტალურ ნგრევაში გაილია და, საბოლოო ჯამში, მიღებული ნეგატიური გამოცდილების გარდა, ხელთ პრაქტიკულად არაფერი შეგვრჩა. თუმცა, გარკვეული თვალსაზრისით, ესეც კაპიტალია, თანაც — არცთუ მცირე; მიღებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ჩვენ, ალბათ, უკვე გავაცნობიერეთ, თუ „რა აღარ უნდა გავაკეთოთ“ მომავალში, თუმცა ძნელი სათქმელია, თუ ჩამოვყალიბდით იმაზე, „რა უნდა მოვიმოქმედოთ“.**

ამაზეა დამოკიდებული, — როგორი იქნება საქართველო კიდევ 20 წლის გასვლის შემდეგ: დაშინებული, მუდამ მშიერი ბიომასით დასახლებული უბედურების ზონა თუ აღმავლობის გზაზე დამდგარი დამოუკიდებელი ქვეყანა, სადაც ღირსეული საზოგადოება იცხოვრებს და თუნდაც მინიმალური პასუხისმგებლობის მქონე ხელისუფლება ეყოლება. არჩევანი, ამ შემთხვევაში, ისევე, როგორც 1991 წლის 31 მარტს, ისევ და ისევ ჩვენზეა.

**დიმიტრი მონიავა**

**ვაშინგტონის ადგილობრივი პარტნიორების უდიდესი ნაწილი გაუმაძღარი ავანტურისტების ბანდაა, რომლის თვალსაწიერი მხოლოდ საკუთარი ქვეყნის ძარცვით შემოიფარგლება**

## გამოხმაურებანი



**ზურაბ ყაფიანიძე,**
**მსახიობი:**

▼ დღეს აღარც აფხაზეთი გვაქვს, აღარც სამაჩაბლო, ტაო-კლარჯეთში ვერ ჩავდივართ, აჭარა თურქებს მიაქვთ, საინგილო ჩვენი აღარაა, სოფლები ხალხისგან დაიცალა. აი, ამიტომაც ისტორიის მდინარება უნდა შეიცვალოს დაუგეგმავი რევოლუციით. დიახ, არის რევოლუციის გზა, რომელსაც ათი კაცი ეყოფა. ათი თავდადებული ვაჟკაცით შესაძლებელია რევოლუციის გაკეთება!

*„ასავალ-დასავალი“*



**შალვა ნათელაშვილი,**
**ლეიბორისტული პარტიის ლიდერი:**

▼ ერთ-ერთ გავლენიან ფიგურას პირდაპირ ვუთხარი — ვინა გყავთ მეგობრები, არ იცით?.. ბოკერიაა და ციხეში პატიმრები დახვრიტა; სააკაშვილია და... კავკასიელი მუამარ კადაფია; მერაბიშვილია და... ქილერია, რომელმაც ქვეყანაში „გესტაპოს“ და „ენკავედეს“ სიმბიოზი შექმნა; უგულავაა და... სპეცრაზმი ჰყავს მერიაში, რომელსაც ვიღაც უდესიანი ხელმძღვანელობს და ხალხს ატერორებს; რურუას 17 კაცი ჰყავს მოკლული თუ 35 თავის ძმასთან ერთად, ამაზეა დავა; ცისკარიშვილია და ნარკოვაჭარია... ამიტომაც თქვენთვის საქართველოს კარი და გული სამუდამოდ უნდა დაიხუროს-მეთქი!..

*„კვირის ქრონიკა“*



**ლევან ვეფხვაძე,**
**პარლამენტის ვიცე-სპიკერი:**

▼ თუკი ვინმე რაზმებს ქმნის, დარწმუნებული ვარ, რომ მერაბიშვილი ამ რაზმებში საკუთარ ხალხსაც აწევრიანებს. ამიტომ, ასე თუ ისე, საფრთხე იმისა, რომ ვინმემ ამ რაზმებში იარაღი აიღოს, რა თქმა უნდა, რეალურია.

*„პრაიმტაიმი“*



**შალვა რამიშვილი,**
**ჟურნალისტი:**

▼ ჩვენს ქვეყანაში ძალიან ბევრი პოლიციაა, ყველგან პოლიციაა, მათ შორის ისეთ სფეროებშიც, სადაც პოლიციას არაფერი ესაქმება. ასეთია შოუბიზნესი და მუსიკალური სფეროც.

*„ასავალ-დასავალი“*

---

მსოფლიო

## აშშ-ის მორიგი სამიზნე

ვენესუელის პრეზიდენტი უგო ჩავესი აცხადებს, რომ ამერიკული იმპერიალიზმი და მისი მოკავშირეები მისი კადაფის გვერდით დაყენებას ცდილობენ, რათა მომავალში ის მათი შემდეგი სამიზნე გახდეს. **„ახლა ჩვენ ვაკვირდებით, თუ როგორ ჩამოიხსნა იმპერიალიზმმა ნიღაბი და გვერდზე მოისროლა მორალი. საერთაშორისო კოალიცია ლიბიის ქალაქებს ბომბავს, ხოცავს მშვიდობიან მოქალაქეებს. არის მცდელობა, კადაფისა და ჩავესის სასტიკი დიქტატორების ერთ რიგში დააყენების,“** — აღნიშნა ჩავესმა.



## ნათანიაჰუ იმუქრება

დღეს აშშ-ის თავდაცვის მდივანი რობერტ გეითსი ისრაელისა და პალესტინის პრემიერ-მინისტრებს შეხვდა. ორივე მხარესთან შეხვედრა ისრაელსა და პალესტინის ავტონომიას შორის ბოლო დროს დაძაბული ურთიერთობის ფონზე წარიმართა. გეითსი ისრაელის პრემიერთან — ბენიამინ ნათანიაჰუსთან პირისპირ შეხვედრისას იერუსალიმის ცენტრში მომხდარ ტერორისტულ აქტსაც შეეხო. ნათანიაჰუ ისრაელის მტრებს განადგურებით დაემუქრა.

საქართველო და მსოფლიო
ეკონომიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

ეროვნული ბანკის პრეზიდენტობისას პარიზში ემიგრანტების პირველი ტალღის წარმომადგენლებსა და მათ მომდევნო პირველ თაობას შემახვედრეს შინაურ წრეში, წვეულებაზე... საუბარში თანდათან შემომაპარეს — ქართველები არ არიან მაინც და მაინც კარგები, რადგან დარჩნენ საქართველოში და კომუნისტურ წყობას შეეგუენო. თქვეს ერთხელ, ორჯერ და მესამედაც რომ გაიმეორეს, ველარ მოვითმინე და ჩემი აზრი მოკლედ მოვახსენე: ყველანი რომ გამოქცეულიყვნენ, მაშინ, მითხარით, გეთაყვა, სად იქნებოდა თქვენი სამშობლო?

# ვალუტაც და სუვერენიტეტიც ერთნაირად გაგვიუფასურდა

**„საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება საქართველოს ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტი, ექსპერტი ნოდარ ჯავახიშვილი.**



**ნოდარ ჯავახიშვილი:**

## მეტ-ნაკლებად ღირსეული ხალხი გაიქცევა ქვეყნიდან, ყველაზე ღირსეულნი დაიხოცებიან...

**— რა მოხდა, ბატონო ნოდარ? სუვერენიტეტის მოსაპოვებლად მზად ვიყავით, ბალახი გვეჭამა, ჩვენი მოწეული ციტრუსებითა და ჩაით აგვეყვავებინა ქვეყნის ეკონომიკა. დამოუკიდებლობის მოპოვების მეოცე წელს „აღმოვაჩინეთ“, რომ არც ბალახია საჭმელად ვარგისი პროდუქტი, არც ციტრუსები — ეკონომიკის საფუძველი. ჩაის კულტურა კი გადამმუშავებელი მრეწველობითურთ მოვსპეთ და გავანადგურეთ. ძალიან იოლი გვეგონა, როგორც ჩანს, დამოუკიდებელი ცხოვრება, ისეთი, როგორსაც მიტინგური ემოციები გვიხატავდა. ნოსტალგია გაჩნდა ძველი ცხოვრების...**

— ამის ფესვები ჩვენს ისტორიულ რეალობაში უნდა ვეძებოთ, როცა თანდათან ვკარგავდით სახელმწიფოებრივ შეგნებას, სახელმწიფოსადმი დამოკიდებულებას, აზროვნებას: ფაქტია, რომ საქართველოს სახელმწიფოებრიობა არ ჰქონდა — არც მეფის რუსეთში, არც საბჭოთა კავშირში.

თანდათან დავკარგეთ პასუხისმგებლობა ჩვენი ქვეყნის მიმართ, რომელიც ჩვენი უპირველესი ზრუნვის საგანი უნდა ყოფილიყო.

მე მგონი, ცუდად არ გამიგებენ, თუ ვიტყვი, რომ საბჭოთა კავშირის პერიოდში ქართველმა ხალხმა საერთოდ გაილაღა. გვეუბნებოდნენ (ფაქტებიდან გამომდინარე), რომ ჩვენ ვიყავით საუკეთესონი საუკეთესოთა შორის ყველა სფეროში — კულტურაში, მეცნიერებაში, განათლებაში, სპორტში. ქართულ ნიჭსა და გონებას ძალიან კარგად და სრულად იყენებდნენ იმ საზოგადოებრივ ფორმაციაში. ამასთან, სტალინის ფენომენმა შეგვიქმნა თავისთავად ქართველების გამორჩეულობის გრძნობა... აქედან გამომდინარე, **გაგვიჩნდა, უმრავლეს შემთხვევაში, პირველობის უსაფუძვლო ამბიციები: ამხელა საბჭოთა კავშირში, რუსეთის მიერ „ჩაგვრის“ პირობებში ასეთი „მაგრები“ თუ ვართ, დამოუკიდებლობის პირობებში ხომ გაცილებით გამორჩეულები ვიქნებით!**

დავანებოთ ყველაფერს თავი — მიწერებს, გაყალბებას, კანონის დარღვევას და ა.შ. მაგრამ „მიშა! მიშას!“ ძახილით საზოგადოების დიდმა ნაწილმა სააკაშვილი პრეზიდენტად რომ აირჩია, ასიდან ოცდაცხრამეტს მისი ბიოგრაფიაც არ ჰქონდა წაკითხული, ხომ ფაქტია?

არადა, ის პატარა ბიოგრაფიაც რომ წაეკითხათ, რომელიც მაშინ გამოქვეყნდა, ბევრ რამეს მიხვდებოდნენ. ოთხ წელიწადში ხუთი უნივერსიტეტი რომ დაამთავრა, აქედან რაღაც დასკვნები კი უნდა გამოეტანათ.

სად გახსნა შრომის წიგნაკი და რა უკეთებია მანამდე? პარლამენტში? რომელიც, საქართველოში განსაკუთრებით, გაუგებარი სალაყბოა? **როცა ვეკითხებოდი — რატომ ფიქრობდით, რომ იგი იყო ქვეყნის მხსნელი და რამ გადაგადგმევინათ ასეთი ნაბიჯი-მეთქი, მიპასუხებდნენ, — შევარდნაძის სიძულვილმაო.**

**მაპატიეთ, მაგრამ, ჩემი მეგობრისთვის მითქვამს, ცოლმა რომ გიღალატოს, იმის ჯინაზე წახვალ და ჩელუსკინელების ხიდის თავიდან იაფფასიან მეძავს მოიყვან და სახლში დაისვამ?!**

ერთი თუ გაუშვი, უკეთესი უნდა მოიყვანო.

აქაც უნდა ვეძებოთ თქვენს დასმულ კითხვაზე პასუხი.

**— ჩვენს თავში უნდა ვეძებოთ მიზეზები?**

— მე მგონი, სწორედ ასე უნდა მოვიქცეთ. თქვენ გგონიათ, ძალიან იოლია, ასე მწარედ ილაპარაკო საკუთარ ერზე? მაგრამ, რაც ვთქვი, ფაქტია.

**— შევცდით, მწარედ შევცდით, მაგრამ იყო და — დამთავრდა.**

— თქვენ გგონიათ, რომ დღეს ვართ მზად?

**— მინდა, რომ მეგონოს!**

— ძალიან ვშიშობ, აბსოლუტურად დემოკრატიული და სუფთა არჩევნები რომ ჩავატაროთ, ქართველი საზოგადოებრიობა სწორ არჩევანს მაინც არ მიიღებს, თუ, რასაკვირველია, ძალიან არ იყოჩაღა ოპოზიციამ. ჩვენი ელექტორატის დიდი ნაწილი, უბრალოდ, ნაცნობ სახეებს მიჰყვება, განსაკუთრებით, მდიდარსა და შეძლებულს.

**— ღატაკი საზოგადოება მდიდარს გაჰყვება?! ანტაგონიზმი, რომელიც მათ შორის ბუნებრივად არსებობს, გაქრა?**

— არა, მაგრამ საზოგადოებაში მდიდარი კაცი მისაბაძი გახდა. მთავარი კრიტერიუმი ქონების სიდიდეა. ხალხს დაავიწყდა, მაგალითად, საიდან იშოვა ჩხარტიშვილმა დიდი ფული. ქართველი ხალხის სისხლისგან ამოწოვილი ფულით ახლა ეკლესია ააშენა და ეროვნულად მოღვაწე კაცის სახელი მოირგო.

**— გინდათ, თქვათ, რომ სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილის „ფილოსოფია“ თანამედროვე საზოგადოების განწყობილებად ჩამოყალიბდა? საზოგადოებრივი აზროვნების დეფიციტი აქედანაც მოდის?**

— გარწმუნებთ, რომ ასეა!

**— და ეს ხდება საქართველოს მიერ სუვერენიტეტის მოპოვებიდან მეოცე წელს?**

— დიახ. ღირსების კრიტერიუმები შეგვეცვალა. დააკვირდით საზოგადოებას — რა მოსწონს, ვის უკრავს ტაშს და მიხვდებით, რომ ის იდეალები, რომლებზეც იზრდებოდა ჩემი თაობა, უფროსი თაობა მითუმეტეს, დღეს დასაცინი გახდა, დასაძრახი. სამწუხაროდ, ჩვენ მოწმე ვართ ისეთი მაგალითების, როცა ჩვენი ქვეყნის უბრწყინვალეს პერიოდებზეც კი წარმოდგენა არ აქვთ ახალგაზრდებს. ეს მხოლოდ გაუნათლებლობა კი არ არის, არამედ ღირსების დაკარგვაა. არ აინტერესებთ და — იმიტომ.

ამას, სიტყვის თავისუფლების მომიზეზებით, ხელისუფლებაც უწყობს ხელს. **როცა ადამიანს ჩასჩიჩინებენ, რომ ერეკლე მეორე, გიორგი სააკაძე მოღალატეები არიან, თამარ მეფეზე რაებს წერეს, ადამიანი საკუთარ ღირსებას კარგავს, ხოლო ადამიანი, რომელსაც ღირსების კრიტერიუმები დაკარგული აქვს, ადვილი სამართავია.**

**— რაც ჩვენი ხელისუფლების მიზანია.**

— უფულო, უპურო, უმუშევარი და უპრინციპო, ღირსებააყრილი გაცილებით იოლი სამართავი ხარ.

ძალიან ცუდი რამე უნდა ვთქვა, რასაც სათავე დაუდო ჩვენმა „გმირმა“ ხელისუფლებამ, რომელიც გალლეტილ მეთერთმეტე არმიას გაექცა საქართველოდან და იქიდან გვმოძღვრავს დღესაც. საქართველოდან გაქცევაზე ვლაპარაკობ, ემიგრანტობაზე. წავიდნენ ჩვენი თანამემამულეები საზღვარგარეთ საშოვარზე და, თუ დაბრუნებაზე ჩამოუგდებ სიტყვას, გიპასუხებენ, მდგომარეობა რომ გამოსწორდება, მაშინ ჩამოვალთო. როგორ გამოსწორდება და ვინ გამოგისწორებს, თუ შენ მანდ იქნები, შე კაი დედ-მამის შვილო?!

ეროვნული ბანკის პრეზიდენტობისას პარიზში ემიგრანტების პირველი ტალღის წარმომადგენლებსა და მათ მომდევნო პირველ თაობას შემახვედრეს შინაურ წრეში, წვეულებაზე. პირველი, რაზეც გული დამწყდა, იყო ის, რომ ქართულად ფაქტობრივად, არც ერთი არ ლაპარაკობდა, რუსულად — შესანიშნავად. მეორე, რაც არ მომეწონა, იყო ის, რომ საუბარში თანდათან შემომაპარეს — ქართველები არ არიან მაინც და მაინც კარგები, რადგან დარჩნენ საქართველოში და კომუნისტურ წყობას შეეგუენო. თქვეს ერთხელ, ორჯერ და მესამედაც რომ გაიმეორეს, ველარ მოვითმინე და ჩემი აზრი მოკლედ მოვახსენე: ყველანი რომ გამოქცეულიყვნენ, მაშინ, მითხარით, გეთაყვა, სად იქნებოდა თქვენი სამშობლო?

სადაც იოლია ცხოვრება, იქ თუ გადავსახლდით, საქართველოში კარგი დრო არასოდეს დადგება.

1998 წლიდან უმუშევარი ვარ (თუ არ ჩათვლით პარლამენტის წევრობას). როგორ ფიქრობთ, არ მქონდა შემოთავაზება უცხოეთიდან კარგი თანამდებობის? მქონდა. მაგრამ არ წავედი იმიტომ, რომ არ მაქვს უფლება, სააკაშვილის მონებად დავტოვო ჩემი შვილიშვილები.

**— დღევანდელი ცუდი დღე გუშინდელის ერთგვარ ნოსტალგიას რომ ბადებს?**

— არ არის ეს ნოსტალგია. **საბჭოთა კავშირში დაბრუნება არავის უნდა. მაგრამ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ იმ პერიოდში იყო ბევრი რამ კარგი და ამის უგულებელყოფა უაზრობაა. მაგალითად, თუ უკეთესს ვერ შემომთავაზებდი, რატომ დაანგრიე საბჭოური განათლების სისტემა? განსხვავებული იყო, მაგრამ არა ცუდის მიმართულებით. ეროვნული ბანკის პრეზიდენტობისას შეერთებული შტატების მაღალი თანამდებობის პირებს რომ ვხვდებოდი, ხშირად მესმოდა მათგან — თქვენ ამდენი საიდან იცითო? გვასწავლეს, ბატონებო!** ამ ფონზე ჩემთვის სრულიად გაუგებარი იყო, რომ იმავე ამერიკის ან ინგლისის მაღალი რანგის ჩინოვნიკებს წარმოდგენაც არ ჰქონდათ, მაგალითად, ლონგფელოსა და რობერტ ბერნსზე. მსოფლიო კლასიკას გვასწავლიდნენ, თანამედროვე ლიტერატურას არ გვაკითხებდნენ ოღონდ სრული მოცულობითა და მრავალფეროვნებით.

**— ერთ-ერთი აუცილებელი ატრიბუტი სახელმწიფოს სუვერენიტეტისა, საკუთარი ვალუტაა, რომელიც, სხვათა შორის, თქვენ დროს იქნა შემოღებული. ლარზე ვლაპარაკობ.**

— დავაზუსტებ: ჩემ დროს და ჩემგან განყენებულად კი არა, არამედ ჩემი დიდი ძალისხმევით. ფულადი რეფორმა ქართულმა ეკონომიკურმა გუნდმა ჩაატარა, რასაკვირველია, მაგრამ ქართულმა საზოგადოებრიობამ ხაზგასმით უნდა წარმოაჩინოს, ვინ იყო წამყვანი ამ სფეროში. თორემ რა გამოდის, იცით? ბატონი ნოდარ მალაზონია, მხატვარი, დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში გამოდიოდა ტელევიზიით, უხსნიდა საზოგადოებრიობას, როგორ შექმნა ლარი და ერთხელაც არ უხსენებია ნოდარ ჯავახიშვილი.... იმედია, სწორად გაიგებთ ჩემს ამ შენიშვნას.

**— რა თქმა უნდა. მით უფრო საინტერესო იქნება თქვენი პასუხი ასეთ შეკითხვაზე: ჩვენი ეროვნული ვალუტის გაუფასურება სახელმწიფოს სუვერენიტეტის დევალვაციას ხომ არ ნიშნავს?**

— ეს ნიშნავს, თუ რატომ ვერ შევქმენით სახელმწიფო. ან საზოგადოებრიობამ უნდა დაიწყოს სახელმწიფოებრივი აზროვნება და, შესაბამისად, მოთხოვნილება გაჩნდება სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანების მოსვლისა ხელისუფლებაში, ან ვილაცამ უნდა აგვიშენოს ეს სახელმწიფო.

ვილაცა ჩვენთვის არ ააშენებს. სააკაშვილი არ აშენებს, მაგრამ, რომც ააშენოს, ის ქართული სახელმწიფო არ იქნება.

**— ლარის მსყიდველობითი შესაძლებლობის დაქვეითება დოლარის დამკვიდრებას ხომ არ ნიშნავს საქართველოში?**

— თუ ღრმად ჩავუკვირდებით, ნიშნავს. შარშან გერმანელი ექსპერტები ჰყავდათ ჩამოყვანილი და ქართველ სპეციალისტებთან ერთად განიხილებოდა საქართველოს მულტივალუტურ ქვეყნად გადაქცევის საკითხი, სადაც იბრუნებდა მსოფლიოს ყველა ქვეყნის ვალუტა, უფრო მეტიც, კომერციულ ბანკებსაც ექნებოდათ თავიანთი ფულის გამოშვების შესაძლებლობა. ლარი თუ სტაბილური იქნებოდა, გადარჩებოდა იმ უბედურებას, რაც მას არაერთხელ დამართა ამ ხელისუფლებამ და წინა ხელისუფლებამაც, არავის მოუნდებოდა დოლარი. მაგრამ წელიწადში ორჯერ „შავ პარასკევს“ რომ მოგიწყობს შენი ხელისუფლება, ეს ქმნის მუდმივ ინფლაციურ მოლოდინს.

ესე იგი, ეროვნული ვალუტის არასტაბილურობა, მისი არასწორი მართვა, თუ იმაზე შევთანხმდებით, რომ ეროვნული ვალუტა სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ატრიბუტია, მაშინ, რა თქმა უნდა, ქვეყნის სუვერენიტეტის დევალვაციასაც ნიშნავს.

**— შეძლებს ეს ხელისუფლება ამ პრობლემის მოგვარებას?**

— თუ მოუნდება, შეძლებს. მაგრამ მინდა საქართველოს საზოგადოებრიობას ვუთხრა, რომ სააკაშვილსა და მის ხელისუფლებას არასოდეს ეს არ მოუნდება. მათი იდეაა, საქართველო გარდაქმნან მსოფლიოს საფინანსო ცენტრად. ჩვენი ქვეყანა საქართველო აღარ იქნება: დასვენება-გართობის ადგილი, დიდი ბანკები, მაგრამ არა ქართული სახელმწიფო. ამიტომ გვტენიან სინგაპურიზაციას. არაერთხელ მითქვამს, რომ სინგაპურში მალაიელები მხოლოდ 13,4 პროცენტია. ისიც არავინ იცის, ადგილობრივები არიან თუ არა. აბორიგენი შეიძლება ერთი კაციც არ იყოს. 77 პროცენტი ჩინელია.

აი, ეს უნდათ საქართველოშიც. აქეთკენ მიყავთ!

მეტ-ნაკლებად ღირსეული ხალხი გაიქცევა ქვეყნიდან, ყველაზე ღირსეულნი დაიხოცებიან...

**— და „ბედაურნი დაიხოცნენ, ვირებს დარჩათ სანავარდო“?**

— ეგრე გამოვა!

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

„ქვეყნის აღმშენებლობაში მონაწილეობის მიღების უფლება ადამიანის ყველა სხვა უფლებათა რანგისაა და მისი შეზღუდვა ისეთივე დანაშაულია, როგორც ნებისმიერი სხვა უფლების დარღვევა. ამ უფლების დარღვევის შედეგად მივიღეთ დაქცეული ქვეყანა და ამიტომაა, რომ დღესაც ხელგაწვდილი ვართ".

საზოგადოება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# ანზორ მაისურაძე: დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე სუვერენიტეტის ნგრევა დავიწყეთ

**1989 წლის 9 აპრილი ის მიჯნა აღმოჩნდა, საიდანაც ეროვნულმა მოძრაობამ მძლავრი იმპულსი მიიღო და იმ ორბიტაზე გავიდა, რომელიც საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის გამოცხადებით დაგვირგვინდა. ანზორ მაისურაძე, ვინც იმ პერიოდში საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის საგარეო დაზვერვას ხელმძღვანელობდა, უწყების სხვა თანამშრომლებთან ერთად ამ მოვლენის მომსწრე და მონაწილე იყო. 9 აპრილის პერიპეტიებზე მას არაერთხელ უსაუბრია. ამჯერად აპრილის იმ ტრაგიკული ღამის ერთი მომენტის დაზუსტებას ვთხოვ:**



**— ბატონო ანზორ, მიტინგის დარბევამდე ერთი საათით ადრე თქვენი უწყების თანამშრომლები მორიგეობიდან მოხსნეს და შინ გაუშვეს. მილიცია დარჩა და, მსხვერპლი უფრო მეტი რომ არ იყო, დიდწილად მის დამსახურებადაა მიჩნეული. რით შეიძლება აიხსნას ძალოვანი სტრუქტურებისადმი ასეთი განსხვავებული მიდგომა?**

— ბევრი რამით. მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, იმით, რომ მილიცია რუსთაველის პროსპექტზე წესრიგის დასაცავად იყო მობილიზებული. ჩვენ მიტინგთან უშუალო შეხებაში არ ვიმყოფებოდით, ჩვენს სამუშაო ადგილებზე ვმორიგეობდით. მთავრობის სახლის წინ გარეთვალთვალის სამსახურის თანამშრომლები იმყოფებოდნენ და თავიანთ პროფესიულ მოვალეობას ასრულებდნენ.

**— ესე იგი, მილიციასა და უშიშროებას სრულიად განსხვავებული ამოცანები ჰქონდა დაკისრებული?**

— დიახ, ასე იყო. მეორე, რაც მთავარია, უშიშროების თანამშრომლების მორიგეობიდან მოხსნით ჩვენ გაგვარიდეს მოსალოდნელ გართულებას, საშიშროებას, რომელიც გამორიცხული არ იყო.

**— რას გულისხმობთ?**

— ჩვენ შეიარაღებულები ვიყავით. ვერავინ დადგებოდა იმის გარანტად, რომ დარბევის დროს, როცა არმია ხალხს დაერეოდა, ჩვენ-ჩვენი იარაღი მომიტინგეთა დასაცავად და გადასარჩენად არ გამოგვეყენებინა. ამიტომ გაგვარიდეს, ეშმაკურად გაგვარიდეს.

ასეთ დასკვნამდე იმ ღამით განვითარებული მოვლენების ანალიზს მივყავართ, თორემ მაშინ წარმოდგენაც არ გვქონდა, რა შეიძლება მომხდარიყო... ორი დღე-ღამის უძინარებს ღამის 3 საათზე გამოგვიცხადეს, რომ მორიგეობა დამთავრებულია და შეგვიძლია სახლებში წავიდეთ. დილის 6 საათზე გაგვაღვიძეს და გვითხრეს, რა ტრაგედიაც დატრიალდა რუსთაველის პროსპექტზე.

გარეთვალთვალის სამსახურმა, რომელიც, როგორც გითხარით, ადგილზე დარჩა, ფირზე აღბეჭდა, რაც მოხდა. მათი გადაღებული კადრები მთელმა მსოფლიომ ნახა.

**— თქვენ გაგარიდეს?**

— დიახ, გაგვარიდეს, რადგან ადრეც მითქვამს, რომ **ეროვნული განწყობილება საქართველოს უშიშროების თანამშრომლებისთვის უცხო და მიუღებელი არ ყოფილა და, ყველა თუ არა, რაღაც ნაწილი მაინც შეიძლება დამდგარიყო მომიტინგეთა დასაცავად, იარაღიც გამოეყენებინა და მაშინ გაცილებით მეტი სისხლი დაიღვრებოდა ორივე მხარეს.** ასე ვფიქრობ მე დღევანდელი გადასახედიდან.

**— და რასაც გიდასტურებთ ჩრდილოეთ აფრიკასა და ახლო აღმოსავლეთში ამჟამად მიმდინარე მოვლენები.**

**მეორე მომენტი, რომლისადმი თქვენი დამოკიდებულების დაზუსტება მინდა გთხოვოთ, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მიერ ქართველი ინტელიგენციის ერთი ნაწილის მოსკოვის აგენტებად გამოცხადების თქვენი მხრიდან დადასტურების მოთხოვნას ეხება.**

— კრემლისა და „კაგებეს" აგენტებად.

**— რატომ დასჭირდა მათი დისკრედიტაცია?**

— იმიტომ, რომ ყველა მათგანი ოპოზიციაში ჩაუდგა. ძალიან მწარედ აკრიტიკებდა პრესით თუ მიტინგებზე — ყველა, ვინც კი იყო მაშინ საქართველოში ასე თუ ისე ცნობილი ადამიანი, ინტელიგენციის წარმომადგენლები, განსაკუთრებით აქტიურობდნენ და მის წინააღმდეგ გამოდიოდნენ.

**— დავაზუსტოთ: მის წინააღმდეგ თუ სუვერენული ქართული ხელისუფლების წინააღმდეგ?**

— მისი ოპონენტები იყვნენ ისინი, ვისაც მის ხელისუფლებაში ყოფნა არ სურდა, მის ხელქვეითად ყოფნა არ უნდოდა. ის ოცდაათი კაცი, ვისი აგენტობის დადასტურებაც მომთხოვა ზვიად გამსახურდიამ, საზოგადოების განსაკუთრებით გამორჩეული ადამიანები იყვნენ — მწერლები, მეცნიერები, ხელოვნების მოღვაწეები. ისინი აკრიტიკებდნენ მის საშინაო და საგარეო პოლიტიკას.

არ იყვნენ ისინი „უშიშროებისა და კრემლის აგენტები" — ჩემი ინფორმაციით, არ იყვნენ და პრეზიდენტს ვინ მიაწოდა ასეთი ინფორმაცია, არ ვიცი.

**— არადა, ორივე მხარეს სურდა სუვერენული, დამოუკიდებელი, დემოკრატიული სახელმწიფოს აშენება.**

— რა თქმა უნდა... გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში რვა წელიწად-ნახევარი ერთ პატარა ქვეყანაში — იორდანიაში ვმუშაობდი, ჩემი თვალით ვხედავდი, რას ნიშნავდა დამოუკიდებლობა — გაეროს წევრიც იყო იორდანია, დიპლომატიური ურთიერთობაც ჰქონდა უამრავ ქვეყანასთან, დიპლომატიური წარმომადგენლობები ფუნქციონირებდა დედაქალაქ ამანში... ჩემთვის ვფიქრობდი, ნეტავ, თუ დადგება დრო, ჩვენთანაც ასე რომ იყოს-მეთქი? არ არსებობს კაცი, სუვერენიტეტისთვის განწყობილი არ იყოს.

დამოუკიდებელი ქვეყანა რომ გავხდით, ყველანი დიდი სიხარულით შევეგებეთ ამ ისტორიულ მოვლენას. ყველა ჩვენგანში იდო მისწრაფება და სურვილი ქვეყნის დამოუკიდებლობის, ჩვენი თავი ჩვენვე რომ გვეყუდნოდეს, იმისი.

**— მახსენდება თქვენი მონაყოლი მოსკოვიდან საკავშირო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის ერთ-ერთი მოადგილის სატელეფონო ზარის შესახებ: „რატომ ამტვრევთ ღია კარს, რატომ აწყობთ მიტინგებსა და გამოსვლებს, რატომ ხმაურობთ? დაწყნარდით, დამშვიდდით, რადგან ყველაფერი ისე იქნება, როგორც თქვენ გინდათ: მიიღებთ დამოუკიდებლობას, გექნებათ სრული სუვერენიტეტი".**

**თუ ასეთი პერსპექტივა რეალურად გველოდა, რატომ შევაკალით თავი?**

— ჯერ ერთი, საქართველოში არ აღმოჩნდა ისეთი ძალა, რომელიც დაარწმუნებდა საზოგადოების ფართო ფენებს, რომ სუვერენიზაცია რეალური პერსპექტივა იყო. მაშინდელი ხელისუფლების ავტორიტეტი კრიტიკულ ზღვარზე დაბლა იყო დაცემული და არავინ დაუჯერებდა. მეორე, ვერ გამოვრიცხავთ, რომ სსრკ იმდროინდელ ხელმძღვანელობაში არსებული გაორებისა და შეუთანხმებლობის გამო, საქართველოს ხელმძღვანელობას ურთიერთგამომრიცხავ მითითებებს აძლევდნენ ცენტრიდან.

**ალტკინებული მასა ვერ დაცხრა იმიტომაც, რომ მიტინგის ორგანიზატორები თავიანთ ვარსკვლავურ საათს ვერ შეელიენ.**

**— მიტინგის დარბევის განკარგულება ამ უთავბოლობის გამო გაიცა?**

— მომიტინგეების ძალადობრივი დაშლის შესახებ გადაწყვეტილება, რა თქმა უნდა, სწორი არ იყო. თანაც — მესანგრეთა ნიჩბებით, პარალიზებადი გაზით, რომელსაც „გრეჩიხას" უწოდებდნენ... დიდი დანაშაული იყო ჩადენილი.

**— ბრძანების გამცემი ხომ უმაღლესი ხელისუფლება იყო?**

— პოლიტიკური გადაწყვეტილება უშუალოდ მიხეილ გორბაჩოვისგან მოდიოდა.

**— მაშინ, გამაგებინეთ, სადაა საღი აზროვნების ლოგიკა: თუ სუვერენიტეტს მაინც გვაძლევდნენ, დარბევა მიტინგის, რომელიც სხვას არაფერს მოითხოვდა, რა საჭირო იყო?**

— მე მგონი, ამ კონკრეტულ ფაქტშიც გამჟღავნდა „პერესტროიკის" ის გაორება, რაც შეუთავსებლის შეთავსების მცდელობით და გარდაქმნის იდეის ნახევრულობით იყო განპირობებული.

**— დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ დაიწყო სამოქალაქო ომი, ძმათამკვლელი დაპირისპირება. ამას პოლიტბიუროს ვერ დავაბრალებთ.**

— სისხლიანი დაპირისპირების მიზეზი ჩვენი უთავობა იყო. ამბიციებს ავყევით. პოლიტიზება გაუჯდა საქართველოს სხეულს. ოჯახებიც კი დაიყვნენ ზვიადისტებად და მის მოწინააღმდეგეებად. ბევრი არაკომპეტენტური და, მეტსაც გეტყვით, გაუნათლებელი პიროვნება აღმოჩნდა სახელმწიფო ხელმძღვანელ პოსტებზე. ქვეყნის მართვის უვიცობის ბრალი იყო, როცა კომპარტიის 410 ათას წევრს გადაუწურეს არსებობის იმედიც და სახსარიც. ამ ადამიანების უკან მათი ოჯახის წევრები ხომ იდგნენ? და გამოდის, რომ ორ მილიონამდე ადამიანი დატოვეს უპერსპექტივოდ, ნახევარი საქართველო დაიპირისპირეს. ერთი ხელის მოსმით მოიცილეს პროფესიონალები, საქმის მცოდნე და გამოცდილი ადამიანები საზოგადოებრივი საქმიანობის, ეკონომიკის დარგების საკვანძო თანამდებობებიდან. სამრეწველო საწარმოები დაარბიეს, კოლმეურნეობების ქონება მიიტაცეს, ქვეყანა დამპყრობლის შემოსევით გაძარცვულ-გაჩანაგებულზე უარეს დღეში აღმოჩნდა.

**— გამოდის, რომ სუვერენიტეტის მოპოვების კვალზე ჩვენ დავიწყეთ ამ სუვერენიტეტისთვის საფუძვლის გამოცლა?**

— ასე გამოდის... დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე სუვერენიტეტის ნგრევა დავიწყეთ. ამიტომ ვთხოვე პრეზიდენტს — ნუ აკეთებთ ამასმეთქი, დავუსაბუთე კიდეც.

**— დაგეთანხმათ?**

— დამეთანხმა, მართალი ხარო. იმ დღეს, 2 საათზე გამოვიდა საინფორმაციო მიტინგზე და თქვა, რომ კომუნისტები უნდა გამოვიყენოთო ქვეყნის მართვის საქმეში. საღამოს კი აბსოლუტურად შეიცვალა პოზიცია და განაცხადა, რომ ყველა უნდა დავიჭიროთო.

**— ესე იგი, იყო სხვა ძალები, რომლებსაც დიდი გავლენა ჰქონდათ პრეზიდენტზე?**

— რა თქმა უნდა — მისი გარემოცვა, განაწყენებული ადამიანები კომუნისტების დროიდან. მაგრამ ხომ იყვნენ უკმაყოფილო ადამიანები ბალტიისპირა რესპუბლიკებშიც? იყვნენ. მაგრამ ამის გამო იქ „კუდიანებზე ნადირობა" არ დაუწყიათ. პირიქით, ცეკას ყოფილი პირველი მდივანი ბრაზაუსკასი პრეზიდენტადაც აირჩიეს.

ჩვენთან ყველას ერთბაშად ხაზი გადაუსვეს, რაც დიდი შეცდომა იყო. ასე მიმაჩნია.

**— ხომ არ მიგაჩნიათ, რომ კადრების პრობლემა იყო და არის მიზეზთა მიზეზი? გამსახურდიას დროს — კომუნისტობა, სააკაშვილის დროს — ასაკობრივი ზღვარი, შევარდნაძის დროს — სააკაშვილი?**

— მიმაჩნია, რომ ქვეყნის აღმშენებლობაში მონაწილეობის მიღების უფლება ადამიანის ყველა სხვა უფლებათა რანგისაა და მისი შეზღუდვა ისეთივე დანაშაულია, როგორც ნებისმიერი სხვა უფლების დარღვევა.

ამ უფლების დარღვევის შედეგად მივიღეთ დაქცეული ქვეყანა და ამიტომაა, რომ დღესაც ხელგაწვდილი ვართ.

ეს რანაირი დამოუკიდებლობაა, როცა ყველანაირად — ეკონომიკურად, პოლიტიკურად სხვაზე ვართ დამოკიდებული?! ერთი წუთით წარმოიდგინეთ, გარედან ფინანსური ინიექციები რომ არ შემოდიოდეს, რა დღეებში ჩავვარდებოდით!

არ უნდათ იმ ქვეყნებს, ვისი გავლენის ქვეშაც დღეს საქართველოა, ჩვენი ჭეშმარიტი დამოუკიდებლობა. არ უნდათ და — მორჩა!

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

## ეს რანაირი დამოუკიდებლობაა, როცა ყველანაირად — ეკონომიკურად, პოლიტიკურად სხვაზე ვართ დამოკიდებული?!

## არ უნდათ იმ ქვეყნებს, ვისი გავლენის ქვეშაც დღეს საქართველოა, ჩვენი ჭეშმარიტი დამოუკიდებლობა. არ უნდათ და — მორჩა!

განათლება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95



**„ნურავის ჰგონია, რომ სწავლა ადვილია. კარგად სწავლა ძალიან ძნელია, მაგრამ ის, ვინც ამ სიძნელეებს გადალახავს, აუცილებლად მოახერხებს თავის დამკვიდრებას. სულ ასე არ იქნება. „სკოლების მინისტრს“ კი ვურჩევ, დროა, გახდეს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი და განათლებისა და მეცნიერების განვითარებაზე იზრუნოს“.**

მერაბ ჯიბლაძე:

# დამოუკიდებელ საქართველოში მეეზოვის ხელფასი სამჯერ აღემატება მეცნიერისას



**უკანასკნელ პერიოდში განათლების სისტემაში უამრავი რეფორმა განხორციელდა. მაგრამ, სამწუხაროდ, მათ შორის შედეგიანი არც ერთი აღმოჩნდა. დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე, 20 წლის განმავლობაში განათლების სისტემაში მიმდინარე პროცესებზე პროფესორი მერაბ ჯიბლაძე გვესაუბრა.**

## განათლების სამინისტროს ძირითადი მიზანია, წაართვას მომავალი ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს

**— ბოლო დროს საზოგადოება ბევრს ლაპარაკობს საქართველოში განათლების სისტემის ნგრევაზე. თქვენი აზრით, როდის დაიწყო ეს პროცესი?**

— ის, რაც მოხდა განათლების სიტემაში, 1992 წელს დაიწყო, როდესაც ამერიკის საელჩოს ატაშემ მეცნიერების, განათლებისა და კულტურის დარგში, ბატონმა ჰაჩისონმა განმიმარტა: **„თქვენ განვითარებადი ქვეყანა ხართ და სახელმწიფომ მხოლოდ დაწყებითი განათლება უნდა დააფინანსოს!“.**

ეს კი ნიშნავდა, რომ არა მარტო სახელმწიფო უნივერსიტეტები უნდა დახურულიყო, არამედ — საშუალო სკოლებიც.

მაშინ ბატონი ჰაჩისონი საქართველოში განათლებას, კულტურასა და მეცნიერებას კურირებდა. იმ დროს მე ვიყავი მინისტრის მოადგილე და მას ძალიან მკაცრად ვეკამათე, რადგან მისი რეკომენდაციები ჩემთვის აბსოლუტურად მიუღებელი იყო. როდესაც მე პროტესტი განვუცხადე, მითხრა: **„თქვენ აირჩიეთ ეს გზა, მიგელოთ განვითარებადი ქვეყნის სტატუსი. ჰოდა, კეთილი ინებეთ და დაემორჩილეთ იმ კანონებს, რომლებიც განვითარებად ქვეყნებშია. როგორ შეიძლება თქვენთან მეცნიერება, მაღალი კულტურა?!“.**

მიუხედავად იმისა, რომ სასტიკად წინააღმდეგი ვიყავი ამ ყველაფრის და ვამბობდი კიდეც, არაფერი გამომივიდა. პროცესისთვის, რომელიც დამანგრეველი იყო განათლების სისტემისთვის, ხელისშეშლა ვერ შევძელი.

მათი ლოგიკა მარტივი იყო და სულაც არ ითვალისწინებდა ქვეყნის მოსახლეობის განათლების მაღალ დონეს. თუ თქვენ იმდენად დაანგრევთ ეკონომიკას, რომ სამათხოვროდ გაწვდილი ხელით მსოფლიოს სხვადასხვა მდიდარ ქვეყნებს მიაკითხავთ, ცხადია, სრულიად სამართლიანად მათხოვრად მიგიჩნევენ. მათხოვარს კი, განათლება კი არა, გამოკვება და გაშიშვლებული სხეულის ძონძებით დაფარვა სჭირდება. ასე ექცევიან მათხოვარ სახელმწიფოებს და ფულის სესხება ან, მითუმეტეს, გრანტები ამ მათხოვრებმა დამშეული ხალხის გამოსაკვებად უნდა გამოიყენონ და არა კულტურის, განათლებისა და მეცნიერების განვითარებისთვის. სწორედ ამიტომ გაავრცელეს იმდროინდელმა მმართველებმა ასეთი აზრი, რომ „მეცნიერება საქართველოსთვის ფუფუნებაა“!

**— უკანასკნელ პერიოდში განათლების სიტემაში კიდევ უფრო აქტიურად ხორციელდება რეფორმები, რითაც პრეზიდენტი და განათლების მინისტრი ხშირად იწონებენ თავს. თქვენი აზრით, რა მოუტანა ამ რეფორმებმა განათლების სისტემას?**

— უკანასკნელ წლებში განხორციელებულმა რეფორმამ განათლების სისტემას კიდევ უფრო მეტი ზიანი მიაყენა — გაუფასურდა ცოდნა და დაეცა სწავლების ხარისხი, რასაც ხელი შეუწყო გაუაზრებელმა უმაღლესი და ზოგადი განათლების კანონებმა. უმაღლესი სასწავლებლებიდან მეცნიერული კვლევა, პრაქტიკულად, განიდევნა და უმაღლესი განათლების დონე საშუალო სპეციალური სასწავლებლის დონემდე დაეცა. **ჩვენ არა მარტო ქართული განათლების სისტემა ვერ შევქმენით, არამედ ისიც დავანგრიეთ, რაც კარგი გვქონდა, და დასავლეთის სამყაროში ინტეგრირებას გამოდევნებულებმა განათლების ისეთი კანონები მივიღეთ, რომლითაც ამ სისტემას ვანადგურებთ.**

უნდა ვიზრუნოთ, დღევანდელი სკოლების ნაცვლად, აკადემიური, მაღალი დონის სკოლების შექმნაზე, უნდა ვიფიქროთ უნივერსიტეტის აღდგენაზე. ჩვენ ნიჭიერი ახალგაზრდები, ნიჭიერი ბავშვები გვეცლება ხელიდან; ვინ საზღვარგარეთ გარბის, თავი უცხოეთს რომ შეაფაროს; აქ დარჩენილები კი ნელ-ნელა მომსახურე ერად ვიქცევით. განათლების სამინისტროს ძირითადი მიზანია, მომავალი წაართვას ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს! **განათლების რეფორმამ ჩვენს ახალგაზრდებს წაართვა მაღალი დონის განათლების მიღების უფლება! ეს კი კონსტიტუციის ხელყოფაა!**



რეფორმა მიზნად ისახავს საზოგადოების ზნეობრიობის საბოლოოდ დანგრევას, პროფესორ-მასწავლებლების დამცირების გზით — სავალალო დღეში არიან ჩვენთვის ერთ დროს საამაყო მეცნიერები, ხელოვნებისა და კულტურის მოღვაწენი. ებრძვიან წიგნს და სურთ მისი კომპიუტერებით შეცვლა. პატარა ბავშვისთვის კომპიუტერი „თამაშების სკივრია“ და არა ცოდნის მიღების საშუალება. ბავშვები წიგნის კითხვას, აზროვნებას გადაეჩვივნენ და გაუჩნდათ უამრავი თავისუფალი დრო, რის გამოც ბევრი მათგანი კრიმინალურ სამყაროში აღმოჩნდა.

**მანამ, სანამ მეცნიერის, განათლებული ადამიანის შრომა არ დაფასდება და არ შეიქმნება მაღალი დონის განათლების მიღების მოტივაცია, მოსწავლის სწავლა ფორმალური იქნება და ჩვენ ვერც მეცნიერს გავზრდით, ვერც ხელოვანს, ექიმს, ინჟინერსა და ეკონომისტს.**

**— თქვენი შეფასებით, როგორია დღევანდელი სკოლები?**

**— ჩვენი საჯარო სკოლა არის სრული ანალოგი ამერიკული „ფაბლიქ სქულის“. ეს სკოლები არის სრულიად უფასო და ის დაარსებულია გონებაჩლუნგი ლათინოსებისა და შავკანიანებისთვის. ვისაც საერთოდ არ შეუძლია არაფრის სწავლა, მიდის ამ სკოლებში და სწავლობს წერა-კითხვას.**

საერთოდ, ამერიკის სასწავლებლებში არის 3 დონის პროგრამა: „A“, „B“ და „C“. „A“ პროგრამა, როგორც გითხარით, განკუთვნილია ლათინური ამერიკის ქვეყნების გონებრივად ჩამორჩენილი ბავშვებისა და აფრიკელი ზანგებისთვის. „B“ პროგრამა — შედარებით უფრო გონებრივად მაღალგანვითარებული ბავშვებისთვის, პროგრამა „C“ კი — მაღალგანვითარებულთათვის. **ჩვენდა სამწუხაროდ, ამერიკელთა მითითებით, რადგან ჩვენ განვითარებადი ქვეყნების რიცხვში მოვხვდით, ჩვენთან განათლების რეფორმა ჩატარდა „A“ დონის პროგრამით, რომელიც ითვალისწინებს უნარჩვევების განვითარებას (და არა — აზროვნებისას).**

არ შემიძლია გვერდი ავუარო სახელმძღვანელოების თემას. დღევანდელ სახელმძღვანელოებში სურათებს უფრო დიდი ადგილი უკავია, ვიდრე ტექსტს. წიგნები კი არა, ნამდვილი კომიქსებია. მაგ., ფიზიკის X კლასის სახელმძღვანელოში მოთავსებულ ერთ-ერთ ფოტოზე სამზარეულოში ანთებული გაზქურაა, რომელსაც „ამშვენებს“ წარწერა: „ბუნებრივი აირი იწვის“. ვის ეუბნებიან ამას, X კლასის მოსწავლეს?! ან კიდევ აისბერგის ფოტოებზე არის წარწერები: „აისბერგები ყინულის მთებია ოკეანეში“. ამის ახსნა ასე პრიმიტიულად X კლასელ მოსწავლეს უნდა სჭირდებოდეს?!

**— საკმაოდ ხშირად განათლების მინისტრი თავმომწონედ საუბრობს სკოლებში მანდატურების სისტემის დანერგვაზე. სჭირდება მანდატური სკოლას?**

— რამდენიმე დღის წინათ ვუსმენდი განათლებისა და მეცნიერების მინისტრის გამოსვლას. თურმე ჩვენი მთავარი პრობლემა მხოლოდ და მხოლოდ მანდატურები ყოფილან. თუ დაუკვირდით, მან თქვა რამე მეცნიერებაზე ან უმაღლეს სკოლაზე? ფაქტობრივად, ეს კაცი გამოდის სკოლების მინისტრი და არა განათლებისა და მეცნიერების. მაგრამ სკოლებშიც რომ ვერ აქვს კარგად საქმე, თუ იცის?! დღეს თურმე განათლების სისტემის მთავარი პრობლემაა, როგორ იქცევა მანდატური.

მანდატური მართლაც საჭირო იყო სკოლაში, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ წესრიგისა და სიმშვიდის დასამყარებლად, რადგან უკანასკნელ პერიოდში ამ მხრივ უკიდურესად მძიმე მდგომარეობა შეიქმნა.

როდესაც უარი ვთქვი ლექციებზე უნივერსიტეტში, ერთი წლით წავედი სკოლაში. რაც მე იქ ვნახე, ეს იყო საშინელება. ბავშვებს თვალებში ისეთი ზიზღი ჰქონდათ ერთმანეთის მიმართ, გავოცდი. ამხელა კაცი ვერ ვაშველებდი ჩხუბის დროს, საერთოდ არ ერიდებოდათ ჩემი. მანდატურებმა ამ მხრივ მდგომარეობა შეცვალეს, მაგრამ იგრძნეს რა გადამეტებული ძალაუფლება, სასწავლო პროცესში ჩარევაც დაიწყეს და დირექტორისა და მასწავლებლის გაკონტროლებაც. ეს ყოვლად დაუშვებელია, ეს არაა მაგათი საქმე! ერთადერთი, რაც მათ უნდა გააკეთონ — უნდა დაიცვან სიწყნარე სკოლაში.

**— უნივერსიტეტებში რა შეიცვალა ამ ხნის განმავლობაში?**

— რაც შეეხება უმაღლეს სასწავლებლებს, ვფიქრობ, რომ ყველაფერი გაკეთდა უმაღლესი სკოლის ნოლამდე დასაყვანად. **რაკი სკოლა გაანადგურეს, უმაღლესში შემოდის ახალგაზრდა, რომლის განათლების დონე ძველი სკოლის მეშვიდე კლასელის განათლების დონეს არ აღემატება. შიგადაშიგ არიან მაღალი დონის ბავშვებიც, მაგრამ ასეთი ბავშვები უმაღლესი განათლებისათვის საზღვარგარეთისკენ იყურებიან, იქიდან კი იშვიათად ბრუნდებიან.** აქ ვინც გვრჩება, მათგან სპეციალისტი არ გამოვა, თუ ამას დროზე არ მივხედეთ.

**— რა უნდა გაკეთდეს, რომ ეს ყველაფერი სასიკეთოდ შემობრუნდეს?**

— უპირველესად, უნდა აიწიოს პრესტიჟი მეცნიერის, პროფესორის, მასწავლებლის და ეს უნდა მოხდეს არა სატელევიზო გადაცემებითა და ლოზუნგებით, არამედ ხელფასის გაზრდით. როცა ვიღაც ვიგინდარა მინისტრს 50-ჯერ უფრო მაღალი ხელფასი აქვს, ვიდრე პროფესორს, იქ რა მოტივაციაზეა საუბარი. უფროსი მეცნიერთანამშრომლის ხელფასი არის 204 ლარი, მეეზოვისა კი — სამჯერ მეტი. ახალგაზრდობას სწავლისა და მაღალი დონის განათლების მიღების ინტერესი რომ გაუჩნდეს, განათლების პრესტიჟი უნდა აიწიოს. მეორე, რაც განათლების სისტემამ უნდა გააკეთოს, არის ის, რომ კომპიუტერების დარიგებისა და ამით ტრაბახის ნაცვლად, უმჯობესია, ბავშვებს მისცეს სრულფასოვანი მაღალი დონის სახელმძღვანელოები და არა — ზღაპრების დონის ფერად-ფერადი ფოტოებით გადატვირთული წიგნები.

მინდა მივმართო ბავშვებს, ახალგაზრდებს: ნურავის ჰგონია, რომ სწავლა ადვილია. კარგად სწავლა ძალიან ძნელია, მაგრამ ის, ვინც ამ სიძნელეებს გადალახავს, აუცილებლად მოახერხებს თავის დამკვიდრებას. სულ ასე არ იქნება. „სკოლების მინისტრს“ კი ვურჩევ, დროა, გახდეს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი და განათლებისა და მეცნიერების განვითარებაზე იზრუნოს.

ესაუბრა
**თეო ტაბატაძე**

**საზოგადოებას ყოველდღიური ბრძოლა სჭირდება, რომ ისევ იმ იდეალებისკენ გადადგას ნაბიჯი, რომლებიც ჩვენ 20 წლის წინათ გვქონდა. სამართლებრივი კუთხით და ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით, ჩვენ დღეს ტოტალური რეჟიმისკენ წავედით და არა — ქვეყნის დემოკრატიული მოწყობისკენ.**

სამართალი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# გელა ნიკოლაიშვილი: დამოუკიდებელ საქართველოში პატიმრების რაოდენობა 4-ჯერ გაიზარდა

**ქართველი ერის სამწუხაროდ, რაც წლები გადის, ჩვენი სახელმწიფო თანდათან უფრო მეტს კარგავს, ვიდრე იძენს. აღნიშნულ თემაზე გვესაუბრება „ყოფილი პოლიტპატიმრები — ადამიანის უფლებებისთვის“ წევრი, ადვოკატი გელა ნიკოლაიშვილი:**





— ბოლო ოცი წლის განმავლობაში საქართველოში ბევრი ცვლილება განხორციელდა — ბევრი რამ შევიძინეთ, ბევრიც — დავკარგეთ. დავკარგეთ ტერიტორიები, თუმცა იყო პოზიტივიც — საზოგადოება ოცი წლის წინათ თავში ჩაბეჭდილ ილუზიებს, დასავლეთის უმანკოების თაობაზე, გამოემშვიდობა.

სუვერენიტეტის მოპოვების შემდეგაც კი იმ დროის ხელისუფლების წყარო კვლავ რუსეთი იყო, მაგრამ რუსეთის დასუსტების შემდეგ საქართველოში უკვე ამერიკული მხარდაჭერით ხელისუფლების შეცვლა და მისი შენარჩუნების ეტაპი დაიწყო. გარკვეული პერიოდის განმავლობაში შევარდნაძე ამ ორ ძალას შორის ბალანსირების პოლიტიკას ახორციელებდა. მაგრამ მოგვიანებით მის წიაღში არსებულმა ძალებმა, შემდგომში სააკაშვილის ხელისუფლებამ, ამერიკის შეერთებული შტატები დაარწმუნა, რომ ისინი უკეთ მოემსახურებოდნენ მათ ინტერესებს, არ დაიცავდნენ ბალანსირების პოლიტიკას და, რაც მთავარია, ამას გააკეთებდნენ შეფარვით — თითქოს ისინი, უბრალოდ, იმ დემოკრატიულ ღირებულებებს დაიცავდნენ, რაზეც ამერიკა დგას.

მართლაც, **ამერიკა ჯერ ხელისუფლების „შეცვლაში“ დაეხმარა სააკაშვილის გუნდს, შემდეგ კი — მის შენარჩუნებაში. საზოგადოებასაც სწორედ ამერიკასთან სიახლოვემ დაუმსხვრია ოცი წლის წინანდელი ოცნება ამერიკაზე.** ამის მაგალითია განსაკუთრებით 2005-2007 წლებში იმ რეპრესიული მანქანის ამოქმედება, რომელსაც ამერიკული ხელწერა ჰქონდა. მას შემდეგ ყოველდღიური ხასიათი მიიღო უსამართლობამ, კერძო საკუთრების წართმევამ და ა.შ. ამ ფონზე კი ამერიკის ყოფილი პრეზიდენტი ბუში სააკაშვილს „დემოკრატიის შუქურას“ უწოდებდა.

რაც შეეხება ეკონომიკას, **საქართველო უცხოური დახმარებების წყალობით არსებობს. არადა, მოგეხსენებათ, ქვეყანა, რომლის ეკონომიკასაც თვითკმარობის უნარი არ შესწევს, ყოველთვის დიდი რისკის ქვეშაა. მაგრამ, როცა უცხოური გრანტები და კრედიტები შემოგველევა და პროცენტების გადახდის დრო დადგება, ქვეყანა, შესაძლოა, ბანკროტად გამოცხადდეს.**

რაც შეეხება სხვადასხვა სფეროს — კულტურას, ხელოვნებას, სპორტს — ამ კუთხითაც არაერთი ნაბიჯი უკან გადავდგით, რადგან ახლა მთელი ძალისხმევა ძალაუფლების შენარჩუნებაზე გადავიდა და არა — რეალური იდეების შეთავაზებასა და ადამიანთა უფლებების დაცვაზე.

— **გამოდის, რომ ჩვენ ვერ ვამართლებთ სუვერენული სახელმწიფოს სტატუსს?**

— სუვერენული, ანუ დამოუკიდებელი სახელმწიფო შეიძლება იყოს დიქტატორულიც და დემოკრატიულიც. მაგალითად, იგივე ლიბია სუვერენული სახელმწიფოა, გარედან არავისგან იმართება, მაგრამ დიქტატორულია და, იქ როგორაა დაცული მოქალაქეების უფლება, ეს ცალკე თემაა.

**ჩვენი სახელმწიფოც დიქტატორულია, მიუხედავად იმისა, რაც უნდა დემოკრატიულად წარმოაჩინოს თავი დღევანდელმა ხელისუფლებამ.**

— **ადამიანის უფლებები რამდენად იყო დაცული 20 წლის წინათ და რა ხდება ამ კუთხით დღეს?**

— ასე ერთმნიშვნელოვნად შედარება, მართალი გითხრათ, ძნელია, თუმცა კომუნისტების პერიოდში სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული უფლებები უფრო დაცული იყო, ვიდრე დღეს, რადგან ყველაფერი სახელმწიფოს ხელში იყო, არ იყიდებოდა ობიექტები, უფასო იყო ჯანდაცვა, განათლება, დასვენება; ასაკოვანი ადამიანები უზრუნველყოფილი იყვნენ პენსიებით, ყველას ჰქონდა სამსახური, ნორმალური ხელფასებით დღეს კი ეს ყველაფერი მოსახლეობის უდიდესი გადაუჭრელი პრობლემაა.

— **დღეს არსებულ სამოქალაქო უფლებებს როგორ შეაფასებდით იმ წლებთან შედარებით?**

— სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს რაც შეეხება, არჩევანის თავისუფლება, სიტყვის თავისუფლება, მედიის თავისუფლება, წინა წლებთან შედარებით, უკეთეს მდგომარეობაშია. მაგრამ აქ თავისუფლება კი არაა მნიშვნელოვანი, არამედ ის, თუ რამდენად ფასობს ეს თავისუფალი სიტყვა და რა ძალა აქვს მას. „ძაღლი ყეფს ქარავანი მიდისო,“ — ისეა ამათი საქმე.

— **ბატონო გელა, რამდენად დაცული იყო პატიმრების უფლებები სუვერენიტეტის მოპოვებამდე და მის შემდგომ?**

— იმ წლებთან შედარებით, კატასტროფული უკუსვლა ფიქსირდება. თითქოს ფასადურად რაღაც-რაღაცები დაიხვეწა და წინ წავიდა, მაგრამ რეალობა მაინც არასახარბიელოა. **დღეს „დამოუკიდებელ და დემოკრატიულ“ საპატიმროებში პატიმრების რაოდენობა ოთხჯერ მაინც გაიზარდა (ვიდრე ეს მანამდე იყო) — 6-7 ათასიდან 25-27 ათასამდე. ამასთან, მათ მიმართ დამოკიდებულებაც უარყოფითად შეიცვალა.**

— **რამ გამოიწვია დღევანდელი სავალალო შედეგი და კონკრეტულად რა დამოკიდებულების შეცვლაზე საუბრობთ?**

— პატიმართა ასეთი სიჭარბე საქართველოში ამ ხელისუფლების მიერ გატარებულმა და დამკვიდრებულმა ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკამ გამოიწვია.

მართლმსაჯულება, ფაქტობრივად, გაუქმდა, დამოუკიდებელი სასამართლოს ნიშნებიც კი აღარ არსებობს; ნებისმიერი საქმის განხილვისას მოსამართლეს ის განაჩენი გამოაქვს, რასაც პროკურატურა უბრძანებს. აქედან გამომდინარე, იმ წლებთან შედარებით, ძალიან ადვილია ადამიანის დაპატიმრება და მისთვის ნებისმიერი არაადეკვატური სასჯელის შეფარდება. აქედან გამომდინარე, **გახშირდა პატიმართა მიმართ ძალადობა და არაადამიანური მოპყრობა. შედეგად კი კატასტროფულად გაიზარდა როგორც დაავადებულ, ისე გარდაცვლილ პატიმართა რაოდენობა.**

გარდა ამისა, თუკი კომუნისტების დროს მაქსიმალური სასჯელი 15 წელი იყო, დღეს 30-40 წელია. ამან კი პატიმართა ტერორი გააძლიერა. თუ ადრე ყველაფერი ღია იყო — ტარდებოდა მონიტორინგი, პრესას, ტელევიზიას, არასამთავრობო და სამოქალაქო საზოგადოებებს თავისუფლად შეეძლოთ, თვალი ედევნებინათ, თუ როგორ ეპყრობოდნენ საპატიმროებში ადამიანებს, დღეს ყველაფერი დახურულია ხელისუფალთა და მათი ქვეშევრდომების მეცადინეობით; ასიდან ერთი შემთხვევა თუ გახდება საჯაროდ განხილვის საგანი. ძალადობის შედეგად პატიმრის გარდაცვალების შემთხვევაში, მიზეზად მის ავადმყოფობას ასახელებენ, მიცვალებულს კი, ცხადია, ვერაფერს გამოჰკითხავს კაცი. ასე რომ, გზა ხსნილი აქვთ — რაც უნდათ, იმას მიაწერენ პატიმრის სიკვდილს.

არის შემთხვევები, როცა საეჭვო ვითარების გამო სიკვდილის პირას მყოფი პატიმრები გარდაცვალებამდე არა მხოლოდ ციხის საავადმყოფოებში გადაჰყავთ, არამედ — ქალაქის საავადმყოფოებშიც. მეტიც, როცა უკვე პატიმარს საიქაო პირი აღარ უჩანს, გარდაცვალებამდე ერთი ან ორი დღით ადრე ათავისუფლებენ კიდეც — გარდაცლილი პატიმარი მათ რომ არ დაეწეროს. თქვენ წარმოიდგინეთ, **ძალადობის მსხვერპლთა რაოდენობამ, როგორც არასდროს, უკვე ასს გადააჭარბა. სამწუხაროდ, სიტუაციიდან გამომდინარე, წელს გაცილებით მეტი პატიმარი გარდაიცვლება საქართველოს ციხეებში.**

**იმ დროს არც ძალადობას ჰქონია ასეთი მასშტაბები და, შესაბამისად, არც გარდაცვლილი პატიმრების რაოდენობა ყოფილა ასეთი კატასტროფული.**

## ციხეებში ძალადობის მსხვერპლთა რაოდენობამ ასს გადააჭარბა

— **ბატონო გელა, 20-წლიანი დამოუკიდებლობის შედეგად რა შეიძინა დადებითი ჩვენმა სახელმწიფომ და რა დაკარგა?**

— ჯამში ჩვენ შესაძენი უფრო მეტი გვაქვს, ვიდრე — შენაძენი. საზოგადოებას ყოველდღიური ბრძოლა სჭირდება, რომ ისევ იმ იდეალებისკენ გადადგას ნაბიჯი, რომლებიც ჩვენ 20 წლის წინათ გვქონდა. **სამართლებრივი კუთხით და ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით, ჩვენ დღეს ტოტალური რეჟიმისკენ წავედით და არა — ქვეყნის დემოკრატიული მოწყობისკენ.**

ზოგადად, მართალია, გარკვეული წარმატებებიც გააჩნია ქვეყანას, მაგრამ ეს რომელიმე ხელისუფლების დამსახურება ნამდვილად არ არის. მაგალითად, ის, რომ დღეს საქართველო ტექნიკის, საკომუნიკაციო საშუალებების მხრივ წინ წავიდა, გვაქვს მობილურები და კომპიუტერები, ეს დროის დამსახურებაა — საქართველოში დღეს ამ კუთხით თუ რაიმე წინსვლა არსებობს, მხოლოდ და მხოლოდ ტექნიკური პროგრესის წყალობითაა, თორემ ჩვენი ხელისუფლება ხალხზე ზრუნვით თავს ნამდვილად არ იკლავს.

**ტოტალური რეჟიმისკენ ლტოლვის ტენდენცია კვლავ ასე თუ გაგრძელდა, საქართველოს ნათელი მომავალი არასოდეს ექნება.**

ესაუბრა
**ეკა რობაქიძე**

## ჩვენი სახელმწიფოც დიქტატორულია, მიუხედავად იმისა, რაც უნდა დემოკრატიულად წარმოაჩინოს თავი დღევანდელმა ხელისუფლებამ

მოკლედ

### 350 თვითმფრინავი კადაფის წინააღმდეგ

ლიბიის ლიდერის — მოამარ კადაფის წინააღმდეგ მიმდინარე ოპერაციაში 350-ზე მეტი თვითმფრინავი მონაწილეობს. ამის შესახებ პრესკონფერენციაზე შტაბების ხელმძღვანელთა გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარემ, ვიცე-ადმირალმა უილიამ გორტნიმ განაცხადა. მისი თქმით, ამ თვითმფრინავების ნახევარზე მეტი ამერიკულია და კოალიციის ზომების ზრდასთან ერთად მისი საბრძოლო შესაძლებლობებიც შესაბამისად იზრდება.



### ობამას ანგარიშს სთხოვენ

აშშ-ის წარმომადგენელთა პალატის სპიკერმა ჯონ ბეინერმა პრეზიდენტ ბარაკ ობამასგან მოითხოვა, აშშ-ის კონგრესს ლიბიის სამხედრო ოპერაციის მიზნების შესახებ ანგარიში წარუდგინოს. როგორც ობამასთვის გაგზავნილ წერილში ბეინერი წერს, იგი აშშ-ის მიერ სამხედრო რესურსების „გაფლანგვითაა“ შეშფოთებული. დამკვირვებელთა თქმით, აშშ-ის ხელისუფლების განცხადებები ლიბიის სამხედრო ოპერაციასთან დაკავშირებით ურთიერთსაწინააღმდეგოა.

ექსკლუზივი
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

ყველაფერი შეუძლია რელიგიას. მართლმადიდებლობამ მოიტანა ჩვენი ქვეყანა აქამდე. „საქმემან შენმა გამოგაჩინოს შენ", — გვითხრა ეკლესიამ. შენ რას აკეთებო, ვისაც სახელი გაქვს, მამის სახელი და გვარი? საქმეს რომ გთხოვს იგი, საქმით უნდა უპასუხო. თუ ხელს არ გაანძრევ, მეც ვერ გიშველიო. რელიგიურობა ის არ არის, შეხვიდე ეკლესიაში, პირჯვარი გადაიწერო, გამოხვიდე და მერე იქურდო და იმამაძაღლო. ჭეშმარიტი რწმენა რომ ჰქონდეს კაცს, მან უნდა იცოდეს, რომ უნდა გათოხნოს, მოსავალი მოიწიოს, გაჭირვებულს უნდა მიეხმაროს.

# ოტია იოსელიანი: ახლა გახარებულები ვართ — კაი სამათხოვრო ადგილები ვიშოვეთ და კაი გუნებაზე ვართ!

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №10

## საფრანგეთისთვის დაკარგული კოლა ბრუნიონი

**ოტია იოსელიანი ჩაფრინდა პარიზში — ასე მთავრდებოდა ბატონ ოტიასთან ინტერვიუს პირველი ნაწილი.**

— ვდგავარ ტრაპთან და არ ჩავდივარ. ვხედავ, გოჩა ჩოგოვაძე მოსულა დასახვედრად, ჩვენი ელჩი საფრანგეთში. მაგი ადრე პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი იყო. არ ვიცნობდი. მაგრამ მაგისი ნათქვამი ერთი ფრაზა მქონდა რადიოში გაგონილი და იმის გულიზა პატივს ვცემდი. რექტორი იყო, როცა თქვა, ჩვენმა მეოთხე კურსის სტუდენტმა მეხუთე კლასის პროგრამა თუ იცისო. ესაა ილიას და აკაკის დონის სიმართლე. მოდი-მეთქი, დოვუძახე გოჩას. ამოვიდა. ტელეფონის ნომერი მივეცი — დოურეკე-მეთქი ოთარ იოსელიანს. დოურეკა.

— სადა ხარ, ბიჭო, შენ? – ვეკითხები, — ჩამოვედი შენი წელკავი.

რატომ ვარ „წელკავი", იმას გეტყვით.

ნათესავი გარდაგვეცვალა ერთი. ოთარის მამა ჩამოვიდა მაშინ დასაფლავებაზე, შემეხვეწა ძალიან — ოთარს შენი დიდი ხათრი აქვს და, იქნებ, რამე გავლენა მოახდინოო. ოთარს როგორი გადაკვრა უყვარს, იცი? ვზივართ და ვსაუბრობთ. აიღებს ერთ სირჩას, დაისხამს და დალევს. შენ არ გიცდის იგი. ისეა, რომ ვერც მთვრალს ნახავ და ვერც ფხიზელს. კაი გუნებაზეა. მე ვუთხარი ოთარის მამას: ბატონო დავით, სამი შვილი მყავს და ისინი ვერ გამიზრდია, ოთარს რაფრა ვუშველომეთქი? როგორ გარემოშიც იზრდება ბავშვი, იმნაირია. მაგას რა უშველის აწი? ოთხი წლითაა ჩემზე უმცროსი, მეტით კი არა.

**— „წელკავი" რატომ იყავით?**

— იმიტომ, რომ ჩემთან ვერ იზამს, ასე უთავბოლოდ ვერ დალევს.

**— ჩაყევით ტრაპზე ჩოგოვაძეს?**

— მაგასაც ჩავყევი და ოთარსაც გავყევი, როცა მოვიდა. შემიყვანა ბარში. გოუხარდათ ჩვენი მისვლა... საქართველოში კი ხდება, სადმე რომ შევდივარ, რაღაც მნიშვნელობა აქვს ეტყობა, ხალხი გამორჩეულად მხვდება, მაგრამ ეს ფრანგები რამ გადარია?! ერთი ლოთი ქე ყავთ – ოთარი, ახლა მეორე მივემატე! გოუხარდათ.

— ბიჭო, რა გვინდა აქანემეთქი? — ვუთხარი ოთარს.

— საფრანგეთში ჩამოხვედი და რაცხა არ დევილოცროთო?

— დაასხი, — ვუთხარი. დაასხა, დავლოცე და გამოვედი. მაგი კი არა, პატრიარქი ვერ მიმაბრუნებს უკან. გამოვედი, გამომყვა. ისევ მივყავარ სალაცა. შევედით, კიდევ გადაირივნენ სიხარულით. რა გვინდა-მეთქი აქ? ხომ ვიყავით უკვე ბარში? აქო, მითხრა, ვაშლის ნახადიაო. ვაშლის კი არა, თაფლისა მაქვს და იმას არ ვსვავ და წამოდი ახლა, გამოეთრიე-მეთქი. გამომყვა.

ახლა წამიყვანე და მაჩვენე, რას ნიშნავს ფრანგი ფერმერი! კოლა ბრუნიონთან* წამიყვანე და მთელ ღამეს იქ გავათევ-მეთქი: კაი ოჯახი, კაი პური, კაი ღვინო.

— ეგენი ქართველები ხომ არ გგონია? ძმა ძმას არ დაპატიჟებს, — მითხრა, — მაგრამ კოლა ბრუნიონი საფრანგეთში აღარ არისო.

— გლეხი არაა? მაშინ ქვეყანაც არ არის.

— ერთ სოფელში ერთი კაციაო.

— ერთი კაცია, რას ჰქვია?

— ფერმერია. გოუერთიანებია მთელი სოფელი.

ერთი კაცია ბატონ-პატრონი. გადოუხნია, დაუთესავს, ასფალტის გზები შეუყვანია ყანებში. მოუწესრიგებია ყველაფერი, აგერ ტექნიკა ყავს გარაჟებში და ერთი ოჯახი უვლის ამ ყველაფერს.

***კოლა ბრუნიონი ცნობილი ფრანგი მწერლის — რომენ როლანის ამავე სახელწოდების რომანის მთავარი გმირი, სიცოცხლის მოყვარული, ხუმარა, იშვიათი თვისებით დაჯილდოვებული ადამიანი ფრანგი გლეხის სახეა (ჩვენ გვაქვს დემნა შენგელაიას კარგი რომანი „ბათა ქექია").**



**ერთ ტელეარხზე არის გადაცემა — «ცხოვრება მშვენიერია!». ჩვენში, კაცო?! შენ მოგეკიდა ცეცხლი! ისედაც ჯოჯოხეთია. ასე შეზღუდული რომ იქნება აზროვნება, რამ უნდა გადაარჩინოს ეს ქვეყანა?!**

— მეო, — მეუბნება, ის ფერმერი, — არ ვარო თქვენთვის მნიშვნელოვანი.

— რატომ, ბატონო-მეთქი?

— ღარიბი ვარ. მალე გავკოტრდები. ოთხმოცდახუთი ჰექტრის მეტი მიწა არ მაქვსო. ორასი მაინც უნდა მქონდესო.

ესაა თურმე ფერმა. 75 სული ძროხა დოუდიოდა, თითოეული 30-40 ლიტრიანი იყო. მაგრამ გაკოტრებას ელოდა ეს კაცი მაინც.

იქ, სადაც ერთი კაცია, ის ხომ სოფელი არაა. სოფელი თუ არაა, ქვეყანა არაა.

**— ბურებით სოფლის გაძლიერებას რა თვალით უყურებთ?**

— ჯერ ერთი, იქიდან გამოაძევეს, სადაც იყვნენ. მეორეც, რას გულისხმობს, იცით? ფერმერია ბური, იქ რომ არის, ტექნიკა აქვს და იცის ფერმერული მეურნეობის გაძღოლა. ჩამოჰყავდათ იმიტომ, რომ ჩვენ ამის გამკეთებლები არ ვართ და იქნებ იმგენმა აგვიწიონ საქმე. მაგრამ იმას მიწა უნდა. ის მიწა საიდან მივცე?

**— ქართველ გლეხს უნდა წავართვათ.**

— ვიღაცისაა. ამუშავებს თუ არ ამუშავებს იმ მიწას, გაგვიხერხონ რამე. ბურს ერთი და ორი ჰექტარი კი არ ეყოფა, იმას ასობით ჰექტარი უნდა... მაგრამ გაქცეულან, მე მგონია.

**— ამერიკული სიმინდი?**

— სიმინდი თვითონაა ამერიკული, იქიდანაა ჩამოტანილი. მაგრამ ჩვენმა მიწამ, განსაკუთრებით, დასავლეთ საქართველოში, შვა თავისი ჯიში, რომელიც საუკეთესო საკვებია. იგი, მაგენს რომ აქვს, საქონლისაა, საფურაჟეა. კი, მოსავალი იმას შეიძლება მეტი ჰქონდეს, მარა ამერიკელები იყვნენ ჩემთან და იმათ ვუთხარი: რა ვქნა, თქვენს ას ტონას ჩემი სამი ტონა მირჩევნია-მეთქი.

მაგრამ ამის გამკეთებელი ვინაა? სადაა გლეხი? მიწა უნდა უყვარდეს გლეხს. კვირიკობის თვეში მზეში რომ დადგე, დაგარტყამს და წაგაქცევს. ის გლეხი იდგა და მუშაობდა კიდეც, იმიტომ, რომ უყვარდა, უვლიდა მიწას, თავისი გაჭირვება ერჩია ყანის გაჭირვებას.

მე რომ გავთოხნი და მოვიხედავ უკან, მადლიერია ყანა და ფოთლებს ხელებივით მიქნევს და მიბრუნებს იმ ძალისხმევას, რომელიც მოვახმარე. მიბმული ყავდა მიწას გლეხი, რომელიც ვერ დაიძინებდა, გაუთოხარი თუ დარჩებოდა მიწა: ეძახდა იმას.

არაფერი კაცი შენ არ გეძახის. ახლა ხომ უნდა ითესებოდეს, ხომ? კაი, ყველაფერს თავი დავანებოთ, ჭადის ნატეხი მაინც მოგვეწია, გაშვერილი რომ არ გვქონდეს ხელი სამათხოვროდ. მათხოვრობა იმითაა უარესი, რომ შენ დამათხოვრდი თვითონ. ქართველი კაცისთვის დედის გინების მერე ყველაზე საშინელი ლანძღვა იყო — „შე მათხოვარო!"

ახლა გახარებულები ვართ — კაი სამათხოვრო ადგილები ვიშოვეთო და კაი გუნებაზე ვართ.

რა ვქნათ ახლა, ამ გაზაფხულზე? ვინაა გამკეთებელი? ყველამ უნდა მოჰკიდოს ხელი. თორემ ვის ატყუებ? საკუთარ თავს.

შენ უნდა მიიღო მოსავალი, ხომ? მოსავალი რომ მიიღო, უნდა შექმნა. რომ შექმნა, ამას უნდა გლეხი, რომელიც, სამწუხაროდ, აღარ არსებობს: ან გაქცეულია სალაცა, ან, ვთქვათ, გამოთაყვანებული ინტელიგენტია, ქართული რომ არ იცის, იმნაირი.

ახლა დარჩენილია საცხა ხანდაზმულები და კიდევ ამოდის კვამლი ალაგ-ალაგ. ღმერთმა კარგად ამყოფოს, მაგრამ ხომ წავა ის ხალხი, ხომ? იქ არავინ დარჩება. არც ერთი კაცი იქ გამჩერებელი არ არის.

## ზეციური სამსახური ამქვეყნიური საქმით

**— ბატონო ოტია, თქვენ ეკლესია ახსენეთ, და მინდა გკითხოთ: შეძლებს ეკლესია ჩვენს სულიერ აღორძინებას? ეყოფა ძალა საამისოდ? მოვერევით მისი ძალისხმევით ჩვენს პრობლემებს?**

— ყველაფერი შეუძლია რელიგიას. მართლმადიდებლობამ მოიტანა ჩვენი ქვეყანა აქამდე. „საქმემან შენმა გამოგაჩინოს შენ", — გვითხრა ეკლესიამ. შენ რას აკეთებო, ვისაც სახელი გაქვს, მამის სახელი და გვარი? საქმეს რომ გთხოვს იგი, საქმით უნდა უპასუხო. თუ ხელს არ გაანძრევ, მეც ვერ გიშველიო.

რელიგიურობა ის არ არის, შეხვიდე ეკლესიაში, პირჯვარი გადაიწერო, გამოხვიდე და მერე იქურდო და იმამაძაღლო.

ჭეშმარიტი რწმენა რომ ჰქონდეს კაცს, მან უნდა იცოდეს, რომ უნდა გათოხნოს, მოსავალი მოიწიოს, გაჭირვებულს უნდა მიეხმაროს.

**— ამქვეყნიურ საქმეს მიხედოს?**

— ერთადერთი, რითაც შეიძლება ვიბრძოლოთ ახლა, ჩვენი პატრიარქის ნათქვამ სიკეთეს უნდა მივყვეთ. ჩვენ ძალიან კარგი მეგობრები ვართ. მაგრამ იმასთან შეხვედრის მეშინია — ოთხ საათს ვერ დაეფცქვნები ხელიდან. სულ გეკითხება და გისმენს, გეკითხება — გისმენს, გეკითხება — გისმენს.

**— ხელისუფლებას რა ჭირი შეეყარა, არაფერს რომ არ გვეკითხება?**

— სწორედ მაგი.

**— ბატონო ოტია, თქვენს ნათქვამს გაგახსენებთ: „მე მორწმუნე ვარ, მხოლოდ ჩემი ეკლესიის გუმბათზე ფრესკად საქართველოს რუკაა".**

— ეს ასეა... მაგრამ იცი, რა? არ შეიძლება ჩვენთან არც კოლექტივი, არც კოოპერატივი, არც არაფერი, იმიტომ, რომ ქართველის ბუნება საშინელებაა ამ მხრივ. მამა რომ გარდაიცვლებოდა და ორი ძმა დარჩებოდა, მაშინვე იყოფდა მამისეულს. ე, ბიჭო, ორი ძმა ხართ, იმუშავეთ აგერ, მოიწიეთ და შეგარგოთ ღმერთმა. არა! ჩემსავით მაი არ მუშაობსო. შეიძლება, ▶

**ჭეშმარიტი რწმენა რომ ჰქონდეს კაცს, მან უნდა იცოდეს, რომ უნდა გათოხნოს, მოსავალი მოიწიოს, გაჭირვებულს უნდა მიეხმაროს**

მოკლედ

## 350 ევრო ჯილდოდ

პოლკოვნიკი მუამარ კადაფი თითოეული ოპოზიციონერის მოკვლისთვის თავის მომხრეებს 350 ევროს დაჰპირდა. მეამბოხეთა მტკიცებით, ერთ-ერთმა ოპოზიციურმა რაზმმა კადაფის მომხრის აყვანა შეძლო. ტყვემ აღიარა, რომ კადაფი მოკლული მეამბოხის ტრიპოლში მიტანილი სხეულისთვის 600 დინარს (დაახლოებით 350 ევროს) გაიღებდა. ჯერ კიდევ დასავლეთის ჯარების ჩარევამდე მუამარ კადაფი აცხადებდა, რომ ყველა ლიბიელისთვის, რომელიც მის მხარეს იბრძოლებდა, იარაღის საწყობებს გახსნიდა.



## კლინტონმა კადაფი დაარიგა

**„კადაფიმ და მისმა გარემოცვამ თავად უნდა გადაწყვიტონ, როგორი იქნება მათი შემდგომი ნაბიჯები. ჩვენი რეკომენდაცია, რა თქმა უნდა, ისაა, რომ მიიღონ ისეთი გადაწყვეტილება, როგორიცაა ცეცხლის სრულმასშტაბიანი შეწყვეტა, ქალაქებიდან ჯარების გაყვანა და ძალაუფლების გადაცემისათვის მზადება",** — ამგვარი მოწოდებით ლიბიის ლიდერს აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა მიმართა. ამასთან, როგორც დიდი ბრიტანეთის სამხედრო-საჰაერო ძალების ვიცე-მარშალმა გრეგ ბაგუელმა განაცხადა, კოალიციურმა ძალებმა მუამარ კადაფის სამხედრო-საჰაერო ძალები მთლიანად გაანადგურეს.

## სადაა მწერლები, კაცო?! რომ გამოყრი ქუჩაში, ჯერ ერთი. მეორე, იქაც — მწერალთა კავშირში, ხომ ხედავ, რა ამბები დატრიალდა? შენ ცის დანიშნული ხარ, რომ „წარუძღვე წინა ერსა“, და ვინ მოგცა უფლება ჩხუბის და კინკლაობის?! თუ რამე საკამათოა, ვერ დაჯდები და ვერ ილაპარაკებ, პოლიციის გასაშველებელი რომ არ გახდე? აჰ! ეს არ არის მწერლობა! ვინ მოიგონა მწერლების ჩინ-მენდლები და ვინაა, რომ მაჯილდოვებს? იცის, რა დავწერე?

ექსკლუზივი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

მოწეული მერე მიეცა, მაგრამ მიწას — არა, არ დათმობდა. სარის სიმსხოზე რომ გადმოეწია საზღვარი, იმ სარს ხეთქავდა თავში ძმას, რომელიც უყვარდა. მიწაა გლეხის ასავალ-დასავალი, მისი საარსებო, მისი რწმენა, მისი საქმე.

**— „გიყვარდეს მტერი შენი, ვითარცა თავი შენიო?“**

— ღვთიური ნათქვამია, რა დონეზეა აყვანილი! მტერი უნდა მოიშორო, მარა უსიყვარულოდ კი არა. სიძულვილს როგორც კი შენს სულში ჩადებ, გაბოროტდები. მარა შევძლებთ კი ამას? არა მგონია, იმიტომ, რომ მათხოვარს აღარც ერთის თავი აქვს, აღარც — მეორის.

მაგი იყო, ლექცია რომ წავიკითხე აკადემიაში, სასულიეროში. იქ დავაყენე მაგ საკითხი. ამგენს რატომ ჰგონიათ-მეთქი, რომ ეკლესია ფულის საკეთებელი ადგილია?! ქართველი ფულს ხელის ჭუჭყს ეძახოდა. რა უნდა ჭუჭყს ეკლესიაში?! წმინდათაწმინდა ადგილია ეკლესია.

— შე ოჯახაშენებულო, — ვუთხარი, — თუ არა აქვს, არ მონათლავ? თუ არა აქვს, არ დაწერ ჯვარს? თუ შემოგწირავს, ეგ მისი საქმეა, შენ ვალდებული ხარ ღვთისმსახურება შეასრულო: მირონი თუ გაყიდე, მირონი აღარ არის. გაყიდულია.

საშინელება ტრიალებს!

ჩემს სოფელში პატარა სალოცავი მინდა ავაშენო. არაო. პროექტი უნდა იყიდოთ საპატრიარქოდანო. მე შევუთვალე: არაფერი სოფელს არ გააჩნია, რომ ჩამოკიდო, ათ ლარს ვერ იშოვი. მაგრამ არის მუშახელი, ხელოსანი. სახურავის მასალას, ლურსმანია თუ რაღაცას, მე ვუყიდი. თქვენ რაში მომეხმარებით-მეთქი? ასე შევუთვალე... იქით მივცე ფული?

**— სად დგანან, ბატონო ოტია, ცის დანიშნული და ერის გაზრდილი ჩვენი მწერლები?**

— სადაა მწერლები, კაცო?! რომ გამოყრი ქუჩაში, ჯერ ერთი. მეორე, იქაც — მწერალთა კავშირში, ხომ ხედავ, რა ამბები დატრიალდა? შენ ცის დანიშნული ხარ, რომ „წარუძღვე წინა ერსა“, და ვინ მოგცა უფლება ჩხუბის და კინკლაობის?! თუ რამე საკამათოა, ვერ დაჯდები და ვერ ილაპარაკებ, პოლიციის გასაშველებელი რომ არ გახდე?

აჰ! ეს არ არის მწერლობა!

ვინ მოიგონა მწერლების ჩინ-მენდლები და ვინაა, რომ მაჯილდოვებს? იცის, რა დავწერე?

ავსტრიაში ვიყავი სამკურნალოდ. ვეკითხები იქოურებს: ჯორჯია — გეორგია, საქართველო ხომ არ გაგიგონიათ? კაცს არ გოუგონია. ორი აღმოვაჩინე სასწაულად განათლებული. კიო, ვიციო, მითხრა ერთმა. არ გადამრიო, რა იცი-მეთქი? ის ვიცი, რომ თქვენ რუსები არ უნდა იყოთო. ესაა ყველაზე კარგი მცოდნე იქ.

აქეთ რომ გკითხოს, ვინა ხარო, რას შობი? დოუდევი აგერ ნახატი, რომელსაც თარგმნა არ უნდა, აგერ — მუსიკა, შენ ხარ ჩემი ბატონი, აგერ — სათარგმნელი თუ გაქვს ლიტერატურა.

ესა ვარ მე!

სხვა შენ არაფერი არა ხარ! ხელგაშვერილი მათხოვარი ხარ!

**— სიტყვამ მოიტანა და მინდა გკითხოთ, ლექსების ტომს როდის გამოსცემთ?**

— მეათე ტომი ლექსები უნდა იყოს, მაგრამ რავალი საქმეა საქართველოში ტომების წერა ლექსებისა?

ჩემთან, აქ რომ მოხვიდე, გურიელის ქუჩა უნდა გეიარო, უშველები ქუჩა მამია გურიელისა. არც აქოური იყო, არც არაფერი, მაგრამ ქუჩა მისი სახელობისაა. ერთი ლექსი აქვს დაწერილი. მაგრამ ერთი ლექსი საქართველოში ნიშნავს უზარმაზარ ეროვნულ სულიერებასაც, ზნეობასაც და კულტურასაც. გვყავს ჩვენ თითო-თითო ლექსების ავტორები, არც ერთი არ დაგვივიწყებია.

შენ კი ტომებს უბათქუნებ ამ ქვეყანაში?

აგერ პატარა წიგნი გამოვეცი. ასი ლექსი გალაკტიონის მერე ვერ გავბედე და 99 გამოვაქვეყნე, პატარა ტირაჟით. ეს რა გამოცემაა — 300, 400, 1000 ეგზემპლარი. უწინ ათი ათასი ერთი ტირაჟი იყო, ოცი ათასი — ორი ტირაჟი და ა.შ.

**— და ჰონორარსაც გაძლევდნენ, ფულს გიხდიდნენ.**

— დიდუ! ფულს მაძლევდნენ?! ჩემდენი ფულის ვის ჰქონდა მაშინ! წიგნებში მაძლევდნენ და ასობით თეატრი რომ დგამდა ჩემს პიესებს, იქიდანაც ფული შემომდიოდა... ამ პატარა წიგნში ლირიკაა, სატრფიალო ლექსებია.

### ჭადნატეხა და პურნატეხა მაინც...

**— რომელ წლამდე შეიძლება კაცს უყვარდეს?**

— სიყვარულს საზღვარი არ აქვს. თუ არ უყვარს, ესე იგი, არ არსებობს. სიყვარულია ერთადერთი, რისთვისაც ღირდა, ამ გათახსირებულ წუთისოფელში რომ მოსულიყო ადამიანი.

ერთ ტელეარხზე არის გადაცემა — „ცხოვრება მშვენიერია!“. ჩვენში, კაცო?! შენ მოგეკიდა ცეცხლი! ისედაც ჯოჯოხეთია. ასე შეზღუდული რომ იქნება აზროვნება, რამ უნდა გადაარჩინოს ეს ქვეყანა?!

**(და ბატონი ოტია იწყებს ლექსის კითხვას, რომელიც მისი წიგნის „სიშორით სიახლოვის“ შესავალია და ეწოდება „წინათქმა“, ერთადერთი სათაურიანი ლექსი 99-ს შორის, დანარჩენი დანომრილიაო, — მითხრა. კითხულობს და რეპლიკებს ურთავს. გთავაზობთ):**



### წინათქმა

**ადამიანი სადაც იბადება და იზრდება, იქვე რჩება.**
*(ამიტომ ვარ მე დაყუდებული აქანა)*
**დედაზე ყველა მიბმული ვართ,**
**როგორც ხბო პალოს.**
**და თუ ვშორდებით — ვაგრძელებთ ბაწარს,**
**მაგრამ რამდენად შორს ვიწყებთ წანწალს,**
**იმდენს ვეხვევით ათრეულ თოკში**
**და თავის არ გვწამს.**
**ასე არა ჰქნა რომაელმა ცინცინატუსმა**
**ქრისტეს შობამდე ხუთას წლის წინათ,**
*(ოცდახუთი საუკუნის ამბავია!)*
**პატრიციუსმა,**
**ტრადიციულად, ზნეობით და**
**თავმდაბლობით გამორჩეულმა.**
**კონსული გახლდათ**
**(დღევანდელი პრეზიდენტის ტოლი და ფარდი).**
**ხმალშემართული ებრძოდა ვოლსკებს**
**და მუსრს ავლებდა,**
**აძმობილებდა დანასისხლად წაკიდებულ**
**რომის პარტიებს.**
*(ჰე, როდის ჰქონდათ პარტიები.*
*შენ რომ ბჟუტურობ ახლა რაცხას).*
**და როცა სენატს აღუდგინა**
**დაცემული გავლენა და მიუჩინა ყოველი ყოველს,**
**დაჰკრა ფეხი და...**
**ვალმოხდილმა მიაშურა თავის სახლს — სოფელს...**
**ისევ მოაწყდა მტერი ქვეყანას,**
**ისევ დასჭირდათ მხედართმთავარი...**
**სარდალი ამ დროს იდგა ნახნავში**
**და რგავდა ჭარხალს.**
**გადაირია მალემსრბოლი:**
**— ჭარხალს ხომ ყველა ბოგანო დარგავს?!**
**— როგორ არ დარგავს, და ვინც დარგავს,**
**მიწის ვალს იხდის,**
**მაგრამ თავისას, ჩემსას კი არა.**
**— შემოესია რომს ეკვები და საბინები,**
**შენს მეტი მახვილს**
**გამარჯვებისას ვერავინ დაძრავს!**
*(სარდალია უშველებელი!)*
**ამბობენ, ფეხი დაუბანია, ხელი კი — არა,**
**შერკინებია მომხდურ მტრებს და, მოგეცათ ლხენა...**
**დიდი ნადავლით და ტრიუმფით დაბრუნდა რომში!**
**და თექვსმეტ დღეში...**
*(ამდენ ხანს ჩვენში თამადად გაძლებ)*
**უთქვამს ლიციუს კვინცინიუს ცინცინატუსს:**
**— სამშობლოს ვალი, რაც შემეძლო, ხომ მოვიხადე,**
**ახლა კვლავ ვალი მეძახის მიწის...**
**წასულა სოფლად, ჩამდგარა ხნულში,**
**რგავდა კომბოსტოს და წითელ ჭარხალს.**

**მინაწერი:**
**თქვენს მონა-მორჩილს**
**(ჯარისკაცად ღმერთს არ ვუქნივარ),**
**სამშობლოს ვალი ხომ მაწევს ვალად,**
**რა უფლება მაქვს, ვიჯდე სადმე, თბილ სავარძელში,**
**მიწისას მაინც არ ვიხდიდე,**
**არ ვთესდე ყანას, არ ვრწყავდე ნარგავს...**
**იმ მამულს მაინც არ ვუვლიდე,**
**ვისგან ვართ, რაც ვართ,**
**რომელზეც ყველა მიბმული ვართ,**
**როგორც ხბო პალოს.**

**— ეს ჩვენი ცინცინატუსები არც მხედართმთავრებად რომ არ უქნია ღმერთს და არც მიწის მუშებად?**

— ამიტომაც გადმოდგებიან ბედოვლათები და — ხუთჯერ გავზრდით მოსავალსო. რანაირად?

ფრანგმა, მოსავალი რომ მიეღო, გლეხზე თქვა უარი. მე რომ შემეძლოს კიდეც, ამის გამკეთებელი არ ვარ: რად მინდა მთელი სოფელი, ერთი კაცის მეტი თუ არ იქნება?!

რა ვქნათ ახლა ჩვენ? ის კაცი ამბობს, რომ ხუთმაგი მოსავალი უნდა მივიღოთო. მაგრამ ხომ უნდა იცოდე, რის გაკეთებას აპირებ საამისოდ?

არ ვიცით.

**— და არც გვექნება პური ჩვენი არსობისა?**

— ის პური, ჩვენ რომ ვჭამთ, ის პური არ იჭმევა. ავსტრიაში, ახლა რომ ვიყავი, კილო პური ღირს ჩვენს ფულზე 10 ლარი. ბავშვს რომ აჭამონ, ის ხუთი კილომეტრით ტრასას დაშორებულ ყანაში უნდა იყოს მოწეული.

შარშან, მართალია, ცუდი მოსავალი იყო, მაგრამ დათესილიც რომ არ იყო? ვინ ხნავს? ვინ თესავს? ტრაქტორიც რომ მისცე, ყველას უნდა დაურიგო: ერთს ხომ არ გამოაკლებ? მაგრამ იგი ერთ დღეში მოხნავს, რაც მას სჭირდება, მერე დააყენებს.

რას ვაპირებთ?

თუ რამეს ვაპირებთ, მე უნდა ვიცოდე, რადგან ერთი კაცი ვარ საქართველოში, ვინც წერა-კითხვა იცის და — მიწა. ამათ ან არაფერი არ იციან, ან ერთი თუ იციან, მეორე — არა.

უნდა შემეძლოს, გიპასუხო, რა ვქნათ ჩვენ იმისთვის, ჭადნატეხა და პურნატეხა მაინც რომ არ ვიმათხოვროთ?

ვერ გეტყვი.

მე რომ ვიცი ჩვენი (!) ხასიათი, ჩვენი ბუნება და ვიცი ჩვენი ეროვნული გამოთაყვანება, არაფრის შემქნელი აღარ ვართ. ახლა რასაც დასთესავ, იმას მოიმკი. მაგრამ კაცი ინძრევა ვინმე?

შემოდგომაზე ხუთჯერ მეტ მოსავალს მივიღებთო! ისე აშენდა შენი პატრონი! არ არის ის კაცი, ვინც ამას გააკეთებს. მე საიდან მოგიყვან: ამერიკა გამომიგზავნის ჰუმანიტარულ გლეხს?!

**ბატონი ოტია განსაკუთრებით წუხს იმის გამო, რომ ასიათასობით ჰექტარი ჩაის პლანტაციები სრული უყურადღებობით გატყიურდა, პრაქტიკულად გაქრა საქართველოს ეკონომიკის ეს დარგი, რომელსაც მნიშვნელოვანი მოგება შეჰქონდა სახელმწიფო ბიუჯეტში. გაიძარცვა ჩაის ფაბრიკები.**

— ახლა მე და შენ ჩაის დალევა რომ მოგვინდეს, აზერბაიჯანის „აჰმად ჩაით“ უნდა დავკმაყოფილდეთ, არადა, უზარმაზარი საბჭოთა კავშირის მოთხოვნას მთლიანად ჩვენ ვაკმაყოფილებდითო.

**არც ჩაის პლანტაციები გვაქვსო, არც ყანა, არც ტყე არ დაგვრჩა და ქვეყანა ფეხზე როგორ უნდა დავაყენოთო?**

**ტყეებში მგლები მომრავლდნენ — ორფეხები ჩეხავენ და ყიდიან, ოთხფეხები სოფლებს თავს ესხმიან და პირუტყვს ყელს ღადრავენო.**

**არავინ რომ არ ლაპარაკობს ჩაის კულტურის აღდგენაზე, გადამამუშავებელი ქარხნების ხელახალ აღჭურვაზე, უკვირს მწერალს და მამულიშვილს, იმაზე, რაც ქვეყნის სოფლის მეურნეობის წელში გამართვას შეუწყობს ხელს.**

**— ბატონო ოტია, საქართველოს დამოუკიდებლობის მეოცე წელს შეგვიძლია ვთქვათ, რომ შევქმენით ჩვენი ოცნების ქვეყანა?**

— ვერავითარი!

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

**დასასრული შემდეგ ნომერში**



**P.S. ბოდიშს ვუხდით ბატონ ოტიას და ჩვენს მკითხველებს უნებლიე შეცდომის გამო, რომელიც პირველ პუბლიკაციაში გაიპარა: კერძოდ, ეპიზოდი, სადაც ბიოგაზზეა ლაპარაკი, დაკავშირებულია არა მიხეილ სააკაშვილის, არამედ მისი წინამორბედის სტუმრობასთან, ადრინდელი ამბავია.**
**ა.ს.**

## ნატოს ქვეყნებს ომი დაევალათ

ნატოს გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა ელჩების დონეზე ნატოს საბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა: **„ჩვენ ვმოქმედებთ საერთაშორისო მოქმედებათა ფარგლებში კადაფის რეჟიმისგან სამოქალაქო მოსახლეობის დასაცავად, ჩვენ ვითანამშრომლებთ ჩვენს პარტნიორებთან რეგიონში და მივესალმებით მათ წვლილს. ნატოს ყველა ქვეყანამ უნდა შეასრულოს გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია“,** — განაცხადა მან.



## ლიბიას დახმარება აღარ უნდა

ლიბიის ოპოზიციურმა ნაციონალურმა საბჭომ საფრანგეთს წერილი გაუგზავნა. ოპოზიციური ნაციონალური საბჭო წერილში საფრანგეთს სამხედრო დახმარების გამო მადლობას უხდის და აღნიშნავს, რომ ლიბიაში უცხოური კონტიგენტის შესვლის აუცილებლობა არ არსებობს. „ჩვენ თავად, საკუთარი ძალებით გავიმარჯვებთ მომდევნო ბრძოლებში და უცხოეთის ჯარების დახმარებას არ ვსაჭიროებთ“, — ნათქვამია წერილში. პარიზი პირველი ევროპული ქალაქი იყო, რომელმაც ლიბიის ოპოზიციის ნაციონალური საბჭო აღიარა.

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ამ ხელისუფლებას არანაირი რესურსი, არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისის დასაძლევად, არ გააჩნია. ამიტომ, როცა ლაპარაკია ახალ პოლიტიკურ რელსებზე გადასვლაზე და ურთიერთობის მოგვარებაზე რუსეთთან, მე მიმაჩნია, რომ ეს ყველაფერი ჩვენ უნდა განვიხილოთ სხვა ხელისუფლების პირობებში...**

## აკაკი ასათიანი:

# საქართველო აღარ არის დამოუკიდებელი და სუვერენული ქვეყანა



**„თანახმა ხართ თუ არა, აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრიობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე?“ — 31 მარტს 20 წელი შესრულდება იმ დღიდან, რაც სრულიად საქართველოს მოსახლეობამ ერთმნიშვნელოვნად დადებითი პასუხი გასცა ამ სანუკვარ კითხვას და საქართველო, როგორც სუვერენული ქვეყანა, ხელახლა გაჩნდა მსოფლიოს ფიზიკურ თუ პოლიტიკურ რუკაზე...
რა სიძნელეები განვლო ამ პერიოდის განმავლობაში ჩვენმა სახელმწიფომ, რა შეცდომები დაუშვა წინა ორმა ხელისუფლებამ და ზოგადად, რა შედეგები მოიტანა საქართველოს მოსახლეობისთვის დამოუკიდებლობის გამოცხადებამ, — ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე სასაუბროდ „საქართველო და მსოფლიო“ ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენელს, უზენაესი საბჭოს ყოფილ თავმჯდომარეს, აკაკი ასათიანს შეხვდა და ბოლო 20 წლის მოვლენების ანალიზი სთხოვა.**

**— ბატონო აკაკი, 20 წელი, ალბათ, საკმარისი დროა იმისთვის, რომ ისტორიამ ფაქტებსა და მოვლენებს სათანადო სახელები დაარქვას... თქვენი აზრით, მთელი ამ ხნის განმავლობაში, რაც დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ, ვიყავით რეალურად დამოუკიდებლები და სუვერენულები?**

— საინტერესო და კარგი კითხვაა, ვინაიდან, „პერესტროიკის“ შემდეგ ჩვენთან ერთი პარადოქსი მოხდა, ისტორიული, — აღმოჩნდა, რომ **საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მყოფი საქართველო ბევრად უფრო დამოუკიდებელი ქვეყანა იყო და გაცილებით თავისუფლად იღებდა გადაწყვეტილებებს, ვიდრე — გაეროს წევრი და საერთაშორისოდ აღიარებული. ამას მოწმობს თუნდაც იგივე 31 მარტის რეფერენდუმი, რომელიც ჩატარდა საბჭოეთის პირობებში და რომელიც იყო აბსოლუტურად ობიექტური... მივიდეს ახლა და ვინმემ ჩაატაროს ასეთი ობიექტური რეფერენდუმი!..** მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ ამ 20-წლიანი პერიოდის განმავლობაში ჩვენ რეალურად დამოუკიდებლები კი არ ვიყავით, არამედ ეს ქვეყანა, ფაქტობრივად, წარმოადგენდა დასავლეთის, კერძოდ ამერიკის შეერთებული შტატების მანიპულირების ობიექტს და ვაჭრობის საგანს რუსეთთან. ყველაზე სამწუხარო და გულდასაწყვეტი კი ის არის, რომ ჩვენ ამ ვაჭრობის

## საბჭოთა კავშირში მყოფი საქართველო ბევრად უფრო თავისუფალი ქვეყანა იყო

პროცესში არაფერს გვეკითხებოდნენ და არც ახლა გვეკითხებიან...

**— იქნებ კიდევ ერთხელ დაგვიკონკრეტოთ, თქვენ მიგაჩნიათ, რომ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში უფრო თავისუფალი და დამოუკიდებელი იყო საქართველო, ვიდრე შემდეგ წლებში ან თუნდაც დღეს?**

— მიმაჩნია, რომ დღეს ამ ქვეყანაში ლაპარაკიც ზედმეტია დამოუკიდებლობაზე, სუვერენიტეტზე, ვინაიდან, ხელისუფლების უგუნური პოლიტიკის წყალობით, უკვე, ფაქტობრივად, საქართველო აღარ არის დამოუკიდებელი და სუვერენული ქვეყანა. ეს ხელისუფლება დამოუკიდებელია ერთადერთ რამეში, — როგორმე იმაზე მეტად აამოს და ასიამოვნოს ამერიკას, ვიდრე ამას „თეთრი სახლის“ მესვეურები ითხოვენ მათგან. ეს არის მონობის ყველაზე ცუდი და სამარცხვინო ფორმა, იმიტომ, რომ მმართველი გუნდი საკუთარი ანგარებითი მიზნების მისაღწევად იყენებს ძალაუფლებას და ყველაფერს აკეთებს, რათა ამერიკას თავისი ერთ-ერთი შტატის საგრაფოს საპოლიციო უბნად გადაუქციოს ეს ქვეყანა. ამაზეა აგებული მთელი ამათი პოლიტიკა და ამისთვის იბრძვიან ეს ადამიანები...

**— თქვენ თქვით, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველო ამერიკის მხრიდან მანიპულირების ობიექტი გახდა. ჩვენი მაშინდელი ხელისუფლება რას აკეთებდა იმისთვის, რომ ეს პროცესი ნაწილობრივ მაინც შენელებულიყო?**

— **პირადად ზვიად გამსახურდიას ძალიან კარგად ესმოდა, რომ დამოუკიდებლობის შემდეგ საქართველოს მიმართ დასავლეთს, განსაკუთრებით ამერიკას, გარკვეული ინტერესები გაუჩნდებოდა. ამიტომ, იმისთვის, რომ აქ ძალთა დაბალანსება მომხდარიყო, მან კონსტიტუციაში თავისი ხელით შეიტანა ცვლილება, რომლის თანახმადაც საქართველო ნეიტრალური ქვეყანა უნდა ყოფილიყო. ეს ნიშნავდა, რომ ჩვენ, დასავლეთთან პარტნიორობის პარალელურად, მინიმუმ მეზობრული ურთიერთობა მაინც უნდა გვქონოდა რუსეთთან, რაც ნამდვილად წაადგებოდა ჩვენს ქვეყანას იმ უმძიმეს პერიოდში.**

გარდა ამისა, ამ ყველაფერს თავისი ისტორიული და მორალური გამართლებაც ჰქონდა, ვინაიდან, ვიღაცას უნდა თუ არა, ორასი წელი ერთად რომ ვიყავით, ეს უკვე ნიშნავს, რომ ჩვენ შორის არსებობდა და დღესაც არსებობს გარკვეული მენტალური და სულიერი კავშირი, რომლის დავიწყებაც შეუძლებელია; მაგრამ მერე, სამწუხაროდ, იმ არათანმიმდევრულმა პოლიტიკამ და შეცდომებმა, რომელიც საქართველომ დაუშვა, უკანა პლანზე გადაწია ეს ყველაფერი და მიგვიყვანა მწვავე დაპირისპირებამდე რუსეთთან. ჩემი აზრით, ჩვენი მთავარი შეცდომა იყო ის, რომ ბოლომდე არ თუ ვერ გამოვიყენეთ ყველა რესურსი კრემლთან ნორმალური ურთიერთობისა და პარტნიორობის შესანარჩუნებლად...

**— საზოგადოების გარკვეულ ნაწილში არსებობს შეხედულება, რომ ზვიადი არ იყო პოლიტიკოსი, რომ მას არ ესმოდა პოლიტიკა. თქვენი აზრით, რა არის ამის მიზეზი? ხომ არ მიგაჩნიათ, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ქვეყნის წინაშე გაჩენილი გამოწვევებისთვის მაშინდელი ხელისუფლება, ცოტა არ იყოს, მოუმზადებელი აღმოჩნდა?**

— დიდი ამოცანებისა და მიზნებისთვის ბრძოლა ადამიანს ხშირად გონებას უბინდავს, ანუ, იმის თქმა მინდა, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადება იმხელა ემოციებისა და აჟიტირების ფონზე მოხდა, რომ არამარტო ეროვნული მოძრაობის სათავეში მყოფი ადამიანები, არამედ საზოგადოებაც ვერ აცნობიერებდა, რომ ქვეყნისთვის მთავარი სირთულეები დაიწყებოდა სწორედ დამოუკიდებლობის შემდეგ. ეს იყო ის ინფანტილური დამოკიდებულება რეალობისადმი, რომელიც გააჩნდა ყველას, საზოგადოების უდიდეს ნაწილს და მათ შორის, არ დავმალავ, — მეც.

რაც შეეხება გამსახურდიას, ის მოსაზრება, რომ ზვიადი არ იყო პოლიტიკოსი და მას არ უნდა ემართა ქვეყანა, მიმაჩნია, რომ სისულელეა, ვინაიდან იგი სწორედ რომ პოლიტიკოსი იყო. ამის მაგალითად მოვიყვან ერთ ფაქტს: **როცა საბჭოთა კავშირი იშლებოდა, გახსოვთ, ალბათ, გამოვიდა ჯორჯ ბუში (უფროსი) და თქვა, გამსახურდიას არ ესმის პროცესი და დინების საწინააღმდეგოდ მიდისო. ბევრმა მაშინ ეს განცხადება აღიქვა, როგორც ყველაზე რაციონალური შეფასება იმ მოვლენებისა, რაც იმ დროს ხდებოდა ჩვენს ქვეყანაში და მთლიანად საბჭოთა კავშირის სივრცეში. მაგრამ გავიდა დრო და ვინ გამოდგა მართალი — ბუში თუ გამსახურდია? საბჭოთა კავშირი დაიშალა...** ამით იმის თქმა მინდა, რომ ზვიადი ძალიან კარგად ხვდებოდა და აცნობიერებდა, რა პროცესებიც მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირში. ამიტომ, ვიმეორებ, თქმა იმისა, რომ ის არ იყო პოლიტიკოსი, მიმაჩნია, რომ სისულელეა; სხვა საკითხია, რამდენად კარგი მმართველი იყო...

**— საბჭოთა კავშირის დაშლის პროცესი ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული ჩვენთვის აღმოჩნდა. როგორ ფიქრობთ, რატომ?**

— საბჭოთა კავშირის დაშლა მტკივნეული პროცესი იყო არა მარტო ჩვენთვის, არამედ, უწინარესად, რუსეთისთვის. ამის მიზეზი ბევრია, მაგრამ მე მიმაჩნია, რომ დღეს ჩვენ საკითხს ასეთნაირად უნდა შევხედოთ — შეიძლებოდა თუ არა იმ სიძნელეებისა და დაბრკოლებების თავიდან აცილება, რამაც ჩვენთვის განსაკუთრებით მტკივნეული გახადა ეს პროცესი? არაერთხელ მითქვამს და კვლავ ვიმეორებ, რომ შეიძლებოდა, ისევე, როგორც ეს ბალტიისპირეთმა შეძლო; მაგრამ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ **მაშინ ჩვენი საზოგადოების ცნობიერებაც სხვანაირი იყო, ანუ იმდენად ეგზალტირებული ვიყავით მთელი ამ მიმდინარე პოლიტიკური პროცესებით, რომ ის, რასაც მაშინ ხალხი აკეთებდა და ხელისუფლებისგანაც ითხოვდა, ნამდვილად შორს იყო რაციონალიზმისა და პრაგმატიზმისგან...** მას შემდეგ აგერ უკვე ოცი წელი გავიდა, მაგრამ, სამწუხაროდ, არაფერი შეიცვალა, რადგან დღესაც, თუ კი რამე აკლია ჩვენს საზოგადოებას და, რა თქმა უნდა, ხელისუფლებასაც, უპირველესად, ეს არის რაციონალიზმი და ადეკვატური მიდგომა იმ პრობლემებისადმი, გამოწვევებისადმი, რომელთა წინაშეც ბოლო ოცი წლის განმავლობაში აღმოჩნდა ჩვენი ქვეყანა...

**— გასაგებია, მაგრამ იქნებ დააკონკრეტოთ, რაში გამოიხატება ხელისუფლების არარაციონალური დამოკიდებულება არსებული პრობლემებისადმი?**

— აბსოლუტურად ყველაფერში, განსაკუთრებით კი იმ პოლიტიკაში, რასაც ესენი რუსეთის მიმართ ატარებენ... ვერ ნახავთ საღად მოაზროვნე ადამიანს, რომელიც იტყვის, რომ რუსეთთან კონფრონტაცია საქართველოს რაიმე სარგებელს მოუტანს...

**— ანუ გინდათ თქვათ, რომ კრემლთან საერთო ენის გამონახვის გარეშე საქართველო პრობლემებს ვერ მოაგვარებს?**

— ეს თავისთავად ცხადია და ამაზე არც უნდა ვიკამათოთ, მაგრამ დავანებოთ ამას თავი და მოდი, ასე შევხედოთ საკითხს: ვინმეს წარმოუდგენია, გასაღების სხვა ისეთი ბაზარი არსებობდეს ჩვენი პროდუქციისთვის, როგორიც რუსეთია, ან ამის მეასედი მაინც? ან, თუნდაც, ვინმე იცნობს ერთ ქართველს, რომელმაც ასი ათასი დოლარი იშოვა დასავლეთში? ყოველ შემთხვევაში, მე ასეთი არავინ ვიცი, რუსეთში კი ათასი და შეიძლება კიდევ უფრო მეტი ქართველია, რომელსაც უკვე მილიონიდან მილიარდამდე აქვს ნაშოვნი.

ამასწინათ მოსკოვში ვიყავი და ვნახე, რომ ყოველ ფეხის ნაბიჯზე ქართული რესტორნებია, ამ რესტორნებში კი ისევ ქართველები არიან დასაქმებული. რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს, რომ **რუსებს ჯერ კიდევ აქვთ ქართველების ნოსტალგია და სანამ ეს ყველაფერი საბოლოოდ გამქრალა, სანამ ჩვენი ურთიერთობა სა-** ▶



**თემურ ქორიძე:**

**საქართველოს ისტორიის უახლესი წლები, საბედისწერო რყევებით აღსავსე ჩვენი მძიმე დროება ჯიუტად ცხადყოფს, რომ დამოუკიდებლობის აღდგენიდან მეოცე წლისთავზე ჩვენ ვერც ჩვენივე ენერგიის მობილიზება შევძელით და კონკრეტული მიზანიც თვალთახედვიდან დავკარგეთ, „ნამდვილი ეროვნული სახეც“ ველარ გამოვჭედეთ, „ქართული ტვინი“ კი „ახალ საუკუნეთა სიცხეში“ არ იქნა, არ გათბა...**

პოზიცია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

◀ **ბოლოოდ გადაზრდილა რაღაც მარადიულ მტრობაში, ყველანაირად უნდა ვეცადოთ, რომ ბოლოს და ბოლოს გამოვნახოთ საერთო ენა ამ ხალხთან. სხვა გზა დღეს ჩვენ მაინც არ გვაქვს და ადრე თუ გვიან მოგვიწევს იმის აღიარება, რომ რუსეთთან კეთილმეზობლობის გარეშე საქართველო ვერ იქნება წარმატებული ქვეყანა, ვერც ეკონომიკურად და პოლიტიკურად მით უმეტეს; ტერიტორიების დაბრუნებაზე არაფერს ვამბობ.**

**— რუსეთთან ურთიერთობის მოგვარების შემთხვევაში, თქვენი აზრით, შევძლებთ ტერიტორიების დაბრუნებას?**

— სიმართლე გითხრათ, მე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ გამოვნახავთ თუ არა საერთო ენას რუსეთთან, ტერიტორიებიც მაშინვე დაგვიბრუნდება. ეს არ მოხდება, ვინაიდან ჩვენი მთავარი პრობლემა აფხაზეთსა და სამაჩაბლოში არ არის რუსეთი, არამედ პრობლემა აფხაზი და ოსი ხალხია; ამიტომ თუ გვინდა, რომ ეს ტერიტორიები დავიბრუნოთ, ჯერ იმაზე უნდა ვიფიქროთ, რომ როგორმე დაველაპარაკოთ ამ ხალხს. რუსეთი კი ამ მოლაპარაკებებში უნდა იყოს მშვიდობის გარანტორი, რაც ასევე ძალზედ მნიშვნელოვანია...

**— ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ ამ ხელისუფლების პირობებში რამდენად რეალურად მიგაჩნიათ ამის მიღწევა?**

— ამ ხელისუფლების პირობებში ეს რომ შესაძლებელი ყოფილიყო, მაშინ შევძლებდით კიდეც, მაგრამ დღეს ჩვენ ვხედავთ, რომ არა თუ ჭკუა ვერ ვისწავლეთ ადრე დაშვებულ შეცდომებზე და არაფერს ვაკეთებთ ამ შეცდომების გამოსასწორებლად, არამედ ჯიუტად და განუხრელად ვაგრძელებთ იმ გზას, რომელმაც უკვე მიგვიყვანა უმძიმეს შედეგამდე. **სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ამ ხელისუფლებას არანაირი რესურსი არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისის დასაძლევად არ გააჩნია. ამიტომ როცა ლაპარაკია ახალ პოლიტიკურ რელსებზე გადასვლასა და ურთიერთობის მოგვარებაზე რუსეთთან, მე მიმაჩნია, რომ ეს ყველაფერი ჩვენ უნდა განვიხილოთ სხვა ხელისუფლების პირობებში...**

**— და ვინ შეიძლება მოვიაზროთ სხვა ხელისუფლებაში ან თქვენ როგორ წარმოგიდგენიათ ეს ხელისუფლება?**

— მე, როგორც ამ ქვეყნის ერთ რიგით მოქალაქეს, უპირველესად, მინდა, რომ გონიერი ხელისუფლება მოვიდეს. ეს გონიერება კი უნდა გამოიხატებოდეს რაციონალიზმში მთელ რიგ საკითხებთან, იგივე დასავლეთთან და, უპირველესად, კრემლთან მიმართებაში. მით უფრო, ჩვენ გვაქვს ძალიან დიდი რესურსი, თუნდაც მოსკოვში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების — რუსეთის მმართველ წრეებთან დაახლოებული ქართველების სახით, იმისათვის, რომ დავიწყოთ მოლაპარაკებები და გამოვნახოთ საერთო ენა ამ ხალხთან... ესენი არიან ხელოვანები, ბიზნესმენები და ის ადამიანები, რომლებსაც გარკვეულ დონეზე აქვთ შეხება რუსეთის გავლენიან პოლიტიკოსებთან...

**— კი მაგრამ ეს ხალხი ჩვენთან კრემლის აგენტებად არიან გამოცხადებულები.**

— სწორედ ეს არის ჩვენი უბედურება და ამაშია ჩვენი დღევანდელი ხელისუფლების არარაციონალურობაც... სამწუხაროდ, დღეს ძალიან ბევრი ადამიანი, იმის შიშით, რომ კრემლის აგენტად არ შერაცხონ, ვერ ბედავს საკუთარი პოზიციის ხმამაღლა დაფიქსირებას, ანუ იმის თქმას, რომ ჩვენ რუსეთის იქით სხვა გზა არ გვაქვს. სხვათა შორის, **ერთადერთი კაცი, რომელმაც ჯერ კიდევ 90-იან წლებში, ანუ მაშინ, როცა საქართველოში ანტირუსული კამპანია მძვინვარებდა, გაბედა და რუსეთ-საქართველოს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობის შენარჩუნების გზებზე დაიწყო ლაპარაკი, იყო ალექსანდრე ჭაჭია, კაცი, რომელიც სერიოზულად მუშაობდა ამ მიმართულებით და რომელმაც თავისი საქმით არაერთხელ დაამტკიცა, რომ არის ნამდვილი პატრიოტი. სამწუხაროდ, მაშინ იგი, თავისი ამ პოზიციის გამო, ლამის მტრად შერაცხეს. მაგრამ დღეს უკვე ბევრი იმათგანი, ვინც თავის დროზე ალექსანდრეს მტერს ეძახდა, თვითონ საუბრობს რუსეთთან დიალოგის აუცილებლობაზე და იმაზე, რომ თურმე ჩვენ საბედისწერო შეცდომა დაგვიშვია, როცა მოსკოვს ულტიმატუმების ენით დავუწყეთ ლაპარაკი...**

**— რაც შეეხება ისევ 31 მარტის რეფერენდუმს, ერთ-ერთ სატელევიზიო გამოსვლაში თქვენ გაქვთ ნათქვამი, რომ 1992 წლის შემდეგ საქართველოს არ ჰყოლია ხელისუფლება, რომელსაც ამ თარიღის აღნიშვნის უფლება აქვს. რის საფუძველზე აცხადებთ ამას?**

— არ მახსოვს, მე ეს როდის და რომელ გამოსვლაში ვთქვი, მაგრამ იქვე აუცილებლად დავამატებდი ერთ რამეს, — არანაირი კავშირი საქართველოს დამოუკიდებლობასთან შემდგომი ხელისუფლების არც ერთ წარმომადგენელს არ აქვს და მით უმეტეს ამ ხელისუფლების წარმომადგენლებს. მეტიც, სააკაშვილს, მე მგონი, ხმაც კი არ აქვს მიცემული პირველ არჩევნებში...

**ისტორიის ტრაგედიაა, დღეს რომ ესენი ბაქიბუქობენ და ტრაბახობენ, აი, ჩვენ შევქმენით სახელმწიფო, დღეს, როგორც არასდროს ისე მივიწევთ წინ და ვიპყრობთ მთელი მსოფლიოს ყურადღებასო. რომელ წინსვლასა და წარმატებაზეა ლაპარაკი, როცა ქვეყანა ლამის თავზე დაგვექცეს და ჩამოგვენგრეს?!** რა თქმა უნდა, ამათ არანაირი უფლება არ აქვთ, აღნიშნონ არც 31 მარტი და, მე თუ მკითხავთ, არც 26 მაისი, ვინაიდან, ამ დღეს ქართველმა ხალხმა გამოაცხადა დამოუკიდებლობა, ესენი კი ამ დამოუკიდებლობას სადაცაა სამუდამოდ დაგვაკარგვინებენ და საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, საერთოდ გააქრობენ დედამიწის ზურგიდან. ნებით თუ უნებლიეთ, ამათ პოლიტიკას სწორედ აქეთ მიჰყავს ქვეყანა და დღეს, სამწუხაროდ, ამის დანახვა ძალზედ ადვილია...

ესაუბრა
**ჯაბა ჟვანია**

# «სასოწარკვეთილება და ძლიერი ეჭვი»

**„თურმე სულ ტყუილი ყოფილა ჩვენი იმედი, რომ ცოტათი მაინც წინ წავედით... სულ ტყუილი ყოფილა ჩვენი ზნეობრივი პროგრესი; თურმე კიდევ უფრო დაცემულ ვართ“. ეს მწარე სიტყვები, ასი წლის წინათ, ილიას მკვლელობით გულდამძიმებულმა ქართველმა წარმოსთქვა. „დაგვრჩა მხოლოდ სასოწარკვეთილება და ძლიერი ეჭვი მომავლისაო“, — დასძენდა ავტორი და ამ „ძლიერი ეჭვის“ გაქარწყლებას ახალ, დამოუკიდებელ და თავისუფალ საქართველოს ანდობდა.**



1991 წლის 31 მარტს ქართველმა ერმა ყოველგვარ ეჭვს თითქოს წერტილი დაუსვა. **„გსურთ თუ არა სახელმწიფოებრიობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე?“** — ასეთი იყო საყოველთაო რეფერენდუმზე გამოტანილი შეკითხვა, რომელსაც მოსახლეობის ოთხმოცდათვრამეტმა პროცენტმა დადებითი პასუხი გასცა. **„დიახ“,** — ამბობდნენ **საბჭოთა საქართველოში** დაბადებული და აღზრდილი **„საბჭოთა ადამიანები“**, — ჩვენ დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენა გვსურს!

ერის კულტურულ-ისტორიული მეხსიერება უკვდავია. ზოგჯერ შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ მან სამუდამოდ დახუჭა თვალი და მიიძინა, მაგრამ დგება ჟამი, როცა ის კვლავ იბრუნებს სიფხიზლეს და მთელი თავისი შინაგანი ენერგიის კონცენტრირებას ახდენს. ამისთვის სულაც არ არის საჭირო ე.წ. მენტალური რევოლუცია, რასაც დღეს ასე დაბეჯითებით ესწრაფვიან ხელისუფლების წარმომადგენლები.

**იდეალი, რომელმაც მაშინ ქართველი საზოგადოების არჩევანი განსაზღვრა, სწორედ ისტორიული მეხსიერების სიცოცხლისუნარიანობით იყო შთაგონებული. ზვიად გამსახურდიამ ამ იდეალის უაღრესად ზუსტი, მკაფიო და ღრმააზროვანი ფორმულა ჩამოაყალიბა. 1990 წლის 26 მაისს მან ახალი საქართველოს სულიერ-ზნეობრივი და პოლიტიკური პორტრეტის თვალშისაცემი კონტურები მოხაზა: „აი, მოდის ახალი არჩევანი,** — აცხადებდა იგი, — **წარმოგიდგათ უფალი, ძმანო და დანო, წარმოგიდგათ უფალი და გეუბნებათ: ქართველო ერო, შენს წინაშე არის ორი გზა, შენი ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა მივიდა გზაგასაყართან. აი, გზა ილია მართლისა; აი, გზა სიწმინდის, ზნეობისა; აი, გზა დემოკრატიისა; აი, გზა ჭეშმარიტებისა და უმანკოებისა და აი, გზა ყაჩაღობისა და მზაკვრობისა; აი, გზა ტერორიზმისა! აირჩიე, ქართველო ერო, აირჩიე ქრისტეს გზა და კეთილის გზა; აირჩიე ილია მართლის გზა, რამეთუ ეს გზა განსაწმენდელთან მიგვიყვანს!“.**

31 მარტის რეფერენდუმი, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ამ გზაზე დადგომას მოასწავებდა.

შემთხვევით არ ყოფილა, რომ ზვიად გამსახურდიამ ჩვენი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი არსებობის პერსპექტივა ქრისტიანულ ზნეობრიობას დაუკავშირა და მის პოლიტიკურ ზედნაშენად ილიასეული „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“ პრინციპი გამოაცხადა.

ამგვარი იდეალი თვალისმომჭრელად ნათელი, ღრმად ეროვნულ-ტრადიციული და ამასთანავე, საკუთარი ღირსების შეგრძნებით არის აღსავსე.

აქ არსად ჩანს სხვისი მოიმედეობის, გარე ძალების უეჭველი თანადგომის ხარჯზე უზრუნველად ცხოვრების მაცდუნებელი ილუზიების ნაკვალევი.

ბევრისგან განსხვავებით, ზვიად გამსახურდიას ზედმიწევნით ესმოდა იმ ადამიანებისა, რომელთაც წარსულში თავად გამოეცადათ მსგავსი ილუზიების მსხვრევის სიმწვავე.

**„ძველად სწამდათ, რომ ხსნა იყო ევროპაში. ჩვენს დროში კი ეს უკვე აღარავის აღარ სწამს... დღეს ევროპაში საქართველო აღარავის აინტერესებს... ქართველმა ხალხმა თავის ენერგია უნდა წარმართოს სხვა, უფრო რეალური, უფრო კონკრეტული მიზნისკენ და გამოსჭედოს ახალი, ნამდვილი ეროვნული სახე... დგება დრო ჩვენი გზების გადასინჯვისა — ახალი არჩევანის დრო. უფრთხილდით მეორე ათას წელს, გვეშინოდეს მომავლის. თუ ქართული ტვინი არ გათბა ამ ახალ საუკუნეთა სიცხეში, თუ ჩვენი თესლი არ ჩაითესა ახალი ეპოქის გაზაფხულზე, საქართველო გათავდება უკანასკნელი სიკვდილით“,** — ნიკოლო მიწიშვილის ეს სიტყვები 1926 წელს დაიწერა და მაშინდელ მოაზროვნე საქართველოს მათში ეჭვი არ შეუტანია. არ შეუტანია იმიტომ, რომ განათლებულმა კაცობრიობამ უკვე კარგად იცოდა, რომ **„ქრისტიანული კულტურა დასავლეთისა დაცვდა. რომანულ-გერმანულ რასათა გენეალოგიის ხეს მოალპა ფესვი, ევროპა, როგორც იდეა — გათავდა“**.

საქართველოს ისტორიის უახლესი წლები, საბედისწერო რყევებით აღსავსე ჩვენი მძიმე დროება ჯიუტად ცხადყოფს, რომ დამოუკიდებლობის აღდგენიდან მეოცე წლისთავზე ჩვენ ვერც ჩვენივე ენერგიის მობილიზება შევძელით და კონკრეტული მიზანიც თვალთახედვიდან დავკარგეთ, „ნამდვილი ეროვნული სახეც“ ველარ გამოვჭედეთ, „ქართული ტვინი“ კი „ახალ საუკუნეთა სიცხეში“ არ იქნა, არ გათბა...

და რაოდენ გულსაკლავადაც უნდა ჟღერდეს, **ჩვენი ისტორიის ბოლო ათწლეულებში ყველაზე მომაკვდინებელი დარტყმა სწორედ ქართულმა ეროვნულ-სახელმწიფოებრივმა იდეალმა იწვნია.** ამან კი, თავისთავად, ჩვენი სულიერ-ფსიქოლოგიური ჰაბიტუსის რღვევა გამოიწვია. **„ქართველი ერის ეროვნული ენერგია,** — შენიშნავდა გრ. რობაქიძე, — **არსად, არც ერთ სფეროში არ გამოვლენილა ისე ძალუმად, არც ერთ სფეროში ქართველი კაცი ისე ფოტოგრაფიული სიზუსტით არ იმეორებს თავის თავს, როგორც ხელოვნებაში — სულიერი ქმედების სფეროში“.** ახლა კი ეს „სფეროც“ ჩვენში სიკვდილის პირასაა მიყვანილი და, ალბათ, ამიტომ არის, რომ კრიზისული განწყობით შეპყრობილი ქართველი დღეს შესაფერისი „ფოტოგრაფიული სიზუსტით“ იმეორებს თავის თავს ასეთივე კრიზისით დაღდასმულ ხელოვნებაში.

საქართველოს მოქალაქეები წელში წყდებიან უმუშევრობის, სიდუხჭირის, ელემენტარული ყოფითი პრობლემების მოზღვავების გამო. ისინი თავს ხელმოცარულ ადამიანებად მიიჩნევენ. მეტიც: **ქართველი საზოგადოება, ფაქტობრივად, დეპრესიით დასნეულებული საზოგადოება გახდა. მცირე გამონაკლისის გარდა, მას პრაქტიკულად დაკარგული აქვს თვითგანახლებისა და ჯანსაღი კონკურენციის უნარი.** უნდა ვაღიაროთ, რომ ეს საზოგადოება სოციალურად და დემოგრაფიულად კვდომისკენ მიდრეკილ საზოგადოებას წარმოადგენს.

კრიზისის პოლიტიკური სიმპტომები ყველასთვის ადვილად შესამჩნევია. ეს ზედაპირზე ტივტივებს. უფრო ღრმად კი, მიწისქვეშა დინებებში, დალექილია სულიერი უდაბნო, სადაც დღითიდღე ნადგურდება ჩვენი თვითმყოფადობისა და შინაგანი სიცოცხლისუნარიანობის მასაზრდოებელი ფესვები; **„ქართაგან ძლიერთაგან“ ირყევა რწმენა, ბარბაროსული გახელება აუხეშებს და უგრძნობელს ხდის ცნობიერების ფაქიზ ხვეულებს, ასეთ ვითარებაში ადამიანს ადვილად ერევა ძილქუში, ის თვალხილულიც კი ველარ აღიქვამს თავის თავს და გარესამყაროს.**

ეს უკვე გაცილებით მძიმე ავადმყოფობაა, ვიდრე სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისები — ერთად აღებული.

**თემურ ქორიძე**

## ექსკლუზივი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**ზვიადმა თავის თავს უკანდასახევი გზა ამოუქოლა. ზვიადის ყოველი მისვლა რომელიმე ოჯახში და იქიდან წამოსვლა იყო საცოდაობა, ეს იყო დამცირებული ზვიადი, მიწასთან გასწორებული ზვიადი. იგი ათას ბოდიშს უხდიდა ოჯახს, სასიკვდილო რისკის ქვეშ რომ აყენებდა მასპინძელს, თუმცა ზვიადს მაინც ყველგან სიხარულითა და სიყვარულით იღებდნენ. ჩვენ მივდიოდით ამ ხალხთან და ვიცოდით, თუ იქ მოგვისწრებდნენ, მასპინძლებსაც ამოჟუჟავდნენ. ზვიადს სინდის-ნამუსი ჰქონდა, იგი სული და გული იყო. მისთვის მთელი ეს დრო საშინელი დამცირების პერიოდი იყო.**

# ბესარიონ გუგუშვილი: კოკო შვეიცარიულ ყველში იყო შემძვრალი და წრუწუნასავით ისუსნებოდა, ზვიად გამსახურდიას კი მისი იმედი ჰქონდა



**პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას თვითმკვლელობის შესახებ მასალებს საქართველოდან დევნილი პრემიერ-მინისტრი ბესარიონ გუგუშვილი გვაწვდის. იგი „კოკოს კომისიას“ (ასე უწოდებს ბესარიონ გუგუშვილი „საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებასთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელ საქართველოს პარლამენტის დროებით კომისიას“) ფაქტებს უბათილებს და მრავალწლიანი დუმილის შემდეგ ამ ტრაგიკული მოვლენის დეტალებს საჯაროდ იხსენებს.**

## «პრემიერმინისტრობიდან არავის გადავუყენებივარ»



**— ბატონო ბესარიონ, „კოკოს კომისიამ“ დადო დასკვნა ზვიად გამსახურდიას სიკვდილის გარემოებათა შესახებ, რომელსაც თქვენ კატეგორიულად არ ეთანხმებით, რით გააბათილებთ ამ დასკვნაში მოტანილ ფაქტებს?**

— დავიწყოთ იმით, რომ კოკომ ცილი დაგვწამა, ვინც ზვიად გამსახურდიას თვითმკვლელობის ვერსიას ვემხრობით, თითქოს „სუიცისტების პარტია“ შეგვექმნას. ამას ამბობს ის პიროვნება, რომლის კომისიაც არალეგიტიმურმა ხელისუფლებამ შექმნა, მისცა მას დიდი რესურსები, შტატები, დაახმარა ხალხი, მათ შორის უცხოელი სპეციალისტები. გაიხსენეთ, როცა „კოკოს კომისიის“ წევრები მასმედიაში გააქტიურდნენ, რამდენჯერ გამოვიდნენ სხვადასხვა ტელეარხებით და მერე შეადარეთ — ე. წ. სუიცისტების პარტიას რამდენჯერ დაეთმო ეთერი. მაგათ უკან დგას მასმედია, პარლამენტი და, რა თქმა უნდა, პროკურატურა. რაც „კოკოს კომისიას“ შეთითხნილი საბუთები აწყობდა, პროკურატურამ ყველა მიაწოდა. ამ დოკუმენტებში კოკოს სახეა ასახული. ეს არის ადამიანი, რომელიც სისტემატურად იყენებს ტყუილებისა და გაყალბების მეთოდებს.

**— იქნებ, გაყალბების კონკრეტული ფაქტები მოიყვანოთ?**

— **„კოკოს კომისიასა“ და პარლამენტს, ბალისტიკის საკითხების შესწავლას, ზვიად გამსახურდიას დამხობის სამართლებრივი საკითხები შეესწავლა, ის სჯობდა.**

ჯერ ის უნდა გაერკვიათ, რას წარმოადგენდა ის პიროვნება, რომლის გარდაცვალებასაც იკვლევდნენ და მერე განეხილათ სხვა დანარჩენი, მაშინ ექნებოდა ფასი კოკოს გამოძიებასაც. მაგრამ **ბოროტება თავად კომისიის სათაურშია ჩადებული, ისინი შეისწავლიან საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ანუ ყოფილი პრეზიდენტის — ზვიად გამსახურდიას სიკვდილის გარემოებებთან დაკავშირებულ გამოძიების საკითხებს და არა — იმ დროის მოქმედი პრეზიდენტისას. აქ უკვე უზარმაზარ სამართლებრივ წინააღმდეგობას ვაწყდებით.**

არსებითად ამ უზარმაზარ შეცდომასა და სისულელეს ადასტურებს დღეს კოკო და ახლანდელი პარლამენტი, თითქოს „მირონცხებული“ სახელმწიფოს მეთაური შევარდნაძე დევნიდა არა მოქმედ პრეზიდენტს, არამედ ბანდიტს, ყაჩაღს — ზვიადს და მის გარემოცვას. კოკოს იმ დასკვნაში, წესით, პირველ რიგში, ის უნდა ჩაეწერა, რომ გარდაცვალებისას ზვიადი იყო ლეგიტიმური ხელისუფალი, ხოლო შევარდნაძე — ვიგინდარა, ყაჩაღი და კრიმინალი. ამის დამადასტურებელი დოკუმენტები და ფირები მაინც არსებობს. მას რომ ეს გაეკეთებინა, მაშინ საკითხი სულ სხვა სიბრტყეში გადაინაცვლებდა და მეტი გამოძიება აღარც კი იქნებოდა საჭირო, რადგან საქმე აღიძრებოდა შევარდნაძის წინააღმდეგ.

ასევე კომისიის ეჭვი ეყრდნობა ისეთ სიყალბეს, როგორიცაა თითქოსდა ნატყვიარის ხვრელის ზომების შეუსაბამობა. მაგალითად, ყველა მოწმე გასროლილი ტყვიის შემავალი ნახვრეტის ზომას სხვადასხვას ასახელებს და ეს ფაქტი თვითმკვლელობას საეჭვოს ხდისო, წერია კოკოს დოკუმენტში. აქ დიდი ეშმაკობაა ჩადებული. არც ერთ მოწმეს არ ეკითხებიან, გაზომეს თუ არა მათ ნახვრეტი რაიმე ხელსაწყოთი. ამ კითხვას შეგნებულად არ სვამენ და ხალხს შთააგონებენ, მოწმეების ჩვენება რატომღაც განსხვავებულიაო.

ასევე მანიპულირებენ იმითაც, რომ გარდაცვალების ზუსტ დროს ვერ ასახელებენ მოწმეებიო. ამაზე მთელი 10 გვერდია აგებული დასკვნაში. ტელევიზორი არ მუშაობდა, შუქი არ იყო, მხოლოდ დაწეული ლამფის შუქი გვქონდა და ასეთ სიტუაციაში მყოფებს გვეკითხებიან, რა დროს მოხდა გასროლაო. ბუნებრივია, ყველა მოწმეს თავისი სავარაუდო პასუხი ექნებოდა ამ კითხვაზე, რადგან საათი თან არავის ჰქონდა. რა არის აქ საეჭვო?!

**დაახლოებით ნახევარი საათის შემდეგ, როცა პირველი წივილ-კივილი დამთავრდა და ცოტა გონს მოვედით, ჩანთაში, მაჯის საათი მქონდა, დავხედე და შუაღამის პირველი საათი და 15 წუთი იყო, მაგრამ ყველას ხომ არ ჰქონდა ამის საშუალება. საეჭვოს ხდიან თარიღსაც, ზოგი მოწმე რატომღაც ამბობს, რომ მკვლელობა 30 დეკემბერს მოხდაო, ზოგი კი — 31-შიო. ისინი დასკვნაში თვალთმაქცურად არ აღნიშნავენ, რატომ ამბობენ ასე მოწმეები. ეს ფაქტი ორი დღე-ღამის ზღვარზე — 30 დეკემბრის დასასრულსა და 31 დეკემბრის დასაწყისში მოხდა, ამიტომ ერევა თარიღები ერთმანეთში ზოგიერთ მოწმეს.**

პარლამენტიც და კოკოც ორიენტირებული არიან, დაამტკიცონ, რომ მოხდა მკვლელობა, მაგრამ ვერსად იპოვიან იმის მტკიცებას, რაც ბუნებაში არ მომხდარა. ვახო სანაიას გადაცემაში კომისიის 3 წევრი იყო მოწვეული და ვერც ერთმა კონკრეტული პასუხი ვერ გასცა შეკითხვას — ზვიად გამსახურდიამ თავი მოიკლა თუ მოკლეს. სამივე პასუხობს, რომ მათ გადაჭრით პასუხის გაცემა არ შეუძლიათ და ამის უფლება არ აქვთ, რადგან არ არსებობს საამისო მტკიცებულებები.

ისინი არა თუ აღიარებენ ზვიად გამსახურდიას მკვლელობას, არამედ ამ სიტყვის წარმოთქმასაც კი გაურბიან. გარდა ამისა, უკვე რაიმეს დამტკიცება გამოძიებით შეუძლებელია, რადგან გვამს ექსპერტიზა თავის დროზე უნდა ჩატარებოდა, რაზეც უარი განაცხადეს. მათ დასკვნაში იპოვით მხოლოდ იმ „მტკიცებულებას“, რომ თენგიზ კიტოვანმა თქვა, თითქოს ვიღაცამ გამსახურდია 50 ათას დოლარად მოკლაო, შემდეგ კი გიორგაძის ტყუილია მოყვანილი, ამ დროს გამსახურდიას ჯიბეში 2 მილიონი ჰქონდაო. ელემენტარულად, საბაზრო კანონებითაც რომ ვიმსჯელოთ, კაცი, რომელსაც 2 მილიონი ჰქონდა ჯიბეში, 50 ათას დოლარად მოკლეს?! რატომ უნდა დავუჯერო მე მატყუარა გიორგაძეს?

საგანგებოდ უნდა აღვნიშნო, რომ კომისიის არც ერთ მოწმეს არ ძალუძს, თავისი ჩვენებები რაიმეთი დაამტკიცოს – დოკუმენტით ან მოწმის სხვა დასტურით!

**გარდა ამისა, როცა გასროლის ხმაზე ოთახში შემოვარდნილმა როზინზონ მარგველანმა იარაღი ხელიდან გამოსტაცა ზვიადს, კოკოს ამ ფაქტის წინააღმდეგ დასკვნაში მასპინძლის სიტყვები მოჰყავს — მე რომ ავედი, ზვიადს ხელი გადმოგდებული ჰქონდა და იარაღი არ ეჭირაო. რა თქმა უნდა, არც ეჭირებოდა, გაშეშებულები ხომ არ დავუწყებდით მიცვალებულს ცქერას. როცა მასპინძლის ცოლი და შვილები ამოვიდნენ, როზინზონს უკვე თვალებიც დახუჭული ჰქონდა ზვიადისთვის. აბა, რა უნდა გვექნა იმ დროში და იმ პირობებში, ხიბულაში კრიმინალისტების მოსვლას დავლოდებოდით და მიცვალებულისთვის ხელი არ გვეხლო? ეს ხომ აბსურდი და სისულელეა?! კოკო კი აცხადებს — რადგან იმ მომენტში მიცვალებულს იარაღი ხელში არ ეჭირა, ე.ი. არც თავი მოუკლავსო.**

ასევე, მოწმეები ვერ ამბობენ, თავქვეშ ბალიში ედო ზვიადს თუ წიგნი. ამაზეც კი ქირქილი დაიწყეს. ბუნებრივია, ჯერ ბალიში ედო, შემდეგ მიცვალებულს თავის გასასწორებლად წიგნებიც მიაშველეს. მიცვალებული ზოგიერთმა მაშინ ნახა, როცა მხოლოდ ბალიში ედო თავქვეშ, ზოგმაც — როცა წიგნები ამოუდეს ქვემოდან. გააჩნია, ვინ როდის შემოვიდა ოთახში. ესენი კიდევ ამ განსხვავებებით მანიპულირებენ.

**— რა მოტივით?**

— მოტივი მარტივია, უნდათ, თვითმკვლელობის ნაცვლად, საქმე შეკვეთილი მკვლელობისკენ წაიყვანონ. მაგათ ასე აწყობთ.

**— რა სარგებელს უნდა ხედავდეს ამაში კოკო და დღევანდელი ხელისუფლება?**

— ყველას თავ-თავისი ინტერესი აქვს. **სააკაშვილის ხელისუფლებას სურს, რომ გამოაჩინოს, რა გარეწრები, მოღალატეები, ყაჩაღები ჰყავდა ზვიად გამსახურდიას შემოკრებილი და როგორი უუნარო იყო თავად. თუკი პრეზიდენტმა საკუთარი დაცვა ვერ მოაწყო, იგი საქართველოს როგორ მიხედავდაო, — აი ამ მესიჯის გამო აწყობს ეს აბსურდი ხელისუფლებას. ეს სჭირდებათ იმისთვის, რომ კიდევ ერთხელ გაა-** ▶

**სააკაშვილის ხელისუფლებას სურს, რომ გამოაჩინოს, რა გარეწრები, მოღალატეები, ყაჩაღები ჰყავდა ზვიად გამსახურდიას შემოკრებილი და როგორი უუნარო იყო თავად. თუკი პრეზიდენტმა საკუთარი დაცვა ვერ მოაწყო, იგი საქართველოს როგორ მიხედავდაო, — აი ამ მესიჯის გამო აწყობს ეს აბსურდი ხელისუფლებას.**

## იაპონიაში დაღუპულთა რაოდენობამ 10 ათასს მიაღწია

მიწისძვრისა და ცუნამის შედეგად იაპონიაში დაღუპულად 9811 ადამიანი ითვლება. პოლიციის ნაციონალური სამმართველო, რომელსაც ბუნებრივი კატაკლიზმების მსხვერპლთა აღრიცხვა ევალება, აცხადებს, რომ 25 მარტისთვის უგზო-უკვლოდ დაკარგულადაა მიჩნეული 17541 ადამიანი. საერთო ჯამში მსხვერპლთა რაოდენობა 27352 ადამიანს უტოლდება, თავშესაფრის გარეშე დარჩა 250 ათასი ადამიანი.



## „ფუკუსიმა 1“-ზე მდგომარეობა საგანგაშოა

იაპონიის ბირთვული უსაფრთხოების სააგენტოს ინფორმაციით, ატომური ელექტროსადგურის — „ფუკუსიმა დაიჩის“ მიმდებარედ რადიაციის გამოსხივების დონე საგანგაშოა. რადიაციით დაბინძურებულია ზღვის წყალიც, მასში რადიოაქტიური დონე დასაშვებზე ათი ათასჯერ მაღალია. პარალელურად, ფუკუსიმას პრეფექტურის 30-კილომეტრიანი რადიუსიდან მოსახლეობის ევაკუაცია დაიწყო. მეცნიერები რადიაციის გავრცელებას სხვა ქვეყნებშიც ვარაუდობენ.

ადამიანი, რომელიც ომში მიდის ისე, რომ გასაქცევ გზას არ იტოვებს და სულს არ ყიდის. ის რომ ხედავდა, საფრთხეში აგდებდა თავის გარშემო მყოფთ — არარაობა ბესარიონს, არარაობა რობინზონს და ამათ სიცოცხლეს სასწორზე დებდა, ამის გამო სინდისის ქენჯნას განიცდიდა. მე განწირული ვარ, ასე უთხრა მცველებს, თქვენ ახალგაზრდები ხართ, მიმატოვეთ და წადითო. მაგრამ ამ სიტყვებს დღეს ვის გააგებინებ?

ექსკლუზივი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# კოკო გამსახურდია სააკაშვილზე დიდი მატყუარაა

**პამპულონ გამსახურდია, გაამაიმუნონ, დეგენერატად შერაცხონ. დღე არ გავა, სააკაშვილსა და მის წრეს არ უკიჟინონ, არალეგიტიმურები ხართო. ჰოდა, ამ ფონზე მათთვის საშიშროებას ფინეთში მყოფი ბესარიონ გუგუშვილი და ლეგიტიმური მთავრობის დანარჩენი წევრები წარმოადგენენ.** მე პრემიერმინისტრობიდან ლეგიტიმურად და კანონიერად არავის გადავუყენებივარ, გადადგომაზე განცხადება არ დამიწერია და ვიჩემებ, რომ დღემდე ლეგიტიმური პრემიერი ვარ. ამ გზით გვებრძვიან ახლა ლეგიტიმურ ხელისუფლებას.

**განდიდების მანიით შეპყრობილ ოჯახს კი თვითმკვლელობა იმ მოტივით არ აწყობს, რომ ურჩევნია, წმინდანის შვილებისა და ოჯახის სახელი ჰქონდეთ, ვიდრე თვითმკვლელისა. მათი გადასახედიდან, კაცმა თუ თავი მოიკლა, წმინდანი ველარ იქნება.**

და ბოლოს, საზოგადოების 78 პროცენტი მიიჩნევს, რომ ზვიად გამსახურდია მოკლულიაო. ეს არის საზოგადოების ფსიქოლოგიის ცნობილი სპეციფიკა, რაზეც კარგად მუშაობს ხელისუფლების დაქვემდებარებაში არსებული ტელევიზიები, პრესა. ყველა ეს მოტივი კი საბოლოოდ თანხვედრია.

**— კოკო გამსახურდია ერთ-ერთ ინტერვიუში თქვენზე წერს, თითქოს იმ მოტივით არ დაიკითხეთ, რომ საქართველოში არ იმყოფებით...**

— ეს არის ტყუილი, ყველაფერს იტყუება... კოკო გამსახურდია სააკაშვილზე დიდი მატყუარაა. **საქართველოს ამჟამინდელი მთავრობა ჩემთვის არის არალეგიტიმური და კრიმინალური. ვინ უნდა დამკითხოს მე, ლეგიტიმური მთავრობის პრემიერ-მინისტრი და საქართველოს ემიგრანტული მთავრობის მეთაური, ამ კრიმინალებმა და ყაჩაღებმა?** კოკო იძახის, გუგუშვილი საქართველოს სამართლებრივ სივრცეში არ არსებობსო, როცა თავად ვარ სამართლის განსახიერება. თვითონ არ არსებობს კოკო საქართველოს სამართლებრივ სივრცეში.

**— ბატონო ბესარიონ, იქნებ, ბოლოს და ბოლოს, გავიგოთ, რა მოხდა რეალურად, რას ეყრდნობა თქვენი სიმართლე, აგვიწერეთ ის საბედისწერო მომენტი...**

— შუაღამე იყო, რობინზონ მარგველანი და ბაჩუკი გვანცელაძე გვერდით ოთახში იწვნენ, მე კი — ზვიადის გვერდით, მარცხენა საწოლზე. იარაღის გასროლის ხმაზე ყველანი წამოვხტით. მოვიხედე მარჯვნივ და ნახევრად სიბნელეში დავინახე ზვიადს პირიდან სისხლი გადმოსდიოდა. მეგონა, აღებინებდა და ყვირილით „არიქა, გული ერევა“-თქო შუბლის დასაჭერად მივვარდი, ღებინებისას რომ არ დამხრჩვალიყო... ზვიადი განსაკუთრებით და ჩვენც, ტყე-ღრეში ნახეტიალები ისეთი გაციებულები ვიყავით, სისხლსა და ჩირქს ვაღებინებდით ხველების დროს. ამიტომ, რამდენჯერაც დაახველებდა ზვიადი, იმდენჯერ საწოლიდან წამოიწეოდა, გამოიღებდა საწოლის ქვემოდან დიდ ალუმინის თასს, რომელსაც ყველა მასპინძელს სთხოვდა ხოლმე, ამოაღებინებდა სისხლს, გაუშვებდა ხელს თასს, რომელიც დაერეხვებოდა ფიცრის იატაკზე და ხელის კვრით ხრიგინ-ხრიგინით შეაგდებდა საწოლის ქვეშ. ამიტომ ვერ გავაანალიზე თავიდან, რომ ეს გასროლის ხმა იყო, იმდენად მქონდა ყური შეჩვეული თასის ბრახუნს. ღამეში 5-6-ჯერ მაინც მაღვიძებდა ეს ბრახუნი და ნამძინარევზე სწორედ ამ ხმასთან გავაკეთე სროლის ასოცირება. რობინზონი და ბაჩუკი კი გასროლის ხმაზევე წამოვარდნენ და ოთახში შემოცვივდნენ. რობინზონი პირველი მივარდა ზვიადს. მან პირველმა დაინახა იარაღი (სტეჩკინი) და ხელიდან გამოსტაცა, ჯერ კიდევ არ ვიცოდით, თავი თუ მოიკლა. ჩვენც რობინზონის შემდეგ მივვარდით, რადგან იმდენად ვიწრო გასასვლელი იყო, ორი კაცი ერთად ვერ გაეტეოდა. სად არის აქ მკვლელის ადგილი, რომელიც ჯერ მოკლავდა ზვიადს, მერე კი ხელში ჩაუდებდა პისტოლეტს? მითუმეტეს პისტოლეტი ხრჩოლავდა, ანუ ცხელი იყო...

**— ანუ თქვენ გდებენ ბრალს მკვლელის დაფარვაში?..**

— კომისია საერთოდ არავითარ ბრალეულობას არ აყენებს და მეტიც — თვითმკვლელობის ტექნოლოგიასა და დეტალებზეც არაფერს წერს. კომისია მხოლოდ ეჭვქვეშ აყენებს თვითმკვლელობის ვერსიას. ზოგადად, კომისიას ეჭვი შეაქვს და ბრალს გვდებს კრიმინალის დაფარვაში. თითქოს ჩვენ შეგნებულად მოვკიდეთ იარაღს ხელი, რომ მკვლელის ანაბეჭდები დაგვეკარგა. ერთი ეს მითხარით, **პროფესიონალი მკვლელი, რომელიც, დავუშვათ, დავალებაზე მიდის, თითის ანაბეჭდებს დატოვებს? უცხოური კრიმინალური ფილმები მაინც არ უნახავთ? თუ იმას ფანტაზიორობენ, რომ ეს მკვლელმა ჩაიდინა, იმას რატომ არ ფანტაზიორობენ, რომ მკვლელს მაშინ ხელთათმანიც ექნებოდა გაკეთებული? აი ამ სისულელეში გვდებენ ბრალს.**

**— დასკვნის მიხედვით, კოკოზე ზვიად გამსახურდია იმედებს ამყარებდა...**

— კი, დასკვნაში წერია — თითქოს ვახო ზარანდიასთვის უთქვამს ზვიადს, ჩემი შვილი ჩამოვა და ის ჩაუდგება ამ ბრძოლას სათავეშიო. ამ დროს კოკო შვეიცარულ ყველში იყო შემძვრალი წრუწუნასავით და ისუსნებოდა. აქ კი მამამისს კოკოს იმედი ჰქონდა. არ გამოვრიცხავ, როცა მამა-შვილი ერთმანეთს ევროპაში შეხვდა, კოკო ზვიადს დაჰპირდა, ჩამოვალ საქართველოში და გვერდით დაგიდგებიო, მაგრამ უღალატა მამას. ზარანდიას სიტყვებიდან გამოდის, რომ კოკო მამის მოღალატეა.

თვითონ კოკოს, კომისიას ან პროკურატურას რატომ არ დაებადათ კითხვა ათობით გამოკითხულის მიმართ: ზვიადმა რამე ხომ არ დაგაბარათ ოჯახთან ან დუდაევთანო? მითუმეტეს კაცი დაკარგულად ითვლებოდა. მაგრამ ეს კითხვა რომ დაესვათ, გამოირკვეოდა, ზვიადს ამის შესახებ არავისთან რომ არ უსაუბრია. მას არაფერი შეუთვლია არც დუდაევისთვის და არც საკუთარი ოჯახისთვის. მითუმეტეს, არანაირი კონფლიქტი არ არსებობდა, რის გამოც ოჯახი გასწირა. ზვიადი არ ცდილობდა ოჯახთან დაკავშირებას. ოჯახი ამუხრუჭებდა. კაცი, რომელიც თავის მოკვლას აპირებს, თუ ოჯახზე იფიქრა, თავს ვერ მოიკლავს.

**— ანუ თქვენ იცოდით ამ განზრახვის შესახებ?**

— არა, წარმოდგენაც არ მქონდა ამ განზრახვაზე. მთელი იმ 2 თვის განმავლობაში ვცდილობდი, დამერწმუნებინა ზვიადი, როგორმე ჩეჩნეთში დაბრუნებულიყო და მოხერხებულ დროს თავიდან რაღაც წამოგვეწყო. თუმცა ჩემს საუბრებს შედეგი არასდროს მოჰყოლია.

**— რა გიპასუხათ ამ შეთავაზებაზე, რჩევაზე?**

— **ზუსტად ეს ფრაზა: ბესო! მერამდენედ უნდა გავიქცეო. ზვიადმა თავის თავს უკანდასახევი გზა ამოუქოლა. ზვიადის ყოველი მისვლა რომელიმე ოჯახში და იქიდან წამოსვლა იყო საცოდაობა, ეს იყო დამცირებული ზვიადი, მიწასთან გასწორებული ზვიადი. იგი ათას ბოდიშს უხდიდა ოჯახს, სასიკვდილო რისკის ქვეშ რომ აყენებდა მასპინძელს, თუმცა ზვიადს მაინც ყველგან სიხარულითა და სიყვარულით იღებდნენ. ჩვენ მივდიოდით ამ ხალხთან და ვიცოდით, თუ იქ მოგვისწრებდნენ, მასპინძლებსაც ამოჟუჟავდნენ. ზვიადს სინდის-ნამუსი ჰქონდა, იგი სული და გული იყო. მისთვის მთელი ეს დრო საშინელი დამცირების პერიოდი იყო. ამ დროს შევარდნაძე „კურთხეული“ იყო და სასახლეში ცხოვრობდა, ზვიადი კი — „ბანდიტი“, რომელიც ტყეში იმალებოდა და იძულებული იყო, საცოდავი ოჯახები საფრთხეში ჩაეგდო.**

**— და რატომ იქცეოდა ასე? ამაზე თქვენს მეტს, არა მგონია, პასუხი ჰქონდეს.**

— რასაც თქვენ მე მეკითხებით, ეს კითხვა უნდა დაესვა პროკურატურას და კომისიას. **მე, ბესარიონ გუგუშვილი, გიმტკიცებთ, რომ ზვიადი დაეძებდა ან გამარჯვებას, ან ბრძოლაში სიკვდილს და, რადგან ვერც ერთს ვერ მიაღწია, თავი მოიკლა.**

**— ანუ სასოწარკვეთამ გადაადგმევინა ეს ნაბიჯი ზვიად გამსახურდიას?**

— **ტერმინები ჩემი შესარჩევი არ არის. ფაქტია, გამსახურდიას სიმართლისთვის ბრძოლა დიდი ხნის წინათ ჰქონდა მოგებული. ახლა პრაქტიკული გამარჯვების ჯერი იყო. ზუგდიდში რომ ჩავიდა, რა თქვა გამსახურდიამ? თქვა, რომ, მაგათ ჰგონიათ, საქართველოს პატრონი არ ჰყავს, მაგრამ მე დავანახებ, რომ ჰყავსო. ვიმარჯვებდით კიდეც, მაგრამ ამერიკამ ელცინს სთხოვა, შევარდნაძეს დაახმარეთ სამხედრო ძალაო და ელცინმაც დაახმარა. ამიტომ დავმარცხდით სამხედრო ბრძოლაში.**

მაშინ თქვა ზვიადმა, სხვა გზა არ დაგვრჩენია, მტერს უნდა შევაკლათ თავიო, ამის მოწმეებიც არიან. ჩვენგანაც თანხმობა იყო — თუ ბრძოლა იქნება, მტერს არ დავნებდებით ცოცხლები-თქო. ამის შემდეგ თითო-თითო პატრონა ამოვიღეთ ჩვენ-ჩვენი იარაღებიდან და გულის ჯიბეში ჩავიდეთ. იცით, ეს რას ნიშნავს ომში? — ის თითო პატრონა საკუთარი თავისთვის დავიტოვეთ. მაგრამ ეს ამბები კოკოსთვის — შვეიცარული ყველის წრუწუნასთვის, გაუგებარია და ზოგიერთი პარლამენტარისთვისაც, ვინც ამ საქმეს უკუღმა იძიებს. როცა გამსახურდია სიკვდილის რიგში იდგა, ისინი მხოლოდ ჭამდნენ.

**კომისიის დასკვნაში ასევე ნათქვამია, რომ თითქოს გამსახურდია გამოზამთრებას ელოდა და გაზაფხულიდან ახალ წამოწყებებს ვაპირებდით. რა ახალ შეტევებზე იყო საუბარი, როდესაც სამიოდე კაცი შემორჩა. ბალახს ეფარები?! — კაი რა...**

**— რამდენად გამართლებულად მიგაჩნიათ ზვიად გამსახურდიას თვითმკვლელობა?**

— **ეს იყო ვაჟკაცის, კაცისა და რაინდის გადაწყვეტილება. მეტიც — მე მის დასაფლავებაზე ვთქვი ასეთი ფრაზა: გმადლობთ, ზვიად, რომ შენი სიცოცხლით ჩვენ სიცოცხლე შეგვინარჩუნეთქო. მან ჩაიდინა სათნოება, დუდაევი პირდაპირ ამბობს, ზვიადმა საქართველოში მისი სახელით სისხლისღვრა შეწყვიტაო.**

ეს არ იყო ის თვითმკვლელობა, რომელიც შეიძლება სამარცხვინო ყოფილიყო ან დასაძრახი. საქართველოს სულიერ მისიასთან ერთად არსებობს ზვიად გამსახურდიას სულიერი მისია. ზვიად გამსახურდიამ საქართველოს მისცა მაგალითი: **ადამიანი, რომელიც ომში მიდის ისე, რომ გასაქცევ გზას არ იტოვებს და სულს არ ყიდის. ის რომ ხედავდა, საფრთხეში აგდებდა თავის გარშემო მყოფთ — არარაობა ბესარიონს, არარაობა რობინზონს და ამათ სიცოცხლეს სასწორზე დებდა, ამის გამო სინდისის ქენჯნას განიცდიდა. მე განწირული ვარ, ასე უთხრა მცველებს, თქვენ ახალგაზრდები ხართ, მიმატოვეთ და წადითო. მაგრამ ამ სიტყვებს დღეს ვის გააგებინებ?**

ესაუბრა
ეკა რობაქიძე

1993 წლის სექტემბერი



1993 წლის დეკემბერი





მოკლედ

## გვატემალის პრეზიდენტი ცოლს ეყრება

გვატემალის პრეზიდენტმა ალვარო კოლომმა და მისმა მეუღლემ სანდრა ტორესმა გაყრა გადაწყვიტეს, რათა ახლანდელმა პირველმა ლედიმ საპრეზიდენტო პოსტზე საკუთარი კანდიდატურა წამოაყენოს. საბოლოო გადაწყვეტილებას, მიიღებს თუ არა სანდრა ტორესი არჩევნებში მონაწილეობას, საკონსტიტუციო სასამართლო გამოიტანს. თავის მხრივ, ოპოზიცია კოლომასა და ტორესის მიმართ კრიტიკულადაა განწყობილი და მათ ქმედებებში უპატიოსნო ბრძოლის აშკარა ნიშნებს ხედავს.




## BBC-ის რუსული სამსახური მაუწყებლობას წყვეტს

მედიის ინფორმაციით, BBC-ის რუსული სამსახური ამიერიდან მაუწყებლობას ინტერნეტით გააგრძელებს. გავრცელებული ინფორმაციით, ამის მიზეზად ბრიტანული კორპორაციის საბიუჯეტო პრობლემები სახელდება. რადიოს წამყვანები სინანულს გამოთქვამენ იმის გამო, რომ მათ გადაცემებს ამიერიდან რადიოეთერში ველარ მოისმენენ. თავად BBC-მ გამოაქვეყნა რეპორტაჟი „BBC-ის განთიადი და დაისი“. იგი რადიოს წარსულსა და მომავალ გეგმებს ეხება. BBC-ის რუსულ სამსახურს 65-წლიანი ისტორია აქვს.

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**საინტერესოა იოსებ ნონეშვილის მოგონება, რომელიც 1956 წლის 9 მარტს უკავშირდება, როდესაც სტალინის დასაცავი მიტინგები იმართებოდა. უცებ, ტრიბუნასთან თავისუფალ მიკროფონთან ორი 16-17 წლის ახალგაზრდა ავარდა და დაიძახა: „გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!“ და ჩახტნენ და გაქრნენო, იგონებს იოსებ ნონეშვილი, — მაშინ საუბარი სტალინის დაცვაზე იყო, საქართველოს დამოუკიდებლობა არავის აზრად არ მოსვლია. შევხედე და ვიცანი — ერთი კონსტანტინეს ბიჭი იყო და მეორე — მისი მეგობარიო.**

## ვალტერ შურღაია:

# ჩვენი მიზანი არაა ბატონის გამოცვლა, უკეთესი ბატონის პოვნა

**1991 წლის 31 მარტს საქართველოში საყოველთაო სახალხო რეფერენდუმი ჩატარდა, რომელშიც საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას საარჩევნო ხმის უფლების მქონე მოსახლეობის 98 პროცენტმა დაუჭირა მხარი. რეფერენდუმის შედეგების საფუძველზე, 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო „სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი“. იმავე დღეს ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა საგანგებო რეზოლუციით ლეგიტიმურად ცნო 31 მარტის რეფერენდუმის შედეგები. ქვეყნის უახლესი ისტორიის ამ უმნიშვნელოვანესი მოვლენებიდან ოცი წელი გავიდა, ამიტომ ამ მოვლენებზე სასაუბროდ მაშინდელი უშიშროების საბჭოს წევრს ვალტერ შურღაიას ვესტუმრეთ.**



**— 31 მარტს 20 წელი შესრულდება, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა. თქვენ მაშინ ამ პროცესების მონაწილე იყავით, როგორ უყურებთ იმ მოვლენებს დღევანდელი გადასახედიდან?**

— პირველ რიგში, არ შემიძლია ქართველი ფეხბურთელების გამარჯვება არ მივულოცო ჩვენს ერს. ქართველებისთვის ფეხბურთი არასდროს ყოფილა მხოლოდ სპორტის სახეობა. ამ გამარჯვებით დავამტკიცეთ, რომ ჩვენ ვარსებობთ და გვეკუთვნის ამ სამყაროში რაღაც ადგილი. საქართველოს ისტორია ხომ ომებისა და ბრძოლების ისტორიაა, რაც დღესაც გრძელდება და მომავალშიც გაგრძელდება, ალბათ. ასეთი ყოფილა მცირერიცხოვანი ქვეყნების ბედი.

**რაც შეეხება დამოუკიდებლობის აქტის მიღებას, ყველამ კარგად იცის, რომ მერაბ კოსტავასა და ზვიად გამსახურდიას ტანდემის მიერ გამოღვიძებულმა ქართველმა ერმა შეძლო ეს. მათ მოსვლამდე ეროვნული სული იმ დონეზე იყო მიძინებული, რომ მას ჩამკვდარიც შეიძლება ვუწოდოთ, თუმცა ლტოლვა თავისუფლებისკენ, ალბათ, ყველა ქართველის გულში ბჟუტავდა.**

შეიძლება ახლა ყველა ამბობს, რომ იბრძოდა თავისუფლებისთვის, მაგრამ ეს ასე არაა. იყო ბრძოლა კარიერისთვის, იყო პარტია, კომკავშირი, თანამდებობას ვერ იშოვიდი კომკავშირში ყოფნის გარეშე და ამიტომ იყო ამ ორი ბუმბერაზი პიროვნების მოსვლა მნიშვნელოვანი. 16 წლის ასაკში კი ვყრიდი პროკლამაციებს, მაგრამ ვერაფრის გაკეთება შევძელი. სამაგიეროდ, შეძლეს მერაბმა და ზვიადმა. ესაა განსხვავება. იმიტომაც მივედი მათთან. პატარა მდინარე ყოველთვის ჩაედინება დიდ მდინარეში. **ზოგ ქვეყანას შეიძლება დამოუკიდებლობის მოპოვება უბრძოლველად ჩაუვარდა ხელში. შუა აზიის რესპუბლიკებს სულ არ უცდიათ ბრძოლა. იბრძოდა უკრაიანა, საქართველო და ბალტიისპირეთი. ჩვენი ბრძოლის ფინალი კი დამოუკიდებლობის აქტის მიღება იყო.**

**— 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმში მონაწილეობა 3 მილიონ 326 ათასმა ამომრჩეველმა მიიღო. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას აფხაზეთში მცხოვრებმა 210 ათასი ხმის უფლების მქონე ქართველმა და აფხაზმა დაუჭირეს მხარი. თქვენი აზრით, დღეს რომ იმავეს გაკეთება მოუწიოს ქართველ ერს, რამდენად იქნება ასეთი ერთსულოვანი?**

— როდესაც დამოუკიდებლობის აქტზე ვმუშაობდით, აუცილებელი იყო, გვეკითხა ხალხისთვის — სურდა თუ არა დამოკიდებლობის მოპოვება. ფორმალური მხარე იყო, თორემ, ხალხს რომ ეს უნდოდა, ეროვნული მოძრაობის დროს დაამტკიცა, მთელი საქართველო ფეხზე რომ იდგა, ქართველი და არაქართველიც კი. **ჩვენ ჩავატარეთ რეფერენდუმი 31 მარტს და მოსალოდნელზე მეტი შედეგი მივიღეთ: ხმა მოგვცეს ოსებმა, აფხაზებმა და საქართველოში მცხოვრებმა თითქმის ყველა ადამიანმა. სხვათა შორის, ხელმომწერთა შორის იყვნენ ისინიც, ვინც გვებრძოდა.**

მახსოვს, ტელევიზიით ვნახე, მოსკოვის პუტჩამდე წამოდგა ერთი დეპუტატი და თქვა, მოითმინეთ ერთი კვირა და დედა გეტირებათო და ზუსტად ერთი კვირის მერე პუტჩისტებმა საბჭოთა კავშირის აღდგენა სცადეს. ასეც იყო. საქართველოს პუტჩის მერე დამტკიცდა, ვინ იყო მომხრე და ვინ საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგი. რწმენა ყოველთვის მქონდა, რომ საქართველო დამოუკიდებელი იქნებოდა, მაგრამ ჩემს სიცოცხლეშივე თუ მოხდებოდა, არ მეგონა. **ვერც ერთი ლიდერი ვერაფერს გააკეთებს, თუ მას ხალხი არ აჰყვა და — პირიქით. ლიდერის როლი ძალიან დიდია და იგი იმ ხალხს სჭირდება, რომელსაც მომავლის გზა ჩამოყალიბებული არ აქვს, თორემ უკვე ჩამოყალიბებულ ქვეყანას ლიდერი აღარ სჭირდება.** პირადად მე ვოცნებობ ისეთ საქართველოზე, რომელსაც ჩამოყალიბებული და ძლიერი ლიდერი აღარ დასჭირდება, როცა იმდენად ძლიერი იქნება ქვეყანა, რომ, ვინც არ უნდა იყოს ქვეყნის სათავეში, ქვეყნის ბედისთვის მნიშვნელობა არ ექნება.

**— დღეს, როცა ეს 20 წელი უკვე ნანახი გაქვთ, ისევ ისე მოიქცეოდით, როგორც 1991 წლის 31 მარტს? გამართლდა თქვენი მოლოდინი?**

— მე ვიბრძოდი გაცილებით უკეთესი საქართველოსთვის. რაზეც ვოცნებობდი, როგორ საქართველოზეც, იმის მეათასედიც არ გვაქვს. დღეს ჩვენ გვაქვს ქვეყანა, რომელიც დამოუკიდებელია, მაგრამ არის კი ეს ქვეყანა? შედგა კი სახელმწიფოდ? ფაქტობრივად, დაშლილია და ეს ქართველი პუტჩისტების ბრალია. ყველაფერი იქიდან იწყება. **ნახევარი მსოფლიო გვებრძოდა ქართველების ხელით, არც რუსებს და არც მაშინდელ ამერიკას არ სჭირდებოდა თავისუფალი საქართველო და მერე უკვე, როცა დაპირისპირება აღმოიფხვრა, რატომღაც პატრიოტიზმი მეორე პლანზე გადავიდა და ცუდ ტონად იქცა. დღესაც ცუდ ტონად ითვლება.** დღევანდელი პოლიტიკა არის ბრძოლა ხელისუფლებისთვის და, რა თქმა უნდა, თუ პარტია არსებობს, უნდა ეცადოს, ხელისუფლებაში მოვიდეს, ისე მის არსებობას აზრი არ აქვს. და თუ ხელისუფლებაში ხარ, დღედაღამ შენი ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე უნდა ფიქრობდე. მე, პირადად, ასეთი საქართველოსთვის, როგორიც დღესაა, არ მიბრძოლია.

## «ჩემთვის აბსოლუტურად სულერთია — რუსეთის მონა ვიქნები თუ ამერიკის»

**— რამდენად მაღალია თავისუფლების დონე დღევანდელ საქართველოში მაშინდელთან შედარებით?**

— მაშინ საქართველო ერთიანი იყო. ჯერ კიდევ 9 აპრილს ერთიანი იყო ყველა: პოლიცია, მოქალაქე, ადამიანები რიგდებოდნენ, რაც გარეშე დარტყმამ განაპირობა. ამან გააერთიანა ქართველი ერი. მაგრამ მერე, **როცა ქართველი ქართველს დაუპირისპირდა და ერთიანობას წყალი შეუდგა, უდიდესი დარტყმა მიადგა ერის თვითშეგნებას. ქართული მენტალიტეტი დაზიანდა და დღესაც არაა აღდგენილი.** მაინც ოპტიმისტი ვარ, თუმცა დიდი დრო უნდა ამის აღდგენას. თქვენ ნახავთ გაბრწყინებულ საქართველოს. არ მინდა, პესიმისტურად ჟღერდეს, მაგრამ იმ საქართველოს ვერ მოვესწრები, რომლისთვისაც ვიბრძოდი.

**— რა მოგვიტანა საქართველოს დამოუკიდებლობამ და რა დავკარგეთ?**

— დამოუკიდებლობას არ მოუტანია ის, როგორი ცხოვრებაც დღეს გვაქვს. ჩვენს ხასიათში არაა, ეტყობა, ის სიმტკიცე, რომელიც უნდა გვქონდეს. ილიას აქვს გასაოცარი ლექსი „ბედნიერი ერი“. ერთხელ საპყრობილიდან გამოგზავნილ წერილშიც დავწერე და ახლაც ვიტყვი, რომ, ჩემი ნება რომ იყოს, ყველა ქართველს ზეპირად ვასწავლიდი ამ ლექსს. რაც „ბედნიერ ერში“ წერია, ისაა ქართველი კაცი, ჩვენდა საუბედუროდ. ერი, რომელსაც ყველაფერი შეუძლია, მზადაა, დაჭამოს ერთმანეთი. ილიას ამ ლექსს დიდი გამოხმაურება მოჰყვა, ამას მოჰყვა მეორე ლექსი „ჩემო კალამო, ჩემო კარგო“... შედეგად ილია მოკლეს.

XX საუკუნის დასაწყისიდან მეშვიდე წელს ილიასა და XX საუკუნის გასვლამდე შვიდი წლით ადრე ზვიადის სიკვდილში მე რაღაც მისტიკას ვგრძნობ. ჩვენი ერი დღემდე რომ მოვიდა, გმირებისა და წმინდანების დამსახურებაა. სხვაგვარად ერი, რომელიც ამდენ შეცდომას უშვებს, ამდენხანს ვერ იარსებებდა.

**— სამწუხაროდ, დღევანდელ საქართველოში არ აფასებენ გმირებსა და წმინდანებს. ამის მაგალითად ისიც გამოდგება, რომ მილიონებს ხარჯავენ ხიდების და შადრევნების მშენებლობისთვის, საქართველოს პირველი პრეზიდენტის ერთადერთი ძეგლი კი ზუგდიდშია, რომელიც ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას ინიციატივით სახალხო მოძრაობა „სამეგრელომ“ დადგა.**

— ამან არ უნდა შეგვაშინოს. გასული საუკუნის დაახლოებით ორმოციან წლებამდე ილია ჭავჭავაძის სახელის ხსენებაც კი არ შეიძლებოდა, მაგრამ მოვიდა დრო და ილია არის ილია. ზვიადს, ამ შემთხვევაში, უფრო გაუმართლა. მან მიაღწია მიზანს და უდიდესი გამარჯვება მოიპოვა. მან და მერაბმა დააგვირგვინეს ის, რაც ილიამ დაიწყო. ერთხელ მერაბს ვკითხე, ღმერთმა ჩვენ თუ გაგვამარჯვებინა, შენ რა გინდა-მეთქი და იცით, რა მიპასუხა? მე მიწა მიყვარს და ერთ ჰექტარ მიწას არ მომცემთო? ისინი არ იბრძოდნენ რაღაცისთვის, ერთი დიდი მიზანი ჰქონდათ მარტო — სამშობლოს განთავისუფლება.

**საინტერესოა იოსებ ნონეშვილის მოგონება, რომელიც 1956 წლის 9 მარტს უკავშირდება, როდესაც სტალინის დასაცავი მიტინგები იმართებოდა. უცებ, ტრიბუნასთან თავისუფალ მიკროფონთან ორი 16-17 წლის ახალგაზრდა ავარდა და დაიძახა: „გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!“ და ჩახტნენ და გაქრნენო, იგონებს იოსებ ნონეშვილი, — მაშინ საუბარი სტალინის დაცვაზე იყო, საქართველოს დამოუკიდებლობა არავის აზრად არ მოსვლია. შევხედე და ვიცანი — ერთი კონსტანტინეს ბიჭი იყო და მეორე — მისი მეგობარიო.**

ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას გათელილ გზაზე სხვა ხალხი მოდის, მედროვეები, რომლებმაც იციან, რომ, პირველი ვინც მიდის, ფინიშამდე ან ვერ მივა, ან მისვლიდან ცოტა ხანში დაიღუპება და ხელსაყრელ დროსა და მომენტს ელოდება.

**— ხშირად ამბობენ, რომ კარგია რუსული ჩექმისგან თავის დაღწევა, მაგრამ ახლა ამერიკის გავლენის ქვეშ ვართ. რა შეიცვალა?**

— მიტინგებზეც ხშირად გვითქვამს და პირად საუბრებშიც, რომ ჩვენი მიზანი არაა ბატონის გამოცვლა, უკეთესი ბატონის პოვნა. ჩვენი თავი, ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენ უნდა გვეკუთვნოდეს. სამწუხაროდ, აბსოლუტური დამოუკიდებლობა არ არსებობს ჩვენს სამყაროში. ამერიკა რომ ამერიკაა, ისიც კი ვილაცაზე რაღაცითაა დამოკიდებული, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ შენ იმდენად იყო ვილაცაზე დამოკიდებული, რომ საკუთარი მე დაკარგო. პოლიტიკოსი ყოველთვის უნდა ცდილობდეს, სახელმწიფო სხვა ქვეყანაზე მთლიანად დამოკიდებული არ გახადოს. ჩემთვის აბსოლუტურად სულერთია, რუსეთის მონა ვიქნები თუ ამერიკის.

**— ამბობენ, რომ საქართველოს კეთილდღეობისთვის აუცილებელია, ეს ხელისუფლება გადადგეს. ოპოზიციაში თუ ხედავთ ვინმეს საიმედოს და მხოლოდ ხელისუფლების შეცვლა მოუტანს თუ არა ქვეყანას კეთილდღეობას?**

— როდესაც რამდენიმე წლის წინათ ოპოზიციის გამოსვლები დაიწყო, ვერავინ დამასწრებდა იქ მისვლას, რწმენა რომ მქონოდა. ჩემთვის აქსიომაა ის, რომ არასოდეს ენდო მას, ვინც ერთხელ მაინც გიღალატა. **ოპოზიციაშიც და ხელისუფლებაშიც მრავლად არიან ადამიანები, ვინც საქართველოს ლახვარი ჩასცა და ჩვენ ამის შედეგებს დღემდე ვიმკით.** ვერ დავდგებოდი იმათ გვერდით, ვინც საქართველოს ტყვია ესროლა. ამიტომ არ მქონდა არც ხელისუფლებაში და არც ოპოზიციაში ყოფნის სურვილი. ბუნებრივი შეკითხვაა — სახლში ჯდომა რას მოგცემს, ხომ არაა ეს ღალატი? ბევრჯერ დამისვამს ეს კითხვა საკუთარი თავისთვის. მე რაც შემეძლო, გავიღე ჩემი ქვეყნისთვის, ასე ვიმშვიდებ თუ ვიტყუებ თავს. იქნებ კიდევ შემიძლია რამე?! არ ვიცი, ჩემი შესაძლებლობების ზღვარი სად გადის. **მე ვერც ხელისუფლებაში და ვერც ოპოზიციაში ვხედავ იმ ძალას, რომელიც საქართველოს ფეხზე დააყენებს.** ღმერთმა ქნას, ხვალ გამოჩნდეს.

**— შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ეს ყველაფერი მწარე საფასურია თავისუფლებისა, რომლის გარეშეც ნორმალური მომავლის შექმნა შეუძლებელია?**

— არა. დამოუკიდებლობის საფასური შეიძლება იყოს მსხვერპლი, სისხლი, მაგრამ, როდესაც დამოუკიდებლობას მოიპოვებ და შედეგად ცუდი ცხოვრება გაქვს, ეს საფასური კი არაა, ეს დამოუკიდებლობის მომპოვებელი ხალხის, მმართველი ძალის უნიათობა და დანაშაულია.

ესაუბრა
**ლილი მიროტაძე**

„ჩვენ, დიდი ხანია, მივეჩვიეთ იმასაც, რომ დღეს პოლიტიკური პარტიების უმეტესობა პატრონს ეძებს და არა — პარტნიორს. ისინი ცდილობენ, ურთიერთობა ისეთ ძალებთან იქონიონ, რომლებიც გარანტად დაუდგებიან ხელისუფლებაში მოსასვლელად და ა. შ. სამწუხაროდ, ეს კასტა უკვე ჩამოყალიბდა“.

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# ხურდა ფული — დიდ პოლიტიკურ თამაშში

**საქართველოს სუვერენიტეტს 20 წელი შეუსრულდა, თუმცა სხვადასხვა ქვეყნების მიერ „ანტირუსულ ინსტრუმენტად“ სახელმწიფოს სუვერენიტეტზე საუბარი ბევრს დღეს სასაცილოდ არ ჰყოფნის. „ვითომ სუვერენიტეტის“ აღმავლობა კი ჩვენი „პარტნიორი“ ქვეყნებისთვის საკმაოდ მოსაწონი და ხელსაყრელია, რადგან ასეთი ქვეყანა დიდ პოლიტიკურ თამაშში ხურდა ფულის როლს ასრულებს. ჩვენი რესპონდენტები, ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებიდან გამომდინარე, ლოგიკურ და საფუძვლიან ანალიზს აკეთებენ იმის თაობაზე, თუ რამდენად მოვახერხეთ სუვერენული სახელმწიფოს შენარჩუნება, რამ დასცა სუვერენიტეტის ხარისხი საქართველოში და რა ელოდება ქვეყანას არაადეკვატური სვლების შემთხვევაში.**

## მამუკა გიორგაძე: დღეს საქართველოში დამოუკიდებელი, თავისუფალი პოლიტიკური სუბიექტების მწვავე დეფიციტია

**მამუკა გიორგაძე, სახალხო პარტიის თავმჯდომარე:**

— ის, თუ რამდენად ვახორციელებთ დღეს საკუთარ სუვენერულ უფლებებს არა მარტო საერთაშორისო ურთიერთობებში, არამედ ჩვენსავე ტერიტორიაზე, რამდენად ეძლევა ქართველ ერს საშუალება, დამოუკიდებელი გადაწყვეტილებებით წარმართოს საკუთარი ცხოვრება, სამწუხაროდ, გაუგებარია, რადგან ზემოთ ჩამოთვლილთაგან არც ერთი ფუფუნება არ გაგვაჩნია, რაშიც უდიდესი „წვლილი“ ჩვენვე მიგვიძღვის. თუმცა, რაც დღეს საქართველოში ხდება, არ არის მხოლოდ ქართველი ერის „შიდა დუღილის“ შედეგი. ეს არის აბსოლუტურად მართვადი პროცესი, რაშიც ქართველი პოლიტიკური სუბიექტები მხოლოდ ამა თუ იმ როლზე დამტკიცებული მსახიობის ფუნქციას ასრულებენ. მთელი აჟიოტაჟიც იმის გამო ატყდება ხოლმე, თუ ვინ იქნება მთავარ როლზე წარდგენილი, ვინ ჩაერთვება საერთოდ სპექტაკლში და ვინ მიიღებს დაფინანსებას ამა თუ იმ მიზანსცენის განხორციელებისას. საერთოდ არ მიდის მუშაობა იმ მიმართულებით, რომ ქართველებმა ჩვენი ქვეყნის მშენებლობისთვის გამიზნული ნაბიჯები გადავდგათ.

**ჩვენ, დიდი ხანია, მივეჩვიეთ იმასაც, რომ დღეს პოლიტიკური პარტიების უმეტესობა პატრონს ეძებს და არა — პარტნიორს. ისინი ცდილობენ, ურთიერთობა ისეთ ძალებთან იქონიონ, რომლებიც გარანტად დაუდგებიან ხელისუფლებაში მოსასვლელად და ა.შ. სამწუხაროდ, ეს კასტა უკვე ჩამოყალიბდა. სამარცხვინო არ არის ე.წ. სატელევიზიო ოპოზიციის უმეტესობა, ხელგაწვდილი რომ ჩადიოდა სხვადასხვა ქვეყანაში და 5-5 ათასებს ემათხოვრებოდა ვიღაცვიღაცებს? დღეს საქართველოში დამოუკიდებელი, თავისუფალი პოლიტიკური სუბიექტების მწვავე დეფიციტია.**

**— რატომ მივიღეთ ასეთი სავალალო შედეგი, ბატონო მამუკა?**

— იმიტომ რომ, ჩვენ ჯერ კიდევ არ გაგვითავისებია, პოლიტიკაში ლამაზი თვალების გამო არავინ არაფერს იძლევა. უნდა მოვიშოროთ ის ფსიქოლოგიური მუხტი გონებიდან, რომ რომელიღაც ქვეყანას ჩვენ ვუყვარვართ, რომელიღაცას კი — ვძულვართ. **არც ერთი ქვეყანა საკუთარი ინტერესების იგნორირების ხარჯზე ჩვენ არ დაგვიცავს. თქვენ რა გგონიათ, აშშ და რუსეთი ოდესმე საქართველოს გამო ერთმანეთს დატაკებია ან დაეტაკება, მით უფრო, რომ ასე აწყობთ ერთმანეთთან საქმიანი პარტნიორობა?!** ეს ხომ მიამიტობაა. ქართველებმა ეს ბავშვური ფსიქოლოგია უნდა მოვიშოროთ და საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე სრულფასოვან პარტნიორებად წარვსდგეთ. ჩვენი ქვეყნის ინტერესების რეალიზება თავად უნდა შეგვეძლოს. რატომღაც მივეჩვიეთ, ყოველთვის სხვამ გაგვიკეთოს საქმე — ხან რუსეთმა, ხან დასავლეთმა, ხან თურქეთმა, ხანაც ჩინეთმა და ა. შ. სახელმწიფოს ჩვენ არავინ აგვიშენებს და, თუ აგვიშენებს, მხოლოდ ისეთს, როგორიც მას აწყობს, ის კი აღარ იქნება ქართული სახელმწიფო. აქამდე, დღევანდელ ცივილიზაციამდე, ჩვენი სახელმწიფო ქართველებმა მოვიყვანეთ, ყველაფერი ჩვენით გავაკეთეთ. ჰოდა, აქამდე მოტანილი ჩვენვე უნდა მივიყვანოთ თანამედროვე ეტაპის ცივილიზებულ საზოგადოებამდეც. ამიტომ ნურავისგან ნუ ველოდებით ისეთ არაორდინალურ რამეს, რაც მსოფლიოში არ მომხდარა.





**— საქართველოში არსებული სუვერენიტეტის ხარისხის გათვალისწინებით, ამ ეტაპზე რამდენად მაღალია შანსი, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოს ავაშენებთ?**

— ამ ეტაპზე შანსი, ფაქტობრივად, არ არსებობს, რადგან იკლებს პილიტიკურად თავისუფალი, აქტიური სუბიექტების რაოდენობა და ინტელექტუალური დონე. ეს ხელისუფლება ზუსტად პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების მარგინალიზაციისკენ არის მოწოდებული, ამიტომაც გვყავს ისეთი კვალიფიციური პოლიტიკური სუბიექტები, რომლებიც მართვას ექვემდებარებიან.

საზოგადოება უნდა გამოფხიზლდეს, რესურსი ისევ ჩვენშია. ჩვენმა უნიათობამ, უსუსურობამ, პასიურობამ დღეს ეს შედეგები მოგვცა ქვეყნის შიგნით და გარეთ. ამიტომ უნდა ვეცადოთ, სუვერენიტეტის ხარისხი ავწიოთ და ურთიერთობები შინ და გარეთ დავარეგულიროთ. როცა დაინახავს ჩვენი მოწინააღმდეგე, რომ საკუთარი თავის ფლობა შეგვიძლია, გაცილებით პატივისცემით განეწყობა ჩვენდამი. აბა, ახლა რა პატივისცემაზეა საუბარი, როცა ქართველები მომსახურეობას სთავაზობენ გარეშე პოლიტიკურ ძალებს.

## ბესიკ ალადაშვილი: ჩვენი ქვეყანა სათანადოდ მომზადებული უნდა შეხვდეს გლობალურ გამოწვევებსა და საფრთხეებს, რათა არ დავკარგოთ ეროვნული თვითმყოფადობა

**ბესიკ ალადაშვილი, ექსპერტი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში, უშიშროების გადამდგარი პოლკოვნიკი, ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი:**

— ქვეყნის სუვერენიტეტის მნიშვნელოვან საფრთხედ გლობალიზაციის პროცესი გვესახება. თანამედროვე გლობალურ მსოფლიოში სხვა ქვეყნის წინააღმდეგ უშუალო სამხედრო მოქმედებამ და აშკარა დაპირისპირებამ ადგილი დაუთმო ზემოქმედების უფრო ელასტიურ და ფარულ ფორმებს — ეკონომიკურ ომს, სტრატეგიული რესურსების ექსპორტ-იმპორტის პოლიტიკურ ბერკეტად გამოყენებას, ეკონომიკურ ბლოკადას, სანქციას, სახელმწიფო და კომერციული საიდუმლო ინფორმაციის არასანქცირებულ მოპოვებას და ა.შ., რისი საშუალებითაც სუსტდება სხვა ქვეყნის სუვერენიტეტი, ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალი, საკუთარი ეროვნული ინტერესების გატარება კი ძლიერდება.

უნდა ვაღიაროთ, რომ გლობალიზაციის შედეგად მთელი რიგი ახალი საფრთხეები წარმოიშვა: **ეკონომიკური უთანასწორობა, ეკონომიკური არასტაბილურობა, სასაქონლო, საფონდო და სავალუტო ბაზრების სულ უფრო მზარდი დამოკიდებულება გეოპოლიტიკურ ფაქტორებზე, სამუშაო ძალის მზარდი ლეგალური და არალეგალური მიგრაცია, სავაჭრო და სავალუტო ომები, ორგანიზებული დანაშაული, „კორპორატიული თაღლითობა“ (მაგ. კომპანია „ენრონისა“ და მილიარდერ ბერნარ მედოფის საფინანსო თაღლითობები) და ა.შ.**

**ფაქტია, რომ გლობალიზაციამ გაამარტივა სპეკულანტებისა და „ჰაკერების“ თავდასხმა მსოფლიო საფინანსო-ეკონომიკურ სისტემებზე.**

გლობალიზაცია რადგან ყოველნაირი საზღვრების გახსნას გულისხმობს, ხოლო უსაფრთხოება — რეგულირების პოლიტიკას, მივიღებთ, რომ გლობალიზაცია და უსაფრთხოება გარკვეულწილად ურთიერთსაწინააღმდეგო პროცესებია.

**გლობალიზაციის დროს მსოფლიო ეკონომიკური განვითარების საფუძველი ინტერნაციონალური (კოსმოპოლიტური) გახდა, რომლის ფუნქციონირებასაც, შეიძლება ითქვას, არარეგულირებადი, უმართავი საბაზრო ძალები განსაზღვრავს. გლობალურმა ეკონომიკურმა კრიზისმა დაგვანახა, რომ მსოფლიო გლობალური სასაქონლო, საფონდო და სავალუტო ბაზრები რაიმე ხელშესახებ რეგულირებას, ფაქტობრივად, აღარ ექვემდებარება.**

ეკონომიკური გლობალიზაციის პროცესში საქართველოს ეკონომიკური სუვერენიტეტის დაცვის მექანიზმი ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა უნდა გახდეს. ბუნებრივია, გლობალურ პროცესებს ვერც საქართველო აუვლის გვერდს.

გლობალიზაციის ობიექტური პროცესი ყველას ერთიან კოსმოპოლიტურ მოთხოვნებს უყენებს, რაც ძალზე ართულებს ეროვნული ეკონომიკის, კულტურის, ისტორიის, ტრადიციებისა და ა.შ თვითმყოფადობის შენარჩუნებას.

**სულ მალე, ალბათ, ხევსურეთის ან სვანეთის პატარა სოფელიც უფრო ღრმად ინტეგრირებული აღმოჩნდება მსოფლიო ტურიზმისა და ინტერნეტის ერთიან სივრცეში. ამის დადებითი და უარყოფითი ნიშნები კი უკვე სახეზეა. ამიტომ ჩვენი ქვეყანა სათანადოდ მომზადებული უნდა შეხვდეს გლობალურ გამოწვევებსა და საფრთხეებს, რათა არ დავკარგოთ ეროვნული თვითმყოფადობა.**

ეკონომიკური გლობალიზაციის პოზიტიური ფაქტორების მიუხედავად, ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების ღონისძიებების დაგეგმვა და გატარება თანამედროვე ეტაპზე გარდაუვალად გვესახება, რადგან, სანამ არსებობს ერი და ერის თვითიდენტიფიცირების მოთხოვნილება, ეროვნული იდეოლოგია, სახელმწიფო საზღვრები, იარსებებს ეროვნული ინტერესებიც. ის კი განუხრელ დაცვას საჭიროებს.

**ეკა რობაქიძე**

## ამერიკული უცოდინარობა

ამერიკელთა 38 პროცენტმა აშშ-ის მოქალაქეობის მისაღებად ტესტი ვერ ჩააბარა. გამოკითხულთა 29 პროცენტმა აშშ-ის ახლანდელი ვიცე-პრეზიდენტის სახელი არ იცის, 73 პროცენტს „ცივი ომის“ წარმოშობის მიზეზებზე წარმოდგენა არ აქვს, 6 პროცენტმა კი არ იცის, როდის აღინიშნება მათ ქვეყანაში დამოუკიდებლობის დღე. **„საზოგადოების მხრიდან უცოდინარობა სიახლე არაა. ეს სამწუხარო მონაცემები ჯერ კიდევ ჰარი ტრუმენის დროინდელი გამოკითხვების დროს ფიქსირდებოდა. თუმცა სამყარო იცვლება და უცოდინართა მიმართ მეგობრული აღარ იქნება“,** — ამბობენ ექსპერტები.

## კუჩმა ბრალდებებს უარყოფს



უკრაინის ექსპრეზიდენტი ლეონიდ კუჩმა ჟურნალისტ გიორგი ღონღაძის მკვლელობის საკითხთან დაკავშირებით გენერალურ პროკურატურაში დაკითხვაზე მივიდა. **„როგორც იცით, პროკურატურაში ამ საქმესთან დაკავშირებით პირველად არ მოვსულვარ. ხუთი წლის წინათ უკვე ვთქვი, რომ ეს მკვლელობა არის უდიდესი პროვოკაცია უკრაინის წინააღმდეგ და დღესაც ასე მივიჩნევ“,** — აღნიშნა კუჩმამ. შეგახსენებთ, ჟურნალისტი 2000 წლის 16 სექტემბერს გაუჩინარდა. ორი თვის შემდეგ კი მისი ცხედარი ტარაშის ტყეში აღმოაჩინეს. კუჩმამ პროკურატურის ბრალდებები ამჯერადაც პირწმინდად უარყო.

სტატისტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**ამჟამინდელი პენსიები ჩამორჩება მსყიდველობითი უნარიანობით არა მარტო ორი ათეული წლის წინანდელ პენსიებს, არამედ ჩვენი მეზობლების ანალოგიურ ამჟამინდელ მაჩვენებლებსაც. დღეისათვის საქართველოს, მეზობელ პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან შედარებით, ყველაზე მაღალი საპენსიო ასაკობრივი თასმა და ყველაზე დაბალი საშუალო პენსია აქვს. თუ საქართველოში იგი 48 აშშ დოლარია, სომხეთში — დაახლოებით 65 დოლარი, აზერბაიჯანში — 106.7 დოლარი, რუსეთში – 240 დოლარი. ამასთან, საშუალო ხელფასთან საშუალო პენსიის თანაფარდობითაც ჩვენ მნიშვნელოვნად ჩამოვრჩებით ზემოჩამოთვლილ ქვეყნებს: საქართველო — 14%-ით, სომხეთი — 20.1%-ით, რუსეთის ფედერაცია — 34.0%-ით, აზერბაიჯანი — 34.9%-ით.**

# საქართველოს მოსახლეობა 20 წელიწადში 20 პროცენტით შემცირდა





## საქართველო 1988-2010 წლებში
## სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ეკონომიკურ-სტატისტიკური შედარება

**შედარებების განხორციელებას ყოველთვის თან ახლავს გარკვეული პირობითობა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც იგი სხვადასხვა სისტემის, ისტორიული ეპოქების მიხედვით ხორციელდება.**

განვლილ ორ ათეულ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ჩვენს ქვეყანაში შეიცვალა საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემა, შესაბამისად, ფასეულობათა სისტემა, საზოგადოების წევრთა დიდი ნაწილის საქმიანობის სფერო, შემოსავლების სტრუქტურა, სამომხმარებლო დოვლათის ასორტიმენტი, თავად მოხმარების ფორმა... მაგალითად, ამჟამინდელი სამომხმარებლო კალათა მნიშვნელოვნად განსხვავდება ორი ათეული წლის წინანდელი სამომხმარებლო კალათისგან. უფრო მეტიც, დღევანდელი რიგითი სტუდენტის გლობალურ ინფორმაციულ რესურსებზე ხელმისაწვდომობის შესაძლებლობებზე, სისწრაფისა და სისრულის მხრივ, ხატოვნად რომ ვთქვათ, აშშ-ის რეიგანამდელ ყველა პრეზიდენტს მხოლოდ ოცნება შეეძლო.

თუმცა ინფორმაციული რესურსი და მისდამი ხელმისაწვდომობა აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა ცხოვრების დონისა და ხარისხის განსაზღვრაში. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ზოგადად მთელი ის სამომხმარებლო დოვლათი, რისი მიღებისა და გამოყენების შესაძლებლობა გააჩნიათ ადამიანებს. ამ კუთხით განსაკუთრებით საინტერესოა შედარებები წინა ისტორიული ეპოქის, ფორმაციის მაჩვენებლებთან ცალკეული სახის დოვლათის წარმოებისა და მოხმარების ინდიკატორების მიხედვით.

თუ შედარებებს განვახორციელებთ 1988 წელთან, ბევრ საინტერესო და საგულისხმო გარემოებას დავაფიქსირებთ.

ამჟამინდელი **ლარის მსყიდველობითი უნარიანობა 1988 წლის 32 კაპიკის ეკვივალენტურია (1988 წლის 100 მანეთი = 2010 წლის 315,5 ლარს ან — პირიქით, 100 ლარის მსყიდველობითი უნარიანობა ჰქონდა 1988 წლის 31 მანეთსა და 70 კაპიკს).** სხვაგვარად რომ ვთქვათ, **2010 წლის ქართული ლარი 1988 წლის საბჭოთა მანეთს მსყიდველობთი უნარიანობით თითქმის 3,2-ჯერ ჩამორჩება.**

დავიხსომოთ ეს პროპორცია, რადგან იგი ბევრი სხვა საინტერესო შედარებისთვის გვაძლევს გასაღებს.

### დემოგრაფიული მდგომარეობა, დასაქმება, პენსიონერები:

შედარება დავიწყოთ იმით, რომ **საქართველოში ამჟამად გაცილებით ნაკლები (18-20 პროცენტით) ხალხი ცხოვრობს, ვიდრე — 20-25 წლის წინათ.** მოსახლეობის ნაწილი „ჩარჩენილია" საქართველოს ხელისუფლების არაკონტროლირებად, „დამოუკიდებელ" აფხაზეთსა და „სამხრეთოსეთში", დანარჩენები სხვადასხვა მიზეზთა გამო (ძირითადად, ეკონომიკური მოტივებით) მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში არიან გახიზნული.

**ბოლო 20 წლის მანძილზე საქართველოს მოსახლეობა არა მარტო შემცირდა, არამედ საგრძნობლად დაბერდა კიდეც. მედიანური ასაკი** (ანუ ასაკი, რომელთანაც შედარებით მოსახლეობის ნახევარი უმცროსია, მეორე ნახევარი კი — უფროსი) **გაიზარდა 6.4 წლით — 31.2 წლიდან 37.6 წლამდე.** შედარებისთვის: იმავე პერიოდში სომხეთის მოსახლეობის მედიანური ასაკი გაიზარდა მხოლოდ 5 წლით (27-დან 32 წლამდე), აზერბაიჯანის მოსახლეობისა კი — 5.2 წლით (23.2 წლიდან 28.4 წლამდე). დღეისათვის აღნიშნული ინდიკატორით საქართველო „უსწრებს" სომხეთს 5.2 წლით, აზერბაიჯანს — მთელი 9.2 წლით, თურქეთს — 9.3 წლით, საშუალო მსოფლიო მედიანურ ასაკს კი — 8.5 წლით. დემოგრაფიული ფონის დამძიმება გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დინამიზმზეც – **მოსახლეობის ერთი წლით დაბერება იწვევს მთლიანი შიდა პროდუქტის წარმოების პოტენციალის თითქმის 2.5-პროცენტიან შემცირებას.** სხვაგვარად რომ ვთქვათ, საქართველოს მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა ამჟამად რომ 1990-იანი წლების დასაწყისის დონეზე იყოს, ჩვენ საშუალება გვექნებოდა, დამატებით გვეწარმოებინა ამჟამინდელზე არანაკლებ 3.2 მლრდ ლარით (15 პროცენტით) მეტი მთლიანი შიდა პროდუქტი, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში მოგვეხდინა ამჟამინდელზე დაახლოებით 800 მილიონი ლარით მეტი სახსრების აკუმულირება და აღნიშნულის ხარჯზე, ფაქტობრივად, გაგვეორმაგებინა საშუალო პენსია.

მიუხედავად 1990-იანი წლების ბოლოს საპენსიო ასაკის გაზრდისა, პენსიონერთა წილი მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში 1980-იან წლებთან შედარებით, ფაქტობრივად, არ შეცვლილა, რაც ასევე მიუთითებს საქართველოს მოსახლეობის დაბერებაზე.

### დასაქმება და უმუშევრობა

მოსახლეობის დაახლოებით 1/5-ით შემცირების პირობებში დასაქმებულთა საერთო რაოდენობა ქვეყანაში შემცირდა 1.7-ჯერ, მათ შორის დაქირავებით დასაქმებულების რაოდენობა — 3.7-ჯერ, 2.2 მლნ.-დან 0.6 მლნ.-მდე. ეს ნიშნავს, რომ **ქვეყანაში დაქირავებით დასაქმების დონე ამჟამად 1980-იანი წლებზე 3-ჯერ დაბალია.**

საქართველო ერთ-ერთია (თუ ერთადერთი არა) იმ ქვეყნებიდან, რომელთაც დაქირავებით დასაქმებულთა ნახევარზე მეტი ქვეყნის ფარგლებს გარეთ ჰყავს დასაქმებული.

ოფიციალურად საბჭოთა სისტემა არ ცნობდა უმუშევრობას. 2010 წლის ბოლოს კი საქართველოში 321 ათასი უმუშევარი იყო, უმუშევრობის დონე 16.3 პროცენტს შეადგენდა. იმათი ჩათვლით, ვისაც მუშაობის სურვილი ჰქონდა, მზად იყო მუშაობის დასაწყებად, მაგრამ აღარ ეძებდა აქტიურად სამუშაოს, ანუ მიეკუთვნებოდა სამუშაოს შოვნის „ხელჩაქნეულთა" კატეგორიას, უმუშევართა რაოდენობა გაიზრდება 385 ათასამდე, ხოლო უმუშევრობის დონე – 19.0 პროცენტამდე.

### შრომის მწარმოებლურობა

საქართველოს ეროვნულ მეურნეობაში საშუალოდ ერთ დასაქმებულზე წარმოებული დამატებული ღირებულება შეადგენდა: 1988 წელს 4.9 ათას მანეთს, 2010 წელს – 12.2 ათას ლარს, ანუ, ლარისა და მანეთის მსყიდველობითი უნარიანობის პარიტეტით, 1988 წლის დონის 82.5 პროცენტს. სოფლის მეურნეობის გარეშე, დანარჩენ დარგებში ამჟამინდელი შრომის მწარმოებლურობა დაახლოებით 1.4-ჯერ მაღალია 1988 წლის დონესთან შედარებით (პროგრესი მისასალმებელია, თუმცა შრომის მწარმოებლურობის საშუალო წლიური მატების ტემპი მხოლოდ 1.6 პროცენტია). ამასთან, **სოფლის მეურნეობის ამჟამინდელი (2010 წ.) შრომის მწარმოებლურობა 1988 წლის დონის მხოლოდ 16 პროცენტია, ანუ ორი ათეული წლის წინანდელ დონეს თითქმის 6-ჯერ და მეტად ჩამოუვარდება!**

შრომის დაბალი მწარმოებლურობა სოფლად უმუშევრობის დაბალი დონის შებრუნებული მაჩვენებელია. აგრარულ სექტორში უმუშევრობა მხოლოდ 7 პროცენტია, ეს იმ დროს, როდესაც **ამ დარგში ერთი დასაქმებულის მიერ შექმნილი დამატებული ღირებულება ოფიციალურ საარსებო მინიმუმზე ნაკლებია**. აგრარული სექტორი, მინიმალურად დასაშვები ეფექტიანობის შემთხვევაში, უნდა ინახავდეს საკუთარ თავს და კიდევ, სულ ცოტა, 2 კაცს. ამის გათვალისწინებით დასაქმების რეალური დონე სოფლის მეურნეობაში არ უნდა აღემატებოდეს 400 ათასს; დანარჩენი კი, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მეთოდოლოგიით, ფაქტობრივად, ფორმალურადაა „მიწერილი" დასაქმებულებზე. თუ ამ ფორმალიზმს არ მივაქცევთ ყურადღებას, მაშინ უმუშევრობის დონე დეკლარირებული 16.8 პროცენტიდან 43 პროცენტამდე გაიზრდება.

მოკლედ, **ორიდან ერთი უნდა ვაღიაროთ, რომ: ან შრომის ამჟამინდელი მწარმოებლურობა საქართველოს სოფლის მეურნეობაში 1980-იანი წლებისას 6-7-ჯერ ჩამოუვარდება, ან საქართველოში 321 ათასი უმუშევარი კი არაა, როგორც ამას სტატისტიკის სამსახური ითვლის, არამედ — 800 ათასზე მეტი**. მოკლედ, სიტუაცია ძალიან ჩამოჰგავს ერთ ოდესურ ანეგდოტს, აბანოში ძმაკაცები რომ ამუნათებენ მეგობარს: რაბინოვიჩ, რა არის, სულ აიღე ნამუსზე ხელი? — ან ჯვარი მოიხსენი, ან საცვალი ამოიცვი...

### სასოფლო-სამეურნეო წარმოება და აგრარული სექტორის მატერიალური ბაზა

1980-იან წლებში საქართველოს სოფლის მეურნეობაში იქმნებოდა მთლიანი შიდა პროდუქტის თითქმის 30 პროცენტი. ამჟამად ამ დარგის წილი მხოლოდ 8.4 პროცენტია.

1980-იანი წლების ბოლოს საქართველოში მარცვლეულ კულტურებს ეკავა 270 ათასი ჰა, მოსავალი კი 600 ათას ტონას აღემატებოდა. 2009 წელს, შესაბამისად, — 216.8 ათასი ჰა და 364.8 ათასი ტონა. **დღეისათვის საქართველოს სოფლის მეურნეობა ორი ათეული წლის წინანდელ პერიოდთან შედარებით აწარმოებს ნაკლებს**: მარცვლეულს — 1.6-ჯერ, კარტოფილს – 1.5-ჯერ, ბოსტნეულსა და ბაღჩეულს – 3.0-ჯერ, ხილს – 3.6-ჯერ, ყურძენს – 4-ჯერ, ციტრუსებს – 6.1-ჯერ, ხორცს – 3.2-ჯერ, რძეს — 1.3-ჯერ, კვერცხს – 2.1-ჯერ, მატყლს - 3.6-ჯერ ნაკლებს. სოფლის მეურნეობას ამჟამად, 1988 წელთან შედარებით, 1.5-ჯერ ნაკლები მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი და 2.8-ჯერ ნაკლები ცხვარი და თხა ჰყავს.

1988 წელს, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობა არ გამოირჩეოდა მოწინავე პოზიციებით და, რბილად რომ ვთქვათ, სულაც არ წარმოადგენდა სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესისა და ტექნოლოგიური ნოვაციების პოლიგონს, გააჩნდა დაახლოებით ნახევარი მილიარდი მანეთის მანქანა-იარაღები და სატრანსპორტო საშუალებები, მათ შორის 27 231 ტრაქტორი, 1 691 კომბაინი, 28.5 ათასი სატვირთო ავტომობილი. ძირითადი საწარმოო ფონდების ღირებულება კი ოთხ მილიარდ მანეთს აღემატებოდა. 1990 წელს ყოველ 100 ჰა ნათეს ფართობზე საქართველოში 526 კვტ.სთ ენერგეტიკული სიმძლავრეები მოდიოდა (მთლიანად სოფლის მეურნეობაში – 3.2 მლნ. კვტ.სთ-ის ენერგეტიკული სიმძლავრეები). მარტივად რომ ვთქვათ, **თითოეულ სოფელზე საშუალოდ 8-8 ტრაქტორი და სატვირთო ავტომობილი მოდიოდა** (მოსახლეობის პირად საკუთრებაში არსებული ტექნიკის გარდა). განა დღეს ბევრია საქართველოში სოფელი, რომლებსაც თუნდაც ერთი ტრაქტორი მაინც აქვს?!

ადგილობრივი წარმოების წილი, ფაქტობრივად, გამოყენებული რესურსების მთლიან მოცულობაში ცალკეული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სახეების მიხედვით დღეისათვის შეადგენს (პროცენტობით): ხორბალი – 7.3%-ს, სიმინდი – 76%-ს, კარტოფილი – 82.8%-ს, ბოსტნეული – 67.2%-ს, ხორცი – 45.7-ს, რძე – 88.7 პროცენტს. აქ ხაზი უნდა გაესვას, რომ ეს არის წარმოების თანაფარდობა იმ რესურსებთან, რისი მოხმარების საშუალება და უფლება აქვს ქვეყანას ამჟამად. თუ რაციონალური მოხმარებიდან ამოვალთ, მაშინ, რა თქმა უნდა, თვითუზრუნველყოფის მაჩვენებლები კიდევ უფრო დაბალი იქნება. მაგალითად, **ხორცის საშუალო სულადობრივი მოხმარე-** ▶

**ბოლო წლებში მნიშვნელოვნად შემცირდა ქვეყნის ეკონომიკაში რეალური სექტორის წილი, მაღალი რჩება სიღარიბის დონე და იზრდება სიღარიბის საკუთარ საფუძველზე კვლავწარმოების ალბათობა, სულ უფრო თვალშისაცემი ხდება ზოგიერთი სახის შეღავათისა და დახმარების ასიმეტრიული, უკუპროპორციული განაწილება რეციპიენტების მატერიალურ მდგომარეობასა და დახმარების საჭიროებასთან შედარებით, აქტუალურს ხდის ქვეყნის შემოსავლების ფორმირების სისტემური ცვლილების, მათ შორის ახალი სამუშაო ადგილების, შექმნისა და შემოსავლებსა და კეთილდღეობაში მონეტიზაციის როლის გაძლიერების აუცილებლობას.**

სტატისტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**ბა 1988 წლის დონეზე რომ გავიდეს, მაშინ საჭირო იქნება მისი ადგილობრივი წარმოების სულ ცოტა გაორმაგება ან იმპორტის თითქმის 1,5-ჯერ გაზრდა.**

## დასაქმება და შრომის ანაზღაურება

დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო ხელფასი 2010 წელს შეადგენს 609 ლარს, საშემოსავლოს გარეშე – 487.2 ლარს; 1988 წელს საშუალო ხელფასი საშემოსავლო გადასახადის გარეშე შეადგენდა 164 მანეთს. შესაბამისად, **საშუალო ხელფასის რეალური მსყიდველობითი უნარიანობა 2010 წელს შეადგენს 1988 წლის დონის თითქმის 94 პროცენტს.**

ამასთან ერთად, 2010 წელს 1988 წელთან შედარებით, დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობის ჯერადი, სიმცირის გამო, 2010 წლის ხელფასის ჯამური ფონდის თანაფარდობა 1988 წლისასთან შეადგენს მხოლოდ 27 პროცენტს, მოსახლეობის თანაბარ რიცხოვნობაზე გაანგარიშებით კი – მხოლოდ 1/3-ს.

## პენსიები და პენსიონერები

მძიმეა პენსიონერთა ამჟამინდელი მდგომარეობა. მათი საშუალო პენსია 2010 წლის მდგომარეობით საშუალო ხელფასის მხოლოდ 14 პროცენტია (1988 წელს 41 პროცენტი იყო). **მსყიდველობითი უნარიანობით ამჟამინდელი პენსია 1988 წლის პენსიის მხოლოდ 36 პროცენტი და ამჟამინდელი საარსებო მინიმუმის მხოლოდ 55 პროცენტია.**

ამჟამინდელი პენსიები ჩამორჩება მსყიდველობითი უნარიანობით არა მარტო ორი ათეული წლის წინანდელ პენსიებს, არამედ ჩვენი მეზობლების ანალოგიურ ამჟამინდელ მაჩვენებლებსაც. დღეისათვის საქართველოს, მეზობელ პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან შედარებით, ყველაზე მაღალი საპენსიო ასაკობრივი თასმა და ყველაზე დაბალი საშუალო პენსია აქვს. თუ საქართველოში იგი 48 აშშ დოლარია, სომხეთში — დაახლოებით 65 დოლარი, აზერბაიჯანში — 106.7 დოლარი, რუსეთში – 240 დოლარი.

ამასთან, საშუალო ხელფასთან საშუალო პენსიის თანაფარდობითაც ჩვენ მნიშვნელოვნად ჩამოვრჩებით ზემოჩამოთვლილ ქვეყნებს: საქართველო — 14%-ით, სომხეთი — 20.1%-ით, რუსეთის ფედერაცია — 34.0%-ით, აზერბაიჯანი — 34.9%-ით.

ამ ორი ათეული წლის წინანდელი საშუალო პენსია თითქმის უტოლდებოდა მაშინდელ საარსებო მინიმუმს, ხოლო პენსიონერთა დეპოზიტების საშუალო სიდიდე 22-ჯერ აღემატებოდა საარსებო მინიმუმს. დღეისათვის პენსიონერთა საშუალო პენსია 45 პროცენტით ჩამორჩება საარსებო მინიმუმს, ხოლო პენსიონერთა დეპოზიტების საშუალო სიდიდე 2-ჯერაც ვერ აღემატება მათ ამჟამინდელ საარსებო მინიმუმს. თუკი მაშინ პენსიონერთა დეპოზიტების მთლიანი თანხა ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 20 პროცენტს აღემატებოდა, დღეისათვის იგი 1.5 პროცენტზე ნაკლებია.

## შინამეურნეობათა შემოსავლები და კეთილდღეობა

საქართველოს მოსახლეობის საშუალოდ ერთ შინამეურნეობაზე ფულადი შემოსავლების მოცულობა თვეში შეადგენს 540 ლარს, ანუ, 2010 წლის ლარისა და 1988 წლის მანეთის პარიტეტის გათვალისწინებით, **2010 წლის შინამეურნეობის ფულადი შემოსავლების მსყიდველობითი უნარიანობა შეადგენს 1988 წლის ანალოგიური მაჩვენებლის მხოლოდ 34.6 პროცენტს. მთლიანი შემოსავლების მიხედვით (რომლებშიც იგულისხმება, აგრეთვე, ნატურალური შემოსავლებიც), ანალოგიური თანაფარდობა 42 პროცენტია.**

მდგომარეობას ამწვავებს ის გარემოება, რომ მოსახლეობის საშემოსავლო დიფერენციაცია, ყველაზე მაღალი და დაბალი დეცილური ჯგუფების მიხედვით, თუ 1988 წელს შეადგენდა 4.5-ს, 2010 წლისთვის 17-მდე გაიზარდა და პოსტსაბჭოთა სივრცეში ერთ-ერთი უმაღლესი მაჩვენებელია. თანაც, ამჟამინდელი ყველაზე მაღალშემოსავლიანი მოსახლეობის მეოთხედი თავისი კეთილდღეობით უსწრებს 1980-იანი წლების ქართული საზოგადოების ყველაზე მაღალშემოსავლიანი მეოთხედის კეთილდღეობას. „სამაგიეროდ“ დანარჩენი მოსახლეობის კეთილდღეობა, მატერიალური და არამატერიალური დოვლათით უზრუნველყოფის დონე თითქმის სამჯერ ჩამორჩება წინა ეპოქისას.

## მანეთი – „ღარიბების ვალუტა“, ლარი — „მდიდრების ვალუტა“

ფასწარმოქმნის მექანიზმის წყალობით, საბჭოთა პერიოდში დოტაციები წესდებოდა პირველადი მოხმარების საქონელზე (კვების ძირითადი პროდუქტები, საბავშვო საქონელი), ხოლო არაპირველადი სახის საქონელი იბეგრებოდა მაღალი, აქციზური ტიპის გადასახადებით (ალკოჰოლური სასმელები, საიუველირო ნაწარმი, ავტომობილები და ა.შ.). თუკი საბჭოთა პერიოდში მოსახლეობის დიფერენცირება შემოსავლების მიხედვით უფრო მაღალი იყო, ვიდრე ფაქტობრივი მოხმარების მიხედვით, ამჟამად საპირისპირო სურათია – დოვლათის მოხმარების მასშტაბების, კეთილდღეობის მიხედვით, მოსახლეობის დიფერენცირება, სოციალურ-ეკონომიკური პოლარიზაცია გაცილებით სჭარბობს შემოსავლებით, განკარგვადი სახსრებით დიფერენცირებას. შესაბამისად, **ლარის პარიტეტი მანეთთან მით უფრო მაღალია, რაც უფრო მაღალია თანამედროვე პერიოდში შინამეურნეობის მიმდინარე შემოსავლები, განკარგვადი სახსრები.** აღნიშნულ გარემოებათა, აგრეთვე, სხვადასხვა თანხობრივი პარამეტრისათვის განსხვავებული მსყიდველობითი უნარიანობის გამო **შეიძლება საბჭოთა მანეთს პირობითად „ღარიბების ვალუტა“, ხოლო ქართულ ლარს „მდიდრების ვალუტა“ ვუწოდოთ.** ფასწარმოქმნის სისტემის განსხვავებულ კონცეპტუალურ მოდელზე ორგანიზების გამო, პირველი ხელს უწყობდა საზოგადოებაში ეგალიტარიზმის გაძლიერებას, ხოლო მეორე, პირიქით, ხელს უწყობს დიფერენციაციისა და პოლარიზაციის გაძლიერებას.

## დასკვნის ნაცვლად

მოტანილ ინფორმაციას არ აქვს მხოლოდ შემეცნებითი ხასიათი. იგი გვიჩვენებს, თუ რა იყო, რა არის ამჟამად და როგორია მათ შორის დამყარებული პროპორციები. შესაბამისად, ქმნის განწყობას, მოლოდინის ვექტორს, თუ საით, როგორ უნდა განვითარდეს ეკონომიკა, რა ჩამორჩენები უნდა დაძლიოს.

ამასთან, აღნიშნულთან ერთად ის გარემოებანი, რომ ბოლო წლებში მნიშვნელოვნად შემცირდა ქვეყნის ეკონომიკაში რეალური სექტორის წილი, მაღალი რჩება სიღარიბის დონე და იზრდება სიღარიბის საკუთარ საფუძველზე კვლავწარმოების ალბათობა, სულ უფრო თვალშისაცემი ხდება ზოგიერთი სახის შეღავათისა და დახმარების ასიმეტრიული, უკუპროპორციული განაწილება რეციპიენტების მატერიალურ მდგომარეობასა და დახმარების საჭიროებასთან შედარებით, აქტუალურს ხდის ქვეყნის შემოსავლების ფორმირების სისტემური ცვლილების, მათ შორის ახალი სამუშაო ადგილების, შექმნისა და შემოსავლებსა და კეთილდღეობაში მონეტიზაციის როლის გაძლიერების აუცილებლობას. ეს ხელს შეუწყობს სხვადასხვა სოციალური ჯგუფისა და განსხვავებული შემოსავლების მქონე შინამეურნეებში განკარგვადი სახსრების ერთეულის მსყიდველობითი უნარიანობის დაახლოებას, დღეისათვის არსებული უზარმაზარი საშემოსავლო და ქონებრივი დიფერენციაციის შემცირებას საზოგადოებრივი პროგრესისათვის აუცილებელ და საკმარის, ოპტიმალურ და სამართლიან დონემდე. ასეთ შემთხვევაში შედარებებში სულ უფრო მეტი ინდიკატორით გვექნება რეალური პროგრესი და სულ უფრო ნაკლები საფუძველი გვექნება, რომ ნოსტალგიით გადავავლოთ თვალი წარსული ეპოქის მახასიათებელ სტატისტიკურ ინდიკატორებს...

**იოსებ არჩვაძე,**
**2011 წლის მარტი**

ცხრილი N1

## საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ზოგიერთი ინდიკატორი 1988 და 2010 წლებში

| | 1988 | 2010 | 2010 %-ით 1988-თან |
|---|---|---|---|
| მოსახლეობა, ათასი კაცი | 5400 | 4436 | 82.9 |
| მოსახლეობის მედიანური ასაკი, წელი | 31.2[2] | 37.6 | 120.5 |
| დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა, ათასი კაცი | 2228 | 600 | 26.9 |
| ყოველ 1000 კაცზე დაქირავებით დასაქმებულთა რიცხოვნობა | 393 | 135 | 34.4 |
| საქართველოს მოსახლეობის მთლიანი განკარგვადი ხელფასის (ნეტო-ხელფასის) ფონდი, მლნ. ერთეული შესაბამისი წლის ვალუტა | 4124.7 | 3507.8 | 27.0/32.6[3] |
| საშუალო ნეტო-ხელფასი ერთ დაქირავებით დასაქმებულზე, | 164 | 487 | 94 |
| საშუალო პენსია | 76 | 85 | 35.5 |
| საშუალო პენსიის თანაფარდობა საშუალო ხელფასთან, % | 41 | 14 | X |
| ერთი შინამეურნეობის საშუალო თვიური ფულადი შემოსავალი | 495 | 540 | 34.6 |
| მოსახლეობის ეკონომიკური დიფერენციაციის დეცილური კოეფიციენტი [4] | 4.5 | 17.0 | X |
| შრომის მწარმოებლურობა (მშპ ერთ დასაქმებულზე) ეროვნულ მეურნეობაში, სულ – ათასი ერთეული შესაბამის ვალუტაში | 4.9 | 12.2 | 82.5 |
| შრომის მწარმოებლურობა სოფლის მეურნეობაში, ათასი ერთეული შესაბამის ვალუტაში | 3.6 | 1.7 | 15.5 |

1. ფულადი ინდიკატორები: 1988 წ. — მანეთებში, 2010 წ. — ლარებში;
2. 1990 წელი;
3. მნიშვნელში – მოსახლეობის ერთსა და იმავე რიცხოვნობაზე გაანგარიშებით;
4. ყველაზე მაღალშემოსავლიანი 10%-ის შემოსავალ/ხარჯების თანაფარდობა ყველაზე დაბალშემოსავლიანი 10%-ის შემოსავალ/ხარჯებთან.

ცხრილი N2

## სოფლის მეურნეობის განვითარების ზოგიერთი ინდიკატორი 1988-2009 წლებში

| | 1988 | 2009 | 2009წ. %–ით 1988–წელთან |
|---|---|---|---|
| მარცვლეული კულტურების ფართობი, ათასი ჰა | 270 | 216.8 | 80.3 |
| წარმოება, ათასი ტონა: | | | |
| მარცვლეული | 600 | 364.8 | 60.8 |
| კარტოფილი | 326 | 216.8 | 66.5 |
| ბოსტნეული | 641 | 214 | 33.4 |
| ხილი | 653 | 181.2 | 27.7 |
| ყურძენი | 620 | 150.1 | 24.2 |
| ციტრუსები | 437 | 70.9 | 16.2 |
| მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ათასი სული | 1547.8 | 1014.7 | 65.6 |
| ცხვარი და თხა, ათასი სული | 1894.0 | 673.8 | 35.6 |
| ხორცის წარმოება, ათასი ტონა | 172.1 | 54.3 | 31.6 |
| რძის წარმოება, ათასი ტონა | 730.5 | 551.4 | 75.5 |
| კვერცხის წარმოება, მლნ. ცალი | 890.2 | 430.6 | 48.4 |
| მატყლის წარმოება, ათასი ტონა | 6.8 | 1.8 | 26.5 |

## გაზეთებიდან

**გუბაზ სანიკიძე,**
**„ეროვნული ფორუმის“ ლიდერი:**



ბევრს როგორ უნდა, იცი? მე და კახა შარტავა შევიდეთ სააკაშვილის კაბინეტში, ავიღოთ ავტომატი, დავხვრიტოთ და დანარჩენებმა ტელევიზორში უყურონ ამას! მაგრამ ასე არ იქნება, ჩემო კარგო! ყველამ საკუთარი წილი იბრძოლოს საქართველოსთვის! ასეა ეს!

*„ასავალ-დასავალი“*

**თემურ შაშიაშვილი,**
**მოძრაობა „თეთრების“ ლიდერი:**



მიღწეულია შეთანხმება იმაზე, რომ, თუ ვითარება გამწვავდება და საქმე საქმეზე მიდგება, საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ხელისუფლებები სპეცრაზმებით თუ ზონდერჯგუფებით ერთმანეთს დაეხმარონ.

*„ასავალ-დასავალი“*

**ირაკლი ალასანია,**
**„თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი:**



არ დაგიმალავთ, რომ, თუკი ვინმე ახლოსაა იარაღთან, ერთ-ერთი მე ვარ, რადგან მაქვს სამხედრო განათლება და აფხაზეთიდან დაწყებული პანკისით დამთავრებული — ყველგან ვიყავი, მაგრამ ვთვლი, რომ ეს დრო უნდა ჩავაბაროთ ისტორიას.

*„ვერსია“*

**შალვა ხაჭაპურიძე,**
**„ჩვენი საქართველოს“ ლიდერი:**



არ დაიჯეროთ, რომ ეს კურდღლები, რომლებსაც დამპალი ხორცის ნაჭრები ეძახა სააკაშვილმა ტბის პირას გამართულ მთავრობის სხდომაზე, ამათგან რომელიმე სააკაშვილს დაუპირისპირდება.

*„ახალი თაობა“*

**ნუკრი ქანთარია,**
**„ქართული აკადემიის“ წევრი:**



თუ ხელისუფლებამ შიშით ისროლა და ერთი წვეთი სისხლი მაინც დაიღვარა, პროცესი მასობრივ შურისძიებაში გადავა და შედეგად, ერთი გვამიც რომ მივიღოთ, ხალხი ხეებზე თავების ჩამოკიდებას დაიწყებს. არ მინდა ამ სცენარზე ფიქრი.

*„ვერსია“*

**ზვიად ძიძიგური,**
**კონსერვატიული პარტიის ლიდერი:**



დარწმუნებული ვარ, 2013 წელს სააკაშვილი არც პრეზიდენტი იქნება და არც — პრემიერი.

*„ახალი თაობა“*

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**ქვეყანაში მიმდინარეობს ქართველი ხალხის სულიერების განადგურება, რაც ყველაზე უფრო მტკივნეულია. აღარ არსებობს ქართული კინო, ქართული თეატრი, ქართული მწერლობა, ქართული მუსიკა... ეს არის ჩემთვის ყველაზე მტკივნეული, თორემ პოლიტიკოსები შეიცვლებიან, ერთი წავა და მეორე მოვა, ქართული ხელოვნების აღდგენას კი დიდი დრო დასჭირდება.**

## გიგა ლორთქიფანიძე:

# ვერც კი ვგრძნობ, რომ 20 წელი დამოუკიდებელი ქვეყანა ვართ

**1991 წლის 31 მარტი საქართველოს ისტორიაში უმნიშვნელოვანესი დღეა. საქართველოს მოსახლეობის დიდმა ნაწილმა, ქვეყნის თავისუფლებას უპირობოდ დაუჭირა მხარი. როგორ განვლო თავისუფლების ოცი წელი ქვეყანამ და როგორ განვითარდა ქართული კულტურა და ხელოვნება, აწ უკვე ყოველგვარი ცენზურისა და უცხო ძალების ჩარევის გარეშე, ცნობილი ქართველი რეჟისორი გიგა ლორთქიფანიძე გვესაუბრა, რომელსაც მიაჩნია, რომ თავისუფლება, რაზეც ქართველი ხალხი ორასი წელიწადი ოცნებობდა, დღემდე ვერ მოვიპოვეთ.**



**— ოცი წელი გავიდა, რაც საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოა. თავისუფლებისთვის რთული და ხანგრძლივი ბრძოლის შედეგად მოვიპოვეთ ჭეშმარიტი დამოუკიდებლობა?**

— დამოუკიდებელ სახელმწიფოზე ქართველი ხალხი საუკუნეები ოცნებობდა, ამიტომ ჩვენი დამოუკიდებლობის ოცი წლისთავი ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ საკითხავია, რამდენად დამოუკიდებლები ვართ. **ჩემთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, ჩვენი ხელისუფლება მოსკოვში ირბენს „საკითხის შესათანხმებლად“ თუ ვაშინგტონში, ვინაიდან, ჩვენ ვოცნებობდით, ქართული სახელმწიფოსა და ქართველი ხალხის ბედი თავად ქართველ ხალხს გადაეწყვიტა, გვსურდა, რომ „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“. რა თქმა უნდა, ძალიან რთულია, იყო დამოუკიდებელი, როდესაც შენი ქვეყნით ამხელა ტიტანი სახელმწიფოებია დაინტერესებული. ეს იძულებულს ხდის ხელისუფლებას, ვიღაცის გავლენის ქვეშ მოექცეს, მაგრამ გავლენასაც ხომ გააჩნია?** შენი ცხოვრების წესი სხვამ არ უნდა გიკარნახოს. მხარდაჭერა შესაძლებელია, მაგრამ არა — ასეთი ფორმით. ადრე თუ რუსეთის ქვეშევრდომები ვიყავით, ახლა ამერიკის შეერთებული შტატების ქვეშევრდომებად ვიქეცით და ჩვენმა ნამდვილმა დამოუკიდებლობამ, ეროვნული ინტერესების დაცვამ მეორე პლანზე გადაინაცვლა. **როცა ნებისმიერი საკითხის გადასაწყვეტად ჩვენი პრეზიდენტი აშშ-ში უნდა გაიქცეს და იქ უნდა შეათანხმოს ყველაფერი, ჩემთვის ეს დამამცირებელი და მიუღებელია. შეიძლება კარგი ურთიერთობა გქონდეს, მაგრამ სხვა ქვეყანაზე ამ დონეზე არ უნდა იყო დამოკიდებული. მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ, თვითმყოფადობა შევინარჩუნოთ.**

ხომ ხედავთ, რა მდგომარეობაა მსოფლიოში? მე არ მომწონს, რაც ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში ხდება, მაგრამ მიმაჩნია, რომ ქვეყანამ თავად უნდა გადაწყვიტოს, როგორ იცხოვროს და ბომბების დაშენა იმის გამო, რომ მისი ლიდერი არ მოგწონს, გაუმართლებელია.

როდესაც დამოუკიდებლობაზე ვლაპარაკობ, არც ოპოზიციას მოვუწონებ, გარეშე ძალის დახმარებით მოვიდეს ხელისუფლებაში. ჩვენ ვაგრძელებთ ისევ იმ ტრაგიკულ მდგომარეობაში ყოფნას, თუმცა **ვფიქრობ, მეფე ერეკლე გამოუვალ მდგომარეობაში იმყოფებოდა, როდესაც გეორგიევსკის ტრაქტატი გააფორმა. მან ბევრი რამ გაწირა, რათა საქართველო ფიზიკურად გადაერჩინა. მე, პირადად, ვერც კი ვგრძნობ, რომ 20 წელი დამოუკიდებელი ქვეყანა ვართ, ვინაიდან ეს არ არის ჭეშმარიტი დამოუკიდებლობა.**

**— საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებასთან ერთად, ცენზურის მარწუხებისგან გათავისუფლდა ხელოვნებაც. რამდენად აისახა ქვეყნის დამოუკიდებლობა ქართულ კინოსა და თეატრზე?**

— **ქვეყანაში მიმდინარეობს ქართველი ხალხის სულიერების განადგურება, რაც ყველაზე უფრო მტკივნეულია. აღარ არსებობს ქართული კინო, ქართული თეატრი, ქართული მწერლობა, ქართული მუსიკა... ეს არის ჩემთვის ყველაზე მტკივნეული, თორემ პოლიტიკოსები შეიცვლებიან, ერთი წავა და მეორე მოვა, ქართული ხელოვნების აღდგენას კი დიდი დრო დასჭირდება.**

## პოლიტიკას პოლიტიკოსები უნდა ქმნიდნენ და არა — რეჟისორები ან მსახიობები

როგორ შეიძლება ჩემი ქვეყანა დამოუკიდებელი იყოს, თუ მას არ ექნება თავისი დამოუკიდებელი კულტურა, თეატრი, კინო, მუსიკა, ლიტერატურა? საბჭოთა კავშირში ჩვენ გვქონდა ერთ-ერთი საუკეთესო თეატრი, ბრწყინვალე კინოფილმებს იღებდნენ, რომელთაც უცხოელებმა „ქართული კინოს ფენომენიც“ კი უწოდეს. ყველას უკვირდა, რომ ასეთ პატარა ქვეყანაში მაღალი დონის ხელოვნება გვქონდა. რუსეთი უამრავ ფილმს აფინანსებდა, აყვავებული იყო ქართული კულტურა. ჩვენ იმდენს მივაღწიეთ, რომ ბოლო წლებში ცენზურაც აღარ არსებობდა. თუ ნაწარმოები მაღალი მხატვრული ღირებულების იყო, ნებას გვრთავდნენ, ფართო საზოგადოებას ენახა.

**— დღეს ხელოვნების დაკნინების მიზეზი რა არის — მძიმე ფინანსური მდგომარეობა თუ ნიჭიერ ხელოვანთა არარსებობა?**

— **ნიჭიერ ხალხს რა დალევს საქართველოში. დავით დოიაშვილი, ჭოლა (ლევან) წულაძე ნიჭიერი ხალხია, სხვა ნიჭიერი რეჟისორებიც გვყავს. მაგრამ მათ მიერ შექმნილი პროდუქცია არ მომწონს, არ მაკმაყოფილებს. მათი პრობლემა ისევ მათ უპრობლემობაშია. ისინი არაფრისთვის არ იბრძვიან. ჩვენი თაობა კი იბრძოდა, როგორც და რა ხერხებითაც შეეძლო.**

ქართული კულტურა ყოველთვის იყო დისიდენტური. ის ყოველთვის კრიტიკულად იყო სახელმწიფოს მიმართ განწყობილი და თუნდაც შეფარულად მაინც ამბობდა სათქმელს. **ახლა კი თავისუფალი ქვეყანა გვაქვს და სახელმწიფოს მონები გავხდით. ჩამოყალიბდა ასეთი სტერეოტიპი, ჩვენს ქვეყანას ხომ არ გავაკრიტიკებთო. ჩვენიც უნდა გავაკრიტიკოთ და ჩვენი ხელისუფლებაც უნდა გამოვაღვიძოთ, ხელოვნებამ უნდა გამოაფხიზლოს ხელისუფლება და სიმართლე უთხრას. კულტურის დანიშნულება ყველაფერზე გუნდრუკის კმევა და ვაშას ძახილი არ არის. როდესაც კულტურა კარგავს მიზანს, ის კნინდება.**

გარდა ამისა, სახელმწიფოს არ აქვს მატერიალური ბაზა, კინო ძვირი ხელოვნებაა, მითუმეტეს საქართველოსთვის, სადაც ბაზარი პატარაა. ადრე მოსკოვში, პეტერბურგში ვდგამდით სპექტაკლებს. რობერტ სტურუა რომ თავის სპექტაკლებს ჩაიტანდა, გიჟდებოდნენ, ისე მოსწონდათ. ახლა ეს შეუძლებელია და რუსეთის ჩანაცვლება სხვა ქვეყნით კი ვერ მოხერხდა, ვინაიდან ამერიკელებს ქართული კულტურა აბსოლუტურად არ აინტერესებთ.

## ადრე თუ რუსეთის ქვეშევრდომები ვიყავით, ახლა ამერიკის შეერთებული შტატების ქვეშევრდომებად ვიქეცით

**— რას ურჩევთ ახალგაზრდა რეჟისორებს?**

— ერთადერთი ჩემი რჩევა იქნება, რამემ შეაწუხოთ და ყველაფრით კმაყოფილები ნუ არიან. ჩვენ არ ვიყავით ასე თვითკმაყოფილები და არ ვფიქრობდით, რომ კინოსა და თეატრს მარტო გასართობი, სანახაობრივი ფუნქცია აკისრია. ნუ იქნებიან ასეთი ზედაპირულები.

**— ბატონო გიგა, თქვენ გადაიღეთ ფილმი „წიგნი ფიცისა“, რის გამოც გაკრიტიკებენ და ამას ხშირად წამოგაძახებენ ხოლმე...**

— არადა, ამ ფილმის გადაღებას სასაცილო ისტორია აქვს. თავის დროზე ძალიან დიდი ბრძოლა დაგვჭირდა, რომ რუსებს ეს ფილმი ეღიარებინათ, რადგან მიიჩნევდნენ, რომ ანტირუსული ფილმი იყო. გვეუბნებოდნენ, როგორო, თქვენ გინდათ, ამ ფილმით აჩვენოთ, რომ იძულებული იყავით, თქვენი ბედი რუსეთთან დაგეკავშირებინათო?

მე ჩემს ერთ-ერთ საუკეთესო ფილმად მიმაჩნია. ძალიან საინტერესო და ძლიერი ფილმია და კარგი მსახიობებიც თამაშობენ. ფილმის გამოშვება იმ დროს დაემთხვა, როცა არაფერი რუსული არ უნდოდათ და რუსეთის წინაშე ვალის მოხდად ჩათვალეს. არავის წინაშე ვალი არ მომიხდია, პირიქით.

მართალია, რუსი პოლიტიკოსების ნაწილს ყოველთვის სურდა, საქართველო რუსეთის შემადგენელი ნაწილი ყოფილიყო, მაგრამ ის, რომ ყველა რუსი ასე ფიქრობდა, არაა მართალი. ბელა ახმადულინასთვის, ანდრეი ვოზნესენსკისთვის რომ გეკითხა, უნდა იყოს თუ არა საქართველო დამოუკიდებელიო, თავს შეურაცხყოფილად იგრძნობდნენ, მაგას რა კითხვა უნდა, რომ უნდა იყოსო. არ შეიძლება ყველაფერს ხაზი გადავუსვათ, შეიძლება არ მოგწონდეს პუტინი და მედვედევი, მაგრამ არ შეიძლება ხაზი გადაუსვა მთლიანად რუსულ კულტურასა და ინტელიგენციას. ჩვენ ზედმეტი მოგვივიდა...

**არ არის ასე... ჩვენ შეიძლება ვიყოთ დაპირისპირებულები მედვედევთან და პუტინთან, მაგრამ არ შეიძლება დაპირისპირებული ვიყოთ ჩაიკოვსკისთან, ლერმონტოვთან, პუშკინთან, დოსტოევსკისთან...**

**— ალბათ, ისიც პრობლემაა, რომ ყველა სფერო, მათ შორის ხელოვნებაც ზედმეტად პოლიტიზებულია. 1992-95 წლებში თქვენც იყავით პარლამენტის წევრი, დღესაც ბევრი ხელოვანი მიდის პოლიტიკაში, რამდენად სწორია ეს?**

— ის პერიოდი დასრულდა. პარლამენტში ვიყავით მე, ელდარ შენგელაია, ლანა ღოღობერიძე, საკმაოდ ნიჭიერი ხალხი და მიმაჩნია, რომ მაშინ ჩვენი მხრიდან ეს სწორი ნაბიჯი იყო, რადგან გვსურდა, ქვეყნის კულტურულ განვითარებაში ჩვენი წვლილი შეგვეტანა. მოვახერხეთ თუ არა, არ ვიცი, ალბათ, ვერ მოვახერხეთ.

**— რატომ, რამ შეგიშალათ ხელი?**

— ალბათ, იმან, რომ პოლიტიკას პოლიტიკოსები უნდა ქმნიდნენ და არა — რეჟისორები და მსახიობები, მაგრამ ეს ახლა გახდა პარლამენტარობა მომგებიანი, თორემ ჩვენ კაპიკებს ვიღებდით და არანაირი მატერიალური დაინტერესება არ გვქონდა.

**— ბოლო დროს ერთი ტენდენცია დამკვიდრდა — ყოველ საღამოს ფილმები ტელევიზით სუბტიტრებით გადაიცემა, რამაც საზოგადოების ნაწილის აღშფოთება გამოიწვია. თქვენ რას ფიქრობთ, რამდენად გამართლებულია, ტელემაყურებლებისთვის ფილმების ასეთი სახით მიწოდება?**

— ეს ტენდენცია შემზარავია. ერთ წუთით წარმოიდგინეთ, რუსულად რომ გასულიყო ეს ტექსტები, რა ამბავს ავტეხდით, ქართული ენის უფლებების დასაცავად გამოვიდოდით. ინგლისური ენა ძალიან კარგია და, ვისაც სურს, ისწავლოს, მაგრამ სავალდებული არ უნდა გახადო. იქნებ, მე გერმანულის, ფრანგულის ან რუსულის სწავლა მინდა? ეს ხომ ძალადობაა? ყველანაირი ძალადობა დამღუპველია ქვეყნის განვითარებისთვის. მე, მაგალითად, ზოგჯერ ვიცი, რომ კარგი ფილმი გადის, მაგრამ ველარ ვუყურებ.

იმდენ ღლაბუცსა და გარყვნილებას გადმოსცემენ ტელევიზიით, არ შემიძლია ჩემი აღშფოთება არ გამოვხატო, არავითარი აზრი აღარ აქვს გადაცემებს. ქართველმა ხალხმა წიგნის სიყვარული და კითხვის ტრადიცია დაკარგა. დამერწმუნეთ, ბევრს „ვეფხისტყაოსანი“, გალაკტიონი წაკითხულიც კი არ აქვს. ჩემი ქვეყნის კულტურასა და მეცნიერებას კი შაშკინი განაგებს, რომელსაც არ აქვს უფლება, ქართულ მეცნიერებას და განათლებას ხელმძღვანელობდეს.

ესაუბრა
**შორენა ციქარაშვილი**

**არავინ იცის, როგორ სახელმწიფოს ვაშენებთ. თუკი ჩვენ ვაშენებთ სახელმწიფოს, რომელიც იქნება მოსამსახურე სახელმწიფო მოსამსახურე საზოგადოებით, ეს ვარიანტი კი ამათ ხელში საფუძველს ნამდვილად არაა მოკლებული, მაშინ რა საჭიროა მისთვის ან პოეზია, ან მეცნიერება, ან მხატვრობა?!**

ინტერვიუ
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

„70 წელი შემისრულდა. ვფიცავ, ცუდად არ მიცხოვრია. გადასარევი ჯგუფი მყავდა მეგობრების. წრე, რომელშიც მე ვიყავი, გენიალური პიროვნებებით იყო გარემოცული, საოცარი ურთიერთობები გვქონდა. უამრავი გამარჯვება მახსოვს. არაერთი გამოფენა გაგვიტანია და ყველგან დიდი წარმატება გვქონია. ჩვენ არ ვიყავით მიჩვეული, ვილაცებისთვის გვემტკიცებინა, რომ კარგები ვართ. დღეს უკვე სამტკიცებელი ხარ. ერთი კაცის ამარა ხარ, რომელიც მსოფლიოში დაგრიალობს და ამბობს, — გადასარევები ვართო. მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება, რით ვართ გადასარევები?“ — ასეთი სიტყვით აღნიშნა საკუთარი იუბილე საქართველოს სახალხო მხატვარმა თემო გოცაძემ. გასულ კვირას, 26 მარტს, მას 70 წელი შეუსრულდა. ჩვენი რედაქცია ულოცავს ბატონ თემოს იუბილეს და ჯანმრთელობას უსურვებს. საქართველოს დამოუკიდებლობის 20 წლისთავთან დაკავშირებით, ამ ხნის განმავლობაში მომხდარ მოვლენებზე, ცვლილებებზე, დანაკარგსა და შენაძენზე, შემოქმედის ცხოვრების გაუმჯობესება-გაუარესებაზე სასაუბროდ ბატონ **თემო გოცაძეს** მისსავე სახელოსნოში ვესტუმრეთ.

# თემო გოცაძე: ახალგაზრდებს ვურჩევ, «მიშა, მიშას» მაგივრად, «საქართველო, საქართველო» იძახონ



**— ბატონო თემო, ოცი წელი გავიდა საქართველოს დამოუკიდებლობიდან, რა მოუტანა საქართველოს ამ 20 წლიწადმა?**

— რაც ამ 20 წლის განმავლობაში მოხდა, უნდა მომხდარიყო. ეს გზა უნდა გაგვევლო, მაგრამ მისი გავლა შეიძლებოდა უფრო ნაკლები დანაკარგით, ტკივილით, ნგრევითა და ბევრად უფრო ნაკლები უბედურებით.

შესაძლოა, ძველი სისტემის შეცვლა და დანგრევა აუცილებელი იყო, მაგრამ ჩვენი უბედურება ისაა, რომ ისე დავანგრიეთ, არ ვიცოდით, რას ვაშენებდით. ჩვენ ვიყავით ნგრევის ეიფორიაში და ასეა დღესაც.

**— შემოქმედისთვის თუ შეიცვალა რამე? დღეს თითქოს აღარავინ ჩანს შემოქმედების ასპარეზზე?**

— ის, რომ დღეს აღარ არიან შედევრების შემქმნელები, განაპირობა იმ ღირებულებების რღვევამ, რომლითაც ჩვენი საზოგადოება ცხოვრობდა, რომლითაც იკვებებოდა. ახალმა ღირებულებებმა კი ვერ მოახერხა ჩვენს ეგრეგორთან ისე შერწყმა, რომ შემოქმედებით ენერგიად გარდაქმნილიყო.

ახალგაზრდებიც არ ჩანან. 25-26 წლის ასაკში ოთარ ჭილაძე გენიალურ ლექსებს წერდა; ანა კალანდაძე სულ ბავშვი იყო, შესანიშნავი ლექსები რომ დაწერა. სად არის, რა ირღვება დღეს?

სახელმწიფომ ჩათვალა, რომ ყველაფერი, რაც კულტურაში იხარჯებოდა, ზედმეტია და დაიწყო, ვთქვათ, არმიის მშენებლობა, რომელიც ორჯერ დამარცხდა. კი, ბატონო, სწორია, ქვეყანა ძლიერი უნდა იყოს, არმია უნდა აშენდეს, მაგრამ ამდენი ფულის ხარჯვის მერე ორი ომი რომ წააგო?!.. არ შეიძლება ასე წამოწოლილ მდგომარეობაში არსებობა, ამიტომ დავრჩით ლექსებების ამარა...

**— დღევანდელმა ხელისუფლებამ სათავეში მოსვლისთანავე ქვეყნის ინტელიგენციას საბჭოთა გადმონაშთი უწოდა და ყველანაირად ეცადა მის ჩარეცხვასა და ახალი, საკუთარი ინტელიგენციის შექმნას...**

— ჩაირეცხა, მათი სიტყვებით რომ ვთქვათ, ის ინტელიგენცია, ვისზეც იდგა ქვეყანა, საზოგადოება, კულტურა. ჩვენ ხომ ჩაგვრეცხა ყველა, მოვიდა თუ არა. ეს „ქართული აკადემიის“ გამოსვლებმა ათქმევინა, რომლის წევრი მეც ვარ. იქიდან დაიწყო ჩვენი ჩარეცხვა ყველანაირად. ამათ რომ ჰკითხო, წითელი პროფესორი ვარ, იმათთვის, რომ გეკითხა, ბურჟუაზიული ხელოვნების აპოლოგეტი ვიყავი. ამის შესახებ დოკუმენტაცია არსებობს — ერთადერთი ქართველი მხატვარი ვარ, რომელიც საკავშირო სამხატვრო აკადემიამ გარიცხა, პარტიის ცეკამ წერილი გამოაგზავნა, გამიცვეს დაეწყრათ. შეიძლება მთელი ცხოვრება ისე იცხოვრო, რომ აკადემიაში არ შეგიშვან? არც მაშინ მიშვებდნენ და არც — ახლა. განსხვავება იმ დროსა და ამ დროს შორის ჩემთვის არ არის. მაგრამ მე იმ ცხოვრებით ვიცხოვრე, რომლითაც უნდა მეცხოვრა. არასდროს მიკეთებია ის, რისი გაკეთებაც არ მინდოდა.

**ახლა ცდილობენ, შექმნან საკუთარი, ახალი ინტელიგენცია, მაგრამ ასე ინტელიგენცია არ იქმნება. არ ვარ ის ადამიანი, რომ ვერ შევაფასო ნიჭიერება ზოგიერთი იმ ადამიანისა, რომლებიც ამ ახალი ინტელიგენციის გვერდით დგანან, მაგრამ მათი ნიჭიერებაც ჯერ კიდევ გასარკვევია.**

**მტკიცებულების გარეშე ტყუილი ყველაფერი. უნდა დადონ „დათა თუთაშხია“ ან „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“. უნდა დადონ ის მხატვრობა, როგორიც დავით კაკაბაძემ დადო. უნდა მოიტანონ იეთიმ კინო, როგორიც ოთარ იოსელიანმა გადაიღო. სხვანაირად, რამდენიც უნდა იწივლონ და იკივლონ — იცით, რა? ახალი ინტელიგენცია შეიქმნა — ვერაფერს გახდებიან!**

ამასწინებზე წავიკითხე მაგათი ინტელიგენციის წარმომადგენლის, საზიზღარი, ამორფული პიროვნების, გვარად წიკლაურის გამოსვლა. ასეთი გამოსვლა პირწმინდა კომუნისტებსაც კი არ ჰქონიათ. მაგას რომ ჰკითხო, ზვიად გამსახურდიას იდეებისა და თავისუფლების იდეების მატარებელია. ამ იდეებმა მოიტანა ის აზრი, რომ გოგიბერიძეშვილი შეადარა გალაკტიონს?! გოგიბერიძეშვილს რას ვერჩი, არ არის უნიჭო ბიჭი, მაგრამ თვითონაც უნდა რცხვენოდეს, როცა მის შემოქმედებაზე იტყვის ვინმე, იმ რანგისაა, რა რანგისაც იყო გალაკტიონის შემოქმედება.

**— ინფორმაციის თვალსაზრისით, სულაც არ ჩანს ქვეყანაში ასეთი კატასტროფული მდგომარეობა, დღეს სატელევიზიო სივრცეში ყველა ლამაზად შეფუთულ საქართველოს ვხედავთ.**

— როცა საინფორმაციო სივრცეს დაიპყრობ და მხოლოდ ერთი ინფორმაცია გადის, როცა ალტერნატიული ინფორმაცია არ არსებობს, ხდება ასეთ მდგომარეობამდე მისვლა. თქვენ რა გგონიათ, კომუნისტები ხალხს არ მოსწონდა? მოსწონდა და თავისაც აკლავდა, იმიტომ, რომ კომუნისტების დროსაც მარტო ის ინფორმაცია იყო, რაც მათ უნდოდათ.

**— დღეს მინისტრი 25 წლის ასაკში შეიძლება გახდე, ადრე კი ამისთვის ცოდნა, შრომა და გამოცდილება იყო აუცილებელი.**

— უდიდესი განათლება და შრომაა საჭირო, რომ ადამიანმა შეძლოს რაღაცის მართვა. ეგრე სადაა, ერთ დღეს გაიღვიძო სახელმწიფოს მეთაურად, პრეზიდენტის რანგში, ბაბუამისმა დაუტოვა თუ მამამისმა უანდერძა?!

**გაყიდულია დღეს ახალგაზრდობა, ესაა მთელი უბედურება. ესენი რომ იძახიან, ადრე კომკავშირის იყვნენ მიყიდულებიო, იმ კომკავშირით ისინი თავიანთ შემოქმედებით პოტენციალს ავლენდნენ. რანაირად შეიძლება 25 წლის ადამიანი იყოს იმ დონის განათლებული, რომ მართოს მედიცინა ან თუნდაც მეცნიერება?!**

**— დღეს ახალგაზრდების უმრავლესობა ფიქრობს, ისწავლოს რამე ისეთი, რაც მომავალში მის ფინანსურ მდგომარეობას უზრუნველყოფს. შემოქმედის ცხოვრება დღეს ნაკლებპერსპექტიულია, მის მაღალანაზღაურებაზე კი საუბარიც ზედმეტია...**

— ეს მოიტანა ქვეყნის განვითარების არასწორმა კურსმა. დღესაც არავინ იცის, როგორ სახელმწიფოს ვაშენებთ. თუკი ჩვენ ვაშენებთ სახელმწიფოს, რომელიც იქნება მოსამსახურე სახელმწიფო მოსამსახურე საზოგადოებით, ეს ვარიანტი კი ამათ ხელში საფუძველს ნამდვილად არაა მოკლებული, მაშინ რა საჭიროა მისთვის ან პოეზია, ან მეცნიერება, ან მხატვრობა?!

ამათ უნდათ, ეს ქვეყანა სანახაობის კუთხედ გადააქციონ. ჩამოვლენ აქ, ჩოხა-ახალუხს ჩაიცმევენ, გაიძცევიან, გამოიძცევიან, წაიცეკვებენ, მერე ყურებზე ხელს მოუცაცუნებენ, 5 დოლარს ჯიბეში ჩაუდებენ და ტაშს დაუკრავენ. ამით კი ესენი ბედნიერი იქნებიან. ესაა გარედან მოთრეული კონცეფცია. ეს არ დაბადებულა ქართულ ნიადაგში. მთელი უბედურებაც ის არის, რომ გარედან მოთრეულებმა შემოიტანეს ყველა უბედურება შიგნით.

## გარედან მოთრეულებმა შემოიტანეს ყველა უბედურება შიგნით

**— დასავლური ღირებულებების დევნაში საკუთარი ღირებულებებიც დავკარგეთ და ვერც ახალი შევითვისეთ, გვიანია უკვე ამის გამოსწორება?**

— თუ გონს მოეგება საზოგადოება, ყველაფრის გამოსწორება შეიძლება, არანაკლებ ღირებულებადაკარგული იყო ქართველი ერი 20-იან წლებში, მაუზერით ხელში ანგრევდნენ ყველაფერს, რაც ქართული, ეროვნულ ნიადაგში აღმოცენებული იყო. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მოვიდა თაობა, რომელმაც დაიწყო ძველის ძიება. მოძებნა, კარგად გაასუფთავა, მტვერიდან ამოიღო, გამოამზეურა, ზედ საკუთარი დაამყნო და მოიტანა ის კულტურა, რომლითაც საქართველო დღეს არსებობს. ეს კი ის კულტურაა, რომელსაც დღევანდელი სახელისუფლებო მმართველები ეწინააღმდეგებიან.

**საბოლოოდ ჩაკლეს ყველაფერი. საპასუხოდ კი განაცხადეს — ეს ყველაფერი კომუნისტების მსახურებაში შექმნილი კულტურაა. თუ ანა კალანდაძე და ჭაბუა ამირეჯიბი არიან კომუნისტების მსახურებაში შექმნილი კულტურა, მე მაშინ მირჩევნია ასეთ მსახურებაში შევქმნა, ვიდრე იმ თავისუფლებაში, რომელსაც ეგენი მთავაზობენ.**

ნუთუ ვინმეს ჰგონია, რომ დღეს მართლა დამოუკიდებელი და თავისუფალია?! მიდი, აბა, ერთი სიტყვა ბრძანე. გასულ კვირას დაიჭირეს მსახიობი გია ბურჯანაძე. დაიჭირეს ადამიანი, რომელიც ქაქუცა ჩოლოყაშვილს, უამრავ ქართველი გმირს ასახიერებს. ადამიანი, რომელიც არის გულანთებული ქართველი. რისთვის დაიჭირეს? იმის გამო, რომ გული ატკივდა ციხეში ჩასმულ ამდენ ახალგაზრდაზე? დღეს არავის პატიობენ საკუთარი ქვეყნის სიყვარულს. არ პატიობენ მათგან განსხვავებულ სიყვარულს. მათ ისე „უყვართ“, უნდათ, ციხეში ჰყავდეთ სუყველა, „ცივი ნიავი რომ არ მიაკარონ“. ყველას ასე, საბედნიეროდ, არ უყვარს საქართველო.

**— ვინ უნდა შეცვალოს არსებული სიტუაცია ქვეყანაში, დღევანდელი ახალგაზრდობა შეძლებს მდგომარეობის სასიკეთოდ შეცვლას?**

— არ შეიძლება იმ უმსგავსობას, რაც ახლა ხდება, ტაში დაუკრა და თან ახლის შექმნაზეც იფიქრო. ახალ საზოგადოებას შექმნის ის თაობა, რომელიც შეძლებს უარის თქმას. **სანამ არ შევძლებთ საკუთარ ცუდზე უარის თქმას და მის გამოხეურებას, მანამდე არაფერი გვეშველება. ამიტომ ამ თაობას ვურჩევ, დროზე უარყონ ის ბარიერი, რომელშიც ცხოვრობს და, „მიშა, მიშას“ კივილის მაგივრად, „საქართველო, საქართველო“ იძახონ!**

ესაუბრა
**თეო ტაბატაძე**

---

მოკლედ

## კადაფი დაქირავებულებს დააფინანსებს

საერთაშორისო კოალიციის მიერ ლიბიაში მიმდინარე სამხედრო ოპერაცია იმის გამო შეიძლება გაიწელოს, რომ ლიბიის ლიდერს — მუამარ კადაფს შეუძლია დაქირავებულ მებრძოლებს თანხა წლობითაც კი უხადოს. გაზეთ „The Financial Times“-ის ინფორმაციით, მიუხედავად იმისა, რომ კადაფის ოჯახის ანგარიშები სხვა ქვეყნებში გაყინულია, **საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემებით, ლიბიის ცენტრალურ ბანკში ინახება 143,8 ტონა ოქრო, რომლის ღირებულება 6,5 მილიარდ დოლარს აღემატება.**



## ლიბიაში აშშ-ის თვითმფრინავი ჩამოვარდა

ლიბიის ტერიტორიის თავზე სამხედრო ოპერაციის ჩატარებისას ამერიკულმა სამხედრო თვითმფრინავმა კატასტროფა განიცადა. ორივე მფრინავი გადარჩა. წინასწარი ინფორმაციით, კატასტროფის მიზეზი თვითმფრინავის ტექნიკური გაუმართაობა გახდა. აშშ-ის სამხედრო საჰაერო ძალებმა აღნიშნული ფაქტი უკვე დაადასტურა.

პოზიცია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**დღეს ბრმისთვისაც ცხადია, რომ სააკაშვილის ხელისუფლების მიერ „ისტორიულ მტრად“ მონათლულ რუსებს 200 წლის განმავლობაში იმის მეათედი „მტრობა“ არ ჩაუდენიათ საქართველოში (განათლებაში, კულტურასა და ეკონომიკაში ჩადებულ მათ უდიდეს ღვაწლზე რომ აღარაფერი ვთქვათ), რაც ამერიკელებმა ჩაიდინეს საქართველოში 20 წლის განმავლობაში: განადგურდა ჯანდაცვის სისტემა, მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, განათლებაში კატასტროფული მდგომარეობაა, დაკნინებულია რელიგიურობა, სულიერება, ზნეობა, ქართული მდიდარი ეროვნული ტრადიციები...**

# «რა გითხრათ? რით გაგახაროთ?»

**ოცი წელი გასულა მას შემდეგ, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა! თავისთავად ეს ფაქტი სასიხარულო და სიამაყის მომგვრელიც უნდა იყოს. მაგრამ, თუ უახლოეს ოცწლიან წარსულს გადავხედავთ, დავინახავთ, რომ სასიხარულოსა და საამაყოს სწორედ მაშინ დავემშვიდობეთ, როცა ეს დამოუკიდებლობა ლოდივით დაგვეცა თავზე, რადგან, რაც ამ ოცი წლის განმავლობაში საქართველოს ჭირი და უბედურება დაატყდა, ალბათ, თავისი უმძიმესი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის განმავლობაშიც კი არ უნახავს!**



**საქართველოს დაუპირისპირდა სატანური ძალა ამერიკელების სახით, რომელთაც, ბუნებრივია, ვერ გამონახეს საერთო ენა საქართველოს ეროვნულ ხელისუფლებასთან და მის ლიდერ ზვიად გამსახურდიასთან.**

საერთოდ, დამოუკიდებლობა და თავისუფლება ფრიად ფარდობითი მცნებაა და იგი შეურაცხადის თავისუფლებასთან არ უნდა იყოს ასოცირებული. თავისუფლება და დემოკრატია ნებელობითი ფაქტორი უნდა იყოს და არა თავსმოხვეული ყალბი დემოკრატიული ღირებულებები, რითაც დღეს ქართველები კისრამდე ვართ ამოტენილები ამერიკელებისა და მისი დამქაში საქართველოს ხელისუფლების მიერ. მაგრამ ეს ჭირი უცებ არ დაგვტყდომია თავს. იგი თანდათან, საცეცებივით გვეხვეოდა ყელზე და ისე მიგვიყვანა სულის ამოხდამდე, რომ ცოტაც და ქართველ ერსა და საქართველოს ვეღარაფერი უშველის!

როცა ქართველმა ერმა პირველი მრავალპარტიული დემოკრატიული არჩევნები ჩაატარა და ხელისუფლებაში ზვიად გამსახურდია მოვიდა, ყველას ეგონა, რომ ერთიანი შრომითა და ძალისხმევით ქვეყანას მალე გამოვიყვანდით ეკონომიკური ჩიხიდან და ბედნიერ სახელმწიფოს ავაშენებდით. მაგრამ, **არ ვიცოდით, რომ საქართველოს დაუპირისპირდა სატანური ძალა ამერიკელების სახით, რომელთაც, ბუნებრივია, ვერ გამონახეს საერთო ენა საქართველოს ეროვნულ ხელისუფლებასთან და მის ლიდერ ზვიად გამსახურდიასთან.**

მთავარი უბედურება 1991 წლის დეკემბერში დაიწყო, როცა შევარდნაძის მიერ დაფინანსებულმა ბანდიტებმა ზვიად გამსახურდიას კანონიერი ხელისუფლება დაამხეს და საქართველოში ქურდული მენტალიტეტის ტრიუმვირატი გაამეფეს. შემდეგ ყველაფერი შევარდნაძისეული სცენარით განვითარდა და რამდენიმე თვეში იგი უკვე საქართველოს **„კანონიერ მეთაურად“** მოგვევლინა.

ღიად მოსულ მტერთან ბრძოლა არასოდეს გვიჭირდა, მაგრამ ბუნებით რაინდ და პირში მთქმელ ქართველს ყოველთვის უჭირდა ბრძოლა იმ ფარულ მტერთან, რომელიც ჯერ სამხრეთელი მეზობლის — სომხების, შემდეგ კი ამერიკელების სახით უწყალობა მას ღმერთმა. სამწუხაროდ, საქართველოს არც **„შადიმანები“** — საკუთარი ქვეყნის მოღალატე და ანგარებიანი მმართველები აკლდა, რომელთაც პირადი ინტერესები ყოველთვის ერის ინტერესებზე მაღლა ეყენათ და სხვების სიცოცხლისა და კეთილდღეობის ხელყოფის გზით ახერხებდნენ საარაკო სიმდიდრის მოხვეჭას. მაგრამ ქართველებს არასოდეს ჰყოლიათ შევარდნაძის მსგავსი ბოროტი და საკუთარი მამულის მტერი **„მახარი გზირი“**, რომელიც ყოველნაირი ხერხებით ცდილობდა საქართველოს წაშლას მსოფლიოს გეოგრაფიული და პოლიტიკური რუკიდან, ნაწილ-ნაწილ ჰყიდდა საქართველოს და რომელმაც ნებისმიერ მტერზე დიდი და ლამის გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა ჩვენს მრავალნატანჯ სამშობლოს.

**შევარდნაძემ ხელისუფლებაში უკვე სახელმწიფოს მეთაურად მოსვლისთანავე ყველაფერი გააკეთა საიმისოდ, რომ ქვეყანა გაძარცვულიყო, გაღარიბებულიყო და გამათხოვრებულიყო, რადგან შემდეგ დამშეულდამცრობილი საქართველო იოლად დაემონებინა.**

ამის დასტურად მოვიყვანთ მხოლოდ ერთ ნიშანდობლივ ფაქტს. როცა რუსმა სამხედრო მოსამსახურეებმა დასავლეთ საქართველოში სოფელ მერიასთან განლაგებული სამხედრო-საავიაციო ბაზა დაცალეს, იქ დარჩა 22 ერთეული უნიკალური რუსული სამხედრო ვერტმფრენი, რომელთა ფასი მილიონობით დოლარს აჭარბებდა. შემდეგში რომ გამოუსადეგარი გამხდარიყო, შევარდნაძისა და მისი ხელისუფლების წაყრუებით ჯარის მაძიებელმა უმუშევარმა ხალხმა ეს ვერტმფრენები რამდენიმე დღეში ერთიანად გაძარცვეს, სპილენძის ნაწილები დახსნეს და ჯართში ჩააბარეს, რამაც ვერტმფრენები პრაქტიკულად გამოუსადეგარ რკინის გროვად აქცია.

**ედუარდ შევარდნაძემ სიყალბისადმი შემოქმედებითი მიდგომით იმდენად გახრწნა და დაადამბლავა ქართული პოლიტიკური სფერო, იმდენად გაათახსირა ახალგაზრდა ქართველ პოლიტიკოსთა მთელი თაობა, რომ საქართველოს, ალბათ, კიდევ დიდხანს არ ეღირსება ნებისმიერ დონეზე ობიექტური არჩევნების ჩატარება და საქართველოში ვერც ერთი წესიერად მოქმედი ბიზნესმენი ვერ გახდება წარმატებული, თუ იგი ბინძურ გარიგებაში არ შევა სახელისუფლო სტრუქტურებთან.** ამგვარი დანაშაულებრივი ქმედებებით შევარდნაძემ ხანგრძლივი ვადით გაყინა საქართველოს პოლიტიკური მომავალი. როგორც საერთაშორისო საფეხბურთო მაფიის მიერ ბინძური კორუფციის ბუდედ ქცეულ საფეხბურთო ტოტალიზატორის **„გადამკიდე“** მსოფლიო ფეხბურთს არასოდეს ეღირსება ჭეშმარიტი მსოფლიო ან ევროპის ჩემპიონი, ისე აღარ ეღირსება საქართველოს ხალხის მიერ გულწრფელად არჩეული ხელისუფლება, ვიდრე არჩევნები შევარდნაძის **„რეცეპტურით“** ჩატარდება.

სწორედ ედუარდ შევარდნაძის მმართველობის ჟამს შეიქმნა საქართველოში ახალგაზრდა თაობის პოლიტიკოსთა და შემოქმედთა ის **„მეხუთე კოლონა“**, რომელიც ყოველივე ეროვნულისა და ტრადიციულის განსაქიქებელი ტექნოლოგიის შესასწავლად შევარდნაძემ ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების სასწავლებლებში მიავლინა. ეს ახალგაზრდა **„შემოქმედები“** ახლა გულმოდგინედ ანგრევენ ქართულ სულიერებას და უცხოური სუროგატის დანერგვით ცდილობენ, ქართველთა მეხსიერებიდან წაშალონ ლამაზი ისტორიული ტრადიციული წეს-ჩვეულებები.

**მათ საბოლოოდ აქციეს ზურგი რუსეთს და საქართველო ამერიკის ბინძურ, სახიფათო თამაშებში ჩართეს. რუსებს განვუდექით მაშინ, როცა ეს არ უნდა გაგვეკეთებინა, რადგან ამ ქვეყნის პოლიტიკურ წრეებში უკვე მუსირებდა აზრი (საბედნიეროდ, ეს აზრი რუსეთში დღესაც არ არის ჩამკვდარი) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის თაობაზე. რუსებს ზურგი ვაქციეთ მაშინ, როცა ისინი დავარწმუნეთ, რომ ქართველი ადამიანი არასოდეს დათმობდა „ენას, მამულსა და სარწმუნოებას“ და სწორედ ამ პოლიტიკური კონსტანტას გათვალისწინებით აპირებდნენ ჩვენთან ახალი კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებას. მაგრამ ეს არ შედიოდა იმ ამერიკელთა გეგმებში, რომლებიც მარიონეტად იყენებდნენ შევარდნაძეს და ამიტომ ის რუსეთი, რომელმაც შეგვინარჩუნა „ენა, მამული და სარწმუნოება“, ჩვენს დაუძინებელ მტრად შევრაცხეთ.**

დღეს ბრმისთვისაც ცხადია, რომ სააკაშვილის ხელისუფლების მიერ „ისტორიულ მტრად“ მონათლულ რუსებს 200 წლის განმავლობაში იმის მეათედი „მტრობა“ არ ჩაუდენიათ საქართველოში (განათლებაში, კულტურასა და ეკონომიკაში ჩადებულ მათ უდიდეს ღვაწლზე რომ აღარაფერი ვთქვათ), რაც ამერიკელებმა ჩაიდინეს საქართველოში 20 წლის განმავლობაში. განადგურდა ჯანდაცვის სისტემა, მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, განათლებაში კატასტროფული მდგომარეობაა, დაკნინებულია რელიგიურობა, სულიერება, ზნეობა, ქართული მდიდარი ეროვნული ტრადიციები, ერთ დროს მრავალის სახის მწარმოებელი საქართველო მხოლოდ მომხმარებლად გადაიქცა და ა.შ.

ცნობილი პოლიტოლოგის — ალექსანდრე ჭაჭიას სიტყვებით რომ ვთქვათ, **„ჩვენი დამოუკიდებლობის წლების განმავლობაში ქვეყნის ხელმძღვანელობა (იგულისხმებიან შევარდნაძე და სააკაშვილი) დაჟინებით და სისტემატურად უნერგავდა ხალხს აზრს საქართველოს განსაკუთრებული გეოპოლიტიკური მდგომარეობის, მისი მეზობელი სახელმწიფოებისა და მსოფლიო ეკონომიკისთვის გამონაკლისი მნიშვნელობის შესახებ, რის გამოც თითქოს საქართველო მალე შვეიცარიად გადაიქცევა, ხოლო ყოველი ქართველი ქუვეითის შეიხივით იცხოვრებს. ჩვენ თავს მოგვახვიეს სხვის კმაყოფაზე ყოფნის, მუქთახორის ფსიქოლოგია და ნელ-ნელა გადაგვაჩვიეს მუშაობას, საკუთარი ეკონომიკის შექმნისა და განვითარებისკენ მისწრაფებას...**

დღემდე ჩვენ გვესმის: „ამერიკა დაგვეხმარება“, „თურქეთი გვიშველის“, „სავალუტო ფონდი კრედიტებს გამოგვიყოფს“, „ნავთობსადენი მილიონებს მოგვიტანს“ და ა.შ.“. ედუარდ შევარდნაძემ და მისმა ამფსონებმა იმდენად გამოაყეყეჩეს ქართველი ხალხი ამგვარი ილუზიური დაპირებებით, რომ მისი გადაშენებიდან რვა წლის შემდეგაც კი დღევანდელი ხელისუფლების ანალოგიური მოწოდებები დღესაც აქტუალურია და პირდაბჩენილი ხალხი სასოებით მოელის შველას იმ ძალებისა და ქვეყნებისგან, რომლებიც ნელ-ნელა აქუცმაცებენ და ინაწილებენ საქართველოს.

**მუდამ კორპორატიული ინტერესებით მოქმედი ედუარდ შევარდნაძე, როგორც კი მან საკვანძო თანამდებობა ჩაიგდო ხელში, შესაშური ენერგიით შეუდგა ქართველი ხალხის მოტყუებასა და მისთვის თვალში ნაცრის შეყრას. მხოლოდ ერთხელ უთხრა მან ქართველ ხალხს სიმართლე, როცა, მაშინ ჯერ კიდევ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი მიხეილ სააკაშვილი თბილისის ვაკის რაიონის ამომრჩეველს წარუდგინა: — ეს იქნება საქართველოს მომავალი პრეზიდენტიო!**

თქვა, შეასრულა და მძიმე განაჩენიც გამოუტანა მთელ ქართველ ერს!

შევარდნაძემ რომ თავად მოაწყო **„ვარდების რევოლუცია“**, რათა ძალაუფლება იმ ხალხისთვის ჩაებარებინა, რომელიც შემდეგ მას პასუხს არ აგებინებდა მის მიერ ჩადენილი უამრავი ბოროტებისა და მძიმე დანაშაულისთვის, ამაზე მრავალი ფაქტი მეტყველებს.

**როცა ამერიკელებმა შეატყვეს, რომ შევარდნაძე დაბერდა და ენერგიულად ვეღარ ანგრევდა საქართველოს, შეიმუშავეს სცენარი, რომლის მიხედვითაც საქართველოს ხელისუფლებაში უნდა მოეყვანათ ახალგაზრდა ენერგიული დამანგრეველი ძალა. ასეთ ძალად კი, ეთნიკურ სომეხ ჟვანიას რეკომენდაციით, არჩევანი შეჩერდა ასევე სომეხ სააკაშვილზე, რომელსაც, რჯულის კანონის შესაბამისად, ხელი არ აუკანკალდებოდა საქართველოს დასანგრევად. სწორედ მაშინ გათამაშდა გულისამრევი „ვარდების რევოლუცია“, რის შედეგადაც კიდევ ერთხელ იქნა გატუტუცებული და გაცუცურაკებული ქართველი ხალხი, შევარდნაძე კი სააკაშვილმა ჩაანაცვლა.**

მაგრამ ამერიკელებმა კარგად იცოდნენ, რომ ქვეყნის სათავეში ორ სომეხს ქართველი ხალხი ვერ მოითმენდა, ამიტომ, მათ **„ტექნიკურად“** მოიშორეს თავიდან თავშეკავებული და გაწონასწორებული უკვე გაშიფრული სომეხი პოლიტიკოსი ზურაბ ჟვანია და მწვანე შუქი აუნთეს შედარებით „შეფარულ სომეხს“, პოლიტიკურად და პიროვნულად გაუწონასწორებელ, მერყევ, უმწიფარ, იოლად სამართავ მიხეილ სააკაშვილს. დაიწყო საქართველოს ენერგიულად ნგრევის პროცესი და ამ ნანგრევებზე ყველაზე მეტად ხელს სწორედ **„ნაციონალები“** ითბობენ.

და რაც მთავარია, სააკაშვილი და მისი **„ნაციონალური“** გარემოცვა ენერგიულად ახორციელებენ მრავალნაცად სომხურ პროგრამას — რაც შეიძლება მტრული და დაძაბული ურთიერთობა შეინარჩუნონ საქართველოსა და რუსეთს შორის. სწორედ ამ ურთიერთობათა ხელოვნურად დაძაბვისა და 2008 წლის უაზრო ომის შედეგი იყო ის, რომ რუსებს, ფაქტობრივად, ჩვენვე დავაკანონებინეთ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დამოუკიდებლობა, რამაც კიდევ უფრო დაგვაშორა საქართველოს გამთლიანების შანსს. **სომხებს ხელს აძლევს კიდევ ერთი კონფლიქტი, რათა რუსების ხელით წაგვართვან ჯავახეთი, რაზეც ისინი, უკვე მეორე საუკუნეა, აცხადებენ პრეტენზიას. ამიტომ, უპირველესად, სწორედ სომხების გეგმაში არ შედის საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობების დათბობა, რასაც ბრწყინვალედ ართმევს თავს სომეხი სააკაშვილი.**

ამიტომ დიდი ჭკუა და სიფრთხილე გვმართებს ქართველებს!

ამრიგად, როგორც ხედავთ, საქართველოს დამოუკიდებლობის ოცი წლიდან მხოლოდ ერთი წელი — ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის ხანა იყო საქართველოსთვის ქართული სულისა და ზნეობის აღორძინების პერიოდი, რაც, სამწუხაროდ, ზვიადთან ერთად დამარხა ჯერ შევარდნაძემ და შემდეგ — მისმა პოლიტიკურმა მემკვიდრე სააკაშვილმა.

როგორც დიდი ილია ამბობდა: **„რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“.**

**როლანდ ჯალაღანია,**
საპატიო დოქტორი

ყველა, ვინც ნაცისტებთან თანამშრომლობს, მას შემდეგ,
რაც მათ ადამიანების ხოცვა დაიწყეს, სახელმწიფო დამნაშავეა.
ყველა დეპუტატი, ვინც უარი თქვა დახვრეტილი ახალგაზრდების
საქმესთან დაკავშირებით საგამოძიებო კომისიის შექმნაზე,
სახელმწიფო დამნაშავეა. ყველა, ვინც 2007 წლის თბილისური
სასაკლაოს გამართვას დუმილით შეეგება, სახელმწიფო დამნაშავეა
და საერთო არაფერი აქვს არც გამსახურდიასთან და
არც ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან.

ექსკლუზივი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

## ბიძინა გიორგობიანი:

# დემოგრაფიულად, ეკონომიკურად, პოლიტიკურად საქართველო მომაკვდავი სახელმწიფოა!

**1991 წლის 31 მარტს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის — ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით ჩატარებული რეფერენდუმი საქართველოს დამოუკიდებლობის სამართლებლივ საფუძვლად იქცა. როგორ განვლო ქვეყანამ თავისუფლებისთვის ბრძოლის რთული გზა და არის თუ არა საქართველო დამოუკიდებლობის აღიარებიდან 20 წლის შემდეგ დემოკრატიული, დამოუკიდებელი სახელმწიფო? — აღნიშნულ საკითხებზე სასაუბროდ „საქართველო და მსოფლიო“ ზვიად გამსახურდიას თანამებრძოლსა და უზენაესი საბჭოს წევრს, ამჟამად დევნილობაში მყოფ ბიძინა გიორგობიანს გერმანიაში დაუკავშირდა.**



**— 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმმა საფუძველი ჩაუყარა საქართველოს დამოუკიდებლობას. როგორ ფიქრობთ, შესრულდა ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავასა და სხვა ეროვნული მოღვაწეების მიზანი?**

— საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა იურიდიულად ეფუძნება 31 მარტის რეფერენდუმის შედეგებს. აღნიშნული რეფერენდუმის განსაკუთრებული მნიშვნელობა ისაა, რომ იგი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ჩატარდა (გუდაუთის რაიონის გამოკლებით). **საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა მერაბსა და ზვიადს აზრადაც არ მოუვიდოდა. ეს საქართველოს სახელმწიფოს ნარჩენებია, რასაც სააკაშვილი და მისი ხროვა მოხერხებულად ყიდის.**

დემოგრაფიულად, ეკონომიკურად და პოლიტიკურად საქართველო მომაკვდავი სახელმწიფოა. ჩვენი მეზობლები ჩვენგან, ტერიტორიების გარდა, იღებენ ჩვენს მოქალაქეებს, როგორც სამუშაო ძალასა და პროსტიტუციის მასალას. შეუძლებელია, 20 წლის წინათ ეს ვინმეს მიზანი ყოფილიყო! მითუმეტეს — მერაბის, რომელმაც ციხეები და გადასახლებები გამოიარა საქართველოს გულისთვის. **ჩვენ ყველას (მათ შორის, მერაბსაც და ზვიადსაც), საქართველო ხელიდან გამოგვგლიჯეს და ცხვირწინ გაგვიყიდეს. ვერ ვივარგეთ!**

**— იქნებ, მოკლედ გაიხსენოთ 1991 წლის 31 მარტი — როგორ იწყებოდა ყველაფერი და რა არის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის გზაზე საქართველოს ყველაზე დიდი მონაპოვარი, რისთვისაც შეიძლება ითქვას, რომ ბრძოლა ღირდა?**

— დამოუკიდებლობის გზაზე ყველაზე დიდი მონაპოვარი, ჩემი აზრით, ის გამოცდილებაა, რომელიც ჩვენმა მომავალმა თაობამ უნდა გაითვალისწინოს. **ნაცისტების ხელიდან საქართველოს გამოსახსნელად ნამდვილად მოგვიწევს ბრძოლა ძველ თაობასაც და ახალსაც. ჩვენი ბრძოლა 80-90-იან წლებში ჰგავდა დანაღმულ მინდორზე ბრმის სიარულს, რომელსაც ძალიან უნდა, გადალახოს ყველა წინააღმდეგობა, მაგრამ გამოცდილი და კეთილისმსურველი მრჩევლების გარეშე ვერ ხედავს ნაღმს და საფრთხისთვის გვერდის ავლა არ შეუძლია.**

საერთოდ, გახსენებისთვის საგაზეთო ინტერვიუ არ გამოდგება. ალბათ, ოდესმე დავწერ მოგონებების წიგნს, სადაც აღვწერ ჩემ მიერ ნანახსა და განცდილს.

**— როგორ ფიქრობთ, შესაძლებელი იყო თუ არა, თავიდან აგვეცილებინა სამოქალაქო დაპირისპირება და რა შეცდომები დაუშვა მაშინდელმა ხელისუფლებამ?**

— სამოქალაქო დაპირისპირების აცილება იქ, სადაც დაპირისპირებაზე ერთი რომელიმე მხარე მაინც ოცნებობს, გამორიცხულია. მე ზუსტად მახსოვს ოპოზიციაში მყოფი ყველა ის პერსონა, რომლებიც სამოქალაქო მშვიდობისა და სტაბილურობისკენ გადადგმულ თითოეულ ნაბიჯს დაუნდობლად ებრძოდნენ (გაიხსენეთ გია ჭანტურიას წერილი ციხიდან: „ყველა, ვინც სტაბილურობისკენ გადადგამს ნაბიჯს, თავს დააყენებს პარტიის გარეთ“). ასევე **მახსოვს გამსახურდიას „გარემოცვის“ ბევრი წევრი, რომლებიც ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს ან დიალოგს ოპოზიციასთან ზვიადის ღალატად მიიჩნევდნენ. მახსოვს თბილისის ომის საშინელ დღეებში ამ „კრიკუნების“ დეზერტირობაც.**

ჩემი აზრით, ძალიან ვერაგი და სისხლიანი ძალის ჩარევისა და მონაწილეობის გამო, ამ პროცესის შეჩერება შეუძლებელი გახდა.

**— თქვენ თვალს ადევნებთ საქართველოში მიმდინარე მოვლენებს, ოპოზიციის ნაწილი დიალოგის მომხრეა, ნაწილი კი საპროტესტო აქციებისთვის ემზადება. სად ხედავთ გამოსავალს?**

— საქართველოში არსებული ნაცისტური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლის ერთი რომელიმე მეთოდის ან პროტესტის ერთი ფორმის ამორჩევა არაეფექტური იქნება. **ჩვენ საქმე გვაქვს ძალიან მოქნილ და კარგად ორგანიზებულ დანაშაულებრივ სინდიკატთან. აქ რაიმე აჩემებული სქემითა და მორალური კატეგორიებით წინააღმდეგობა დამარცხებისთვისაა განწირული.**

**ნაციზმის წინააღმდეგ უნდა ვიმოქმედოთ ყველგან და ყველა მეთოდით, სადაც კი ხელი და კომპეტენცია მიგვიწვდება — საქართველოშიც, ემიგრაციაშიც, საარჩევნო კანონის გასაუმჯობესებელ მოლაპარაკებაზეც და ქუჩის მანიფესტაციაზეც.**

# ჩვენ ყველას (მათ შორის, მერაბსაც და ზვიადსაც), საქართველო ხელიდან გამოგვგლიჯეს და ცხვირწინ გაგვიყიდეს. ვერ ვივარგეთ!

**— საქართველოს ხელისუფლება ყოველთვის სიამაყით აცხადებს, რომ მას მხარს უჭერს საერთაშორისო საზოგადოება. რეალურად წარმატების რა შანსი აქვს საქართველოს საერთაშორისო ასპარეზზე და როგორი დამოკიდებულება აქვთ ევროპაში როგორც საქართველოს, ასევე მისი პრეზიდენტის მიმართ?**

— ევროპაში ამ არსებაზე ლაპარაკი დამთავრებულია. საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველო ბევრს კარგავს სააკაშვილის პრეზიდენტობის გამო. საქართველომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება — ან მოლეკულებად დაიშლება სააკაშვილთან ერთად, ან არსებობას მის გარეშე გააგრძელებს. არჩევანის დიდი დრო არ გვაქვს. იქ, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, მსგავს სიგიჟეებს (რასაც სააკაშვილი სჩადის საქართველოს სახელით) დიდხანს არ პატიობენ.

**სააკაშვილს მხარს უჭერენ ძმები ბეჟუაშვილების მიერ მოსყიდული ჟურნალისტები მოსკოვში და „ზარალას“ და „ტილიკას“ მასტის ბიზნესმენების მიერ მოსყიდული წვრილფეხა ჩინოვნიკები აშშ-ში.**

**— საქართველოს პირველი პრეზიდენტის გარდაცვალების მიზეზების შემსწავლელმა დროებითმა საპარლამენტო კომისიამ მუშაობა დაასრულა და 363-გვერდიანი დასკვნაც წარმოადგინა, რომლის მიხედვითაც პრეზიდენტმა თავი მოიკლა. მიუხედავად ამისა, საზოგადოების ნაწილი მაინც სკეპტიკურადაა განწყობილი. თქვენ რომელ ვერსიას ემხრობით — ეთანხმებით დასკვნას, რომ ზვიად გამსახურდია მოკლულია?**

— აღნიშნული კომისია სააკაშვილის ხელისუფლებამ მხოლოდ იმისთვის შექმნა, რომ კოკო გამსახურდიას პარლამენტში შესვლის რაიმე მიზეზი არსებულიყო. ეს კომისია ჩემში არანაირ ნდობას არ იწვევს. მე ეჭვით ვუცქერი ყველა იმ 363 გვერდს, რომელიც თენგიზ კიტოვანისა და მსგავსი ხალხის ჩვენებებს ეყრდნობა.

**— რას ფიქრობთ ზვიად გამსახურდიას ყოფილ თანაგუნდელებზე, რომლებიც ამ ხელისუფლებასთან წარმატებით თანამშრომლობენ, რამდენად აგრძელებენ ისინი ზვიად გამსახურდიას დაწყებულ გზას?**

— 2003 წლის დეკემბერში გადავწყვიტე საქართველოში დაბრუნება და 2004 წლის მარტში ჩამოვედი. იმ პერიოდში სახელისუფლო პროცესი მიმდინარეობდა 1992 წლის სახელმწიფო გადატრიალების შედეგების აღმოფხვრისთვის. იმედი მქონდა, ეს პროცესი გაგრძელდებოდა და ხელს შეუწყობდა სამოქალაქო მშვიდობის დამყარებასა და პუტჩის იურიდიული შედეგების აღმოფხვრას.

სამწუხაროდ, ნაცისტებმა უარი თქვეს ამ გზაზე და აირჩიეს ის გზა, რომელზეც ვიდოდა მათი წინაპარი ფელიქს ედმუნდის ძე. **ყველა, ვინც ნაცისტებთან თანამშრომლობს, მას შემდეგ, რაც მათ ადამიანების ხოცვა დაიწყეს, სახელმწიფო დამნაშავეა. ყველა დეპუტატი, ვინც უარი თქვა დახვრეტილი ახალგაზრდების საქმესთან დაკავშირებით საგამოძიებო კომისიის შექმნაზე, სახელმწიფო დამნაშავეა. ყველა, ვინც 2007 წლის თბილისური სასაკლაოს გამართვას დუმილით შეეგება, სახელმწიფო დამნაშავეა და საერთო არაფერი აქვს არც გამსახურდიასთან და არც ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან.**

ეკა ხერხეულიძემ ტელეეთერში განაცხადა, ჩვენმა ხელისუფლებამ ერთი ბეწო ტერიტორია დაკარგაო. აბა, მითხარით, რა საერთო შეიძლება ჰქონდეს ამ ხალხს ან ზვიადთან, ან საერთოდ საქართველოსთან?!

**— თქვენ ხეტყის მაფიაში ამხილეთ ხელისფლება, კონკრეტულად, — შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნები. რა დოკუმენტაცია გაქვთ ხელთ და სად არის ამჟამად შსს-ს მამხილებელი დოკუმენტები?**

— ყველა დოკუმენტი, ჩემი დევნისა და ჩემ წინააღმდეგ წარმოებული ყალბი საქმის შესახებ მოიძია საპარლამენტო მომხსენებელთა ჯგუფმა 2005-2007 წლებში (რომელშიც გაწევრიანებული იყვნენ სამი ფრაქციის წარმომადგენლები), დასკვნა დაიწერა 2008 წლის გაზაფხულზე და შეადგენს 4 ტომს. მისი ერთი ასლი ინახება პარლამენტის ბიბლიოთეკაში, მეორე — ჩემთან, ბერლინში; მესამე — თბილისში, საპატიო ადგილას.

**— თქვენ ბრალი დაგდეს მილიონ 200 ათასი ლარის გაფლანგვაში და წითელი ცირკულარით იძებნებით; ევროსასამართლოში შეიტანეთ სარჩელი. რა ეტაპზეა ამჟამად პროცესი და რას აპირებთ?**

— სტრასბურგში მიმდინარეობს საქმე, მაგრამ, რადგან მე არც ციხეში ვზივარ და არც მომაკვდავი ვარ, მოსმენას აჭიანურებენ.

ჩვენ ცირკულარების არ გვეშინია. ასეთი ცირკულარები ბევრი გვინახავს. 2005 წელს სააკაშვილს უთქვამს ჩემზე: „კანდალებით ჩამოვიყვანო“ და ვის მოუწევს „კანდალები“, ჯერ კიდევ საკითხავია.

**— საქართველოდან ორგზის დევნილი თუ ფიქრობთ საქართველოში დაბრუნებაზე?**

— საქართველოში აუცილებლად დავბრუნდები. ციხეში ჯდომით მე ვერავის ვერაფერს დავუმტკიცებდი, ასე კი შემიძლია ჩემი ქვეყნის გადასარჩენად ვიბრძოლო. ამიტომ ხელახალი ემიგრაცია ვარჩიე.

ესაუბრა
**შორენა ციჯქარაშვილი**

---

მსოფლიო

## სირია პოლიტპატიმრებს ათავისუფლებს

სირიის ხელისუფლებამ 200 პოლიტიკური პატიმარი გაათავისუფლა. მათი უმრავლესობა ისლამისტია. სირიის სხვადასხვა ქალაქებში დემონსტრაციებს ათასობით ადამიანი მართავს, რომლებიც ქვეყანაში ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმების გატარებას ითხოვენ. ქვეყნის ხელისუფლების ინფორმაციით, ერთი კვირის მანძილზე ქალაქ დერაში დემონსტრაციებისა და არეულობების შედეგად 43 ადამიანი დაიღუპა.



## იემენის ლიდერი თანამდებობას ტოვებს

იემენის პრეზიდენტმა ალი აბდულა სალემ თანამდებობიდან წასვლის მზადყოფნა გამოხატა. პრეზიდენტის სასახლესთან შეკრებილი ათი ათასობით მომიტინგე მის გადადგომას მოითხოვდა. გასულ კვირას პოლიციამ დემონსტრანტებს ცეცხლი გაუხსნა და შეტაკებებს ორმოცზე მეტი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, მაგრამ მომიტინგეები პრეზიდენტის გადადგომამდე დაშლას არ აპირებენ. ალი აბდულა სალე, უკვე 30 წელია, იემენს მართავს.

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

რეალობა

**დღევანდელ ხელისუფლებაში, რომელიც შვიდი წლის წინათ ხალხისთვის თვალის ასახვევად ზვიად გამსახურდიას სახელს ხშირად ახსენებდა, პირველი პრეზიდენტის ღვაწლის დაფასება არავის გახსენებია. უფრო მეტიც, მისი სახელობის სანაპიროს ნახევარს აზერბაიჯანის გარდაცვლილი პრეზიდენტის სახელი უწოდეს, ქვეყანა კი მოიფინა უნიჭო ძეგლებით (ზოგიერთს „ფეხიც აადგმევინეს“), მოცეკვავე თუ მომღერალი შადრევნებით, შუშის შენობებით...**

# პირველი პრეზიდენტის ერთადერთი ძეგლი



საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება უშუალოდ უკავშირდება პირველი პრეზიდენტის — ზვიად გამსახურდიას სახელს. იმ დღეს, როცა საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, ყველა ბედნიერი იყო. მხოლოდ ერთი ადამიანი ჩაფიქრებულიყო და სევდიანად უმზერდა მოზეიმე ხალხს. ალბათ, იმ სირთულეებზე თუ ფიქრობდა, რომელთა გადალახვაც ახლადდამოუკიდებლობამოპოვებული ქვეყნის ლიდერს უცილობლად მოუწევდა. ეს იყო სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა, რომლიდანაც ან გამარჯვებული უნდა გამოსულიყო, ანდა შესწირვოდა.

ზვიად გამსახურდია ამ ბრძოლას შეეწირა. ეს იყო მისი ტრაგიკული ბედისწერა. თუმცა სიკვდილშიც არ გაუმართლა — დევნილი პრეზიდენტი დღემდე გაურკვეველ ვითარებაში აღესრულა.

დღევანდელ ხელისუფლებაში, რომელიც შვიდი წლის წინათ ხალხისთვის თვალის ასახვევად ზვიად გამსახურდიას სახელს ხშირად ახსენებდა, პირველი პრეზიდენტის ღვაწლის დაფასება არავის გახსენებია. უფრო მეტიც, მისი სახელობის სანაპიროს ნახევარს აზერბაიჯანის გარდაცვლილი პრეზიდენტის სახელი უწოდეს, ქვეყანა კი მოიფინა უნიჭო ძეგლებით (ზოგიერთს „ფეხიც აადგმევინეს“), მოცეკვავე თუ მომღერალი შადრევნებით, შუშის შენობებით...

ერთადერთი ძეგლი, რომელიც ზუგდიდის ცენტრში სტუმარსა თუ მასპინძელს პირველი პრეზიდენტის ღვაწლს ახსენებს, ცნობილი მოღვაწის ალექსანდრე ჭაჭიას ინიციატივითა და სახსრებით სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ მიერ 2002 წელს აღმართული ზვიად გამსახურდიას ბიუსტია. ქანდაკების ავტორია ბადრი სხულუხია.

აქ ხშირად მოდიან სკოლის მოსწავლეები, რომლებიც პატივს მიაგებენ სამშობლოსთვის წამებული ადამიანის ხსოვნას; მოდიან პოლიტიკოსებიც, რომელთაც ამომრჩეველთა გულის მოსაგებად პირველი პრეზიდენტის ძეგლთან ფარისევლური მიახლება გაუხდიათ ერთგვარ საშუალებად. სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ წევრებისა და ბატონი ალექსანდრესთვის კი ამ ძეგლის დადგმა ზვიად გამსახურდიას პიროვნებისადმი პატივისცემის გულწრფელი გამოხატულება იყო.

„საქართველო და მსოფლიოს“ რედაქციამ ფართო საზოგადოებისთვის ცნობილ თუ უცნობ ადამიანებს მიმართა თხოვნით, აზრი გამოეთქვათ თბილისში ზვიად გამსახურდიას ძეგლის დადგმის თაობაზე. გთავაზობთ მათ მოსაზრებებს.



**დავით სოკოლოვი, ტელედიქტორი:**

— ის, რომ ზვიად გამსახურდიას ძეგლი უნდა დაიდგას და თანაც არამარტო თბილისში, არამედ სხვა ქალაქებშიც, მე მგონი, ამაზე არავინ დავობს. მაგრამ, ღმერთმა მაპატიოს და, მიმაჩნია, რომ დღეს ამის გაკეთება ცინიზმია. ზვიადის ძეგლი უნდა დაიდგას მაშინ, როცა გვეყოლება ისეთი ხელისუფლება, რომელიც განახორციელებს მის ჩანაფიქრს და დააფასებს იმ იდეებს, რისთვისაც მთელი თავიანთი ცხოვრება იბრძოდნენ და თავი გაწირეს ეროვნული მოძრაობის ლიდერებმა... სამწუხაროდ, ეს ხელისუფლება ყველაფერს პირიქით აკეთებს, ამიტომ, ვიმეორებ, სანამ ესენი იქნებიან, ზვიადის ძეგლის დადგმა არ მიმაჩნია გამართლებულად და შესაბამისად, ჯერ ამაზე საუბარი, ალბათ, ცოტა არ იყოს, ნაადრევია.

**ელიზბარ ჯაველიძე, აკადემიკოსი:**

— კულტურული და საღად მოაზროვნე ერი ყოველთვის ძეგლს უდგამს და ამით მიაგებს პატივს ღირსეულ ადამიანებს, იმ ხალხს, რომელმაც შექმნა რაღაც ღირებული და ფასეული... ზვიად გამსახურდია იყო და არის ჩვენი ეროვნული გმირი, ამიტომ, რასაკვირველია, მისი ძეგლი აუცილებლად უნდა დაიდგას; მაგრამ, მეორეს მხრივ, ნუ დაგვავიწყდება, რომ დღეს საქართველოს მართავს ძეგლებთან მებრძოლი, მაპატიეთ და, ტვინნაღრძობი ხელისუფლება, რომელსაც არც გმირები აინტერესებს და არც — ისტორია. გაიხსენეთ, რა უქნეს ქუთაისში დიდების მემორიალს და გორში — სტალინის ძეგლს (სხვა ძეგლებზე არაფერს ვამბობ). აი, ეს არის ამათი კულტურა და პატივისცემის გამოხატვა წარსულისადმი. ასე რომ, ვიდრე ესენი იქნებიან ხელისუფლების სათავეში და ვიდრე ქართველი ხალხი არ გამოფხიზლდება საბოლოოდ, ზვიად გამსახურდიას ძეგლს დაუდგამენ კი არა, მეშინია, სადაც დგას, ისიც არ დაანგრიონ. ამათგან ყველაფერია მოსალოდნელი. სააკაშვილს თუ მოუნდება, დარწმუნებული ვარ, ეს ძეგლთმოძულე არამზადები უკან არც ამაზე დაიხევენ.

**პაატა ბარათაშვილი, უზენაესი საბჭოს ყოფილი წევრი:**

— სამწუხარო რეალობაა. ძეგლი აქამდეც უნდა დადგმულიყო. აუცილებელიცაა საქართველოში, მის დედაქალაქში, ამ ადამიანის ძეგლის დადგმა. საქართველო, სამწუხაროდ, ისეთი ქვეყანაა, რომ ადამიანი, რომელმაც გაათავისუფლა იგი, გააგდეს და შემდეგ მოკლეს. რომ მოკლეს, მერე დააფასეს. ასე ვიცით ხოლმე, სანამ ცოცხალია ადამიანი, არაფრად ვაგდებთ, მოკვდება და მერე აგვყავს ცაში.

**რეზო ამაშუკელი, პოეტი:**

— ზვიად გამსახურდია იყო ის ადამიანი, რომლის ძეგლიც უნდა იდგეს არამარტო თბილისში, არამედ საქართველოს ყველა ქალაქსა და რაიონში. მაგრამ ხელისუფლება, რომელმაც დავით აღმაშენებლის ძეგლი გაიტანა ქალაქიდან და რომელიც ყველანაირი ბინძური ფორმით ცდილობს, დააკნინოს და მოსპოს ქართული ცნობიერება, ქართული სული, ბუნებრივია, ამის გამკეთებელი არ არის. ისე, მე თუ მკითხავთ, მარტო ზვიადის კი არა, კოსტავას ძეგლის დადგმაც უნდა მოვითხოვოთ. და საერთოდ, ერთხელ და საბოლოოდ უნდა ვისწავლოთ ჩვენ, ქართველებმა, ღირსეული ადამიანების დაფასება. მერე ხელისუფლებაც ვერ გაბედავს ეროვნული სიწმინდეების ხელყოფას ისე აშკარად, როგორც ამას დღეს აკეთებენ ეს სულგაყიდული ბარბაროსები...

**გურამ ფირცხალავა, მსახიობი:**

— ერთადერთი რამის თქმა შემიძლია: სანამ ეს ხელისუფლება იქნება, ზვიადის ძეგლი არ დაიდგმება, იმიტომ, რომ ამათთვის არ არსებობს არავინ მათზე უკეთესი და ამათ არ სჭირდებათ არავინ მათზე უფრო დიდი ავტორიტეტისა და დამსახურების მქონე ერისა და ქვეყნის წინაშე. კაცი (სააკაშვილი) მისი დღედამოსწრება იმის მტკიცებაშია, რომ დღეს თურმე ყველაფერი პირველად ხდება ქვეყანაში და როგორ წარმოგიდგენიათ, ასეთმა გიჟმა და გადარეულმა ძეგლი დაუდგას მართლა ღირსეულ ადამიანს? ამათ ხელში ეს არ მოხდება. ასე რომ, მე მგონი, დღესდღეობით არც ღირს ამ თემაზე საუბარი...

**ზაურ გახარია, სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ წევრი:**

— რა თქმა უნდა, აუცილებელია იყოს ზვიად გამსახურდიას ძეგლი დედაქალაქში. არჩევნების წინა პერიოდში, როცა ჩვენს პრეზიდენტს სჭირდებოდა, თქვა კიდეც, რომ გამსახურდიას ძეგლს დავდგამთო, მაგრამ სიტყვა დღემდე არ შეუსრულებია. ზუგდიდში კი წლების წინათ ძეგლის გახსნის აქტიური მონაწილე ვიყავი, რომელიც ჩვენმა მოძრაობამ გააკეთა მისი დამფუძნებლის — ალექსანდრე ჭაჭიას ინიციატივით. სამწუხაროა, რომ ეს ერთადერთი ძეგლია ჯერჯერობით. როდესაც ეს ძეგლი გავხსენით, ჩვენ და ჩვენი მეგობრები გახარებული ვიყავით, ზვიადის ოჯახის წევრები კი — წინააღმდეგი, ამათი გახსნილი ძეგლი არ გვინდაო. გიორგი გამსახურდიას ინტერვიუც მაქვს შენახული, სადაც ამბობს — მირჩევნია, შევარდნაძემ დაუდგას ძეგლი, ვიდრე ამათმაო. შემდგომ ჩვენი მეგობრისა და სახალხო მოძრაობის დამფუძნებლის ალექსანდრე ჭაჭიას სურვილით არც მივაწერეთ ძეგლს, ვისი ინიციატივით დაიდგა, რადგან იგი სასტიკი წინააღმდეგი წავიდა: რა მნიშვნელობა აქვს, ვინ დაუდგაო. ყოველ 31 მარტს მივდიოთ იმ ძეგლთან. გაგიკვირდებათ და, ის ხალხიც კი მოდიოდა, რომელიც დადგმის წინააღმდეგი იყო. ძეგლის მიმდებარე ტერიტორია გახდა საზოგადოების აქტიური თავშეყრის ადგილი.

ახლახან გავიგე, რომ თურმე „ქართული პარტიის“ წევრები, რომლებიც ყოველთვის გამსახურდიას წინააღმდეგი იყვნენ, ატარებენ კონფერენციას და აპირებენ „გამსახურდიას სახელობის საზოგადოების“ დაფუძნებას. მისი სახელის პარტიული ინტერესებისთვის გამოყენება ხდება. ძალიან უხერხული ფარსი იდგმება. ზუგდიდში უკვე მოსაწვევები დარიგდა და დღედღეზე აპირებენ კონფერენციის ჩატარებას.

**გია შონია, ინჟინერი:**

— მეამაყება, რომ პირველად საქართველოში ჩემს მშობლიურ ქალაქში დაიდგა ზვიადის ბიუსტი. მე გახლავარ ზვიად გამსახურდიას პოლიტიკის, შემოქმედებითი და მეცნიერული მემკვიდრეობის ერთგული. რამდენადაც ვიცი, ეს ბიუსტი ერთადერთია საქართველოში და მიმაჩნია, რომ არა მარტო ზუგდიდში უნდა იდგეს, არამედ აუცილებელია, საქართველოს სხვა რეგიონებშიც იყოს. ეს, უპირველესად, ქართველი ახალგაზრდების, ახალი თაობის ზნეობის ჩამოყალიბებისთვისაა საჭირო.

**ვახტანგ ორჟონია, აფხაზეთიდან დევნილი:**

— ჩვენ, აფხაზეთიდან დევნილები, თითქმის ყოველდღე ვუყურებთ ზვიად გამსახურდიას ბიუსტს, რადგან ჩვენი თავშეყრის ადგილის წინ დგას. და მადლობას ვუხდით იმათ, ვინც მოიფიქრა და მოახერხა, პირველად საქართველოში დაედგა ზვიადის ბიუსტი. რამდენადაც ვიცი, ეს ოჩამჩირელი კაცის — ალექსანდრე ჭაჭიას დამსახურებაა. ძალიან გვინდა მასთან შეხვედრა.

**გურამ შელია, საქართველოს „ტრადიციონალისტთა კავშირის“ ზუგდიდის ორგანიზაციის ხელმძღვანელი:**

— ზვიად გამსახურდიას ბიუსტის დადგმა ზუგდიდში ეს იყო არაჩვეულებრივი მოვლენა, ამიტომაც ძალიან დასაფასებელია ის ადამიანი, ის პიროვნება, რომელმაც იმ დროს მოახერხა თავისი ჩანაფიქრის განხორციელება. ზვიადი მთელი საქართველოს საკუთრებაა, მისი ბიუსტები თუ ძეგლები ყველგან უნდა იყოს. კეთილი ინებოს ხელისუფლებამ და უარი თქვას არაფრისმომცემი, ძვირადღირებული ღონისძიებების დაფინანსებაზე და იზრუნოს საქართველოში ზვიადის სახელის უკვდავყოფისთვის.

**ივანე ბასიშვილი, პენსიონერი:**

— ზვიად გამსახურდიას დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოს ისტორიაში. ის, რომ ქვეყანამ დამოუკიდებლობა მოიპოვა, სწორედ მისი და მერაბ კოსტავას დამსახურებაა. სამწუხაროდ, დღევანდელ ხელისუფლებას აღარც ცოცხალი ახსოვს და აღარც — გარდაცვლილი. არადა, მათი ხელისუფლებაში ყოფნა სწორედ ოცი წლის წინანდელმა იმ გამარჯვებამ განაპირობა. კარგად მახსოვს, როგორი ერთსულოვანნი ვიყავით 1989 წელს; ის სიხარულიც არასოდეს დამავიწყდება, რომელიც 1991 წლის 9 აპრილს განვიცადეთ. დღეს კი ყველაფერი გაუფასურებულია...



ოპოზიციამ შეცდომები არ უნდა დაუშვას, ხალხთან უნდა იმუშაოს არამარტო თბილისში, არამედ მთელ საქართველოში. მინდა, მაგალითად დავასახელო სტადიონზე შეკრებილი 100 ათასი ადამიანი, რომლებიც სამებაში წაიყვანეს და მერე გზაში დაიფანტნენ. სამებაში რა უნდოდათ?! უნდა მისულიყვნენ კანცელარიაში ან პრეზიდენციაში. 100 ათასი კაცი ძალაა. ეს შეცდომა აღარ უნდა განმეორდეს.

პოზიცია
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# ედუარდ შევარდნაძე: შეიძლება საქმე აჯანყებამდე მივიდეს

**საქართველოს დამოუკიდებლობა ზუსტად 20 წელიწადს ითვლის. ამ დროის მანძილზე საქართველოს ყველაზე მეტხანს ედუარდ შევარდნაძე ხელმძღვანელობდა — თითქმის 12 წელიწადი მართავდა დამოუკიდებელ ქვეყანას — ჯერ სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის, შემდეგ — პარლამენტის თავმჯდომარის, სახელმწიფო მეთაურის, ბოლოს კი, 1995-2003 წლებში, პრეზიდენტის რანგში. ბატონ ედუარდს კრწანისში, შინ ვეწვიე. მის სამუშაო კაბინეტში შესულს მასპინძელი მხნედ მომესალმა. განვლილი 20 წელიწადის შეფასება ვთხოვე და ჩვენი საუბარიც დაიწყო.**



— უპირველესად, მინდა 1991 წლის რეფერენდუმის მნიშვნელობაზე ვისაუბრო. ეს იყო უმნიშვნელოვანესი მოვლენა საქართველოს ისტორიაში. მთელი ქვეყნის მოსახლეობამ ხმა მისცა დამოუკიდებლობას და აღდგა საქართველოს სახელმწიფოებრიობა. ეს იყო მართლაც უდიდესი ისტორიული მოვლენა.

**— მიუხედავად ისტორიული ფაქტისა, სამწუხაროდ, საქართველო მაინც ვერ შედგა როგორც სუვერენული სახელმწიფო. სად გადის პატარა ქვეყნის სუვერენიტეტის ზღვარი, როცა დიდი სახელმწიფოების ინტერესები იკვეთება?**

— *(გაიღიმა და საჩვენებელი თითი შუბლზე მიიდო)* პოლიტიკოსის ჭკუა-გონებაში. პატარა ქვეყნის ხელისუფალს ყოველთვის უნდა ახსოვდეს თავისი ადგილი გლობალურ პოლიტიკურ პროცესებში და, თუ ვერ გააფართოებს, არ დაკარგოს მაინც ის, თუნდაც მინიმალური, გავლენა, რაც მისი სამშობლოს ინტერესების სასარგებლოდ უნდა გამოიყენოს.

**— ბატონო ედუარდ, ბუნებრივია, არჩევანის საშუალება პატარა ქვეყანასაც აქვს, მთავარია, როგორ დასრულდება გზა, რომელსაც აირჩევს. მახსოვს, 2002 წელს პრაღაში, ნატოს საიუბილეო სამიტზე თქვენ პირველად განაცხადეთ საქართველოს სურვილი ნატოს წევრობის შესახებ. ამის შემდეგ რამდენად იოლი იყო რუსეთის ხელისუფლებასთან ურთიერთობა? ისინი ხომ ყოველთვის ეწინააღმდეგებოდნენ ამ სწრაფვას...**

— მას შემდეგ თითქმის ცხრა წელი გავიდა და ამერიკა და ევროპა კვლავაც აცხადებენ, საქართველო რომ ნატოს წევრი გახდება, ეჭვს არ იწვევსო. ისინი დაინტერესებული არიან, რომ საქართველო ნატოს წევრი გახდეს, მაგრამ გარკვეული მოთხოვნები უნდა შევასრულოთ. ამ პირობების შესახებ ყველამ კარგად იცის.

რაც შეეხება რუსეთის ხელისუფლებას, არაერთხელ მითქვამს, რომ ამ შემთხვევაში ძალიან დადებითი როლი შეასრულა ჩემი და ვლადიმერ პუტინის ურთიერთობამ. ჩვენ მეგობრული ურთიერთობა გვქონდა და პუტინსაც ბევრი აქვს გაკეთებული საქართველოსთვის. მას შემდეგ, რაც ამერიკელებმა ქართული ჯარის შესაქმნელად დახმარების მზადყოფნის გადაწყვეტილება მიიღეს, ყაზახეთში, ალმაატაში, დსთ-ის სამიტი გაიმართა. თათბირის შემდეგ პრესის წინაშე პუტინი წარსდგა როგორც დსთ-ის იმდროინდელი თავმჯდომარე. პრესკონფერენციის შემდეგ ჟურნალისტმა პუტინს ჰკითხა, რა აზრის იყო იმის თაობაზე, რომ ამერიკა საქართველოს იარაღს აწვდის და ჯარის გაწვრთნაში ეხმარება. პუტინმა უპასუხა, რომ საქართველო არის დამოუკიდებელი ქვეყანა და თავისი სურვილისამებრ წყვეტს საკითხებს, ვისი დახმარებით მოამზადოს ჯარი.

**— და ამ დამოუკიდებელმა ქვეყანამ ცალმხრივად გაამარტივა სასაზღვრო რეჟიმი ჩრდილოკავკასიელებისთვის, რამაც რუსეთის გაღიზიანება გამოიწვია.**

— **მე, მაგალითად, საზღვარს არ გავხსნიდი. ჩეჩნებთან ურთიერთობა არის ურთულესი. გაგრაში, სტადიონზე, ხალხი შეკრიბეს, თავები დააჭრეს და ფეხბურთი ითამაშეს. ეს რომ გავიგე, მაშინ სოხუმში ვიყავი და ჩეჩნებს შევუთვალე — ისტორია თქვენ ამას არ გაპატიებთ და პასუხს აგებთ ამ დანაშაულისთვის-მეთქი.** მართლაც, რამდენიმე თვეში ჩეჩნები რუსების წინააღმდეგ აჯანყდნენ. რა თქმა უნდა, რუსებს ვერ აჯობებდნენ და მათ ჩეჩნები საქართველოს ტერიტორიაზე გადმორეკეს. კახეთში უნდა განმეორებულიყო იგივე, რაც აფხაზეთში გააკეთეს. მაგრამ ჩვენ ჩეჩნების მეთაურთან, გილაევთან საერთო ენა გამოვძებნეთ. მერე დუდაევი მოკლეს და პრეზიდენტი გახდა მასხადოვი, რომელიც საქართველოში ჩამოვიდა და ერთად წავედით ჩეჩენი ლტოლვილების სანახავად ახმეტაში.

**— სოჭის ოლიმპიადაზეც გკითხავთ: ეს ხელს შეუწყობს საქართველოს პრობლემების მოგვარებას თუ პირიქით?**

— სოჭის ოლიმპიადას ხელს ვერავინ შეუშლის. ჩვენ ძალიანაც რომ მოვინდომოთ, ძლიერი ჯარიც რომ გვყავდეს, მაინც ვერაფერს ვიზამთ, რადგან ოლიმპიადას კბილებამდე შეიარაღებული ათასობით ჯარისკაცი იცავს. ოლიმპიადა მაინც ჩატარდება.

**— ჩვენ თუ წაგვადგება რამით აფხაზეთთან დაკავშირებით?**

— არაფრით.

**— ქვეყნის სუვერენიტეტს დავუბრუნდეთ. ამ 20 წლის მანძილზე დავკარგეთ ტერიტორიები, ხალხი გალატაკდა. რა უნდა გაკეთდეს, რომ მომდევნო 20 წლის მანძილზე ამ მდგომარეობიდან გამოვიდეთ?**

— საქართველოს ხელისუფლებას თუ დაღუპავს, ხალხის უკმაყოფილება დაღუპავს. შეიძლება საქმე აჯანყებამდეც მივიდეს. შეიძლება. და ბევრი პოლიტიკოსი ამაზეც ფიქრობს.

**— აქვთ კი პერსპექტივა?**

— **ოპოზიციამ შეცდომები არ უნდა დაუშვას, ხალხთან უნდა იმუშაოს არამარტო თბილისში, არამედ მთელ საქართველოში. მინდა, მაგალითად დავასახელო სტადიონზე შეკრებილი 100 ათასი ადამიანი, რომლებიც სამებაში წაიყვანეს და მერე გზაში დაიფანტნენ. სამებაში რა უნდოდათ?! უნდა მისულიყვნენ კანცელარიაში ან პრეზიდენტის რეზიდენციაში. 100 ათასი კაცი ძალაა. ეს შეცდომა აღარ უნდა განმეორდეს.**

**— რამდენად გამბედავი ადამიანი უნდა იყოს სუვერენული, თუნდაც პატარა ქვეყნის ლიდერი?**

— პოლიტიკოსს პირველი რაც მოეთხოვება, ეს არის ჭკუა-გონება, აზროვნება. თუ აზროვნებ, მაშინ სწორად მოქმედებ. როცა არჩევანის წინაშე დავდექი — სისხლი უნდა დამეღვარა თუ არა, სისხლი არ დავღვარე და წავედი სახლში.

**— მსოფლიოში ძალიან ბევრმა არ გაითვალისწინა ეს მაგალითი...**

— ჯერ არ მისულან მაგ დასკვნამდე. ეგვიპტის პრეზიდენტ მუბარაქს თავის დროზე ბევრი კარგი საქმე აქვს გაკეთებული. დიდი როლი შეასრულა ისრაელსა და არაბულ სამყაროს შორის ურთიერთობის მოგვარებაში. ჭკვიანი კაცი იყო, ორჯერ შევხვდი. კადაფის არ ვიცნობ. ძალიან ჯიუტია, აზროვნებაც არ აქვს გამართული — ნახევარი ქვეყანა ამოწყვიტა და ამოაწვეტინა.

**— რას იტყვით ზვიად გამსახურდიას როლზე საქართველოს ისტორიაში?**

— ზვიადზე ბევრი რამ მაქვს ნათქვამი, წიგნშიც დავწერე. ზვიადის დამსახურება ის არის, რომ მან გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობა. მაგრამ გამოცხადება ერთია და ძალაუფლების შენარჩუნება — მეორე... კიტოვანი მასთან იყო, სიგუა მასთან იყო, მაგრამ მძიმე ხასიათი ჰქონდა. თუმცა ისტორიაში დარჩება როგორც პრეზიდენტი, რომელმაც საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

**— მიუხედავად მისი ისტორიული როლისა, დედაქალაქში არ გვაქვს ზვიად გამსახურდიას ძეგლი. ერთადერთი ძეგლი ზუგდიდშია, რომელიც სახალხო მოძრაობა „სამეგრელომ“ მას ალექსანდრე ჭაჭიას ინიციატივითა და სახსრებით დაუდგა...**

— ეს ძეგლი ზვიადს ხალხმა დაუდგა. როცა ზვიადი გარდაიცვალა, მაშინ ვთქვი, რომ იგი მთაწმინდაზე უნდა დაკრძალულიყო...

**— სუვერენული საქართველოს მომავალი როგორ გესახებათ?**

— მომავალი მძიმე იქნება, მაგრამ საქართველო მაინც შეინარჩუნებს დამოუკიდებლობას. მოვა დრო და აფხაზეთსაც დაგვიბრუნებენ. არ ვამბობ, რომ ერთ-ორ წელიწადში, მაგრამ ჩვენ არ უნდა დავუშვათ შეცდომები. ერთი აფხაზიც რომ დარჩეს სოხუმში, იმასთანაც უნდა ვიმეგობროთ.

ესაუბრა
**ბონდო მძინარაშვილი**

## საავტორო სვეტი

# ევროპა + რუსეთი – სააკაშვილი = ?

**არეულობა არაბულ სამყაროში გრძელდება და სულ უფრო ხშირად გვესმის ფრაზა: „ეს ყველაფერი ნავთობის გამო ხდება“. ეს მოსაზრება იმდენად გავრცელდა, რომ ურიგო არ იქნება, შევეცადოთ, დავადგინოთ, თუ რა მნიშვნელობა ენიჭება ამ მოვლენებში ნავთობსა და გაზს და რა გავლენის მოხდენა შეუძლია ყოველივე ამას საქართველოს მომავალზე.**

არაბული ქვეყნები ევროპის გაზის იმპორტის 30 პროცენტს უზრუნველყოფენ, ხოლო ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ნეტო-იმპორტის — 60 პროცენტს. ნავთობის მოპოვება ქაოსით მოცულ ქვეყნებში შემცირდა, მის სტაბილურ მოწოდებას რეალური საფრთხე დაემუქრა. მიმდინარე წლის პირველ ორ თვეში ნავთობის ფასი 23 პროცენტით გაიზარდა; კომენტატორები ალაპარაკდნენ იმაზე, რომ მან შეიძლება 150-200 დოლარს მიაღწიოს. ასეთი ფასები ევროპულ ეკონომიკაზე ძალზე უარყოფითად იმოქმედებს.

საუდის არაბეთის მეფე აბდალა 86 წლისაა და ახლახან გულის ოპერაცია გაიკეთა. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა შემაშფოთებელია. მონარქის შესაძლო გარდაცვალება, სავარაუდოდ, მკვეთრად გაამწვავებს იმ პრობლემებს, რომლებიც ამ ქვეყანაში ნამდვილად დაგროვდა. არის სხვა ნეგატიური ფაქტორებიც: საუდის არაბეთის ურთიერთობა ირანთან ბოლო დროს ძალიან დაიძაბა. თუ იქ, მეზობელი ქვეყნების მსგავსად, არეულობა დაიწყება და ნავთობის ექსპორტს საფრთხე შეექმნება, ევროპის ეკონომიკა კოლაფსთან მიახლოებულ მდგომარეობაში აღმოჩნდება; ნავთობის ფასმა შეიძლება 200 დოლარს გადააჭარბოს, თანაც, დიდი ალბათობით, ნავთობის ბაზარზე შეიქმნება სიტუაცია, როდესაც მოწოდება მოთხოვნაზე მცირე გახდება.

**ბოლო დროს ევროკავშირის პრიორიტეტს რუსულ ენერგომატარებლებზე დამოკიდებულების შემცირება წარმოადგენდა. ამ პოლიტიკამ აფრიკა-ახლო აღმოსავლეთის ენერგომატარებლებზე დამოკიდებულება გაზარდა. ამ თვალსაზრისით, ევროპელები დღეს იმკიან იმას, რაც თავადვე დათესეს.**

**გერმანიის რეაქცია ბოლო მოვლენებზე თითქმის მომენტალური იყო, „BASF“-მა რუსულ „სამხრეთ ნაკადში“ ორი მილიარდი ევრო ჩადო.**

**დღეს არაბული ქაოსის ფონზე ევროპული ქვეყნებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ იმპორტი რუსეთიდან სტაბილური იყოს. ასე რომ, სავარაუდოდ, ახლო პერსპექტივაში ევროპელები არ წამოიწყებენ და მხარს არ დაუჭერენ თამაშს კრემლის წინააღმდეგ სატრანზიტო უკრაინასა და ბელარუსში; ეს ფაქტორი იქ მოსკოვის გავლენის განმტკიცებას მოასწავებს.**

ამასთან, ევროკავშირი, პრაქტიკულად, იძულებულია კიდევ ერთ პროექტთან — „ნაბუქოსთან“ დაკავშირებით საბოლოოდ ჩამოყალიბდეს. ერთი საინტერესო ქრონოლოგია: 16-17 თებერვალს ლიბიაში საპროტესტო დემონსტრაციები ჩატარდა, 18-19 თებერვალს ქუჩებში არეულობის პირველი ნიშნები გაჩნდა, 20 თებერვალს დაიწყო შეიარაღებული ამბოხი და მოვლენებმა შეუქცევადი ხასიათი შეიძინა, 21 თებერვალს ბრიტანულმა პრესამ გვამცნო, რომ „British Petroleum“-მა ადრინდელი 7,9 მილიარდი ევროს ნაცვლად „ნაბუქოს“ გაყვანის ღირებულება 14 მილიარდ ევროდ შეაფასა, ხოლო „ნაბუქოს“ კონსორციუმი ხარჯთაღრიცხვის გადახედვას ახდენს. საკრედიტო დაფინანსების მიღება ასეთი გაძვირების შემთხვევაში, სავარაუდოდ, მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხერხდება, თუ ევროკავშირი ამ მილსადენზე სტრატეგიულ ფსონს დადებს. მაგრამ ვინ შეძლებს, უზრუნველყოს მყარი უსაფრთხოება სატრანზიტო ქვეყნებში, კერძოდ კი საქართველოში („ნაბუქოს“ ჩრდილოეთის განშტოება)? ევროკავშირი სრულ პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე ვერ აიღებს, სააკაშვილზე, როგორც უსაფრთხოების გარანტზე, საუბარიც კი სასაცილოა. რაც შეეხება ამერიკელებს, დესტაბილიზაცია სწორედ იმ არაბულ ქვეყნებში დაიწყო, რომელთა მმართველებს ისინი აკონტროლებდნენ; **ასე რომ, ევროკავშირის ქვეყნები, „ნაბუქოს“ ჩრდილოეთის განშტოებასთან დაკავშირებით, შეიძლება იმავე გადაწყვეტილებისკენ გადაიხარონ, საითკენაც უკრაინა და ბელარუსი და უსაფრთხოების უზრუნველყოფაში რუსეთის როლის გაზრდას მიემხრონ. მართალია, ამ შემთხვევაში ტრანსკავკასიური პროექტები, დაკარგავს პირვანდელ დატვირთვას, რომელიც მოსკოვზე დამოკიდებულების შემცირებას გულისხმობდა, მაგრამ ევროპას უახლოეს პერსპექტივაში სჭირდება გაზი და არა — გეოპოლიტიკური თამაშები; ხოლო უსაფრთხოების გარანტიების შექმნა სამხრეთ კავკასიაში რუსეთის მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია. ეს ახალი რეალობა მიხეილ სააკაშვილისთვის კარგს არაფერს მოასწავებს.**

**დიმიტრი მონიავა**

არსენალი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95



თუკი კოალიცია ლიბიაში სახმელეთო ოპერაციას დაიწყებს, კადაფი აპირებს, მათ პარტიზანული „სახალხო ომით“ შეეგებოს, რომლისთვისაც ორგანიზაციულად რამდენიმე ათეული წელიწადის განმავლობაში ემზადებოდა. ეს კი სულ სხვა ომი იქნება, შესაძლოა, არანაკლებ მძიმე, ვიდრე ერაყსა და ავღანეთში.

## მოკლედ

### რუსეთი რაკეტების წარმოებას გაზრდის



**2013 წლისთვის რუსეთი გააორმაგებს სარაკეტო კომპლექსების: „Ярс“-ის, „Булава“-სა და „Искандер-М“-ის წარმოებას.** ამის შესახებ რუსეთის პრემიერმა ვლადიმერ პუტინმა განაცხადა. პუტინის თქმით, 2020 წლამდე რუსეთის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის მოდერნიზაციასა და განვითარებაზე 20 ტრილიონი რუბლი დაიხარჯება.

### «Raptor»-ი ლიბიაში არ იომებს



**აშშ-ის საჰაერო ძალებმა მიიღეს გადაწყვეტილება, ლიბიის ოპერაციაში უახლესი „F-22 Raptor“-ები არ გამოიყენონ.** მიზეზად დასახელდა ის, რომ ამ, უმეტესწილად რადიოდუმილის, პირობებში მოქმედებისთვის შექმნილი გამანადგურებელი სხვა თვითმფრინავებთან ინფორმაციის გაცვლას ვერ შეძლებს და, აგრეთვე, ის, რომ „Raptor“-ი სახმელეთო ობიექტებზე იერიშის მიტანისთვის განკუთვნილი არ არის, — წერს „Defense News“.

### «Boxer»-ი მწყობრში დგება



**ბუნდესვერმა ახალი ჯავშანტრანსპორტიორ „Boxer“-ების პირველი პარტია (8 ერთეული) მიიღო. აგვისტოში მათ ავღანეთში გაგზავნიან.** „Rheinmetall“-ის მიერ შექმნილი მოდულური ჯავშნით აღჭურვილი „Boxer“-ი 33 ტონას იწონის. მისი სიჩქარეა 103 კმ/სთ, სვლის მარაგი — 1100 კმ, შეიარაღება — 12,7 მმ, ტყვიამფრქვევი „M2HB“ ან 40 მმ. ავტომატური ყუმბარმტყორცნი, ეკიპაჟი — 2, ხოლო დესანტი (კონფიგურაციიდან გამომდინარე) — 7-11 მებრძოლი.

### ირანული თვითშემოქმედება გრძელდება



**ირანში ახალი 155 მმ თვითმავალი საარტილერიო დანადგარის პრეზენტაცია გაიმართა. საველე ჰაუბიცა „HM-41“ (წონა 6 890 კგ.) სატვირთო მანქანაზე დაამონტაჟეს.** „HM-41“-ს შეუძლია, გაისროლოს რეაქტიული ფუგასური ჭურვები და ირანელი კონსტრუქტორების მიერ ახლახან შექმნილი კასეტური ჭურვები; სროლის მაქსიმალური სიშორე შესაბამისად 30 და 28 კმ-ია.

# ლიბიაში «უცნაური ომი» გრძელდება

**ლიბიაში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებმა ბევრი საინტერესო, ხშირ შემთხვევაში კი, უცნაური გარემოება წარმოაჩინა. მდგომარეობა ყოველდღიურად იცვლება, თუმცა ჩვენ უკვე შეგვიძლია ვისაუბროთ ამ ომის რიგ ასპექტებზე, რომელთა გააზრება, ალბათ, აუცილებელია.**







ფაქტია, მუამარ კადაფიმ ვერ შექმნა საჰაერო თავდაცვის ეფექტური სისტემა, მიუხედავად იმისა, რომ საამისოდ დრო და ფული ნამდვილად ჰქონდა. რაღა დროს „C-75“, „C-125“ და გასული საუკუნის 70-იანი წლების „Crotale“-ა? **მოძველებული რადიოსალოკაციო სადგურების ნაწილს მეამბოხეები დაეპატრონენ, დარჩენილი ნაწილი კი, ისევე, როგორც ბევრი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი და აეროდრომებზე არსებული გამანადგურებელი, კოალიციის „Tomahawk“-ებმა და ავიაციამ**

გაანადგურა; მათი ადგილმდებარეობა საიდუმლოს არავისთვის წარმოადგენდა. ამ შემთხვევაში მუამარ კადაფისა და მიხეილ სააკაშვილს შორის უცნაური მსგავსება შეინიშნება, ორივემ საჰაერო თავდაცვის (და ხომალდსაწინააღმდეგო) საშუალებებს სათანადო ყურადღება არ მიაქცია. თუმცა, **სამხედრო საქმეში ჩაუხედავი სააკაშვილისგან განსხვავებით, კადაფის ხომ სამხედრო განათლება აქვს მიღებული და კარგად უნდა სცოდნოდა, რომ ამ ფაქტორის უგულებელყოფა, უბრალოდ, არ შეიძლება.**

შედეგი სახეზეა, კადაფის სახმელეთო ძალები პრაქტიკულად დაუცველია, მოქმედების მცირე რადიუსის მობილურ ჰაერსაწინააღმდეგო საშუალებებს მხოლოდ იმის უზრუნველყოფა შეუძლია, რომ კოალიციის მოიერიშეებმა (მაგალითად, „A10“-ის ტიპის) სატანკო კოლონებს თავისუფალი ვარდნის ბომბები მცირე სიმაღლიდან ზედ თავზე არ დააყარონ. თუმცა კოალიციას ეს არც სჭირდება, მას საჰაერო იერიშების განხორციელების სხვა შესაძლებლობებიც აქვს.

**საერთოდ, თუ საჰაერო თავდაცვის სისტემიდან თუნდაც ერთი კომპონენტი ამოვარდნილია, დანარჩენებისგან სასწაულებრივ შედეგებს არ უნდა ველოდოთ, დღეს კოალიციას საჰაერო კამპანიის წარმოებისთვის თითქმის იდეალური პირობები აქვს.**

გასული კვირის ბოლოსთვის, სავარაუდო საბრძოლო მოქმედებების შემდეგი მონახაზი გამოიკვეთა: **კადაფის ჯავშანტექნიკა მიიწევს იმ ტერიტორიებისკენ, რომელთაც მსუბუქად შეიარაღებული, პრაქტიკულად ნულოვანი საბრძოლო ღირებულების მქონე მეამბოხეთა რაზმები აკონტროლებენ, ხოლო მოკავშირეთა ავიაცია მათ საჰაერო დარტყმებით აჩერებს.** პირველი ასეთი შეტევა 19 მარტს შედგა, ბენგაზის მიდამოებში ფრანგების 20-მდე თვითმფრინავმა კადაფის ჯავშანტექნიკის 4-5 ერთეული გაანადგურა, რასაც, რბილად რომ ვთქვათ, დამკვირვებლებზე წარუშლელი შთაბეჭდილება არ მოუხდენია; ლიბიურმა შენაერთებმა ორგანიზებულობის შენარჩუნებმა მოახერხეს.

ამასთან, საბრძოლო მოქმედებების პირველ ეტაპზე გამოჩნდა, რომ **კადაფის ტანკებისთვის „საჰაერო გენოციდის“ ოპერაციაში ჩართული ევროპული თვითმფრინავები საკმარისი არ არის. ამერიკელები კი ძალების გაზრდას არ ჩქარობდნენ და ეს გარკვეულ ეჭვს ბადებდა.** პირველ ეტაპზე მათ საჰაერო ოპერაციაში ჩართეს მხოლოდ 42 „F-16“, რომლებიც იტალიაში, ავიანოს ბაზაზე, იმყოფებოდა. მართალია, შემდგომ, გასული კვირის ბოლოს, შტაბების უფროსთა გაერთიანებული კომიტეტის ხელმძღვანელმა, ვიცე-ადმირალმა უილიამ გორტნიმ განაცხადა, რომ **„ოპერაციაში 350 თვითმფრინავი მონაწილეობს და მათ ნახევარზე ოდნავ მეტი ამერიკულია“,** თუმცა ყურადღება მივაქციოთ ერთ გარემოებას — სიტუაცია აშკარად განსხვავებულია აშშ-ის მიერ ბოლო დროს წარმოებული ყველა ოპერაციისგან. მასთან ძალთა მსხვილი გადაჯგუფება არ ახლდა.

ექსპერტები გაკვირვებით აღნიშნავდნენ, რომ **სიცილიაზე და საერთოდ ევროპაში** (კონკრეტულად კი, იტალიასა და საბერძნეთში) **შტატებიდან არც ერთი ესკადრილია არ გადაუსროლიათ, რომ ბრიტანულ ლეიკენჰიტსა და გერმანულ შპანგდალემში, სადაც ამერიკული ავიაციის მსხვილი ძალებია თავმოყრილი, არანაირი მოძრაობა არ შეინიშნება, კონფლიქტის დაწყებისთანავე ლიბიის ნაპირებთან არ გამოჩენილა მძლავრი ავიამზიდი დაჯგუფება** (ადრე მსგავსი ტიპის კრიზისულ სიტუაციებში 3-4 ამერიკული ავიამზიდი უკვე დანიშნულების ადგილზე იქნებოდა).

4 ათასი საზღვაო ქვეითი, რომლებიც საბრძოლო მოქმედებების ზონის უშუალო სიახლოვეს იმყოფებიან, კადაფის ძალების დამარცხებისთვის საკმარისი, ასევე, არ არის; მათი შესაძლებლობების მაქსიმუმი, ალბათ, ოპოზიციის უკანასკნელი ბასტიონის გამაგრებაა, იმ შემთხვევაში, თუ კადაფის ძალები სერიოზულ წარმატებას მიაღწევენ. **როგორც ჩანს, აქ ადგილი აქვს რაღაც პოლიტიკურ გათვლას: ამერიკელები ჯერჯერობით თითქოს უბიძგებენ ევროპელებს** (უპირველესად, — ფრანგებს), **ოპერაციაში მთავარი როლი შეასრულონ.**

არადა, როგორ უნდა იომონ ევროპელებმა შემცირებული არმიებით, სეკვესტრირებული ბიუჯეტებით, სათუო საბრძოლო სულისკვეთებით, მაშინ, როდესაც საზოგადოება მათ ქვეყნებში გალიზიანებულია?

მთავარი კითხვა კი ასე დგას: **შეძლებენ თუ არა მეამბოხეები დასავლური ავიაციის, ინსტრუქტორებისა და სპეცრაზმების დახმარებით კადაფი დაამარცხონ?** ანალოგია 2001 წლის ავღანეთთან არ გამოგვადგება, რადგან იქაური „ჩრდილოეთის ალიანსის“ ფორმირებები, რომელთა მოქმედებამ მნიშვნელოვანწილად განაპირობა წარმატება ხმელეთზე, კარგად შეიარაღებულები, ორგანიზებულები და გამოცდილები იყვნენ. ლიბიელი მეამბოხეები კი ძალიან სუსტი ძალის შთაბეჭდილებას ტოვებენ და კადაფის ასევე სუსტ, თუმცა ასე თუ ისე ორგანიზებულ და მძიმე შეიარაღების მქონე შენაერთებთან შედარებით მეტად არადამაჯერებლად გამოიყურებიან. **მათი წარუმატებლობა კი, თითქმის 100-პროცენტიანი ალბათობით, კოალიციის მიერ სახმელეთო ოპერაციის დაწყებას მოასწავებს.**

კადაფი აპირებს, მათ პარტიზანული „სახალხო ომით“ შეეგებოს, რომლისთვისაც ორგანიზაციულად რამდენიმე ათეული წელიწადის განმავლობაში ემზადებოდა. ეს კი სულ სხვა ომი იქნება, შესაძლოა, არანაკლებ მძიმე, ვიდრე ერაყსა და ავღანეთში.

დღეს მძლავრ სახელმწიფოებს, უბრალოდ, არ სჭირდებათ უაღრესად ძვირადღირებული სატანკო არმადები დიდ, კონტინენტური მასშტაბების, სივრცეებზე ბატონობისთვის და „ცივი ომის“ დროინდელი გეგმების შესაბამისი გარღვევებისთვის. იმ, მეტწილად კონტრპარტიზანულ, ომებში, რომელთაც ისინი აწარმოებენ, ასეთი ტანკები საჭირო არ არის.



არსენალი
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# რუსეთი XXI საუკუნის ტანკს ქმნის

**ინფორმაცია ახალი რუსული ტანკის („ობიექტი 195“, იგივე „T-95“) და საბრძოლო პლატფორმების („Армата“, „Тайфун“, „Бумеранг“ და „Курганец-25“) შექმნის პროცესის შესახებ მკაცრად გასაიდუმლოებულია. წარმოდგენის შექმნა იმაზე, თუ რა სამუშაოები მიმდინარეობს ამ მიმართულებით, მხოლოდ მედიიდან მიღებული მცირე, ხანდახან ურთიერთგამომრიცხავი ცნობების შეჯერების გზით შეიძლება; სრულყოფილ ინფორმაციას ამ ეტაპზე, ცხადია, ვერ მივიღებთ.**




მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სამხედრო ექსპერტების გარკვეული ნაწილი გამუდმებით აფრქვევდა „ბრძნულ აზრებს“ ტანკების, როგორც საბრძოლო ტექნიკის კლასის გარდაუვალი აღსასრულის შესახებ. ტანკების „მესაფლავის“ როლში ისინი ხან ბირთვულ იარაღს წარმოაჩენდნენ, ხან ტანკსაწინააღმდეგო რაკეტებით აღჭურვილ ვერტმფრენებს, ხან გადასატან ტანკსაწინააღმდეგო კომპლექსებს და ა.შ. თუმცა ტანკი, როგორც ყველაზე მძიმედ შეიარაღებული და დაცული საბრძოლო მანქანა, დღემდე ცოცხალია.

**დღეს სატანკო სფეროში, ერთი შეხედვით, სტაგნაციაა, მიმდინარეობს იმ მოდელების მოდერნიზაცია, რომლებიც გასული საუკუნის 70-80-იან წლებში შეიქმნა და 90-იან წლებში გაუმჯობესდა. ამაში გასაკვირი არაფერია. დღეს მძლავრ სახელმწიფოებს, უბრალოდ, არ სჭირდებათ უაღრესად ძვირადღირებული სატანკო არმადები დიდ, კონტინენტური მასშტაბების, სივრცეებზე ბატონობისთვის და „ცივი ომის“ დროინდელი გეგმების შესაბამისი გარღვევებისთვის. იმ, მეტწილად კონტრპარტიზანულ, ომებში, რომელთაც ისინი აწარმოებენ, ასეთი ტანკები საჭირო არ არის.**

თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მუშაობა XXI საუკუნის ტანკებზე არ მიმდინარეობს. უბრალოდ, მათი სერიული წარმოება დაიწყება მხოლოდ მაშინ, როდესაც ესა თუ ის სახელმწიფო მივა დასკვნამდე, რომ „დიდი ომი“ ძლიერ მოწინააღმდეგესთან ახლო პერსპექტივაში გარდაუვალია. მეორე მსოფლიო ომში ლეგენდარული „T-34“-ის წარმატების საიდუმლო მეტწილად იმან განაპირობა, რომ ამ ტანკის წარმოება სათანადო მომენტში დაიწყო, არც მასზე ადრე და არც მასზე გვიან; ის ადრინდელ გერმანულ ტანკებზე უფრო ძლიერი იყო, ხოლო მასზე უკეთესი გვიანდელი ტანკების მასობრივი წარმოება გერმანელებმა ომის პირობებში, დროისა და რესურსების უკმარისობის გამო ვერ ააწყვეს.

**მაშ ასე, „T-95“... პირველი, რაც დაუზუსტებელი ინფორმაციის შეჯერების გზით, მიღებულ სურათზე დაყდნობით აუცილებლად უნდა აღინიშნოს, ისაა, რომ მართვისა და შეიარაღების მოდული ერთმანეთისგან იზოლირებულია. ორ კაცამდე შემცირებული ეკიპაჟის წევრებს კოშკურაში აღარაფერი ესაქმებათ, მათი ადგილი კორპუსში, ერთგვარ დაჯავშულ კაფსულაშია, რომელიც, აგრეთვე, იზოლირებულია საწვავის ჰერმეტიზებული მარაგისგან და საბრძოლო კომპლექტისგან. ამასთანავე, ერთმანეთისგან იზოლირებულია საწვავი და საბრძოლო კომპლექტიც, ლოკალური ხანძარი ძრავა-ტრანსმისიის ნაკვეთურში ჭურვებზე გავლენას ვერ მოახდენს. ცხადია, ასეთი მიდგომა ეკიპაჟის დაცულობასა და ტანკის სიცოცხლისუნარიანობას ზრდის.**

**ტანკის ძირითადი შეიარაღება 152 მმ ქვემეხია, დამხმარე კი, სავარაუდოდ, — 30 მმ ავტომატური ქვემეხი. მართვის საინფორმაციო სისტემა ობიექტის პარამეტრების ავტომატურ კონტროლს უზრუნველყოფს. საბრძოლო მასა 55 ტონამდეა, სიმაღლე — 2000 მმ, კლირენსი — 500 მმ, აქტიური და დინამიური დაცვის მახასიათებლები უცნობია, სიჩქარე — 80 კმ/სთ, სვლის მარაგი — არანაკლებ 500 კილომეტრისა.**

ტანკის ძირითადი შეიარაღება 152 მმ ქვემეხია, დამხმარე კი, სავარაუდოდ, — 30 მმ ავტომატური ქვემეხი. მართვის საინფორმაციო სისტემა ობიექტის პარამეტრების ავტომატურ კონტროლს უზრუნველყოფს და ციფრულ ფორმატში ეკიპაჟს გადასცემს, რაც მის მუშაობას აიოლებს; ამასთანავე, ტანკის კომპიუტერული სისტემა დაკვირვების სხვადასხვა დიაპაზონიდან მიღებული გამოსახულების კომპლექსირებას ახდენს. ტანკის საბრძოლო მასა 55 ტონამდეა, სიმაღლე — 2000 მმ, კლირენსი — 500 მმ, აქტიური და დინამიური დაცვის მახასიათებლები უცნობია, სიჩქარე — 80 კმ/სთ, სვლის მარაგი — არანაკლებ 500 კილომეტრისა. ეს, ისევ და ისევ, სავარაუდო მახასიათებლებია.

ცნობილია, რომ რუსმა სამხედროებმა ახალი ტანკის კონსტრუქტორებს შემდეგი მოთხოვნები წაუყენეს: ჭურვის მიზანში მოხვედრის ალბათობა მაქსიმალურად უნდა გაიზარდოს. ეკიპაჟი გარანტირებულად უნდა იყოს დაცული დაღუპვისგან, როდესაც კინეტიკური ან კუმულატიური ჭურვი ტანკზე ზემოქმედებას მოახდენს. ტანკში აუცილებლად ინტეგრირებული უნდა იყოს მართვის ტაქტიკური რგოლის ავტომატიზირებული მართვის სისტემა. ტანკის პლატფორმაზე შესაძლებელი უნდა იყოს საბრძოლო მანქანების მთელი სპექტრის, „ოჯახის“ შექმნა. ტანკს უნდა ჰქონდეს სამოდერნიზაციო რესურსი იმისათვის, რომ შეიარაღებაზე მინიმუმ 30 წელიწადი დარჩეს.

ამ მოთხოვნებმა შემდეგი ტექნიკური გადაწყვეტილებების დანერგვის აუცილებლობა შექმნეს: **ა) შეიარაღების კომპლექსის მუშაობას დაკვირვების რამდენიმე არხიდან მიღებული, შეჯერებული ინფორმაცია უნდა უზრუნველყოფდეს; ბ) ეკიპაჟი, საწვავი და საბრძოლო კომპლექტი ერთმანეთისგან იზოლირებული უნდა იყოს; გ) ტანკს 1500 ცხენის ძალაზე არანაკლები სიმძლავრის ძრავა და ჰიდრომექანიკური ტრანსმისია უნდა ჰქონდეს; დ) ტანკის დაცულობა, დღევანდელ ნიმუშებთან შედარებით, 2,5-3-ჯერ უნდა გაიზარდოს; ე) ტანკს უნდა ჰქონდეს ტექნიკური მდგომარეობის ავტომატური კონტროლის სისტემა, აგრეთვე, მოძრაობისა და დამიზნების ელექტრონული უზრუნველყოფა.** არის უამრავი სხვა ნიუანსი, მაგრამ მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, უბრალოდ, აღვნიშნოთ, რომ **კონსტრუქტორების ამოცანას წარმოადგენს, დღევანდელ ნიმუშებთან შედარებით, ტანკის საბრძოლო რესურსის 3-ჯერ გაზრდა და საბრძოლო ამოცანების შესრულების ღირებულების განახევრება**.

მართალია, გასული წლის აპრილში რუსეთის არმიის შეიარაღების უფროსმა ვლადიმერ პოლოვკინმა განაცხადა, რომ „T-95-ის პროექტი დახურულია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ივლისში ნიჟნი ტაგილში შეიარაღების გამოფენაზე ახალი ტანკის პროტოტიპის დახურული ჩვენება მოეწყო. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ **პროექტი უნიფიცირებული მძიმე საბრძოლო პლატფორმის — „Армата“-ს პროგრამის ფარგლებში მოაქციეს, რომლის შესახებ, მისი არსებობის გარდა, პრაქტიკულად, არაფერია ცნობილი.**

ახლახან ინტერნეტში გამოჩნდა ძველ პლატფორმაზე დამონტაჟებული ახალი საბრძოლო მოდულის ფოტოები. ისინი საკმაოდ ცუდი ხარისხისაა, მაგრამ ფაქტია, იმ შემთხვევაში, თუ 152-მილიმეტრიანი სატანკო ქვემეხის იდეა სერიულ ტანკებში ხორცშესხმას ჰპოვებს, ეს სხვა ქვეყნის კონსტრუქტორებს აიძულებს, ჩაერთონ შეჯიბრში „ყველაზე მძლავრი სატანკო ქვემეხისათვის“. იგივე შეიძლება ითქვას ტანკის სხვა მახასიათებლებზე, რასთანაც დღევანდელი ტანკები ახლოსაც ვერ მივა.

**დღეს რუსეთი არ აწარმოებს „მესამე მსოფლიო ომის ტანკებს“, მაგრამ, როგორც ჩანს, ემზადება იმისათვის, რომ, საჭიროების შემთხვევაში, მათი წარმოება მაქსიმალურად სწრაფად დაიწყოს.**

**კონსტრუქტორების ამოცანას წარმოადგენს, დღევანდელ ნიმუშებთან შედარებით, ტანკის საბრძოლო რესურსის 3-ჯერ გაზრდა და საბრძოლო ამოცანების შესრულების ღირებულების განახევრება**





## გაფრაზებულნი

**ბარაკ ობამა,**
**აშშ-ის პრეზიდენტი:**



როგორც უმაღლესი მთავარსარდალი, მე ვერ ვხედავ უფრო რთულ გადაწყვეტილებას, ვიდრე ჩვენი სამხედრო ძალების სრული დანაკარგების გზაზე გაგზავნაა. აშშ არ აპირებს და არც უნდა ჩაერიოს მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში არსებულ კონფლიქტებში ყოველ ჯერზე. ჩვენ ლიბიაში სახმელეთო ჯარები არ შეგვყავს.

*rian.ru*

**ანგელა მერკელი,**
**გერმანიის კანცლერი:**



ევროკავშირი შესაბამის მოთხოვნებთან შესაბამისობაზე 143 ატომურ ელექტროსადგურს შეამოწმებს. მე მომხრე ვარ, რომ ევროპაში უსაფრთხოების დონე იქნეს მიღწეული.

*rian.ru*

**სერგეი ლავროვი,**
**რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი:**



დასავლური კოალიციის ქვეყნების ჩარევა შიდა სამოქალაქო ომში, რომელიც ლიბიაში მიმდინარეობს, გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ მიღებულ რეზოლუციას არ შეესაბამება.

*rbc.ru*

**ჰილარი კლინტონი,**
**აშშ-ის სახელმწიფო მდივანი:**



პოლკოვნიკ კადაფის პოზიციები მნიშვნელოვნად შესუსტდა. ლიბიის ლიდერს მილოშევიჩს შევადარებდი, რომელიც ჯერ კიდევ ხელისუფლებაში იყო, მაგრამ ხელისუფლებას კარგავდა.

*rian.ru*

**რობერტ გეიტსი,**
**აშშ-ის თავდაცვის მინისტრი:**



ვფიქრობ, ლიბიის ოპერაცია წარმატებით მიმდინარეობს. თუმცა ეჭვი არ მეპარებოდა, რომ არასაფრენი ზონის კონტროლს მალე უზრუნველვყოფდით და რომ კადაფის საჰაერო თავდაცვის სისტემასაც მალე გავანადგურებდით.

*rian.ru*

**ალი აბდალა სალეხი,**
**იემენის პრეზიდენტი:**



ჩემი ვადამდელი გადადგომის შემთხვევაში, ქვეყანას გარდაუვალი ქაოსი ელის. იემენი, შესაძლოა, გახდეს მეორე სომალი, სადაც სამოქალაქო ომი უკანასკნელი 20 წლის მანძილზე არ ცხრება.

*top.rbc.ru*

საქართველო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95



ზარზმას ისე მოუხიბლავს რომანოვები, რომ მისი მსგავსი ტაძრის აგება აბასთუმანშიც განუზრახავთ, განუზრახავთ და აუგიათ კიდეც 1898-1902 წლებში.



# ოძრხე
## ქვაბლიანის ხეობა

**ეთნარქ ქართლოსის ერთ-ერთი შვილიშვილის — ოძრახოსის სამართავი ქვეყანა ტაშისკარიდან იწყებოდა და შავ ზღვამდე გრძელდებოდა. ოძრახოსს ორი ციხე-ქალაქი აუგია: თუხარისი და ოძრხე. პირველი ტაო-კლარჯეთის ცენტრი ყოფილა, მეორე — სამცხეში. ეს ის ქვეყანაა, რომელიც ურარტულ წარწერებში ვიტეროხად არის მოხსენიებული.**
**ალექსანდრე მაკედონელის ეპოქაში, მტკვრის ხეობაში, მცხეთის გარდა, „მოქცევაი ქართლისაი“ ერთ-ერთ უმთავრეს ქალაქად ოძრხეს ასახელებს.**




ოძრხეს გალავნის ერთ-ერთი მონაკვეთი



ძველისძველი ხიდი ოცხისწყალზე



„წმ. მარინე“ ციხესიმაგრის ტერიტორიაზე



ციხე-ქალაქი ოძრხე აბასთუმნის ახლოს რომ მდებარეობდა, ამას ვახუშტიც მოწმობს: **„ახალციხის ზევით, კვანჯღას, მოერთვის ახალციხის წყალს** (ე.ი. ქვაბლიანს) **ოცხისწყალი. ამ ოცხისწყალს ერთვის ვაშლობს პანტოვანი ხევი** (კურცხანი)**... ამ ხევს ზევით, მთის ძირში არის ოძრხე, რომელიც აღაშენა ოძრახოს... მცირედ ამის ქვევით, სამხრით, არს მთის კალთას წყარო გამომდინარე ფრიად დიდი და ცხელი, მდუღარის მსგავსი, რომელსა უწოდებენ ოცხეს, მას ზედ არს შენი აბანო,...** (რომელიც) **ჰკურნებს ქარით დახუთვითა ძლიერსა, მუწუკსა და ბუგრსა“.**

ალბათ, მიხვდით, რომ ბოლო ფრაზაში აბასთუმნის სამკურნალო წყალია ნაგულისხმევი.

კურორტის შესასვლელში, მდინარის მარცხენა სანაპიროზე, XIII-XIV საუკუნეების წმიდა გიორგის ეკლესია და მონასტერია. იგი ახალი აღდგენილია. ეს არის მოზრდილი დარბაზული საყდარი, რომელიც სუფთად დამუშავებული მუქი და ბაცი ტონალობის რუხი და ვარდისფერი ქვითაა ნაგები. ტაძრის უმთავრესი ფასადური გაფორმება დასავლეთით გვხვდება. აქ ერთი უშველებელი ჯვარია გამოსახული, რომლის ქვეშ ორი სარკმელია. ჯვარიც და სარკმელთა საპორეები მოჩუქურთმებულია. აბასთუმნის წმიდა გიორგის ამ საყდარში მამათა მონასტერია.

აბასთუმნის მეორე, დიდი და ჯვარგუმბათოვანი ტაძარი შიგ კურორტის ცენტრში დგას და ალექსანდრე ნეველის სახელობისაა, თუმცა მეორენაირად „ახალი ზარზმა“ ჰქვია და აი, რატომ:

XIX საუკუნის ბოლოს აბას**თუმანში, სადაც, ჩინებულ ჰაერთან ერთად, დიდებული ცხელი წყლებიც ეგულებოდათ, სამკურნალოდ ჩამოიყვანეს რუსეთის იმპერატორის — ნიკოლოზ მეორის ძმა, ფილტვებით დაავადებული გიორგი რომანოვი. სწორედ დედამისისა და თვით ბატონიშვილის ინიციატივით დაიწყო კურორტის მშენებლობა, რომლის ხელმძღვანელი და არქიტექტორი იყო ინჟინერი რემერტი. მან ერთგან მდინარეს კალაპოტი შეუცვალა, ჩანჩქერად აქცია და იქვე ქვის პატარა ხიდიც ააგო. რემერტი აბასთუმანშივე გარდაცვლილა და მისი საფლავი დღემდეა შემორჩენილი აბასთუმნის შესასვლელში. საიმპერატორო კარს გიორგი რომანოვის მითითებით და შემდგომში ანდერძით კურორტის მშენებლობის პარალელურად მეზობელ ხეობაში მდებარე დანგრეული ზარზმის მონასტრის აღდგენაც დაუწყია (ხუროთმოძღვარი — სვინინი, მხატვარი — სლავცევი). ზარზმას ისე მოუხიბლავს რომანოვები, რომ მისი მსგავსი ტაძრის აგება აბასთუმანშიც განუზრახავთ, განუზრახავთ და აუგიათ კიდეც 1898-1902 წლებში. უნდა აღინიშნოს, რომ ეს „ახალი ზარზმა“ რუსთა მიერ აგებული ერთ-ერთი საუკეთესო ტაძარია საქართველოში. ახალი ტაძარი შიგნით მიხეილ ნესტოროვის მიერ არის მოხატული.**

ამჟამად კურორტი აბასთუმანი, XX საუკუნისგან განსხვავებით, თითქმის დადუმებულია...

აბასთუმნიდან გამობრუნებულები წმ. გიორგის მონასტრის მორჩილის — ლევან ბრეგვაძის მეგზურობით სამხერხაოს ტერიტორიაზე მდინარის გაღმა ნაპირზე გადავდივართ და ოძრხეს ციხე-ქალაქისკენ მივეშურებით.

ციხე-ქალაქის ერთადერთი გადარჩენილი მოწმე ადრეანტიკური ქალაქის ცენტრის საძირკველზე აგებული შუასაუკუნეების ციტადელია. იგი სიგრძეში 50 მეტრია, სიგანეში — დაახლოებით 11. კედლების სისქე 130-დან 150 სანტიმეტრამდე მერყეობს...

ფარნავაზ მეფემ სწორედ აქ, ქვაბლიანის ხეობის ჩრდილო-აღმოსავლეთ მონაკვეთში, დააფუძნა ერთ-ერთი ერისთავი, რომელსაც ტაშისკარიდან არსიანამდე ქვეყნის მართვა დაავალა. ამ ქვეყანაში შედიოდა მიწები მდინარე **„ნოსტის თავიდგან ზღვამდე, რომელი არს სამცხე და აჭარა“,** — ნათქვამია „ქართლის ცხოვრებაში“. აქ საუბარია იმ მდინარე ნოსტეზე, რომელიც აწყურსა და ახალციხეს შორის მდებარეობდა და, სავარაუდოდ, შეიძლება, დღევანდელ წინუბნისა თუ აგარის წყალს ერქვა.

ანტიკურ პერიოდში ოძრხეში მჯდარი ერისთავი იყო სწორედ, რომელიც სომეხთა სარდალ ბივრიტიანს არ დამორჩილდა და ბრძოლებს უმართავდა ზემოხსენებულ მდინარე ნოსტესთან...

...ოძრხე — ვახტანგ გორგასლის გარდაცვალების შემდეგ, მისი ცოლი და ორი ვაჟი აქ ატარებდნენ ხოლმე ზამთარს. VIII საუკუნეში, ისტორიკოს ჯუანშერის თქმით, მურვან-ყრუ **„მოვიდეს სამცხეს და დაიბანაკა არეთა ოძრახისათა, რამეთუ იყო მაშინ ქალაქი იგი სახელოვანი, ძველი ნაქმართა მისთათვის“.** სწორედ მაშინ განადგურდა ოძრხე... ციხე-სიმაგრის დასავლეთ ნაწილში შემორჩენილ თაღიან დარბაზს, ალბათ, უამრავი საინტერესო სტუმრისთვის უმასპინძლია. მის უკან აღმართულია კოშკი, საიდანაც რკინის ჯვრის უღელტეხილისა და კაკასხიდისაკენ მიმავალი ხევი ჩანს (ამ გზით გადასულა ზემო ქართლიდან ლაზიკაში ანდრია მოციქული).

აქვე, კურცხანის ხეობის მარცხენა სანაპიროს მთებში მიკვლეული უძველესი ნასახლარები, ნაეკლესიარები და ნაყორალები იმაზე მეტყველებენ, რომ ქალაქის დასახლება საკმაოდ მოზრდილი იყო და მისი ცხვირი ამ ორი მდინარის ხერთვისს გადმოყურებდა (ასე იყო დიდი არმაზიც და დიდი წუნდაც). მისი გალავანი თავსა და ბოლოში მძლავრი კოშკებით იქნებოდა აღჭურვილი. ახლა გალავნის შიგნით ყველაზე ცხადად წმ. მარინეს სახელობის ეკლესია და მაღალი სატუსაღო კოშკია შემორჩენილი.

მდინარე კურცხანს ვახუშტი ბატონიშვილი არ იცნობს, მისი თქმით აშკარაა, რომ კურცხანს ადრე პანტოვანისხევი რქმევია. ოძრახოსის ქალაქი მდინარე ოცხეს მარჯვენა და მდინარე კურცხანის მარცხენა მხარეს მდებარეობს მცირე თხემზე. მისგან სამხრეთით, კურცხანის მარჯვენა სანაპიროს ტერიტორია კი სხვა ღირსშესანიშნაობით არის საინტერესო. აქ დიდი ნამონასტრალია. ამ მიდამოებში, ორი მდინარის შესართავში, აღმოჩნდა სწორედ ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი ის ფილა, რომელიც VI-VII საუკუნეებს უნდა ეკუთვნოდეს. **ტექსტში ნახსენებია იუსტინიანე კეისრის ეპოქაში მოღვაწე მამფალი არშუშა პატრიკოსი, ქავთარ ერისთავი და ქრესეპულის ციხე.**

კურცხანის მარჯვენა სანაპიროზე რომ მოხვდეთ, ორი მდინარის ხერთვისიდან ოდნავ ქვევით, ოცხისწყალზე გადებულ ხიდზე უნდა გადავიდეთ. ეს პატარა ქვის ხიდი XII-XIII საუკუნეებისაა!.. იგი საკმაოდ მკვიდრია და ამ ეპოქის შემორჩენილი სხვა ხიდებისაგან განსხვავებით, დღესაც ხმარებაშია!.. ხიდს მაღლიდან, დაახლოებით ნახევარი კილომეტრიდან, გადმოცქერის მოზრდილი ნანგრევი, რომელიც ციხე-კოშკს წააგავს. ხვეული ბილიკით იმ ადგილამდე, რა თქმა უნდა, გაცილებით შორია. გზა შერეულ ტყეში მიემართება.

ადგილზე მისულები მოულოდნელობისგან აღტაცებას ვერ ვმალავთ: ჩვენს წინაშეა საკმაოდ დიდი მონასტერი, რომელშიც შედის 3 ეკლესიის, კელიების, სატრაპეზოს, კლდის მაცივრისა და გალავნის ნაშთები. ერთ-ერთი მცირე ნაგებობა უშველებელ ნაძვს თავის ფესვებში მოუქცევია. უფრო სწორად, მის სახურავზე ამოსულა და ისე გაზრდილა, რომ ფესვები ზედ გადაუტარებია. შორიდან რომ ციხე-კოშკს მივამგვანეთ, მთავარი, დიდი ტაძრის აღმოსავლეთი კედელი გამოდგა. იგი ნაგები ყოფილა რუხი და ღვინისფერი ქვიშაქვის სუფთად გათლილი კვადრებით, რასაც აღმოსავლეთ ფრონტინში შემორჩენილი 5 ქვა ამხელს. ამ და სხვა ტაძრების პერანგები მთლიანად გაძარცვულია. დიდი ეკლესიის საკურთხევლის აფსიდში, რომელსაც კონქი აღარ აქვს, ორი ღრმა და მაღალი ნიშია. ერთ-ერთ ნიშსა და სარკმლის ამბრაზურაში ძველი მხატვრობის აბრისებია შემორჩენილი. ტაძარი უდავოდ XII-XIII საუკუნეებისაა. მონასტრის სახელი შემორჩენილი არ არის, მაგრამ, საფიქრალია, იგი გაცილებით ადრინდელი ეკლესიის ადგილას აიგო. სავარაუდოა, რომ ორი მდინარის ხერთვისში ნაპოვნი VI-VII საუკუნეების სტელა, რომელზეც ზევით გვქონდა საუბარი, სწორედ აქ, მონასტრის ტერიტორიაზე იყო აღმართული.

კურცხანის უსახელო მონასტერი, მოგზაურის ფანტაზიას რომ კვებავს, სწორედ იმგვარი ძეგლია.

კურცხანის მთავარი ეკლესიის და ფესვებში მოქცეული სენაკის ფრაგმენტები





**გელა ქოქიაშვილი**
**ავტორის ფოტოები**

**მეორე ალყის შემდეგ ახალციხე უდაბნოს წარმოადგენდა — დანგრეული სახლები, სისხლის ტბორები, მოსახლეობა არ ჩანდა. მუსლიმანებმა ადრიანად დატოვეს აქაურობა და შორეულ სანჯაკებში გაიხიზნენ, რადგან ეშინოდათ რუსების შურისძიებისა, ქრისტიანები დაიხოცნენ. მხოლოდ შვიდასი ოჯახი, რომლებიც ციხესიმაგრემ შეიფარა, წარმოადგენდა ახალციხის მრავალრიცხოვანი მოსახლეობის ნარჩენს.**

მემკვიდრეობა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# ახალციხის დაცვა

დასასრული. დასაწყისი იხ. №10

**3 მარტს, როცა ბებუთოვმა ბოლო წერილი გაუგზავნა აჰმედ-ფაშას, ახალციხეში, როგორც იქნა, გაიგონეს ბორჯომის მხრიდან ქვემეხების სუსტი ხმა. ციხესიმაგრეში ვარაუდობდნენ, რომ აწყური თავს იცავდა.**

დაღამდა. ისევ აფეთქების მოლოდინი. უცებ, ვიღაცამ ქვედა ჭიშკართან მდინარის მხრიდან მოირბინა და დაიყვირა: **„თურქები გარბიან!“,** მაშინვე გადაუგდეს თოკი და ზევით ამოსწიეს. ის ებრაელი აღმოჩნდა. მან მოიტანა ამბავი, რომ საღამოს აჰმედ-ფაშას ბორჯომის ხეობაში მისი ძმის მარცხის შესახებ შეატყობინეს, მისი აჭარაში გაქცევის თაობაზეც აცნობეს; არც ის დაუმალეს, რუსები ფორსირებული მარშით აწყურიდან აქეთ მოემართებიანო. მაშინ თვითონ აჰმედ-ფაშა შეჯდა ცხენზე და ყოველგვარი განკარგულების გარეშე მოკურცხლა თავის სამფლობელოშიო.

არ შეიძლებოდა ებრაელის დაჯერება. ამიტომ დილამდე უნდა დაეცადათ. ამასთან, ქალაქში საშინელი ხმაური იყო: არ ისროდნენ, უფრო ნადავლის გამო ჩხუბობდნენ. მაშინ ციხესიმაგრიდან რუსებმა ძლიერი ცეცხლი გახსნეს.

**დილით შირვანის პოლკის ბატალიონი გადმოცოცდა ციხის კედელზე. თურქ ქვეითთა ჯარი ცდილობდა ციხესიმაგრის ჭიშკართან წინააღმდეგობის გაწევას, მაგრამ იძულებული გახდა, უკან დაეხია. გარკვეულ ხანს შეიმაგრა პოზიციაზე თავი კათოლიკურ ეკლესიასთან არსებულმა ბატარეამ, ვიდრე შირვანელებმა არ შეუტიეს. აჰმედ-ფაშა ჯერაც ქალაქში რჩებოდა და ცდილობდა, რაღაცნაირად წესრიგი აღედგინა. მაგრამ მისი აჭარლები, ცდილობდნენ რა თავიანთი ნადავლის გადარჩენას, არ ემორჩილებოდნენ მას.** მხოლოდ მდინარე სუ-კილისის გადასასვლელთან შეძლომან სამასიოდე საუკეთესო მსროლელის განლაგება, რომელთა დახმარებითაც უნდოდა მდევრის შეჩერება და დარჩენილი არტილერიის გადარჩენა. მაგრამ აქ მათ შირვანელებმა მოუსწრეს და ორივე ქვემეხი წაართვეს. აქედან დევნა კავალერიის გარეშე უკვე შეუძლებელი იყო, თანაც თურქები უკვე მთებში გაიფანტნენ. მხოლოდ 12 კაზაკი და 6 ოფიცერი, რომელთაც ცხენები ჰყავდათ, გამოუდგა მათ. თურქებმა თავიანთი არტილერიიდან ვერაფერი გადაარჩინეს და შინ უიარაღოდ დაბრუნდნენ.

**ამგვარად, მოკლე დროში გაქრა ახალციხის კედლებიდან მრავალრიცხოვანი თურქული ჯარი. ისინი, ვინც გაქცევა ვერ მოასწრო, ქალაქში დარჩა და რუსებთან ბრძოლაში დაიღუპა.**

შუადღისას ქალაქი მთლიანად გასუფთავდა მოწინააღმდეგისგან. ახლა ჯარისკაცები ნაღმების ძებნას შეუდგნენ. მართლაც იპოვეს ჭიშკრის ქვეშ ნაღმი, მაგრამ ასაფეთქებლად საჭირო საფანტი არ იყო, ამიტომ მის მოსატანად აჰმედ-ბეგმა აჭარაში გაგზავნა ხალხი, მაგრამ ვერ მოასწრეს ჩამოტანა. აი, ეს იყო მიზეზი, იმ საბედისწერო ღამეს აფეთქება რომ არ მოხდა.

ამ დღეს ქალაქში მოვიდა ბურცევის რაზმი, სამი დღის შემდეგ — მურავიოვის ჯარები. **მეორე ალყის შემდეგ ახალციხე უდაბნოს წარმოადგენდა — დანგრეული სახლები, სისხლის ტბორები, მოსახლეობა არ ჩანდა. მუსლიმანებმა ადრიანად დატოვეს აქაურობა და შორეულ სანჯაკებში გაიხიზნენ, რადგან ეშინოდათ რუსების შურისძიებისა, ქრისტიანები დაიხოცნენ. მხოლოდ შვიდასი ოჯახი, რომლებიც ციხესიმაგრემ შეიფარა, წარმოადგენდა ახალციხის მრავალრიცხოვანი მოსახლეობის ნარჩენს.**

სამწუხაროდ, უგზოუკვლოდ დაკარგულთა შორის აღმოჩნდა ჩვენი უერთგულესი ადამიანი იორამინ-ბაირახტარი. როგორც გაირკვა, ის თურქებს ჩაუვარდა ხელში მაშინ, როცა შირვანელები ბატარეას უტევდნენ კათოლიკურ-ეკლესიასთან. ტყვეობაში მან ბევრი ტანჯვა გადაიტანა, მისჯილი ჰქონდა სიკვდილი და თავის დასახსნელად უნდა გადაეხადა ათასი ჩერვონეცი. ბაირახტარი არ იყო მდიდარი, ყველაფერი დაეწვა ახალციხეში, ჰქონდა ერთი სოფელი, რომელიც გაყიდა და ამით საკუთარი თავი გამოისყიდა; იგი გაკოტრებული დაბრუნდა ახალციხეში. პასკევიჩმა პრაპორშჩიკის ჩინზე წარადგინა და სიცოცხლის ბოლომდე პენსია დაენიშნა. სამაგიეროდ, ბაირახტარმა მიიღო ქრისტიანობა და სამუდამოდ გაწყვიტა კავშირი თავის ყოფილ თანამემამულეებთან.

**ქრისტიანებისადმი დაუნდობელი დამოკიდებულებით ცნობილი იყო ვინმე ომარ-აღა-კოსი-ოღლი — ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი და გავლენიანი ბეგი ასპინძის სანჯაკში. მას გაქცევაც არ უნდოდა, რადგან თავისი მშობლიური ანგორის ციხის კედლებში თავს უშიშრად გრძნობდა.** თავის მხრივ, თავად ბებუთოვს უნდოდა, სამაგალითოდ, მთელი სიმკაცრით დაესაჯა იგი. და აი, როცა მისი აყვანა ვერ მოახერხეს, გამოჩნდა ერთი სომეხი, რომელმაც პირობა მისცა ბებუთოვს, რომ მას ცოცხალს ან მკვდარს აუცილებლად მოუყვანდა.

ოთხ ამხანაგთან ერთად იგი ანგორაში ჩავიდა. ციხის კარი ჩაკეტილი იყო და მხოლოდ აზნაუროვი შეუშვეს. ბეგი მას შეიარაღებული ხალხის თანხლებით შეხვდა. აზნაუროვმა ხმამაღლა განუცხადა, რომ იგი თავადმა გამოგზავნა მასთან და უნდა გაჰყოლოდა ახალციხეში. ომარ-აღამ დააძრო პისტოლეტი და ესროლა, მაგრამ ააცდინა. მაშინ ხელდახელ შეიბნენ, ორივე დასისხლიანებული იყო, ბოლოს აზნაუროვმა ხანჯლით საბოლოოდ მოუთავა ხელი ომარ-აღას. ახალციხეში მისი ცხედარი წაიღეს. აღსანიშნავია ის, რომ მოსახლეობა იმდენად უმოქმედო იყო, რომ ორთაბრძოლაში ჩარევაც არ უფიქრია, არ გამოსარჩლებია თავის მფლობელს, რადგან რუსი თავადის სახელის გაგონება შიშის ზარს სცემდა მოსახლეობას.

**ოფიციალური მონაცემებით, ალყის დროს გარნიზონმა დაკარგა მხოლოდ 5 ოფიცერი და 70 დაბალჩინოსანი.**

**ახალციხის დაცვა უდავოდ გმირობის ტოლფასი იყო და მაშინვე ყველას გაუკვირდა, რომ თავადი ბებუთოვი გეორგიევსკის ჯვრით არ დააჯილდოვეს და მას მხოლოდ ანდრეის ბაფთა გადასცეს. მე-4 ხარისხის გეორგიევსკის ჯვრით მხოლოდ ერთი შტაბს-კაპიტანი გორაჩკო დაჯილდოვდა.**

პასკევიჩმა უშუალოდ გამოუცხადა მადლობა გარნიზონს 1829 წლის 18 მარტის ბრძანებით, რომელშიც აღნიშნულია, რომ **ახალციხის დამცველებმა არნახული გამძლეობა და მამაცობა გამოიჩინეს ციხესიმაგრის 12-დღიანი ალყის დროს,** რისთვისაც მადლობას გიცხადებთო. თქვენ დაამტკიცეთ, რომ შეგიძლიათ გაიმარჯვოთ, აიღოთ ციხესიმაგრე და დაიცვათ იგი.

ბურცევი ბორჯომის ხეობაზე ზამთრის რთულ პირობებში გადასვლისთვის გენერლობაზე წარადგინეს.

**გავიდა 60 წელი და ახალციხის დაცვის ისტორია კვლავაც ახსოვთ. იგი ერთ-ერთი საუკეთესო ფურცელია შირვანელთა საბრძოლო ისტორიაში.**

# თურქული გურიის ველებზე

**საქართველო და შავი ზღვის თურქული სანაპირო მაღალი მთებით იზოლირებული იყო სამხედრო მოქმედებებისაგან, მაგრამ თურქთა გრანდიოზულ მზადებას 1829 წლის ომისათვის და ახალციხეზე ლაშქრობას შეუძლებელია, გამოხმაურება არ მოჰყოლოდა მუსლიმანთა მხრიდან. ისინი რუსეთის საზღვრებს თავს ესხმოდნენ. გურიის მმართველის — გურიელის ქვრივის რეგიონიდან განდევნის და რიონისპირა მხარეში თურქული გავლენის შესუსტების მიუხედავად, ქობულეთის მხრიდან არ წყდებოდა წვრილ-წვრილი ყაჩაღური თავდასხმები.**

თურქები იმედოვნებდნენ, რომ გურულებს შორის ბევრნი იყვნენ ისეთებიც, ვინც მზად იყო, რუსები გაეყიდათ; ამ მიზნით მათ პროკლამაციები გაავრცელეს მხარეში და მოუწოდეს მოსახლეობას, ერთსულოვნად აღმდგარიყო გურიის უძველესი თავადური დინასტიის უფლებათა დასაცავად. დადიოდა ხმები, რომ ქალბატონი სოფიო თავად აპირებს გურიაში გამოჩენას ტრაპეზუნდის ფაშის ჯარებითო. რუსულმა მხარემ ისარგებლა იმით, რომ გურულებს ძველი ანგარიშები ჰქონდათ თურქებთან და საქმეში ჩართო გურიის მილიციაც გავლენიანი თავადების მეთაურობით.

გურულებს მებრძოლი ბუნება მუდმივად მეზობლებთან კინკლაობისკენ უბიძგებდა. სისხლის აღების წესი ბევრ ოჯახში ჯერაც მოქმედებდა და ახლა არც კითხულობდნენ, რისთვის ებრძოდა ორი ძლიერი სახელმწიფო ერთმანეთს, მთავარი იყო, რომ მათ შესაძლებლობა ეძლეოდათ, ძველი წყენის გამო შური ეძიათ. ამ განზრახვით გურულებმა სასწრაფოდ შეკრიბეს პოლიცია 1300 კაცის შემადგენლობით და თავად შესთავაზეს ხელმძღვანელობა გესს. ამგვარად, თურქების იმედები არ გამართლდა.

**გურულების მხარდაჭერა რუსებისადმი სწორედ რომ დროული იყო, რადგან თურქებმა უკვე დაიწყეს მოქმედება; ჯარების დიდმა ნაწილმა ახალციხესთან მოიყარა თავი. მეორეს მხრივ, ბათუმში სამიათასიანი თურქული კორპუსი განთავსდა ოსმან-ჰასანდაროღლის მეთაურობით, რომელიც (როგორც ამბობდნენ) ქალბატონ სოფიოს გამოჩენისთანავე უნდა შეჭრილიყო საქართველოში. გურიაც და სამეგრელოც ერთნაირად სახიფათო სიტუაციაში აღმოჩნდა.**

გესის ჯარს მაშინ ოთხი პუნქტი ეკავა: ჩოხატაურში იდგა სამეგრელოს პოლკის ორი ასეული; ნაგომარში — ასეული; წმ. ნიკოლოზის პოსტზე — 44-ე ეგერთა პოლკის ორი ასეული არტილერიის შენაერთთან ერთად; და ბოლოს, ფოთის ციხესიმაგრეში — ეგერთა სამი ასეული ორი ქვემეხით. მათ უკან, რეზერვში სამეგრელოსა და იმერეთში, ეგერთა ბატალიონი და მეგრელთა 7 ასეული იდგა. ეს ძალიან ცოტა იყო ამ დიდი მხარის დასაცავად, მით უმეტეს მაშინ, როცა არსაიდან დახმარების იმედი არ იყო. გესი იძულებული გახდა, დაუყოვნებლივ დაეწყო მოქმედება, რათა ახალციხეში გამომწყვდეულთათვის მდგომარეობა შეემსუბუქებინა. ამდენად, მისი თავდასხმის სამიზნე, რა თქმა უნდა, აჭარა უნდა ყოფილიყო. პასკევიჩმა გესს მოწინააღმდეგის მიწაზე თავისუფალი მოქმედებისა და ძარცვის უფლება მისცა.

**ვასილი პოტო**
**ხუთტომეული ნაშრომიდან „კავკასიის ომი“**

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**




გამოვიდა
სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის
«ისტორიული მემკვიდრეობა»
მეთექვსმეტე ნომერი

ჟურნალი დღევანდელობის აქტუალურ საკითხებსაც ეხმიანება და ქვეყნის ახლო თუ შორეულ წარსულსაც ვრცლად მიმოიხილავს. პრობლემები, რომლებზეც „ისტორიული მემკვიდრეობის“ ფურცლებზე მსჯელობენ, უთუოდ მიიქცევს მკითხველთა ყურადღებას, რადგან „ისტორიული მემკვიდრეობა“ საქართველოს წარსულსა და აწმყოს ობიექტურად ასახავს.
ჟურნალის რედაქტორია თემურ ქორიძე.



არასამთავრობო ორგანიზაციამ — „ისტორიული მემკვიდრეობა“ — გამოსცა ისტორიული დოკუმენტების კრებულთა სერია, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ეხება. კრებულები გამიზნულია მკითხველთა ფართო წრისათვის, რამეთუ პოლიტიკური კონიუნქტურის გარეშე, მხოლოდ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ასახავს წარსულ სინამდვილეს. თუკი გავითვალისწინებთ ისტორიული ფაქტებით მანიპულირების მზარდ და საშიშ ტენდენციას, გამოცემა ფრიად დროული და აქტუალურია. მსურველებს კრებულების შეძენა შეუძლიათ წიგნის მაღაზიებში. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 34-32-95.

დაიჯესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95



**ვიქტორ ივანოვი,**
**რუსეთის ნარკოტიკების ბრუნვის კონტროლის ფედერალური სამსახურის დირექტორი:**
**„სწორედ ტრაფიკები და ნარკოტიკების გიგანტური მოძრაობა, რაც ორგანიზებულ დანაშაულს, კარტელიზაციას წარმოშობს, განაპირობებს სიტუაციის რყევას ნიგერიაში, კოტ-დიუვარში; ამან განაპირობა მღელვარებები ალჟირში, ტუნისში, ლიბიასა და ეგვიპტეში... ხატოვნად შეიძლება ითქვას, რომ ამ ქვეყნებში რევოლუციები ნარკოტრაფიკების არხებიდან ჟონავს“.**

# ორგანიზებული დანაშაული, როგორც «ახალი მსოფლიო წესრიგის» გეოპოლიტიკის საფუძველი

**უკანასკნელი 12 წლის განმავლობაში, უკვე მერამდენედ, ჩვენ საერთაშორისო შეიარაღებული ძალების მიერ კიდევ ერთი სუვერენული სახელმწიფოს გაეროს მიერ სანქცირებული ინტერვენციის მოწმენი გავხდით, რაც კვლავ „დემოკრატიისა და ჰუმანურობის“ სახელით ხდება. „მართვადი ქაოსის“ სტრატეგიას საკუთარი თავი დღეს არ ამოუჩენია და საერთაშორისო სამართალიც უმალ არ დანგრეულა. ეს ყველაფერი ზუსტად 12 წლის წინათ დაიწყო. 1999 წლის მარტში ამერიკულ-ნატოურმა „ჭკვიანმა“ რაკეტებმა და ბომბებმა ბელგრადს, პრიშტინასა და იუგოსლავიის სხვა მშვიდობიან ქალაქებს გადაუარა. უფრო ადრე, 90-იანი წლების დასაწყისში, იმავე მიწაზე და იმავე მოქმედი პირების მონაწილეობით სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების პრინციპული საფუძვლებით ამ მანიპულაციამ გენერალური რეპეტიცია გაიარა.**




დეტერმინირებული, ანუ პროგნოზირებადი ქაოსის კონცეფცია ლამის ნახევარსაუკუნოვან ისტორიას ითვლის. მას თავისუფლად გადააწყდებით როგორც თამაშების თეორიის მათემატიკურ ნაშრომებში, ასევე ბჟეზინსკის ცნობილ მანიფესტში, რომელიც 70-იანი წლების მიჯნაზე გამოქვეყნდა და ათეული წლებით განსაზღვრა ჩვენი თანამედროვე „ახალი მსოფლიო წესრიგის“ შენება.

**თუ გვერდს ავუვლით იმას, რომ „დეტერმინირებული ქაოსის“ ტექნოლოგიის სოციალურ გამოყენებას 90%-ით უტილიტარული ხასიათი აქვს, იდეოლოგიური თვალსაზრისით, ეს უძველესი რომაული პრონციპის „გათიშე და იბატონე“ პრაქტიკულად იდეალური განხორციელებაა. სოციალურ ასპექტში კი ის დამოუკიდებელი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული წარმონაქმნების, ანუ სახელმწიფოების** (უპირველეს ყოვლისა, როგორც მსოფლიო ბაზრის სუბიექტების) **განადგურებას, მათი სტრატეგიური რესურსების** (უპირველესად, ენერგეტიკულისა და ტექნოლოგიურის) **და „გამარჯვებულების“** („ახალი მსოფლიო წესრიგის“ დამამყარებლების) **სასარგებლოდ ყველა პოტენციალის მაქსიმალურ გამოყენებას გულისხმობს.**

**1999 წლიდან დღემდე ამერიკულ-ნატოური „მშვიდობისმყოფელური“ ოთხი ინტერვენცია** (იუგოსლავია, ავღანეთი, ერაყი, ლიბია) **იძლევა საშუალებას, რომ მსოფლიო პოლიტიკის კონტექსტში ამ აქციების საერთო მახასიათებლები ჩამოვაყალიბოთ.**

უპირველესად, უნდა აღინიშნოს, რომ ახალ ტერიტორიებსა და რესურსებზე კონტროლის დამყარების ოპერაციები სრული ინფორმაციული შენიღბვით ხორციელდება, რისი მიზანიც მსხვერპლთათვის მაქსიმალური ცილისწამებაა. მსხვერპლი ტელეეკრანებითა და კომპიუტერების მონიტორებით შემოფარგლული ყრუ და ბრმა მსოფლიო საზოგადოების თვალში უნდა გამოიყურებოდეს „აუტანელ ბოროტმოქმედად“, „საზოგადოების, ცივილიზაციის, კაცობრიობისა და დემოკრატიის მტრად“, „მშვიდობისმყოფელი“ აგრესია კი — „დანაშაულისთვის დასჯის“ დემოკრატიულ აქტად.

ზემოხსენებული ინფორმაციული ფონის შესაქმნელად გამოიყენებიან ნარკომაფიის ფუნქციონერებიდან შერჩეული პროვოკატორები და მათი მოკავშირე ექსტრემისტები ნაციონალურ-რელიგიური სეპარატისტული ორგანიზაციებიდან. უკანასკნელმა მტკიცებულებამ, შესაძლოა, განცვიფრება გამოიწვიოს, მაგრამ საკმარისია, გავიხსენოთ, რომ **აგრესორ-„მშვიდობისმყოფელთა“ თავდასხმების მსხვერპლი ქვეყნები ნარკოტრაფიკის მაგისტრალურ გზებზე მდებარეობს ან საერთოდაც მის საკვანძო პუნქტებს წარმოადგენს,** და გაოცება უმალ გაქრება. მაგალითად, ავღანეთი და ერაყი ჰაშიშის, მარიხუანის, ჰეროინის მსოფლიოში უდიდესი მწარმოებლები არიან; ალბანელ-კოსოვოელები კი — იმ ერთიანი მაფიოზური კლანის წევრები, რომელსაც სათავეში ჰამიდ ტაჩი (მეტსახელად „გველი“), წარსულში — „ნათლიმამა“, ამჟამად კი კოსოვოს თვითაღიარებული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი და ევროპის უმსხვილესი ნარკოდილერი უდგას.

**„ტირანიისაგან ნაციონალურ-რელიგიური განთავისუფლებისთვის მებრძოლებისა“ და ნარკომაფიის მებრძოლების** (ხშირად მათ ერთი და იგივე პირები წარმოადგენენ და მათი შესაბამისი საბრძოლო მომზადება და შეიარაღებაც ამით აიხსნება) **კავშირების შესახებ მშვენივრად არიან ინფორმირებულნი ნარკოტიკების ბრუნვასთან მებრძოლი სტრუქტურები.** რუსეთის ნარკოტიკების ბრუნვის კონტროლის ფედერალური სამსახურის დირექტორმა ვიქტორ ივანოვმა 2011 წლის 2 მარტს რომში გამართულ პრესკონფერენციაზე გახსნილი ტექსტით განაცხადა: **„...არის მესამე შედეგიც (გარდა ჯანმრთელობაზე უარყოფითი გავლენისა და საზოგადოებრივ წესრიგზე ზემოქმედებისა), რომელიც ნარკოტიკების დიდი მოცულობით ბრუნვას უკავშირდება. ეს პრობლემები დაკავშირებულია პოლიტიკური სიტუაციების, რეჟიმების დესტაბილიზებასთან, რასაც სერიოზულ პოლიტიკურ შედეგებამდე მივყავართ. ჩვენი მონაცემებით, სწორედ ტრაფიკები და ნარკოტიკების გიგანტური მოძრაობა, რაც ორგანიზებულ დანაშაულს, კარტელიზაციას წარმოშობს, განაპირობებს სიტუაციის რყევას ნიგერიაში, კოტ-დიუვარში; ამან განაპირობა მღელვარებები ალჟირში, ტუნისში, ლიბიასა და ეგვიპტეში... ხატოვნად შეიძლება ითქვას, რომ ამ ქვეყნებში რევოლუციები ნარკოტრაფიკების არხებიდან ჟონავს“.**

გლობალური მართვის ოფიციალური სტრუქტურები, ეყრდნობა რა ქსელური მასმედიისა და სპეცსამსახურების მიერ შეთხზულ მითს, უმალ გამოაცხობენ ხოლმე „ცხელ-ცხელ“ მანდატს „სისხლისმსმელი დიქტატორისთვის საკადრისის მისაგებად“, რის შემდეგაც იმ ქვეყნების შეიარაღებულ ძალთა კოალიცია, რომლებიც ნებაყოფლობით იღებენ საკუთარ თავზე „ახალი მსოფლიო წესრიგის“ სადამსჯელო რაზმის ფუნქციას, შეიარაღებაში უპირატესობის წყალობით უსაფრთხო დაშორებიდან ანადგურებენ მსხვერპლის სამხედრო და სამოქალაქო ინფრასტრუქტურას. ამ დროს მშვიდობიან მოსახლეობაში (ვისი კეთილდღეობისთვისაც ხდება ეს ყოველივე ოფიციალური ლეგენდის შესაბამისად) მსხვერპლი საერთოდ არავის აინტერესებს და **იუგოსლავიიდან ლიბიამდე ეს მსხვერპლი მრავალჯერ აღემატება ბრძოლებში დაღუპული „წამებულების“ — ნარკო-ბოევიკების რაოდენობას.**

მას შემდეგ, რაც სისხლგამოცლილი მსხვერპლი სახელმწიფო მარცხდება, ის გამოსასყიდად მაფიოზურ ინტერნაცინალს გადაეცემა. იქ ოფიციალური სტრუქტურების წარმომადგენლები არიან ან იმავე მეამბოხე მაფიოზურსეპარატისტული ფორმირებების ლიდერები, რომელთა ხელითაც ხორციელდებოდა არეულობების ორგანიზება, ან სპეციალურად მომზადებული და ცხოვრების ახლებურად („დემოკრატიულად“) მოწყობისთვის გაგზავნილი მათი გლობალური პარტნიორების ემისრები. **სტრატეგიული ტექნოლოგიური და ენერგეტიკული რესურსები დასამუშავებლად გადაეცემა „ნდობით აღჭურვილ ტრანსნაციონალურ კომპანიებს“** (რაც მეტია ნდობა, მით უფრო დიდია ნამცხვრის მიტაცებული ნაჭერი). **მოსახლეობა კი კონსერვდება ნახევრადველურ მდგომარეობაში, რომელიც ყველაზე მეტად მოსახერხებელია მაფიის მიზნებისათვის სახარჯო მასალად მისი გამოყენებისთვის. მთლიანობაში ქვეყანა იქცევა „ცივილიზებული“ ნატოელი ოკუპანტების ზედამხედველობის ქვეშ მყოფი ბანდიტების უზარმაზარ თავშესაფრად, სადაც ზოგს ბოევიკის როლი ერგება, ზოგს — მომსახურე პერსონალისა და დამნაშავეობრივი სინდიკატების მსახურების, დანარჩენებს კი — მონებისა და მსხვერპლისა.**

ძველი კოლონიების ყველა მახასიათებელი — ბანანის დიქტატორიც, რესურსების დატაცებაც, ბანდიტური გარჩევებიც, თავად მცნება „ადამიანის უფლებების“ სრული განადგურებაც — მსხვერპლ ქვეყნებში ადგილზევე ყალიბდება. საკმარისია მხოლოდ ამ აისბერგის წვერის დანახვა, რამაც მასმედიაში გაჟონა და გახმაურდა: მაგალითად, იანკების მხრიდან ავღანელებისა და ერაყელების დამცირება, მათი ავიანადირობა აბორიგენებზე, ციხეებში პატიმრებზე სექსუალური ძალადობა, „იძულებითი ტრანსპლანტაციის ცენტრი“, რომელიც ტაჩიმ პირდაპირ ევროპის ცენტრში შექმნა და, სადაც ადამიანებს პირდაპირ ცოცხლად ანაწილებენ ცალკეულ ორგანოებად, რათა ევროპისა და ამერიკის იატაკქვეშა ბაზრებზე გაყიდონ.



მაგრამ ეს ყოველივე მხოლოდ ადგილობრივი „მარგალიტებია“, ბონუსები, რომლებიც გლობალურ ქვაბში „ახალი მსოფლიო წესრიგის“ ფაფის მხარშველთა და „უსარგებლო მჭამელთა რაოდენობის შემამცირებელთა“ სიმდიდრესა და ძალაუფლებას ამტკიცებს. **მთავარი სხვაა — ქაოსის ზონის გაფართოება, მასში გარედან კონტროლირებადი პოტენციალის ზრდა, სხვაგვარად რომ ვთქვათ, იმ მზარდი და მართვადი ერთგვარი სიმსივნური წარმონაქმნის შექმნა, რომელიც მოწოდებულია, უზრუნველყოს მსოფლიოს თითქმის გარდაუვალი გადაკეთება წინასწარ მოფიქრებულ საზოგადოებრივ მოდელად.**

**ჩრდილოეთ აფრიკისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში 2011 წლის იანვარ-მარტში განხორციელებულ რევოლუციებს ავღანეთიდან მაროკომდე ქაოსის თითქმის უწყვეტი სარტყელი უნდა შეექმნა** (ამ მომენტისთვის ამას ხელს უშლის აგრესორთან მებრძოლი ლიბია და საკუთარი სუვერენიტეტის განუხრელად დამცველი ირანი).

გარდა თვალხილული მიზნებისა, იმ სტრატეგიული პლაცდარმის შექმნა, რომლიდანაც მუდმივად მიზანში იქნება ამოღებული ევრაზიისა და ჩრდილოეთ აფრიკის მოვლენები და ნავთობისა თუ გაზის ბაზრებზე მონოპოლიასთან მიახლოებული კონტროლის დაწესება, გეოპოლიტიკური წყლულის შექმნის მიზეზი უნდა გახდეს ქაოსის შემდგომი გავრცელება, უპირველესად, ევროპული კულტურის ქვეყნებში ნარკოტიკებისა და მიგრანტების მზარდი ექსპორტირების ხარჯზე.

**მომავალი აფეთქების სუნი უკვე ახლავე ტრიალებს ეთნო-კულტურული უთანხმოებებითა და სოციალური კონფლიქტებით მოცულ საფრანგეთსა და გერმანიაში. ასე რომ, ეჭვი არაა, რომ „გლობალური არქიტექტორების“ ხელი მალე ბებერ ევროპასაც მისწვდება, მანამდე კი უკვე „მომწიფებულებით“ — სირიით, ირანითა და ვენესუელით არიან დაკავებულნი.**

დასასრულ, პასუხს საჭიროებს კითხვა: **რატომ იქცა თანამედროვე გეოპოლიტიკის უპირატეს ფორმად მაინც და მაინც ბანდიტური უკანონობა, ორგანიზებული დანაშაული და მისი შეიარაღებული ძალები კი „ახალი მსოფლიო წესრიგის“ მთავარ ინსტრუმენტად?** პასუხი მარტივია: მსგავსი იხსნება მსგავსში. თამაშების მათემატიკური თეორიიდან მცდარად ინტერპრეტირებული პრინციპი, რომელიც საზოგადოების ახალ თარგზე ხელოვნური გამოჭრის საფუძვლად იქცა და რომელიც წარმატებით გამოიყენება პრაქტიკაში, საკუთარ ფარგლებში მოქცეული ადამიანების საზოგადოების მაფიის სტრუქტურის იდენტურ კორპორატიულ-ქსელურ სტრუქტურად გარდაქმნის საშუალებას იძლევა. მონათესავე შემადგენლობები კი მახლობელ ფორმებს, ანალოგიურ პრინციპებს, მეთოდებსა და მოქმედების საშუალებებს წარმოქმნის თანამედროვე მსოფლიო-სისტემის მდგომარეობისთვის აქედან გამომდინარე შედეგებით.

fondsk.ru



**ბენ ფერენცი:**
დღეს აშშ-ის ხელისუფლება მზადაა, გააკეთოს ის, რისთვისაც წარსულში გერმანელებს, როგორც სამხედრო დამნაშავეებს, სიკვდილით სჯიდა... არ შეიძლება ჰიტლერივით მართო ქვეყანა — მოატყუო და ისე დააშინო ადამიანები, რომ ამ შიშით ახსნან მათ მიერ ჩადენილი მასობრივი მკვლელობები. ეს არაადამიანობაა.

დაიჯესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# ნიურნბერგის პროცესის ბრალმდებელი აშშ-დან:

# «დღეს ჩემი ხელისუფლება მზადაა, გააკეთოს ის, რისთვისაც ოდესღაც ნაცისტებს სჯიდა»

**სათაურის წაკითხვისას, ალბათ, ორმეტრიან ახმახად წარმომიდგინეთ. სინამდვილეში ასეც არის, მაგრამ გლობალური პრობლემების გადაწყვეტაში მონაწილეობამ ძალა მთლიანად გამომაცალა. გსმენიათ ახალგაზრდა, გაბედული მწერლების — სენდი დევისისა და დევიდ სვონსონის სახელები? ჩემთან შედარებით ყველა ახალგაზრდაა — ორიოდე კვირის შემდეგ 92 წელი შემისრულდება. იმისათვის, რომ სიმართლე დაწერო — ხელისუფლება სიცრუეში დაადანაშაულო და ამის დამადასტურებელი ფაქტები ჩამოთვალო, გამბედაობაა საჭირო. სენდის წიგნის „სისხლი თქვენს ხელებზე“ გამო ვსვამ კითხვას: „ვისი სისხლი და ვის ხელებზე?“ ეს თქვენი სისხლია, ახალგაზრდებო, და ის მათ ხელებს შეახმა, ვისაც პასუხისმგებლობა ეკისრება.**





მე მეორე მსოფლიო ომი გამოვიარე და დემობილიზაციის მომენტში ქვეითი ჯარის სერჟანტის წოდება მქონდა. სამხედრო სამინისტრომ ბრძოლებში მონაწილეობისთვის ხუთი მედლით დამაჯილდოვა. **მე არაადამიანური სისხლისღვრისა და უკიდურესი სისასტიკის მოწმე გახლდით. მე ვიყავი მთავარი ბრალმდებელი მილიონობით ადამიანის, მათ შორის ასობით ათასი ბავშვის მკვლელობისთვის ბრალდებული 22 დამნაშავის სასამართლო პროცესზე.** მთავარი მსჯავრდებული გახლდათ ხუთი შვილის მამა, ესესის გრუპენფიურერი ოტო ოლენდორფი. იმდენად თავაზიანი იყო, დარწმუნებული ვარ, თავისი კატებისა და ძაღლების მიმართ კეთილი იქნებოდა. ბერლინის შტაბისთვის განკუთვნილ მის საიდუმლო ანგარიშებში კი ეწერა, თუ რომელ ქალაქში რამდენ ებრაელს, ბოშას და სხვა ადამიანს კლავდნენ მისი ხელქვეითები ვერმახტის მიერ პოლონეთისა და საბჭოთა ქვეყნების დაპყრობისას. ჩვენ გვქონდა ყოველდღიური ანგარიშები მასობრივი მკვლელობების შესახებ.

**საერთაშორისო ტრიბუნალის სასამართლო პროცესი ნიურნბერგში 1946 წელს დასრულდა, მაგრამ ამას მოჰყვა ნაკლებადცნობილი პროცესები, რომლებმაც გერმანიის საზოგადოების ფართო წრეების ნაცისტურ დანაშაულებებთან კავშირი გამოააშკარავა.** ამ პროცესებზე ადვოკატთა ჯგუფს ცნობილი ადვოკატი ტელფორდ ტეილორი ედგა სათავეში. ინფორმაციის მთავარი წყარო იყო იმ სადამსჯელო რაზმების ანგარიშები, რომელთაც ევალებოდა, უკან მიჰყოლოდნენ გერმანიის ჯარებს და ყველა ებრაელი და ბოშა მოეკლათ. ამ რაზმებში სულ სამი ათასი ადამიანი იყო გაერთიანებული. აღმოჩენილი მტკიცებულებები გენერალ ტეილორს წარვუდგინე და მათ წინააღმდეგ ახალი საქმის აღძვრა ვთხოვე. ამ პროცესზე მთავარი ბრალმდებელი გახდით.

მთავარმა ბრალდებულმა ოტო ოლენდორფმა ახსნა 90 ათასი ებრაელის განადგურება (ისინი არასდროს იყენებდნენ სიტყვა „მკვლელობას“) და მშვიდად განაცხადა, რომ ეს აუცილებელი იყო თავდაცვისთვის. მისივე თქმით, თავდაცვა იყო საბჭოთა კავშირზე თავდასხმაც. **„ჩვენ ვიცოდით, რომ საბჭოთა კავშირი თავდასხმას გეგმავდა და ამიტომ, თავდაცვის მიზნით, დავესხით მას თავს. ყველამ იცის, რომ ებრაელები ბოლშევიკებს დიდ პატივში ჰყავდა, ამიტომ იძულებული გავხდით, ისინიც დაგვეხოცა. ბავშვები რომ გაიზრდებოდნენ, გერმანიის მტრები გახდებოდნენ, თუ გაიგებდნენ, რა ბედი ეწია მათ მშობლებს. ეს კი მომავალი უსაფრთხოებისთვის პრობლემას შექმნიდა. ნუთუ ვერ ხედავთ ლოგიკას ამ ყველაფერში?**

ადამიანების, მათ შორის ბავშვების განადგურებისას არ ვყოყმანობდით, იმიტომ, რომ ჩვენს ფიურერს ვეყრდნობოდით, მან ჩვენზე ბევრი იცოდა, მან გვითხრა, რომ საბჭოთა კავშირი ჩვენზე თავდასხმას აპირებდა და ამიტომაც გადავწყვიტეთ, თავი დაგვეცვა“, — თქვა პროცესზე მთავარმა ბრალდებულმა.

ნიურნბერგში ოლენდორფის არგუმენტები სამმა ამერიკელმა მოსამართლემ განიხილა. მას და კიდევ 12 ადამიანს ჩამოხრჩობა მიესაჯათ. **სამწუხაროდ, დღეს ჩემი ქვეყნის ხელისუფლება მზადაა, გააკეთოს ის, რისთვისაც წარსულში გერმანელებს, როგორც სამხედრო დამნაშავეებს, სიკვდილით სჯიდა.**

ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ მივედი დასკვნამდე, რომ **საუკეთესო და, შესაძლოა, ერთადერთი საშუალება მასობრივი ძალადობის თავიდან ასაცილებლად საომარ მოქმედებებზე უარის თქმაა.**

თუ გვინდა, მშვიდობიან საზოგადოებაში ვიცხოვროთ, აუცილებელია კანონები, რომლებიც განსაზღვრავს, რა არის დასაშვები და რა — არა, სასამართლოები — უთანხმოებების დარეგულირების ადგილები და უფლებების ეფექტურად გამოყენების სისტემა.

ამ სამი კომპონენტის არსებობა სახელმწიფოში წესრიგის გარანტიაა, მაგრამ, თუ კომპონენტთაგან ერთ-ერთი გამოაკლდება, წესრიგი არ იქნება. როგორ ფიქრობთ, რამდენი მკვლელობა იქნება სახელმწიფოში, რომელიც იტყვის, რომ მკვლელობა დანაშაულია, მაგრამ ამისთვის არავინ დაისჯება, იმიტომ, რომ არ აქვს სასამართლო, რომელიც სასჯელს დაადგენს? **ჩვენმა ხელისუფლებამ ბევრი რამ გააკეთა საიმისოდ, რომ არც ერთი ამერიკელი არ გასამართლებულიყო საერთაშორისო კრიმინალურ სასამართლოში უმაღლესი სამხედრო დანაშაულისთვის, მაგრამ კანონი ერთნაირად უნდა ვრცელდებოდეს ყველაზე.** რატომ თქვა უარი აშშ-მა ნიურნბერგის პროცესის პრინციპებზე? საერთაშორისო კანონი ეს-ესაა იწყებს მოქმედებას. არადა, ჯერ კიდევ ნახევარი საუკუნის წინათ მოვითხოვდი საერთაშორისო სასამართლოს შემოღებას სამხედრო დანაშაულებების გადასაწყვეტად. თუ ვისაუბრებთ აგრესიის დანიშნულებებზე, ამის აუცილებლობა განსაკუთრებით თვალნათელი იქნება. **გავლენიანი სახელმწიფოები უარს არ ამბობენ ომის დაწყების უფლებაზე, როგორც თავიანთი ნაციონალური ინტერესებისა და მიღწევების დაცვის საშუალებაზე.**

ჩვენ, სამწუხაროდ, ჯერაც ვერ მოვახერხეთ იმ ინსტიტუტების შექმნა, რომლებიც მშვიდობიანი საზოგადოებისთვისაა აუცილებელი.

2010 წლის მაისში ბერლინში რკინის ჯვრის ორდენის მისაღებად მიმიწვიეს. ჩავთვალე, რომ უსამართლობა იქნებოდა ახალი თაობის იგნორირება ნაცისტების მიერ 70 წლის წინათ ჩადენილი დანაშაულისთვის, და ძალიან ამაყი ვიყავი ამ ჯილდოს მიღებისას, რადგან ამით გერმანიამ ნიურნბერგის პროცესის გადაწყვეტილების სამართლიანობა აღიარა.

**აშშ მუდამ წინააღმდეგი იყო, აგრესიის დანაშაულებანი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციაში რომ შესულიყო. მას არ სურდა, აგრესია დანაშაულებათა სიაში ეხილა.** მაგრამ არ გამოუვიდა — 1998 წელს აგრესია საერთაშორისო დანაშაულებათა სიაში შევიდა, მაგრამ სასამართლოს აგრესორების გასამართლების უფლებამოსილება არ მიეცა და ზუსტად არ განისაზღვრა აგრესიის ფორმულირება. **აშშ-მა რომის შეთანხმებას არ დაუჭირა მხარი, ის იყო ერთ-ერთი 7 მოწინააღმდეგეს შორის 120 მომხრის წინააღმდეგ.**

აგრესიის პრობლემას, რომელიც რომში 1998 წელს გადაიდო, 2010 წელს კამპალეში დაუბრუნდნენ. გერმანიამ, დამაჯილდოვა რა რკინის ჯვრით, ნიურნბერგის პროცესის სამართლიანობა აღიარა, აშშ-მა კი განაცხადა: **„ნიურნბერგი დაივიწყეთ. ეს წარსულია. აწმყოთი ცხოვრებაა საჭირო“.** ამ პასუხმა ბევრი შეაშფოთა, მაგრამ, როცა აშშ ამბობს „არა“, ქვეყნები, რომლებიც მისგან ეკონომიკურ და სამხედრო დახმარებას იღებენ, იმავეს იმეორებენ. პრობლემა ისევ გადაიდო, ამჯერად 2017 წლამდე. **დღეს საერთაშორისო სასამართლოს არ აქვს უფლება, ვინმე გაასამართლოს უმაღლესი დანაშაულისთვის.**

მე ვუსმინე შტაბების უფროსების გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარეს — ადმირალ მაიკლ მალენს, როდესაც ის ამბობდა, რომ უკეთ შეძლებს ომის თავიდან აცილებას, ვიდრე საბრძოლო მოქმედებების წარმოებას. მაგრამ **შეუძლებელია ომის თავიდან აცილება მაშინ, როდესაც პოტენციურ დამნაშავეებს ესმით, რომ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში მსოფლიოში არ არსებობს სასამართლო, რომელიც მათ სასჯელს შეუფარდებს.**

მე თავს პატრიოტ ამერიკელად ვთვლი. აშშ-ში ჯერ კიდევ ბავშვობაში მოვხვდი, როდესაც სიღატაკისა და დევნისგან თავის დაღწევას ვცდილობდი. მე მუდამ მადლიერი ვიქნები ამ ქვეყნის. როგორც ტომ პეინი ამბობდა, **პატრიოტის მოვალეობაა, არა მხოლოდ თქვას, რომ მისი ქვეყანა სწორი ან არასწორია, არამედ მხარი დაუჭიროს, როდესაც ის მართალია, არასწორი გადაწყვეტილების შემთხვევაში კი ყველაფერი გააკეთოს მის შესაცვლელად.**

დიპლომატებზე გავლენის მოხდენის იმედი აღარ მაქვს. როდესაც ერთ-ერთი გამოსვლისას ვთქვი, რომ მეორე მსოფლიო ომს 50 მილიონამდე ადამიანი შეეწირა და რომ ჩვენი არაერთმნიშვნელოვანი გადაწყვეტილებებით ვწირავთ ახალგაზრდა თაობის იმედებს, რომელსაც არ სურს იგივე გაიაროს, ელჩებმა მხოლოდ მხარზე მომითათუნეს ხელი მხარდაჭერის ნიშნად, შემდეგ კი აშშ-ის მაგალითი გაიმეორეს.

ყოველდღიურად ჩვენ დაახლოებით 4 მილიარდ დოლარს ვხარჯავთ სამხედრო მრეწველობაში, ჩვენ მსოფლიოში ყველაზე კარგად აღჭურვილი ჯარი გვყავს. ქვეყანა გაკოტრების პირასაა, ჩვენ არ ვუთმობთ ყურადღებას ჯანდაცვისა და განათლების საკითხებს; ამ დროს სახსრებს იარაღზე ვხარჯავთ.

**ამერიკა დემოკრატიული ქვეყანაა, მაგრამ დემოკრატიული პრინციპები მხოლოდ იმ საზოგადოებაში მოქმედებს, სადაც სიმართლეს არ მალავენ. არ შეიძლება ჰიტლერივით მართო ქვეყანა — მოატყუო და ისე დააშინო ადამიანები, რომ ამ შიშით ახსნან მათ მიერ ჩადენილი მასობრივი მკვლელობები. ეს არაადამიანობაა.**

ამერიკული თვითმფრინავების მიერ პაკისტანისა და ავღანეთის დაბომბვებს უდანაშაულო ადამიანები შეეწირნენ და რას მიაღწია ამით აშშ-მა? გადარჩენილებს ეზიზღებათ ამერიკა და მისი მთელი მოსახლეობის გაწყვეტა სურთ.

მე იურისტი ვარ და მჯერა კანონის ზეიმისა. ვხედავ, რომ თავად ვახდენთ იმის პროვოცირებას, რასაც შემდეგ ტერორიზმს ვეძახით. ქვეყანა შეშინებულია. ამერიკა აღარაა თავისუფალი იმ შიშისგან, რომელზეც რუზველტი ლაპარაკობდა. აეროპორტის უშიშროების სამსახურები მოხუცი ქალების ფეხსაცმელში ბომბს ეძებენ. ამის შემდეგ რაღა იქნება?

ორიოდე კვირაში 92 წელი მისრულდება და აღარაფრის იმედი მაქვს, მაგრამ თქვენ უნდა მიიღოთ გადაწყვეტილება თქვენთვის და თქვენი შვილიშვილებისთვის. **ნუ ხართ ჩუმად, უთხარით ყველას! იურისტები დაამტკიცებენ კანონებს, შექმნიან სასამართლოებს, ნელ-ნელა, მაგრამ ჩვენ მაინც გადავლახავთ ყველა სიძნელეს. მაგრამ ჩვენ საზოგადოების მხარდაჭერა გვჭირდება, ჩვენ გვჭირდება თქვენი მხარდაჭერა. ნუ ხართ ჩუმად! წარმატებებს გისურვებთ!**

**ბენ ფერენცი**

mixednews.ru

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95



## ხრახნებით შექმნილი 3D პორტრეტები

**ანდრეი მაიერსი ერთ-ერთი ყველაზე მყარი ნერვების მქონე სკულპტურისტია. ეს კალიფორნიელი მხატვარი წარმოუდგენელ პორტრეტებს ქმნის არა ფანქრით, ფუნჯით ან პლასტერით, არამედ ხრახნებით.**

მისი ნახატების შესაქმნელად საჭიროა: ფანერი, ათასობით ხვრელი, ხრახნები და „ელექტროჩაქუჩი". ხატვისთვის ამ უჩვეულო მასალით არაჩვეულებრივი 3D პორტრეტები იხატება.





# უდიდესი ოჯახი მსოფლიოში

**ინდოელი ზიონა ჩანა ქვეყნის აღმოსავლეთით მდებარე მიზორამის შტატის სოფელ ბაქტვანგში ცხოვრობს. 67 წლის მამაკაცს 39 ცოლი, 94 შვილი, 33 შვილიშვილი და 14 რძალი ჰყავს.**







ოჯახში, პრაქტიკულად, სამხედრო დისციპლინა სუფევს. უფროსი ცოლები ასრულებენ მთელ საშინაო საქმეებს — ალაგებენ სახლს, რეცხავენ სარეცხს, ამზადებენ კერძებს. **ყოველდღიურად ვახშამზე ქალები 30 ქათამს კლავენ, 60 კილოგრამ კარტოფილს თლიან და 100 კილოგრამამდე ბრინჯს ხარშავენ.**

მიუხედავად მრავალი საზრუნავისა, ზიონა თავის ოცდაცხრამეტივე ცოლს ღვთიურ საჩუქრად მიიჩნევს და მთელი პასუხისმგებლობით ეკიდება მსოფლიოში ყველაზე დიდი ოჯახის უფროსის საპასუხისმგებლო მისიას.

ზიონა და მისი ოჯახის წევრები ძლივს ეტევიან 4-სართულიან 100-ოთახიან სახლში, რომელსაც „ახალი თაობის სახლი" ჰქვია. სახლში არის სკოლა, სახელოსნოები, ღორებისა და ქათმების თავშესაფრები, სახლის გვერდით კი ბრინჯის მინდვრები და ბაღია გაშენებული. გარდა ოჯახის უფროსისა, რომელსაც ცალკე ოთახი აქვს, ყველანი უზარმაზარ დარბაზებში ცხოვრობენ.

**„ვფიქრობ, რომ ღმერთმა დამლოცა და მიბრძანა, ამ უზარმაზარ ოჯახს ვუხელმძღვანელო. თავს ბედნიერ ადამიანად ვთვლი — მსოფლიოში ყველაზე დიდი ოჯახი მაქვს",** — ამბობს ზიონა ჩანა.

ჩანას ცოლები აცხადებენ, რომ მათი მეუღლე სოფელში ყველაზე სიმპათიური მამაკაცია და ირწმუნებიან, რომ ერთმანეთს ურთიერთსიყვარულითა და პატივისცემით ეპყრობიან. თავად ჩანა აცხადებს, რომ მიღწეულზე შეჩერებას არ აპირებს და ახალი ცოლების საძებნელად აშშ-შიც კი ფიქრობს გამგზავრებას.

# მსოფლიოს საუკეთესო შაშხანები

**ამერიკულმა ტელეარხმა „Military Channel"-მა, რომელიც პერიოდულად სხვადასხვა სახის საუკეთესო იარაღების რეიტინგს აქვეყნებს, ამჯერად მსოფლიოს საუკეთესო შაშხანები წარმოგვიდგინა. ყოველი მათგანი მეოცე საუკუნეშია შექმნილი. თითოეული მოდელი სამხედრო ექსპერტების მიერ შეფასდა სიზუსტის, საბრძოლო ეფექტურობის, ორიგინალური კონსტრუქციის, გამოყენებისა და საიმედოობის თვალსაზრისით.**



**პირველი ადგილი** დაიკავა ლეგენდარულმა **„AK-47"-მა** (სსრკ), რომელმაც 5-ვე ნიშან-თვისებაში მაქსიმალური ქულები აიღო. დანარჩენი ადგილები კი შემდეგნაირად გადანაწილდა:



**IV — „1903 Springfield"** — აშშ;



**II — „M14"** — აშშ. იგი დღესაც გამოიყენება ამერიკულ სამხედრო გემებზე;



**III — „Sturmgewehr 44"** — გერმანია. ეს შაშხანა რაიხსტაგის დაცვისას უკანასკნელი იმედი იყო. ამ იარაღით დაიჭრა მიხაილ კალაშნიკოვი და საავადმყოფოში შექმნა „AK-47"-ის დიზაინი;



**V — „Steyr Aug"** — ავსტრია;



**VI — „Mauser K98k"** — გერმანია. ეს იარაღი დღესაც გამოიყენება სანადიროდ ან კოლექციონერთა ყურადღებას იზიდავს;



**VII — „FN FAL"** — ბელგია. ეს შაშხანა ამ დრომდეც მოქმედია. მას ამერიკის სნაიპერები და აფრიკის ქვეყნები იყენებენ;



**VIII — „M1 Garand"** — აშშ. ამ იარაღით იბრძოდნენ ამერიკელი ჯარისკაცები მეორე მსოფლიო ომში;



**IX — „Lee-Enfield SMLE"** — დიდი ბრიტანეთი. ეს შაშხანა რომ მოუძველდათ, ბრიტანელებმა ინდოელებს მისცეს;



**X — „M16"** — აშშ. შეიძლება ითქვას, რომ ეს იარაღი ამერიკის სირცხვილია. მას ვიეტნამის ომში იყენებდნენ და უამრავი პრობლემა ჰქონდა. მართალია, ის კალაშნიკოვის საწინააღმდეგოდ შექმნეს, მაგრამ უკიდურესად წარუმატებლად.

## 3 წლის ლოთი




**დიდ ბრიტანეთში, ქალაქ ბირმინგემში მცხოვრები 3 წლის ბიჭი ალკოჰოლიზმისგან განსაკურნებლად საავადმყოფოში მოათავსეს. ის ქვეყანაში ყველაზე ახალგაზრდა ლოთად აღიარეს.**

ბავშვი სასმელს ნახევარი წლის განმავლობაში რეგულარულად სვამდა, რამაც მასზე დამოკიდებული გახადა და, სასმელის მორიგი დოზის მიუღებლობის შემთხვევაში, აბსტინენციის სინდრომი ეწყებოდა. ალკოჰოლს ბავშვი მშობლებს ჰპარავდა.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# ყველაზე პატარა მოზარდი

**ჯანრი ბალავინგი მალე შეიძლება გინესის რეკორდების წიგნში მოხვდეს. პაწაწინა ახალგაზრდა რამდენიმე თვეში დაისაკუთრებს ტიტულს „მსოფლიოში ყველაზე პატარა ადამიანი“. მისი სიმაღლე დაახლოებით 55 სანტიმეტრია. იგი ზამბოანგა დელ ნორტეში, ფილიპინებში ცხოვრობს. ასაკით 17 წლისაა, მაგრამ ფიზიკურად 1 წლის ბავშვს ჰგავს.**









ჯანრი ივნისში 18 წლის ხდება. სწორედ მაშინ შეამოწმებენ გინესის წიგნის წარმომადგენლები და იგი ისტორიაში ყველაზე დაბალი ადამიანი გახდება. მანამდე ეს მაჩვენებელი ინდოელი გალ მოჰამედის (1957–1997) შემთხვევაში 57 სანტიმეტრი იყო.

ჯანრი ფეხზე მყარად დადგომასა და სიარულს ცდილობს, თუმცა მხოლოდ ცოტა ხნით ახერხებს. რეკორდმსმენად გახდომას დიდი იმედით ელოდება: **„თუკი მსოფლიოში ყველაზე დაბალ ადამიანად მაღიარებენ, ძალიან მაგარი გავხდები“**, — ამბობს იგი. როდესაც დედა ეუბნება, რომ ყველაზე პატარა ადამიანია, სახეზე სიამაყის ღიმილი ეფინება. როცა ბავშვი ორი წლის გახდა, მიხვდნენ, რომ რაღაც არ იყო მთლად ნორმალურად, თუმცა ექიმებმა დახმარება ვერ აღმოუჩინეს. ის ხშირად ავადმყოფობდა და სიმაღლე არ ემატებოდა. 12 წლის ასაკში კიდევ ერთხელ მიიყვანეს ექიმთან. ექიმმა ურჩია, ვიტამინები რეგულარულად მიეღო, რაც ოჯახმა ფინანსური მდგომარეობის გამო ვერ მოახერხა.

**ოჯახი ფილიპინების მიყრუებულ მხარეში ცხოვრობს. უახლოესი ქალაქი მათი საცხოვრებლიდან ერთი საათის სავალზეა, დედაქალაქამდე კი 900 კმ-ზე მეტია. ბიჭის მამა, 37 წლის რეინალდო, ქალაქის ცენტრში მუშაობს მჭედლად და სახლში მხოლოდ შაბათ-კვირას ბრუნდება.**

იმ დროს, როცა ჯანრის დაძმები – 13 წლის ჯეისელი, 11 წლის ჯეი-არტი და 6 წლის ჯინრიჩი – სკოლაში მიდიან, ჯანრი მთელ დღეს სახლში ატარებს. მისი დედა, 35 წლის კონსეფსიონი, ამბობს, რომ ერთადერთი მიზეზი, რის გამოც მუშაობაზე უარი თქვა, ჯანრია. მას ყოველ წუთს მიხედვა სჭირდება, რათა რამე არ დაუშავდეს.

ჯანრი გადაადგილებას მხოლოდ სხვისი დახმარებით ახერხებს, ისიც მცირე ხნით, რადგან საშინელი ტკივილები ეწყება. გინესის ამჟამინდელი რეკორდსმენია 24 წლის ნიქო ჰერნანდესი კოლუმბიიდან. მისი სიმაღლე 68 სანტიმეტრია.

# თევზების მასობრივი სიკვდილი გრძელდება!

**მილიონობით მკვდარი თევზი გამოირიყა სამხრეთ კალიფორნიაში. ეს ბოლო თვეებში მომხდარი კიდევ ერთი უცნაური შემთხვევაა, როცა გაუგებარი მიზეზის გამო უამრავი ცხოველი იხოცება.**




ჩიტების მასიური ხოცვა ახალ წელს და შემდგომი მკვდარი ჩიტების წვიმა მეცნიერებმა ფოიერვერკებს დააბრალეს. მათი აზრით, ჩიტები შეშინდნენ, ორიენტაცია დაკარგეს და შენობებსა და ხეებს ეჯახებოდნენ. მაგრამ ახლა მსგავსი მოვლენა ლოს ანჯელესში დაფიქსირდა და ამას უკვე ფოიერვერკებს ვეღარავინ დააბრალებს.

**მილიონობით პატარა თევზი რედონდოს სანაპიროზე ღამით გამოირიყა. ისინი დილით პირველად მენავეებმა შენიშნეს. ზუსტი მიზეზი ჯერჯერობით უცნობია.**

ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, ეს ვერცხლისფერი თევზები წითელი დინებისგან გაქცევას ცდილობდნენ და გზაში ერთმანეთი გაჭყლიტეს. თავის მხრივ, წითელ დინებას წყალმცენარეების განსაკუთრებული ჯიშების ზედაპირზე გამორიყვა იწვევს. ასეთ დინებაში გაჩერება თევზებისთვის სახიფათოა, რადგან სათანადოდ ვერ მიეწოდებათ ჟანგბადი; ამასთან, წყალი იწამლება და თევზების დაღუპვას იწვევს.

ერთადერთი, რაც დაზუსტებითაა ცნობილი, ისაა, რომ **თევზების სანაპიროსთან გამორიყვა ღამით ამოვარდნილმა ძლიერმა ქარმა გამოიწვია. თევზების გროვა იმდენად მსხვილი და მასიური იყო, რომ ნავები გადაადგილებას ვერ ახერხებდნენ.**

ჯერჯერობით ჩატარებული გამოკვლევები აჩვენებს, რომ თევზების სიკვდილის მიზეზი ჟანგბადის უკმარისობა იყო. მათ ორგანიზმში არც ნავთობის კვალი იყო, არც რაიმე სახის ქიმიური ნაერთის, რომ მოწამვლა გამოეწვია.

**ამ მოვლენას წინ უძღოდა ახალ წელს 3000-მდე შოშიის ცვენა ამერიკის ქუჩებში, რაც, როგორც აღვნიშნეთ, საზეიმო ფოიერვერკებს დააბრალეს, თუმცა, ეს ოფიციალური მიზეზი არაა და საქმეც ბოლომდე ჯერ კიდევ არ გაუხსნიათ.**

რამდენიმე დღის შემდეგ დაფიქსირდა წითელფრთიანი შოშიების ცვენა პოინტ კუპიში, ლუიზიანის შტატში. გავიდა დრო და ამას მოჰყვა 100 ათასამდე თევზის დახოცვა არკანზასის მდინარეში, ქალაქ ოზარკთან.

# გიგასის კოდექსი, ანუ ე.წ. ეშმაკის ბიბლია

**ეს არის ყველაზე დიდი და საიდუმლოებით მოცული ხელნაწერი წიგნი მსოფლიოში, რომელიც 75 კილოგრამს იწონის. ხის ყდაში ჩასმული 310 ფურცელი 160 ვირის ტყავისგან არის დამზადებული.**



წიგნი დაწერილია ლათინურ ენაზე და შეიცავს ახალ და ძველ აღთქმას, იესოს სიბრძნეს, ებრაელთა ომებს, ბიბლიური თუ სხვა პერსონაჟების ცხოვრების აღწერილობებს, მონასტრის კანონებს; ყველაფერს, სამკურნალო რჩევებიდან დაწყებული, მაგიური ფორმულებითა და ოკულტური შელოცვებით დამთავრებული. სწორედ ამ წიგნშია მოცემული ეგზორცისტული სეანსების დროს გამოყენებული შელოცვები, რომელთა დახმარებითაც ბნელი ძალების მიერ შეპყრობილი ადამიანების სხეულიდან ბოროტ სულებს დევნიდნენ.

მე-13 საუკუნეში, როდესაც ხელნაწერია შექმნილი, წიგნის შექმნაში მონაწილეობდა რამდენიმე გადამწერი, მხატვარი, ამკინძავი და თვით პროცესი თვეებისა და წლების განმავლობაშიც კი იწელებოდა. მაშ, რამ დააინტერესა მეცნიერები, რომლებიც სამი დღის განმავლობაში (სამდღიანი ნებართვის მიღება შვედეთის სამეფო ბიბლიოთეკიდან, სადაც ამჟამად წიგნი მდებარეობს, საკმაოდ რთულია) დაწვრილებით შეისწავლიდნენ ხელნაწერს?

საქმე ისაა, რომ არსებობს მითი წიგნის შექმნის შესახებ. ამ მითის მიხედვით **მე-13 საუკუნეში ბოჰემიის ბენედიქტის მონასტრის ერთ-ერთ განდეგილ ბერს – ჰერმანს — იმ საშინელი ცოდვის გამო, რომელიც ლეგენდაში გასაიდუმლოებულია, სიკვდილი მიესაჯა. ბერი ემუდარებოდა წინამძღვარს, შეენარჩუნებინა მისთვის სიცოცხლე და სანაცვლოდ იგი დაწერდა წიგნს ერთ ღამეში, რომელიც სახელს გაუთქვამდა მონასტერს. წინამძღვარი ამ პირობას დათანხმდა. მეორე დილით ბერს ან წიგნი უნდა ჩაებარებინა მისთვის, ან — სიცოცხლე. სასოწარკვეთილი ბერი წერას შეუდგა, მაგრამ რამდენიმე საათში მიხვდა, რომ შეუძლებელი იყო, დილამდე დაემთავრებინა სამუშაო. მაშინ მან ლოცვა აღავლინა, ოღონდ არა ღმერთის, არამედ დაცემული ანგელოზის მიმართ...**

მეცნიერთა ჯგუფმა შეისწავლა ხელნაწერი და აღმოჩნდა, რომ **იგი დაწერილია ერთი და იმავე მელნით.** მეტიც, **არ მოიძებნა არც ერთი მექანიკური თუ ორთოგრაფიული შეცდომა, არსად არ არის შეცვლილი ასოების გრაფიკული მოხაზულობა, ანუ მთელი ხელნაწერი ერთგვაროვანია, რის გამოც გამორიცხულია, რომ იგი სხვადასხვა ადამიანს დაეწერა.**

გამოდის, რომ მთელი წიგნი მართლაც ერთი პიროვნების მიერ არის შექმნილი. იმ პერიოდში ასეთი მასიური წიგნის დაწერას ათწლეულები დასჭირდებოდა. ამ დროის მანძილზე კი დამწერს აუცილებლად უნდა შეცვლოდა კალიგრაფია, დაქვეითებოდა მხედველობა, სახსრების ტკივილსა და ხელის კანკალისგან ასოებიც უნდა დამახინჯებულიყო. ხელნაწერს მსგავსი არაფერი ეტყობა. აქედან გამომდინარე, დადგინდა, რომ **წიგნი ერთმა ადამიანმა დაწერა და მან ეს არაადამიანურად მოკლე დროში მოახერხა.**

ახლა მეცნიერებს ორი თავსატეხი აქვთ — რით მთავრდება ლეგენდა და ვინ დაწერა გიგასის კოდექსი.





# «ამერიკის 13 მეგობარი»




**2011 წლის 24 მარტს თბილისში, სასტუმრო „ბეტს-ოტელის“ საკონფერენციო დარბაზში, გაიმართა წიგნის „ამერიკის 13 მეგობარი“ პრეზენტაცია, რომელიც უცხოელი ავტორების — ამერიკელი, ესპანელი, მექსიკელი, ბრიტანელი პუბლიცისტებისა და ჟურნალისტების — მიერ სხვადასხვა დროს დაწერილი 13 პუბლიკაციის ქართულ ენაზე ნათარგმნ კრებულს წარმოადგენს. რაფაელ ტრუხილიო, ანასტასიო სომოსა, ანვარ სადათი, პინოჩეტი, ფერდინანდ მარკოსი, ზია-ულ-ჰაკი, ხორხე რაფაელ ვიდელა, ალფრედო სტრესნერი, რუბენ ფულხენსიო ბატისტა-ი-სალდივარი, სადამ ჰუსეინი, ვიქტორ იუშჩენკო, ედუარდ შევარდნაძე, მიხეილ სააკაშვილი, — აი კრებულის 13 გმირი, რომლებსაც სათითაო პუბლიკაცია მიეძღვნა.**

კრებულის გამომცემელია არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობა“, რომლის თავმჯდომარემ ტარიელ გაგნიძემ პრეზენტაციის გახსნისა და სტუმრებისთვის მადლობის გადახდის შემდეგ მოკლედ ილაპარაკა აღნიშნული პროექტის მიზნებზე. **„ჩვენ მიერ გამოცემული კრებული, ძირითადად, XX საუკუნის მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის 13 მმართველის შესახებ 13 პატარა ისტორია-პუბლიკაციისგან შედგება. ისინი აშშ-ის უპირობო, ამერიკის საგარეო პოლიტიკის მხარდაჭერით სარგებლობდნენ, უფრო მეტიც – ხელისუფლების სათავეში სწორედ ამერიკელთა მხარდაჭერით მოვიდნენ. წიგნში მოთხრობილია, თუ როგორ მართავდნენ ისინი ქვეყანას, რა ამოძრავებდათ, რა მოტივებით ხელმძღვანელობდნენ და რით დასრულდა მათი მოღვაწეობა პოლიტიკური და ფიზიკური თვალსაზრისითაც. ამჟამად მოქმედ მმართველთაგან იქ მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილია. კრებულის ქართულ ენაზე გამოცემის მიზანი იყო, ამ პუბლიკაციებს სწორედ ქართველი მკითხველი, ქართველი საზოგადოება გასცნობოდა, თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, რუსულ ენაზეც ვთარგმნით და გამოვცემთ. ჩვენ გავითვალისწინეთ მოსახლეობის მძიმე მატერიალური მდგომარეობა და ამიტომ სავაჭრო ქსელში წიგნი 2 ლარი ეღირება, ანუ ერთ დოლარზე ცოტა მეტი. ვიმედოვნებთ, რომ ეს ხელმისაწვდომი ფასია“,** – განაცხადა გაგნიძემ ჟურნალისტებთან საუბრისას.

პრეზენტაციას ესწრებოდა საზოგადოების მრავალრიცხოვანი წარმომადგენელი – სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელები, მედიის წარმომადგენლები – ჟურნალისტები და სხვადასხვა გაზეთის, ადგილობრივი და უცხოური საინფორმაციო სააგენტოების მთავარი რედაქტორები, ასევე, უფლებადამცველები, ცნობილი ექსპერტები და დიდი სამამულო ომის მონაწილენი. ყველა დამსწრეს მიეცა საშუალება, გამოეთქვა თავისი აზრი. ამიტომ კრებულის პრეზენტაცია პატარა კონფერენციაში გადაიზარდა, სადაც სტუმრები იმ საჭირბოროტო პრობლემებს განიხილავდნენ, აგრერიგად რომ აღელვებს ქართველ საზოგადოებას საქართველოში არსებულ სიტუაციასთან დაკავშირებით. რაც შეეხება წიგნს „ამერიკის 13 მეგობარი“, სტუმრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი მისი გამოცემის იდეას და აღნიშნეს, რომ ამით არასამთავრობო ორგანიზაციამ „ისტორიული მემკვიდრეობა“ ძალიან დიდი, საზოგადოებისთვის ერთობ მნიშვნელოვანი საქმე გააკეთა. მოვიყვანთ ზოგიერთ მოკლე შენიშვნას.

**გულბაათ რცხილაძე, ევრაზიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი:**

**— ძალიან მნიშვნელოვანი და სასიხარულოა, რომ წიგნი წარმოადგენს სწორედ პუბლიცისტურ და არა სამეცნიერო ნაშრომების კრებულს სპეციალისტებისთვის, რაც ხელმისაწვდომად აქცევს მას მკითხველთა ფართო წრისათვის, რომელიც პოლიტიკაში სათანადოდ გაცნობიერებული არ არის. მისი წაკითხვის შემდეგ ბევრი გასაოცარ ფაქტებს აღმოაჩენს და, ალბათ, აზრსაც შეიცვლის თანამედროვეობის ზოგიერთ მოვლენაზე.**

**თეიმურაზ ქორიძე, ლიტერატორი, „ისტორიული მემკვიდრეობის“ საზოგადოებრივი საბჭოს თავმჯდომარე, ექს-პარლამენტარი:**

— ეს ისტორიულად საჭირო წიგნია! ჩვენ წინათ გავურბოდით კრიტიკას, ჩვენში ხელმძღვანელთა გაკრიტიკება მიღებული არ იყო. აი, ევროპაში კი, როგორც ეს პუბლიკაციებიც ადასტურებს, თავიანთი მმართველებისადმი მკვეთრად კრიტიკულად იყვნენ განწყობილი. ეს ძალიან სერიოზული და საჭირო წიგნია.

**საქინფორმი**


# უნივერსალური წყალი „ისიდა“



## მათთვის, ვისთვისაც ძვირფასია ჯანმრთელობა

სუფრის წყალი „ისიდა“ აკმაყოფილებს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის („ჯანმო“) მოთხოვნებს. სერტიფიცირებულია და დღიური ნორმის ოდენობით შეიცავს ადამიანისთვის აუცილებელ და შეუცვლელ მიკროელემენტებს (J, F, Mn, Ca, K, Mg, Na, Zn).

J იოდი — ხელს უწყობს დედის ორგანიზმში ნაყოფის განვითარებას (დეფიციტი იწვევს კრეტინიზმს); მოქმედებს მოზარდის ნორმალურ განვითარებაზე; იცავს ადამიანს ჩიყვისგან; მოქმედებს გულსისხლძარღვთა და ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე.

F ფტორი — მინერალიზაციის პროცესების ბიოკატალიზატორია. მისი დეფიციტი იწვევს მინერალიზაციის დარღვევას, კბილის კარიესს.

Mn მანგანუმი — მოქმედებს ჰორმონებსა და ფერმენტებზე. მისი დეფიციტი იწვევს ინსულიარული აპარატის მოშლას, პოტენციის დაქვეითებასა და პათოლოგიურ სიმსუქნეს.

Ca კალციუმი — მონაწილეობს ძვლის უჯრედების წარმოქმნაში. მოქმედებს სისხლის შედედებაზე, ნერვული იმპულსების გადაცემაზე, ფერმენტული პროცესების აქტივობაზე.

K კალიუმი — უზრუნველყოფს გულის კუნთის მუშაობასა და მის ბუნებრივ აქტივობას, ხელს უწყობს მეხსიერების გაუმჯობესებას.

Mg მაგნიუმი — ამაგრებს ჩონჩხის ძვლებს, კბილის მინანქარს. ხელს უწყობს თირკმელების, ღვიძლის, გულისა და ტვინის ნორმალურ ფუნქციონირებას.

Na ნატრიუმი — ფიზიოლოგიური (უჯრედგარეთ) სითხის ძირითადი შემადგენელი ნაწილია. არეგულირებს სისხლის წნევას და იცავს სისხლის ბუფერობას.

Zn თუთია — შედის თითქმის ყველა უჯრედის შემადგეგნლობაში, არეგულირებს მოზარდი ორგანიზმის ნორმალურ განვითარებასა და სქესობრივ მომწიფებას.

საერთო მინერალიზაცია შეადგენს 350 მგ/ლიტრზე, რაც უზრუნველყოფს გულის კუნთის ნორმალურ მუშაობას, ტვინის ქერქისა და ქერქქვეშა ცენტრების აქტივობას, თირკმლის ნორმალურ ფუნქციონირებას, ზრდის ღვიძლის დეტოქსიკაციურ ფუნქციას და ინარჩუნებს ძვლოვანი ქსოვილების ნორმალურ შემადგენლობას.

სასმელად გამოსადეგი არც ერთი სხვა წყალი (არც მდინარის, არც ტბის, არც ჭის და არც წყაროსი) არ შეიცავს ჩამოთვლილ მიკროელემენტებს ერთდროულად და საკმარისი რაოდენობით, ამიტომ მათი ყოველდღიური და ხანგრძლივი გამოყენება ორგანიზმში რომელიმე ელემენტის დეფიციტს იწვევს, შესაბამისად, — ფუნქციონალურ დარღვევებს, რასაც ეწოდება მიკროელემენტოზი. მას მიეკუთვნება ენდემური ჩიყვი, კარიესი, ფსორიაზი, პათოლოგიური სიმსუქნე და სხვ.

„ისიდა“ გამიზნულია ოჯახური მოხმარებისთვის, ისხმება ხელის ტუმბოთი აღჭურვილ 20-ლიტრიან ბალონებში.

**მსურველებმა დარეკეთ თბილისში: 899-16-30-21. 890-26-15-15 (ოფისი); რუსთავში: 890-11-50-99; 895-91-24-14.**


არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობის“ ხელმძღვანელობა და გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქციის ჟურნალისტები გულითადად თანაუგრძნობენ კოლეგასა და მეგობარს იური მშველიძეს მამის, შესანიშნავი პიროვნების

ირაკლი მშველიძის

გარდაცვალების გამო.


**საინფორმაციო ანალიტიკური სააგენტო**

საქინფორმი

www.saqinform.ge



# წმიდა ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსის სამრეკლო

| | |
|---|---|
| ს.ს „გაერთიანებული ტელეკომი“ | 602602 |
| შპს „ახტელი“ | 700818 |
| შპს „მაგთიკომი“ | 200320 |
| შპს „ჯეოსელი“ | 700305 |
| შპს „ბილაინი“ | 200333 |

ფოთისა და ხობის ეპარქიის განვითარების ფონდის საბანკო რეკვიზიტია:

ს.ს „თი ბი სი ბანკის“ ფოთის ფილიალი
ბანკის კოდი 220101937;
ა/ა 63636080100001; ს/კ 215141246

თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით
იხ. მენიუში: სხვადასხვა — ქველმოქმედება — წმ. ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსი.



ინფორმაციისთვის მიმართეთ ფონდის დირექტორს, დეკანოზ თევდორე ბასილაიას:
ქ. ფოთი,
ნ. ნიკოლაძის მოედანი №3,
ტელ.: 8(293) 70736,
მობ.: (899)936563,
e-mail: eparqia-f@mail.ru



საქართველო და მსოფლიო

ეწვიეთ ჩვენს საიტს

http://www.geworld.net



მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
მთავარი რედაქტორის მოადგილეები:
არმაზ სანებლიძე, ბონდო მძინარაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ლევან ზანგურაშვილი
ვებრედაქტორი გოჩა ხავთასი
რეალიზაციის მენეჯერი დავით ბუაძე, ოფისმენეჯერი თათია ვაშაკიძე,
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 34-32-95; e-mail:info@geworld.net